ნიკო გვარაძე

თეატრალური მეძუარები

II

„ხელოვნება“
1952

ნიკო გვარაძე

თეატრალური მემუარები

ნიგნი მეორე

გამომცემლობა „ხელოვნება"
თბილისი
1952

თავი პირველი

1914-15 წლის ზამთრის სეზონის დამთავრება ქ. ქუთაისში. ვლ. მესხიშვილის გამგზავრება მოსკოვს. კოტე მარჯანიშვილის თეატრის დახურვა. ლადო მესხიშვილის მუშაობა „დრამატულ თეატრში". ლადო მესხიშვილი კინოში. კინოსურათები: „მამები და შვილები", „რეხტორანის კაცი", „მეთევზის შვილი". ლადო მესხიშვილის საყვარელი როლები: „ფრანცი", „ურიელი", „კინი". პიესა „და-ძმის" პირველი წარმოდგენა. პიესები: „თამარ ცბიერი", „გამცემი".

. დავამთავრეთ ქუთაისში 1914-15 წლის ზამთრის სეზონი, რომელსაც მეთაურობდა ვალერიან გუნია. ამ სეზონში რეჟისორ-მსახიობებად მოწვეული იყვნენ ლადო მესხიშვილი და ვალერიან შალიკაშვილი. როგორც კი დამთავრდა სეზონი, ლადო მესხიშვილი მოსკოვს წავიდა და თან წაიყვანა თავისი ცოლ-შვილი—ანა და პატარა ვაჟი ლადო. სწორედ ამ სეზონის წინ, 1914 წლის გაზაფხულზე კოტე მარჯანიშვილის „თავისუფალი თეატრი", რომელიც კოტემ სუხოდოლსკის (რომელსაც ცოლად ყავდა ჭაეჭავაძის ქალი) სახსრებით დაარსა მოსკოვში 1913 წლის გაზაფხულზე, უკვე დაიხურა. თეატრმა მხოლოდ ერთი სეზონი იარსება. კოტემ „თავისუფალი თეატრის" ლიკვიდაცია მოახდინა და თვითონ ფრონტზე წავიდა. სუხოდოლსკიმ ანტრეპრიზაზე ხელი არ აიღო და ახლა „დრამატული თეატრის" სახელწოდებით განაგრძო სეზონი. 1915-16 წლის სეზონში სუხოდოლსკიმ მშვენიერი დასი შეადგინა: რეჟისორებად მიიწვია აზაროვსკი და დუვანტორცოვი. მსახიობებად ჰყავდა: ბორისოვი, მოზჟუხინი, პევცოვი. ამათთან ერთად, სუხოდოლსკიმ მიიწვია დასში ლადოს ახალგაზრდა ქალიშვილები ნინო და ვარო, რომლებსაც

უკვე ჰქონდათ დამსახურებული მოსკოვის თეატრალური საზოგადოების დიდი მოწონება. ლადო რომ მოსკოვში გამოჩნდა, სუხოდოლსკიმ წინადადება მისცა, მის დასში დაეწყო მუშაობა, ლადომ თანხმობა განაცხადა და შეუდგა მუშაობას, მაგრამ მალე გამოირკვა, რომ თეატრის რეპერტუარი ლადოს არ აკმაყოფილებდა.

სწორედ იმხანად მოსკოვს არსებობდა ფირმა „ხანჟონკოვი და ამხანაგობა", რომელიც კინოსურათებს იღებდა. ლადო მესხიშვილმა სუხოდოლსკის თეატრს თავი დაანება და კინოში დაიწყო მუშაობა. ლადო კინოში მუშაობდა მისი სიცოცხლის თითქმის უკანასკნელი ხუთი წელიწადი. კინოში ლადომ ბევრი კარგი როლი შეასრულა, და შეასრულა მართლა ღირსეულად და ნიჭიერად. მე იგი მინახავს სამ სურათში. ი. ტურგენევის რომანის მიხედვით შექმნილ კინოსურათში „მამები და შვილები" იგი ასახიერებდა ბაზაროვის მამის როლს. მშვენიერი იყო იგი იმ სცენაში, როდესაც მამა თავისი შვილის კუბოსთან დგას და ცრემლები ლაპალუპით ჩამოსდის. ამ პატარა, ეპიზოდური როლით ლადო დაუვიწყარ სახეს ქმნიდა და საზოგადოებაზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა. რა იყო მიზეზი მაშინდელ მუნჯ კინოში თამაშით და ასე პატარა როლის შესრულებითაც რომ ხიბლავდა იგი მაყურებელს? მე მგონია, ლადო ბრწყინვალე გამარჯვებას თავისი შეუდარებელი მიმიკით აღწევდა. როგორც კინოში, ისე დრამაში მაყურებელი მოხიბლული იყო დიდი მსახიობის მდიდარი, უაღრესად მეტყველი მიმიკით. სურათში „რესტორანის კაცი" ლ. მესხიშვილი მთავარ როლს ასრულებდა. იგი ასახიერებდა რესტორანის ლაქიას. სურათის მოკლე შინაარსი ასეთია: მოსკოვში ცხოვრობს ღარიბი ადამიანი, რომელიც გაჭირვებამ აიძულა რესტორანში ლაქიად დამდგარიყო. მისმა ცოლმა და ქალიშვილმა არ იციან, რომ მათი ოჯახის მარჩენალი, რესტორანში ლაქიად მუშაობს. არც მამამ იცის, რომ მისი ქალიშვილი მეძავია და ღამეებს რესტორანებში და კაფეებში ატარებს. რესტორანის ცალკე კაბინეტში, რომელშიც მამა მსახურობს, მისი ქალი დროს ატარებს ყმაწვილებთან და გაშლილ სუფრაზე ცეკვავს. სწორედ ამ დროს, მამას ლანგრით შეაქვს ღვინო კაბინეტში და დაინახავს თავის ქალიშვილს, გაშლილ სუფრაზე მოცეკვავეს. უნდა გენახათ რა შთაბეჭდილებას ახდენდა მაყურებლებზე ლადო ამ სცენის დროს!

ეს როლი სურათში მთავარი იყო. ლადო მშვენივრად ასრულებდა მას, საზოგადოების დიდ ტაშსა და აღტაცებას იწვევდა. მახსოვს კიდევ მესამე სურათი—„მეთევზის შვილი“, რომელშიც მამის როლს ასრულებდა, მოხუცი ადამიანისას. რა მშვენიერი იყო ლადო ამ როლშიც!.. ლადო მესხიშვილზე, როგორც დიდ მსახიობზე, ბევრი დაწერილა და კიდევ ბევრი დაიწერება, მაგრამ მეც მინდა, თუ კი მოვახერხე, მკითხველს ჩემი შთაბეჭდილება გავუზიარო, როგორც მასთან მომუშავემ და მისმა მოწაფემ.

ლადოს საგვირგვინო როლად, როგორც იტყვიან ხოლმე აქტიორთა წრეებში, უსათუოდ ფრანც მოორი უნდა ჩაითვალოს შილერის „ყაჩაღებში“. ეს როლი პირველად ითამაშა თბილისში 1892 წლის 5 თებერვალს საბენეფისოდ; ამ როლის თამაშით იგი საზოგადოებაზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენდა. ლადოს როლი თავიდან ბოლომდე მშვენივრად ჰქონდა დამუშავებული. კერძოდ ამ პიესის ორი სცენა დაუვიწყარი იყო. აი, ამალიასთან შეხვედრა ბაღში. ამალია ფრანცს სილას გააწნავს და დაშნას ამოსტაცებს ქარქაშიდან! გრძნობს ფრანცი, რომ გაშმაგებულ ქალს ხელში მახვილი უჭირავს და შეიძლება იქვე მოსპოს!.. ლადო, ეს ვაქკაცი, ისე დაპატარავდებოდა, რომ იტყვიან, კაკლის ნაჭუჭში ჩაეტეოდა. ამ დროს ლადოს ფრანცი გათახსირებული, მიწასთან გასწორებული იყო და სიბრაზით ხელებს იკბენდა!.. ანდა უკანასკნელი სცენა, როდესაც იგი დაშნაამოღებული, ანთებული შანდლით, შეშფოთებული შემოვარდებოდა სცენაზე; დანიელს რომ აჩრდილად მიიღებს, შიშით მთელი სხეული უკანკალებს... მერე დანიელს რომ სიზმარს უამბობს. რა დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა ლადო უკანასკნელ სცენაში! მახსოვს, პიესის-დამთავრების შემდეგ, ფარდას რომ ჩამოუშვებდნენ და დარბაზს გაანათებდნენ, საზოგადოება არ იძვროდა, ისე იყო დატყვევებული ლადოს მგძნობიარე თამაშით. როდესაც მაყურებელი გამოერკვეოდა და მიხვდებოდა, რომ თეატრში იყო, მხოლოდ მაშინ ატყდებოდა ტაშის ცემა და ვაშას ძახილი. უნდა გენახათ თეატრში რა ხდებოდა!

ამ სცენის დროს ლადო ძალზე იქანცებოდა და ჭაღიდან, რომელზედაც ეკიდა (თავის ჩამოხრჩობისას), ფრთხილად ჩამოჰყავდათ და იქვე სცენაზე სავარძელში დასვამდნენ. ლადოს იმდენი ღონე აღარ ჰქონდა, რომ ამდგარიყო და თავის დასაკრავად სცენაზე გა-

სულიყო. მახსოვს, საზოგადოება ათჯერ-ხუთმეტჯერ გამოიყვანდა ხოლმე ლადოს სცენაზე, ხალხის აღტაცებას დასასრული აღარა ჰქონდა! ლადოს ფრანც მოორი მეტად მახინჯი იყო შეხედულებით, პატარა თვალები, გადმობრუნებული ტუჩები, დიდი ცხვირი და წითელი ალისფერი პარიკი! კუზიანი და კოჭლი! ერთი სიტყვით, ლადოს ფრანცი მახინჯი იყო, როგორც გარეგნობით, ისე სულიერადაც! ლადოს ფრანცი ნამდვილი მოსისინე გველი იყო.

ამავე დროს, რა სათნო, ნაზი და მიმზიდველი იყო ლადო ურიელის როლში პიესაში „ურიელ აკოსტა“. რა ნაზი და სათუთი იყო ლადო ივდითთან სცენებში, განსაკუთრებით ბოლო მოქმედებაში. ამასთანავე, რა გოლიათი იყო სინაგოგაში, როცა დაიძახებდა: „მაინც ბრუნავსო!“ სინაგოგის სცენა ლადოს განსახიერებით შედევრი იყო, ხელოვნების ნამდვილი დღესასწაული! ლადო ამ სცენის დროს ნამდვილი ტრიბუნი იყო, იგი დიდ არტისტულ ტემპერამენტს იჩენდა ხოლმე! ლადოს ხმა აღარ ჰქონდა და მაინც ასეთ დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა მაყურებელზე. მართალია, ლადო „ურიელ აკოსტაში“ სიყვარულის ამბავს წინა პლანზე სწევდა, მაგრამ სინაგოგაში ფაფარაყრილი ლომი იყო. ინგლისის გამოჩენილი მსახიობის კინის რა დაუვიწყარ სახეს ქმნიდა ლადო პიესაში „ედმუნდ კინი“! რა მშვენიერი და აღტაცების მომგვრელი იყო ტრაქტირის სცენაში, როდესაც ლადო, როგორც ქურციკი, მაგიდაზე შეხტებოდა და ლორდ მევილს სტვენით და ყიჟინით ისტუმრებდა ტრაქტირიდან! ან უკანასკნელი სცენა, როდესაც კინი თავის საყვარელ ქალთან დაინახავს ლორდ მევილს.

მე ლადო მინახავს ივანე მრისხანეს როლში, ოსტროვსკის პიესაში „ვასილისა მელენტიევა“, რომელიც მან საბენეფისოდ დადგა 1910-11 წლის სეზონში. მელენტიევას როლს ასრულებდა ბაბო რონელის ქალი! რა მშვენივრად თამაშობდა ლადო ივანე მრისხანეს... ეს ნამდვილი მრისხანე მპყრობელი იყო, როგორც კი გამოყვანილი ჰყავს ოსტროვსკის თავის პიესაში... ქართველ საზოგადოებას ძალიან მოეწონა ლადო ამ როლში. ლადო როგორც კლასიკურ ევროპულ როლებში იყო უბადლო, ისე ჩვენებურ ისტორიულ პიესებში იყო მომხიბვლელი და პირველი შემსრულებელი. ჯერ იყო და ლადომ ახალგაზრდობაშივე ისახელა თავი ლევან ხიმშიაშვილის როლის შესრულებით პიესაში „სამშობლო“. ამ როლის შესრულებაში სიბერემ-

დის ბადალი არა ყავდა, ხოლო როცა სიბერეში შევიდა, თავისი როლი — ლევან ხიმშიაშვილი — დათიკო ჩარკვიანს დაუთმო და თვითონ შაჰ-აბასს თამაშობდა ხოლმე ყოველთვის. ლადო შაჰის როლში ხშირად მინახავს. უნდა ვთქვა, რომ ლადოსთანა შაჰ-აბასი „სამშობლოში“ ქართულ სცენას არა ჰყოლია, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ნიჭიერი მსახიობი ასრულებდა ამ როლს ქართულ სცენაზე. ჯერ ერთი, იმის გრიმი რად ღირდა! ლადოს მიერ განსახიერებული შაჰ-აბასი — იყო მრისხანე დესპოტი. დიდი ტემპერამენტით თამაშობდა ლადო შაჰ-აბასის როლს და დიდ ტრაგიკულ ფიგურასაც ქმნიდა!

ლამაზად და მომხიბვლელად თამაშობდა ლადო გაიოზ ფალავას როლს ვ. გუნიას პიესაში „და-ძმა“. როგორც ვასო აბაშიძისაგან გამიგონია, როცა ვალ. გუნიამ პიესა „და-ძმა“ დაამთავრა 1891 წლის ზაფხულში და დრამატული საზოგადოების გამგეობის წევრებს წაუკითხა, დამსწრენი თურმე პიესით აღტაცებული იყვნენ და იქვე გადაწყვიტეს, რომ მომავალ სეზონში აუცილებლად დაედგათ. მაგრამ ვალ. გუნიამ თურმე პიესის დადგმაზე გამგეობას უარით უპასუხა და პირობად დაუდო, სანამ ლადო მესხიშვილს არ მოიწვევთ, პიესას ვერ დაგადგმევინებთო. დრამატული საზოგადოების გამგეობა იძულებული გამხდარა ლადოს ამბავი გაეგო და მასთან მოლაპარაკება გაემართა, რომ საქართველოში დაბრუნებულიყო და ქართულ დასში ემუშავნა როგორც მსახიობს. როგორც მისი მეუღლისაგან გამიგია, ლადო იმ წლებში ტაშკენტში იყო და სამ წელიწადს შუა აზიის ქალაქებში მუშაობდა. გამგეობამ ლადოსთან მოლაპარაკება გამართა. 1891 წლის შემოდგომაზე იგი თბილისში ჩამოვიდა და ქართულ დასში დაიწყო მუშაობა. დრამატული საზოგადოების გამგეობამ „და-ძმის“, როგორც იმ დროისათვის ისტორიულ მასალაზე დაწერილ საუკეთესო პიესის მომზადებას და დადგმას დიდი ყურადღება მიაქცია. ამ მხრივ გამგეობას პიესა „სამშობლოს“ დადგმისა და მისი წარმატების მაგალითი წინა ჰქონდა. პიესა მშვენივრად განაწილდა დასში. ეს პირველი საუკეთესო ისტორიული პიესა იყო „სამშობლოს“ შემდეგ. პიესის პირველი შემსრულებლები იყვნენ: გაიოზ ფალავა—ვლ. ალექსი-მესხიშვილი, ოტია ჯოლია—კოტე ყიფიანი, მარინე—ბაბო ავალიშვილისა, გადია—ნ. გაბუნია-ცა-

გარლისა, ადამია — ვალ. გუნია, გიორგი—კ. შათირიშვილი, ფაშა-ეფენდი — გ. გედევანოვი.

პიესისათვის დახატული იყო ახალი დეკორაციები და შეკერილი ახალი ტანსაცმელი. პიესა დიდხანს ამზადეს. მასში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულ იქნა რატილის გუნდი, რომელიც მეხუთე მოქმედების პირველ სურათში (საკანში) იღებდა მონაწილეობას. პიესა პირველად დაიდგა ავტორის—ვალერიან გუნიას საბენეფისოდ 1892 წლის 29 იანვარს.

აგრეთვე მშვენივრად თამაშობდა ლადო ლევანის როლს ვასილ ყიფიანის პიესაში „სამეგრელოს მთავარი ლევან". ჯერ ლადოს პირველი გამოჩენა რად ღირდა, როდესაც სცენაზე მთელი სასახლის ამალა ელოდება ლევანის გამოსვლას. ანდა, რა იყო ლადო ბოლო მოქმედებაში! ლადოს დიდი ღირსება, როგორც აქტიორისა, ის იყო, რომ თუნდ დარბაზიდან გეყურებინათ და მოგესმინათ. გინდ მის გვერდით მდგარიყავით სცენაზე, ვერ იტყოდით, რომ ეს მსახიობია და როლს კითხულობსო! ლადო როლს კი არ კითხულობდა სცენაზე, ეს როლი ლექსად იყო დაწერილი თუ პროზად, იგი სცენაზე ცხოვრობდა და იტანჯებოდა იმ მოქმედი პირის ცხოვრებითა და ტანჯვით, რომელსაც ასახიერებდა! ლადო მინახავს აკაკის „თამარ ცბიერში", გოჩას როლში, რომელიც მან ითამაშა მაკო საფაროვ-აბაშიძის ბენეფისზე. მაკო ასრულებდა ცირას როლს. ლადო ქუთაისიდან მიიწვიეს. რა ლამაზი და მომხიბვლელი იყო იგი გოჩას როლში! შეუდარებელი იყო ლადო შაქრო ჩვილიშვილის როლში პიესა „გამცემში". ეს როლი თბილისში შეასრულა მან. პიესის ავტორი იოსებ გედევანიშვილი აღტაცებული იყო ლადოს თამაშით. მე მგონია, სწორედ ლადოს წყალობა იყო, რომ პიესა „გამცემი" რეპერტუარს შერჩა და ჩვენც, მაშინ ახალგაზრდა მსახიობები, ძალიან ხშირად და დიდის სიყვარულით ვასრულებდით შაქრო ჩვილიშვილის როლს, როგორც ერთ-ერთ საუკეთესო როლს; პირველად ამ პიესას ლადომ მისცა გასაქანი თავისი დიდი ნიჭის წყალობით.

საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ ქართული თეატრი ქართველ ხალხს უფრო ლადო მესხიშვილმა და ვასო აბაშიძემ შეაყვარეს თავისი დიდი ნიჭის და კარგი რეპერტუარის წყალობით. ამ ორი მსახიობის მოღვაწეობა ქართულ სცენაზე მთელ მათ სიცოცხლეში შარავანდედით იყო მოსილი.

თავი მეორე

1919-20 წლის ზამთრის სეზონის დამთავრება ფოთში. ლადო მესხიშვილის დაბრუნება საქართველოში. ჩემი შეხვედრა ლადოსთან. ლადოს ჩასვლა სიღნაღში. ლადოს მონაწილეობით გამართული წარმოდგენები სიღნაღში: „შეშლილია“, „დონ-პიეტრო“. ლადოს პატივსაცემად გამართული ბანკეტი. ლადოს უკანასკნელი მოგზაურობა საქართველოს ქალაქებში. უკანასკნელი დადგმა: „მარიამ მაგდალინელი“. ლადოს გარდაცვალება.

1919-20 წლის სეზონი 1-ლ ივნისს დავამთავრეთ ფოთში და თბილისში ვაპირებდი წამოსვლას. თბილისიდან სიღნაღში უნდა გავმგზავრებულიყავ, სადაც სიღნაღის სცენისმოყვარეთა მიერ მთელი ზაფხულით ვიყავი მიწვეული, როგორც დასის რეჟისორი და მსახიობი. მაგრამ ჩემი მეუღლის თხოვნით ხონში გავიარეთ. იქ გაზეთში ამოვიკითხე ცნობა, რომ „თბილისში ივნისის 13-ს რუსეთიდან დაბრუნდა ჩვენი ძვირფასი თანამემამულე, სახელოვანი მსახიობი ვლადიმერ სარდიონის-ძე ალექსი-მესხიშვილი“. ამ ცნობის შემდეგ ხონში როგორღა დავრჩებოდი, როცა ლადო მესხიშვილი ხუთი წელიწადი არ მენახა! რადგან მაინც უნდა წამოვსულიყავ, იმავე დღეს ავიყარე ჩემი ცოლ-შვილით და თბილისისკენ გამოვწიე. ჩამოსვლისთანავე მივედი მსახიობთა კავშირის კანტორაში, რომელიც მოთავსებული იყო ქართული თეატრის ეზოში, სათავადაზნაურო ქარვასლაში, სადაც ახლა გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამის თეატრია. კიბეებზე რომ ავდიოდი, შემხვდა ვიღაც მოხუცებული, ძალიან გამხდარი ადამიანი. მე გზა დავუთმე და მინდოდა გვერდი ამევლო, მაგრამ ამ დროს ხელი წამავლო ამ უცნობმა მოხუცმა და მომაძახა: „შვილო ნიკო, ვეღარ მიცან, ლადო

ვარ!“ ვერ წარმოიდგენთ, რა დამემართა. შევხედე და მთლად დავიბენი, ლადო ვეღარ ვიცანი! მხოლოდ თვალებიღა შერჩენოდა თავისი სილამაზიდან, ისე იყო გამოცვლილი! აბა, რაღას მოვშორდებოდი. ბინაზე წამიყვანა. სასტუმროში ერევნის, ახლა ბერიას, მოედანზე ოთახი მიეცათ, რომელშიც მოთავსებულიყო თავისი ცოლ-შვილით. იმ დღეს ერთად ვისადილეთ, სადილზე ვასო აბაშიძემაც შემოგვისწრო. ლადომ მითხრა, ფულის საქმე ცუდად მაქვსო. მე ვუპასუხე, ამ კვირას სიღნაღში მივდივარ, სადაც მთელი ზაფხულის სეზონში ვარ მიწვეული, უთუოდ ჩვენთან უნდა ჩამოხვიდეთ მეთქი. მართლაც, ჩავედი სიღნაღში. სეზონი გავხსენი ადგილობრივი ძალებით და თან იქაურ სცენისმოყვარეებს ვუთხარი, რომ საგასტროლოდ ლადო მესხიშვილი უნდა მოვიწვიოთ მეთქი. სიღნაღის სცენისმოყვარენი აღტაცებაში მოვიდნენ ლადოს მოწვევის ამბავი რომ გაიგეს. ლადომ თან გამატანა მანსფელდის პიესა „შეშლილია“ და მითხრა, პიესა ადგილობრივი ძალებისათვის გამეცნო და როლებიც გამენაწილებინა. სეზონი გავხსენით თუ არა, მეორე დღესვე ლადოს ფული გამოვუგზავნე და ვატყობინებდი დეპეშით, დაუყოვნებლივ ჩამოსულიყო! სიღნაღის მოწინავე ახალგაზრდობა ძალიან მოემზადა ლადოს შეხვედრისათვის. მოსწავლეები შეიკრიბნენ მოედანზე, გამწკრივდნენ მასწავლებლების ხელმძღვანელობით ლადოს შესახვედრად... საღამო ჟამს, როდესაც ჩვეულებრივად მელაანიდან ეტლები მოდიოდნენ და თბილისიდან მომავალი მგზავრები მოჰყავდათ სიღნაღში, მოედანზე აუარებელმა საზოგადოებამ მოიყარა თავი. მოწაფეები, თაიგულებით ხელში, მოუთმენლად მოელოდნენ ლადო მესხიშვილის შეხვედრას. გამოჩნდა რამდენიმე ეტლი, ხალხით სავსე, ლადო კი არსადა ჩანს!.. ბოლოს, როგორც იყო, ნუკრიანის აღმართიდან დაეშვა ეტლი, რომელშიც მეზურნეები ისხდნენ, რაღაც სამგზავრო ჰანგს უკრავდნენ და მთელ არემარეს აყრუებდნენ. ხალხმა იფიქრა, ეს რა ამბავია, რა მაყრიონი მოდისო! როგორც იყო, ეტლი მოედანს მოუახლოვდა, და შეკრებილი საზოგადოების წინ გაჩერდა. დავინახეთ, ეტლში ლადო იყო, გარშემო კი მეზურნეები უსხდნენ. თურმე, რომელ ვაგონშიაც ლადო იჯდა, მეზურნეებიც იმავე ვაგონში მსხდარიყვნენ, ლადო ეცნოთ და პატივის ნიშნად დაკვრა დაეწყოთ. როდესაც მატარებელი მელაანის სადგურზე მისულიყო, მილიციას ერთ-ერთი მეზურ-

ნე დაეპატიმრებინა. მეზურნეებს ლადოსთვის ეთქვათ, ჩვენი ამხანაგი დააპატიმრეს, უიმისოდ სიღნაღში ვერ წავალთო. ლადოს მილიციის უფროსისათვის ეთხოვნა, თუ ჩემი პატივისცემა გაქვთ, გაათავისუფლეთო. სადგურის მილიციის უფროს განკარგულება გაეცა, მეზურნე დაუყოვნებლივ გაათავისუფლეთო. ეს მეზურნეები ლადოს აღარ მოშორებოდნენ, ეტლში ჩაესვათ და ზურნის დაკვრით მოაცილეს სიღნაღამდე.

ლადო მოსვლისთანავე წავიყვანეთ ვანო ზურიაშვილის სასტუმროში და დავაბინავეთ ნომერში, რომელიც ლადოსათვის ადრევე გვქონდა გამზადებული. ვანო ზურიაშვილს ზემო სართულში სასტუმრო ნომრები ჰქონდა, ქვევით მშვენიერი რესტორანი, რომელიც იმ დროს სიღნაღში ერთადერთი იყო. იმავე საღამოს შეიკრიბა ადგილობრივი ინტელიგენციის პატარა ჯგუფი და ლადოსთან ერთად მშვენიერი საუბარი გაიმართა. ამ საუბრის დროს, ლადომ გვიამბო 1920 წელს მოსკოვიდან თბილისამდე თავისი მოგზაურობის ამბავი. ლადო მოსკოვიდან ოდესაში წამოსულიყო.

იმ დროს საქართველოში წამოსვლა ოდესიდან დიდად საძნელო იყო. გემები არ დადიოდნენ და არავითარი საშუალება არ იყო, რომ სამშობლოში დაბრუნებულიყო. ლადოს კი, დიდი სურვილი ჰქონდა, რომ კვლავ ღირსებოდა სამშობლოს ნახვა. ბოლოს, როგორც იყო, რაღაც კარჭაპი გამოჩენილიყო, რომელიც ფოთში აპირებდა წამოსვლას. ლადომ სთხოვა თურმე საგანგებო კომისიის თავმჯდომარეს, ამ დამტვრეული კარჭაპით. როგორმე გამოესტუმრებინა საქართველოში თავისი ოჯახით. თავმჯდომარემ უბრძანა ამ კარჭაპის უფროსს, რათა ლადო თავისი ცოლშვილით ფოთში წაეყვანა ოდესიდან. ლადო რომ ამას გვიამბობდა, ჩვენ ყველას ზღაპარი გვეგონა. თურმე ზღვის ტალღები ამ დამტვრეულ კარჭაპს ხან მარცხნივ ისვრიდა და ხან მარჯვნივ! რის ვაი-ვაგლახით და წვალებით, როგორც იყო, მიაღწია ლადომ ფოთის ნავსადგურს. დაბინავდა სასტუმროში, გამოვიდა ქუჩაში, რომ ვინმე ნაცნობი ენახა და საქართველოს ამბები ეკითხნა. სწორედ ამ ხანებში ფოთში ცხოვრობდა სცენას ჩამოშორებული, ჩვენი მსახიობი კირილე მაჭარაძე. რომ დაინახა ლადომ კირილე მაჭარაძე, თურმე ისე გაუხარდა, რომ შუა ქუჩაში გადაეხვია. აბა, კირილე რაღას

ჰოშორდებოდა ლადოს და მთელი კვირა ლადო თავისი ცოლ-შვილით კირილეს სტუმარი იყო.

ლადოს ჩამოსვლით სიღნაღის საზოგადოება ძალიან აღტაცებული იყო და დიდის მოუთმენლობით მოელოდა მის ნახვას სიღნაღის კლუბის პატარა სცენაზე. ლადოს ჩამოსვლამდე მე როლები გავანაწილე და შევუდექით პიესის მზადებას, ისე, რომ ლადოს ჩამოსვლისთვის უკვე პიესა მზადა გვქონდა. ვითამაშეთ მანსფელდის „შეშლილია“, თარგმანი ვასო აბაშიძისა, რომელშიც ლადო ასრულებდა თავის საყვარელ როლს გარლეიგს.

სიღნაღის საზაფხულო კლუბს აუარებელი ხალხი მოაწყდა. დამსწრე საზოგადოება გულის ფანცქალით მოელოდა ლადოს გამოსვლას სცენაზე! აგერ გამოჩნდა ლადო თავისი თეთრი თმით, თეატრში მყოფნი ფეხზე წამოდგნენ და ისე მიეგებნენ ვაშას ძახილით და ტაშის კვრით საყვარელ არტისტს. ამ წარმოდგენამ და ლადოს თამაშმა სიღნაღის საზოგადოებაზე მართლა რომ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა!.. მთელი შემოსავალი ლადოს გადავეცით. იმავე ღამეს საზაფხულო თეატრის დარბაზში გაიმართა ბანკეტი ექიმ ნიკო ჯანდიერის თაოსნობით, რომელიც ლადოს დიდი მეგობარი იყო ახალგაზრდობაში. ბანკეტს სიღნაღის მთელი მოწინავე ინტელიგენცია დაესწრო. ბევრი საგულისხმიერო სიტყვა წარმოითქვა ლადოს პატივსაცემად და ლადო დიდად კმაყოფილი და აღტაცებული იყო სიღნაღელების შეხვედრით. თუ არ ვცდები, ლადო პირველად იყო სიღნაღში. იგი აღარ აპირებდა მეორე წარმოდგენამდე დარჩენას, მაგრამ სიღნაღის საზოგადოების თხოვნას უარი ვეღარ უთხრა და მეორე წარმოდგენაც გავმართეთ ლადოს მონაწილეობით. დავდგით ორმოქმედებიანი დრამა „დონ-პიეტრო“. ამ პიესის შემდეგ გრიმით და კოსტიუმში ლადომ წაიკითხა გოგოლის „შეშლილის წერილები“. ლადო მას ყოველთვის რუსულად კითხულობდა, და კითხულობდა მართლა შესანიშნავად. ამ წარმოდგენასაც აუარებელი ხალხი დაესწრო. შემოსავალი ისევ ლადოს გადავეცით, მაგრამ არაფრის გულისათვის არ დათანხმდა მიღებას, სანამ შემოსავლის ნახევარი მე არ გადმომცა. აბა, რაღას ვიზამდით.

მეორე წარმოდგენის მზადებაში რომ ვიყავით, ლადომ თელავიდან დათიკო აწყურელის დეპეშა მიიღო, რომელშიაც წერდა: გავიგე, სიღნაღში ხარ ნიკო გვარაძესთან გასტროლებზე, არას გზით

თბილისში არ წახვიდე, თელავში უსათუოდ ჩამოდი და ნიკოც თან წამოიყვანეო. მე თეატრს ვერ დავტოვებდი, თუმცა ძალიან მინდოდა ლადოსთან ერთად წასვლა თელავში. დათიკო აწყურელის ნახვაც გულით მინდოდა, რადგან დიდი ხანი არ მენახა. დ. აწყურელის დეპეშაც რომ არ მოსულიყო, ლადო მაინც აპირებდა თელავში წასვლას. ჯერ კიდევ თბილისში ამბობდა, თელავში უნდა წავიდე და ჩემი მშობლების საფლავი მოვინახულო, რადგან ვგრძნობ მალე მოვკვდებიო. მეორე წარმოდგენის შემდეგ ლადო თელავს წავიდა და იქაც დ. აწყურელის და თელავის სცენისმოყვარეთა დახმარებით ორი წარმოდგენა გამართა [1].

სიღნაღში მოწყობილ წარმოდგენებში მონაწილეობას იღებდნენ სიღნაღის სცენისმოყვარენი: მართა ტყავაძისა, ლიზა შველიძისა, გიორგი ხატისკაცი, ილო მოსაშვილი, ჩვენი ცნობილი პოეტი, სიკო შავლიაშვილი და ანა ვაჩნაძე-ბოსულიშვილისა.

სიღნაღში საზაფხულო სეზონი დავამთავრე და თბილისში ჩამოვედი. სწორედ ამ დროს თელავიდან ლადოც დაბრუნდა. მე სურვილი მქონდა თბილისის დასში დავრჩენილიყავი სამუშაოდ 1920-21 წლის ზამთრის სეზონისათვის, ახლანდელ რუსთაველის სახელობის თეატრში, სადაც რეჟისორად ლადო მესხიშვილი იყო მიწვეული. სანამ ლადო საქართველოში ჩამოვიდოდა, დასი უკვე შეკრებილი იყო და ზაფხულის პერიოდში სურამში ამზადებდა რეპერტუარს. რეჟისორებად ამ სეზონში იყვნენ: მიხეილ ქორელი, აკაკი ფალავა და კონ. ანდრონიკაშვილი.

ლადო მესხიშვილს სექტემბრიდან უნდა დაეწყო მუშაობა და ამიტომ თავისუფალი დრო ქონდა, სანამ დასი თბილისში დაბრუნდებოდა. რადგან სეზონის დაწყებამდის კიდევ დრო რჩებოდა, ლადომ წინადადება მომცა პატარა მოგზაურობა მოვაწყოთო, აირჩია ორმოქმედებიანი დრამა „დონ-პიეტრო“, სადაც მხოლოდ ორი კაცის როლია და ერთი ახალგაზრდა ქალისა. მოხუცის როლს დონ-პიეტროს თვით ლადო თამაშობდა, ახალგაზრდა ყმაწვილს მეეს როლი სიღნაღში მქონდა ნათამაშევი. გვჭირდებოდა მხოლოდ ერთი ახალგაზრდა ქალის როლის შემსრულებელი. ამ როლისათ-

---

[1] ლადომ თელავში ყოფნის დროს პანაშვიდი გადაახდევინა თავისი მშობლების საფლავზე შუა მთის მონასტერში.

ვის მოვიწვიეთ თინა ჩარკვიანი, რომელიც ჩემთან მუშაობდა ფოთში მთელი სეზონის განმავლობაში, შვილი ჩვენი ცნობილი მსახიობის დათიკო ჩარკვიანისა. დავიწყეთ მოგზაურობა, ვიყავით გორში, ახალ-სენაკში (ახლანდელ ცხაკაიაში), ზუგდიდში. მახსოვს: ზუგდიდში ვართ. საღამოს რვა საათია. ვუცდით, საზოგადოება შეიკრიბება და წარმოდგენას დავიწყებთ. კაცი არ გვეკარება. ლადო ძალიან ღელავს, არ იცის რა ქნას, წარმოდგენა მოხსნას, თუ კიდევ დაუცადოს საზოგადოების შეკრებას. ამ ყოყმანში რომ ვართ, კულისებში შემოვიდა ჩვენი მწერალი ლეო ქიაჩელი, რომელიც მაშინ ზუგდიდში ცხოვრობდა. დიდი ბოდიში მოიხადა ლადოსთან და უთხრა, წარმოდგენის გადადებაზე ფიქრიც კი არ შეიძლება, რადგან აქ საზოგადოება წარმოდგენის გვიან დაწყებას არის მიჩვეული, და მაყურებელთა მოუსვლელობა ამის ბრალიაო. მართლაც გავიდა ხანი და შეიკრიბა იმდენი საზოგადოება, რომ ზუგდიდის კლუბის დარბაზი მთლად გაიჭედა. აქაც ვითამაშეთ „დონ-პიეტრო". ლადომ აგრეთვე წაიკითხა „შეშლილის წერილები" გოგოლისა. დიდის აღფრთოვანებით და სიყვარულით შეხვდა ლადოს ზუგდიდის საზოგადოება. ზუგდიდიდან წავედით ფოთში, სადაც ადგილობრივი კინოთეატრის „კომეტას" დარბაზში დავდგით წარმოდგენა. ჩვენ ადრევე გავუგზავნეთ აფიშები კირილე მაჭარაძეს და ფოთში რომ ჩავედით, ყველაფერი, რაც კი საჭირო იყო წარმოდგენისათვის მზად დაგვიხვდა. აქაც აუარებელი საზოგადოება დაგვესწრო. დიდი დახმარება გაგვიწია კირილე მაჭარაძემ.

მოგზაურობის დროს ლადოს ვთხოვე ქუთაისში გავიაროთ მეთქი. მაგრამ ლადომ უარი მითხრა—ამ რეპერტუარით ქუთაისში ვერ წავალო. ქუთაისში შემდეგ ჩავალ გასტროლზეო. ასე რომ, საქართველოში ლადო მესხიშვილის უკანასკნელი გამოსვლა ფოთში იყო. მერე სცენაზე ოღარ გამოსულა.

ფოთის თეატრალური საზოგადოების გამგეობამ რომ კვლავ ფოთში მნახა, მთხოვა მეორე სეზონშიაც მათთან დავრჩენილიყავი სამუშაოდ, როგორც რეჟისორი და ადგილობრივი დასის ხელმძღვანელობა მეკისრნა. მე არ მინდოდა მეორე სეზონში ფოთში დარჩენა, მაგრამ ლადოს სთხოვეს არ დავეტოვებინე თბილისის დასში სამუშაოდ და კვლავ ფოთში გავეგზავნე დასის ხელმძღვანელად. მეც

ლადოს უარს როგორ ვეტყოდი, და კვლავ თბილისიდან ფოთში წავედი სამუშაოდ.

ლადო თბილისში დარჩა როგორც მორიგე რეჟისორი და დაიწყო პიესა „მარიამ მაგდალინელის“ მომზადება, რომელიც თვით ეთარგმნა, რუსეთშიეე. ეს პიესა ეკუთვნის ავსტრიელ მწერალს. თავის თანაშემწედ ლადომ აიყვანა შაქრო ბერიშვილი. ლადო მესხიშვილი დიდი სიყვარულით შეუდგა პიესის მომზადებას, მაგრამ აღარ დასცალდა დადგმა. იგი დადგა ლადოს თანარეჟისორმა შაქრო ბერიშვილმა. პიესა დაიდგა 1921 წლის იანვარში. პიესას წარმატება ხვდა. მთავარ როლებს თამაშობდნენ: აკაკი ვასაძე და ნინო დავითაშვილი.

1920 წლის 25 ნოემბერს თბილისის გაზეთებმა გამოაქვეყნეს ცნობა: „ლადო აღარა გვყავს, ნოემბრის 23-ს მან სამუდამოდ დახუჭა თვალები! ძვირფას მსახიობს დიდხანს არ უავადმყოფნია“. ~~ერ~~ამდენიმე დღის წინათ ლადოს არა ეტყობოდა რა ავადმყოფობისა. ნოემბრის 18-ს იგი თეატრში იყო ქართულ წარმოდგენაზე. მეორე დღეს მსახიობი თავს ცუდად გრძნობდა; იმავე დღეს მოიწვიეს ექიმი, რომელმაც შესაფერი ზომები მიიღო. ავადმყოფი კუჭის ტკივილს უჩიოდა. 21-ს მოიწვიეს ექიმი ი. გომართელი, რომელმაც ავადმყოფის მდგომარეობა საშიშად არ ცნო. მსახიობ იუზა ზარდალიშვილის გადმოცემით, ნოემბრის 23-ს დილით ავადმყოფი თავს კარგად გრძნობდა. ღამის 12 საათზე ჩვეულებრივ კარგად დაეძინა, ხოლო ნაშუაღამევის 2 საათზე უცებ გამოიღვიძა და დაიძახა, ცუდად ვარო! იმ წამსვე ტელეფონით გამოიძახეს ლადოს შვილი შალვა, რომელიც დაუყოვნებლივ მოვიდა. მალე ავადმყოფს ისევ ჩაეძინა და აღარც გამოღვიძებია. ლადო მესხიშვილი გარდაიცვალა 1920 წლის 23 ნოემბერს, ნაშუაღამევის 3 $^1/_2$ საათზე. ექიმების დასკვნით, მსახიობი გარდაიცვალა გულის სიდამბლით. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

თავი მესამე

ელისაბედ ჩერქეზიშვილის იუბილე თბილისში. სუხუმში გამგზავრება. ელისაბედ ჩერქეზიშვილის იუბილე სუხუმში. „ხანუმა“ და „დედისერთა“. პიესა „გამცემის“ დადგმა. ელისაბედის პატივსაცემად გამართული ბანკეტი. ზინა ალშიბაია. იუბილეს გამართვა ზუგდიდში. თებერვლის რევოლუცია. ელისაბედ ჩერქეზიშვილი და სახალხო წარმოდგენები. ნატო გაბუნია-ცაგარლისა. ელისაბედ ჩერქეზიშვილის როლები.

1916-17 წლის სეზონში, თუმცა არა ბრწყინვალედ, მაგრამ მაინც აღნიშნულ იქნა ქართული თეატრის დიდი მოამაგის და ნიჭიერი მსახიობის ელისაბედ ჩერქეზიშვილის საიუბილეო დღესასწაული. თბილისს გამოეხმაურა სხვა ქალაქებიც.

ერთ დღეს ქართული კლუბის დარბაზში, სადაც ჩვენ თეატრის უქონლობის გამო რეგულარულად ვმართავდით წარმოდგენებს, ელისაბედი მოვიდა ჩვენთან და მეუბნება, სუხუმში უნდა წამომყვე და ჩემ საიუბილეო წარმოდგენაში მონაწილეობა მიიღო! უნდა დავდგათ პიესა „ხანუმა“, რომელშიც შენ აკოფას როლი უნდა ითამაშო. აბა, ელისაბედს უარს როგორ ვეტყოდი, მით უმეტეს რომ აკოფას როლი სიღნაღში მქონდა ნათამაშევი. მე შევეკითხე, რატომ ვასო აბაშიძე არ მიგყავს მეთქი!—ვასომ უარი მითხრა სუხუმში წამოსვლაზეო. მართლაც, ვასო აბაშიძე ზამთარში როგორ შეძლებდა სუხუმში წასვლას! მით უმეტეს, რომ იმ დროს, თებერვალში მსოფლიო ომი მძვინვარებდა და შავ ზღვაში გემები არ დადიოდნენ. ჩავსხედით პატივცემული ელისაბედი და მე მატარებელში დილაადრიან და ჩავედით ახალსენაკში, მივიკითხ-მოვიკითხეთ და გვითხრეს, რომ სუხუმში მხოლოდ დილიჟანსით შეიძლება წას-

ვლაო. მთელი დღე ვიარეთ დილიჟანსით. გზაში დაგვიღამდა და მედილიჟანსემ უარი განაცხადა ღამით მოგზაურობაზე. მეტი გზა არ იყო, ხის დუქანში უნდა გაგვეთია ღამე. მედუქნემ შეგვიყვანა პატარა ცივ ოთახში და გვითხრა: აი, ბატონებო, ამ პატარა ოთახში მოთავსდით, მეტი ბინა არა მაქვსო. რაღას ვიზამდით — ვისხედით ელისაბედი და მე გათენებამდის ამ პატარა ოთახში, სიცივეში! როგორც იყო გათენდა, ისევ ჩავსხედით დილიჟანსში და საღამოს როგორც იყო სუხუმს მივაღწიეთ... ელისაბედს სუხუმში ნათესავი ჰყავდა, ლადო ტატიშვილი — ინჟინერი, რომელსაც შავი ზღვის რკინიგზა გაჰყავდა. აი, სწორედ ამ ტატიშვილთან ჩამოვხტით და მანაც დიდი პატივი გვცა. ლიზას იუბილეს მოწყობის საქმეც სწორედ ტატიშვილის წამოწყებული იყო. ჩავედით თუ არა სუხუმში, ლიზამ მომმართა: აბა, შვილო ნიკო, პიესების დადგმა და მომზადება შენ უნდა იკისრო. შეიკრიბა ადგილობრივ მოწინავე ინტელიგენტთა პატარა ჯგუფი, რომელმაც აირჩია საიუბილეო კომისია მაშა ანჩაბაძის (შალვა დადიანის დის) თავმჯდომარეობით. მოიწვიეს ადგილობრივი სცენისმოყვარენი. როლები გავანაწილეთ და დავიწყეთ ორი პიესის მომზადება „ხანუმასი“ და ვალ. გუნიას „დედისერთასი“, რომელშიაც ლიზა, ნატოს შემდეგ, მშვენივრად თამაშობდა ქვრივი კნეინას როლს. ოთხ-ხუთ დღეში პიესები მოვამზადეთ და 26 თებერვალს ალოიზის დიდ თეატრში მოეწყო ლიზას იუბილე. ეს უზარმაზარი თეატრი ისე იყო ხალხით გაჭედილი, რომ იტყვიან, ნემსი არ ჩავარდებოდა! ლიზას იუბილეს სუხუმის მთელი ქართველობა დაესწრო, არამცთუ სუხუმისა, ჩამოსულებიც იყვნენ ოჩამჩირიდან და გუდაუთიდან. ლიზას მიულოცეს: სუხუმის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობამ, ქართველ ქალთა წრემ, ადგილობრივმა ქართველებმა ნოკრებმა; იუბილარმა მიიღო აგრეთვე ძვირფასი საჩუქრები. იმავე ღამეს, წარმოდგენის შემდეგ, თეატრის დიდ ფოიეში მოეწყო ბანკეტი, რომელსაც მრავალი მოწინავე ინტელიგენტი დაესწრო. ბანკეტმა დილამდის გასტანა. ბანკეტზე მღეროდა გუნდი ძუკუ ლოლუას ხელმძღვანელობით. ბევრი საგულისხმიერო სიტყვა წარმოითქვა აბ ბანკეტზე ლიზას, როგორც ნიჭიერი მსახიობისა და ქართული თეატრის დიდი მოამაგის მიმართ და საქართველოსა და მისი კულტურული ცხოვრების შესახებ. იმ დროს საზოგადოთ მსახიობთა იუბილეებს

და ასეთ ბანკეტებს გარკვეული აღმზრდელობითი მნიშვნელობა ჰქონდა. ადგილობრივ საზოგადოებას ისე მოეწონა ჩვენი წარმოდგენა, რომ გვთხოვეს არ წამოვსულიყავით და მეორე წარმოდგენაც დაგვედგა.

მართლაც, ლიზას იუბილეს შემდეგ კიდევ დავრჩით სამ დღეს და ვითამაშეთ მეორე წარმოდგენისათვის იოსებ გედევანიშვილის სამმოქმედებიანი დრამა „გამცემი“, რომელშიც ლიზას დედის მშვენიერი როლი ჰქონდა ნათამაშევი, ხოლო მე, შაქრო ჩვილიშვილისა, რომელიც პიესაში მთავარი გმირია. რაკი ლიზასა და მე როლები ნათამაშევი გვქონდა, პიესის მომზადება არ გაგვიძნელდა. ამ დრამასთან ერთად დავდგით უკვე ნათამაშევი ვოდევილი „დედისერთა“. ამ წარმოდგენაზე ხალხისათვის უფრო ხელმისაწვდომი ფასები დავნიშნეთ. აუარებელი ხალხი დაგვესწრო და დიდად კმაყოფილი და ნასიამოვნები დაიშალა. ამ მეორე წარმოდგენის შემოსავალი თეატრის ხარჯების გამოკლებით, ლიზას დასტურით და ნიშნად ლიზას პიტივისცემისა ჩემდამი, გამგეობამ მე გადმომცა.

დიდი პატივისცემით და ზეიმით გამოგვისტუმრა სუხუმის ქართველობამ. გზად ზუგდიდში უნდა გამოგვევლო, სადაც ლიზას გულითადი მეგობარი ჰყავდა, ზინა ალშიბაია, დადიანის მოურავის მეუღლე. ზინა ალშიბაია განათლებული ქალი იყო და მისი ოჯახი ერთ-ერთ მოწინავე ოჯახად ითვლებოდა ზუგდიდში. თუ არ ვცდები ლიზას პარიზში გაეცნო ზინა ალშიბაია, სადაც ზინა სასწავლებლად იყო წასული. როგორც კი ალშიბაიამ ლიზა დაინახა, და ისიც გაიგო, რომ სუხუმში მისთვის იუბილე გადაეხადათ, აღარ გაგვიშვა და გადაწყვიტა ლიზას იუბილე ზუგდიდშიაც მოეწყოთ. მართლაც, ზინა ალშიბაიამ აღარ დააყოვნა და ჩვენი ჩასვლის მეორე დღესვე, თავისავე ბინაზე მოიწვია ზუგდიდის მოწინავე ინტელიგენტთა ჯგუფი, გაუზიარა მათ თავისი სურვილი, რათა სუხუმელთა მაგალითისამებრ ზუგდიდში, ადგილობრივ კლუბში მოეწყოთ ელისაბედის 30 წლის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავი საღამო. რაღა თქმა უნდა, ზინა ალშიბაიას წინადადებას ზუგდიდის მოწინავე ინტელიგენცია დიდი სიხარულით შეხვდა, აქაც, როგორც სუხუმში, გადაწყდა დაგვედგა „ხანუმა“ და „დედისერთა“. იმ დროს, ზუგდიდში კლუბის გამგედ იყო და სცენისმოყვარეებს მეთაურობდა პეტრე მეუნარგია, რომელიც ამავე დროს მასწავლებლობდა. აი სწორედ

პეტრე მეუნარგია დაშეხმარა, რომ სცენისმოყვარენი შემეკრიბა და პიესა მომეშზადებინა.

ზუგდიდში ხუთი-ექვსი დღე დავრჩით. ადგილობრივი კლუბის პატარა დარბაზში მოეწყო ლიზას იუბილე. აუარებელი ხალხი დაგვესწრო. აქაც, როგორც სუხუმში, ამ საქმეში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ქალებმა. ზინა ალშიბაის მეთაურობით ლიზას პატივსაცემად აქაც მოეწყო პატარა ვახშამი, რომელზედაც აღნიშნული იყო ლიზას დიდი დამსახურება ქართული თეატრის წინაშე. სწორედ ამ ვახშამის მზადებაში რომ იყვნენ ქალები, ზინამ უცბად შემოიღო კარი, მას ხელში ეჭირა მოსკოვის გაზეთი მგონი „რუსკოე სლოვო“, აფრიალებდა გაზეთს და თან გახარებული და აღტაცებული გაიძახოდა „ხალხო, რევოლუცია, ნიკოლოზის მთავრობა დაემხო და პეტერბურგში დროებითი მთავრობა შეიქმნა“. ჩვენ ყველანი ჯერ სახტად დავრჩით და როცა გაზეთის ფურცლებმა დაამტკიცა, რომ ეს მართლაც ასე იყო, ჩვენს აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა. ასე რომ, პატივცემულ იუბილარს და მე თებერვლის რევოლუციამ ზუგდიდში მოგვისწრო!

ელისაბედი ზუგდიდიდანაც ისეთივე დიდი პატივისცემით და სიყვარულით გამოისტუმრეს, როგორც სუხუმიდან. ორივე დიდად კმაყოფილნი ვიყავით ამ მოგზაურობით. ლიზა, საზოგადოდ, ძალიან ხალისიანი და დაუზარელი ადამიანი იყო. რომელი ქალაქი ან დაბა უნდა გეთქვათ, რომ წარმოდგენაში მონაწილეობის მისაღებად არ გამოგყოლოდათ. უწინ, სახალხო სახლში და „ავქალის აუდიტორიაში“ წარმოდგენა ისე არ გაიმართებოდა, რომ ელისაბედს მონაწილეობა არ მიეღო. ჯერ ნატო გაბუნიას სიცოცხლეში, ის ხშირად იღებდა მონაწილეობას სახალხო იაფფასიან წარმოდგენებში. ნატოს გარდაცვალების შემდეგ, სახალხო სახლის უფრო ხშირი სტუმარი იყო ლიზა, ის თამაშობდა სახალხო სახლის სცენისმოყვარეებთან პიესებში: „ხანუმა“, „რაც გინახავს, ველარ ნახავ“, „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“, „ორი ობოლი“, „გლახა ჭრიაშვილი“. აი, პიესები, რომლებიც უელისაბედოდ არც სახალხო სახლში იდგმებოდა და არც ჩვენს ქართულ თეატრში. ჯერ კიდევ ბავშვობისას, 1898-99 წლებში, როცა პირველად გავეცანი ქართულ თეატრს, მახსოვს რეპეტიციებზე ესწრებოდა ორი დარბაისელი ქართველი მანდილოსანი, ორივენი ქართული კაბე-

ბით მორთული და ქართულად თავდახურული. პირველი მსუქანი, შავგვრემანი, ეშხიანი და მეორე, უფრო მომცრო და გამხდარი; ისინი იყვნენ უკვე სახელმოხვეჭილი და ქართველი საზოგადოებისაგან პატივცემული მსახიობი ქალები ნატო გაბუნია-ცაგარლისა და ელისაბედ ჩერქეზიშვილი. არც ერთ ძველ ქართველ თეატრალს არ შეუძლია რაიმე დაწეროს ელისაბედ ჩერქეზიშვილზე, რომ ნატო გაბუნია-ცაგარლის ქალი არ გაიხსენოს. ეს ორი ნიჭიერი მსახიობი ქალი მჭიდროდ იყო დაკავშირებული ერთიმეორესთან, როგორც ერთი ამპლუის და ერთი ჟანრის მსახიობები. რა თქმა უნდა, ნატო გაბუნია-ცაგარლისა ელისაბედ ჩერქეზიშვილზე უფრო ხნიერიც იყო და უფრო დიდი ხნის ნამსახურიც ქართულ სცენაზე. ისეთი თვალსაჩინო როლები, როგორიცაა ფროშარი („ორი ობოლი"), ზეფირინა („ორი ჯიბგირი"), ხანუმა („ხანუმა"), ბარბარე („მე მინდა კნეინა გავხდე") პირველად ნატო გაბუნია-ცაგარლის ქალმა შექმნა ქართულ სცენაზე და სწორედ ამ როლების განსახიერებამ მოუპოვა ნატო გაბუნია-ცაგარლისას მაღალნიჭიერი არტისტი ქალის სახელი. სწორედ ეს როლები იყო, რითაც აღტაცებაში მოჰყავდა ნატო გაბუნია-ცაგარლის ქალს ქართველი საზოგადოება. იმ დროს, როცა ნატო გაბუნია-ცაგარლისა დიდი წარმატებით მოღვაწეობდა ქართულ სცენაზე, მისი ღირსეული შემცვლელი, ყველა მისი საყვარელი როლის შემსრულებელი ელისაბედ ჩერქეზიშვილი იყო. ნატო გაბუნია-ცაგარლისა უფრო ინტუიციის მსახიობი იყო, ელისაბედ ჩერქეზიშვილს კი პირიქით, უფრო უყვარდა როლის დამუშავება; მართალია, უფრო ხშირად ეს ორი ნიჭიერი ქალი ერთსა და იმავე როლებს თამაშობდნენ, მაგრამ ელისაბედ ჩერქეზიშვილს მაინც ჰქონდა თავისი განსაკუთრებული როლები, რომლებსაც ნატო გაბუნია-ცაგარლისა ვერ ითამაშებდა და არც თამაშობდა.

ელისაბედ ჩერქეზიშვილი განსაკუთრებით დიდი ხელოვნებით ასრულებდა მოხუცი დედაკაცების როლს, როგორიც არის, მაგალითად, დედა სარა („ხანუმა"). რა მშვენიერ ტიპს ქმნიდა ელისაბედი ამ როლით! აგრეთვე მშვენიერი იყო ლიზა გალჩიხაში („უდანაშაულოდ დამნაშავენი"). მე ხშირად მინახავს ლიზა ამ როლში და ყოველთვის დიდ აღტაცებას იწვევდა საზოგადოებაში. სცენას კრუჩინინასთან საუცხოოდ წარმოსახავდა და საზოგადოების დიდ

სიბრალულს იწვევდა ხოლმე. განა ვისმეს შეეძლო ძველ ქართულ თეატრში ისე ეთამაშნა აზნაურის ქვრივი ილია ჭავჭავაძის „გლახა ჭრიაშვილში“, როგორც ლიზას! როცა ელისაბედი აზნაურის ქვრივს თამაშობდა და გიორგი იშხნელი გლახა ჭრიაშვილს, ეს სპექტაკლი კი არა, ნამდვილი კონცერტი იყო! ანდა რა მშვენიერი იყო ელისაბედი ტრიფონ რამიშვილის პიესაში „სტუმარ მასპინძლობა“, სადაც მამიდას თამაშობდა. რა სიცილ-ხარხარი იყო ხოლმე თეატრის დარბაზში! მისი საყვარელი როლები იყო: ხანუმა („ხანუმა“), ფროშარი („ორი ობოლი“), ზეფირინა („ორი ჯიბგირი“), ანასტასია („ვაის გავეყარე, ვუის შევეყარე“), ბაბალე („რაც არ მერგება, არ შემერგება“), ევდოკია ანტონოვნა („დღენი ჩვენი ცხოვრებისა“), ანჩხლაძე („ადვოკატთან“). მართლაც, ანჩხლი, კაპასი და მოხუცი ქალების როლების განსახიერებაში ელ. ჩერქეზიშვილს ბადალი არ ჰყავდა.

ელისაბედ ჩერქეზიშვილი დაიბადა 1863 წელს სოფელ კოშკში. პირველად სცენაზე გამოვიდა სოფელ მერეთში 1881 წელს, მეორე წელს კი ის გამოგზავნეს თბილისში და გამოცდის შემდეგ პირდაპირ მიიღეს შუდმივ დასში. ამის შემდეგ ელისაბედ ჩერქეზიშვილი თითქმის სამოცი წელიწადი განუწყვეტლივ ემსახურებოდა ქართულ სცენას. გარდა სასცენო მოღვაწეობისა, ელისაბედ ჩერქეზიშვილი მოღვაწეობდა აგრეთვე ლიტერატურულ ასპარეზზედაც: მისი ნაწერებიდან აღსანიშნავია: „სამოცი წლის არშიყი“, „აღდგომის ღამეს“, „მსხვერპლი უპედურებისა“, „სცენა სოფლად“, „საბრალო ნენე“, „ორი მსხვერპლი“. „ივერია“ 1869 წლის 5 იანვარს წერდა: „ქ-ნი ჩერქეზიშვილისა, მართლა რომ ნიჭიერი არტისტი ქალია! საკვირველი აღღო აქვს ამ არტისტ ქალს როლის შეგნებისა და ტიპის გაპიროვნებისა. რა არის ბებიას როლი „დავაში“?! ჩვეულებრივ მოხუცებული, რომელსაც ლექსით საუბარი ყმაწვილ ქალსა და ჯაჭს შუა მომაკვდინებელ ცოდოთ მიაჩნია! ამისთანა როლებს იგი ხშირად თამაშობს, მაგრამ დალოცვილი იმისთანა ხელოვანია, რომ ყველა ამნაირ მოხუცებულს სულ სხვადასხვა ფერს სდებს და მათ დახატვაში განსხვავება შეაქვს“.

ელისაბედი კინომრეწველობის ხშირი სტუმარიც იყო, ქართულ კინოსურათებში ხშირად იღებდა მონაწილეობას. უფრო მეტად

კინოსურათებში მონაწილეობის მისაღებად ალიოშა წუწუნავა იწვევდა ხოლმე. ელისაბედმა ნონაწილეობა მიიღო შემდეგ სურათებში: „ჯანყი გურიაში“, რომელშიც მშვენივრად თამაშობდა კნეინას და მაყურებლებსაც ძალიან მოსწონდათ. აგრეთვე მონაწილეობას იღებდა კინოსურათებში „უმური“ და „ხანუმა“. ელისაბედი სცენას არ მოშორებია მოხუცებულობამდე, დიდი ხალისით და სიყვარულით განაგრძობდა მუშაობას. 80 წლის რომ შესრულდა, მთავრობის უმაღლესი ჯილდოთი, ლენინის ორდენით იქნა დაჯილდოებული.

თავი მეოთხე

1923-24 წლის სეზონი რუსთაველის სახელობის თეატრში. თეატრის პირველი მოგზაურობა კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით. პიესები: „ცხვრის წყარო“, „ინტერესთა თამაში“, „გააზნაურებული მდაბიო“, „გმირი“, „კაცი-მასა“. წარმოდგენის გამართვა ბათუმში, ფოთში, ქუთაისსა და ჭიათურაში. მანგლისში გამგზავრება. „ლატავრას“ მოემზადება. კინოსურათი „ქარიშხლის წინ“. კოტე მარჯანიშვილი — კინორეჟისორი. „მათრახის პანაშვიდი“. ვერიკო ანჯაფარიძე თავის საყვარელ როლებში. „სინათლის“ დადგმა.

1923-24 წლის სეზონში რუსთაველის სახელობის თეატრის დასის მუშაობა კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით დიდი ინტენსიობით მიმდინარეობდა. პიესები საუკეთესოდ იდგმებოდა და პრესის გამოძახილიც გამამხნევებელი იყო. ამ სეზონში ბევრი საინტერესო სპექტაკლი დაიდგა და სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ თეატრის დირექციამ, მთავრობის ხელშეწყობით, გადაწყვიტა ეს საუკეთესოდ დადგმული და გათამაშებული სპექტაკლები საქართველოს დანარჩენი ქალაქების მოსახლეობისთვისაც ეჩვენებინა. გადაწყდა, რომ სეზონის დამთავრების შემდეგ მოეწყობოდა თეატრის მოგზაურობა. რაიონებში უნდა წაგვეღო ხუთი პიესა: „ცხვრის წყარო“ ლოპე დე ვეგასი, თარგმანი კოტე მაყაშვილისა, „ინტერესთა თამაში“ — ბენავენტესი, „გააზნაურებული მდაბიო“ — მოლიერისა, თარგმანი კონსტანტინე ანდრონიკაშვილისა, „გმირი“ — სინგისა და ტოლერის „კაცი-მასა“. ეს ღირსშესანიშნავი იყო იმით, რომ, ჯერ ერთი, კარგად ნათამაშევი

და დადგმული პიესები გვქოხდა და, მეორე, საქართველოში ეს პირველი მოგზაურობა იყო დასისა, რომელსაც თან მიჰქონდა წარმოდგენის მთელი მოწყობილობა: დეკორაციები, ტანსაცმელი, ბუტაფორია, რეკვიზიტი. ერთი სიტყვით, მოგზაურობაშიაც ჩვენი პიესები ისევე და იმ სახით იდგმებოდა, როგორც თბილისში, რუსთაველის სახელობის თეატრში. სადაც კი ჩავდიოდით, მხოლოდ ცარიელი სცენა და წინა ფარდა გვჭირდებოდა, ავეჯიც კი საკუთარი მიგვქონდა. ერთი სიტყვით, ადგილობრივი თეატრისას არაფერს არ ვხმარობდით. ამ ჩვენმა მოგზაურობამ ბათუმის, ქუთაისის, ფოთისა და ჭიათურის მაყურებლებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. დასმა მოგზაურობა დაიწყო 6 მაისს. პირველად ჩავიდა ბათუმში. მატარებელი ბათუმში გათენებისას ჩადიოდა. ჩვენთან ერთად ბათუმში კოტე მარჯანიშვილიც წამოვიდა. ბათუმს რომ მიეუახლოვდით, გავიხედეთ, სადგურში ალექსანდრე იმედაშვილი იდგა და ჩვენ ჩასვლას ელოდა. მატარებელი რომ გაჩერდა, ვინაიდან პირველი კოტე გადავიდა, იმედაშვილი მას შეხვდა და მხიარულად მიეგება. ალექსანდრემ სიცილით უთხრა კოტეს: ადამიანო, რა გინდა ჩემგან, აქაც არ მაყენებ!.. იმედაშვილი მაშინ ბათუმის დასს ხელმძღვანელობდა, და ჩვენი გასტროლების გამო ადგილობრივ სეზონი შეჩერებული იყო, წარმოდგენებს აღარ დგამდნენ.

დიდი სიყვარულით შეგვხვდნენ ჩვენი ამხანაგები, რომლებიც მაშინ ბათუმში მუშაობდნენ. ესენი იყვნენ: ალექსანდრე იმედაშვილი, გოგი ფრონისპირელი, შაქრო გომელაური, დუდე ძნელაძე. თეატრის კომისრად დანიშნული იყო ვასო ურუშაძე, რომელმაც დიდი შრომა გასწია ჩვენი იქ ყოფნის დროს და ჩვენს გასტროლებს დიდად შეუწყო ხელი. ვასოს მოადგილედ იყო კირილე მაჭარაძე. მათი მოკალეობა იყო ჩვენთვის დახმარება გაეწიათ, და აგრეც მოხდა. დიდი პატივი გვცეს ჩვენმა ამხანაგებმა! პირველ წარმოდგენად დავდგით „ცხვრის წყარო“. დადგმამ საზოგადოების დიდი აღტაცება გამოიწვია. მას შემდეგ აგერ 25 წელმა განელო და ახლაც კი მახსოვს, რა ამბავი იყო პიესის დასასრულს, ბათუმის შმაევსკის ყოფილ თეატრში. აქტიორთა გამოწვევას და ტაშის ცემას დასასრული აღარა ჰქონდა! მე პირადად, პიესის

„ინტერესთა თამაში"
პანტალონე—ნ. გვარაძე

დასასრულს ლექსს ვკითხულობდი. ლექსი დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა ხოლმე მაყურებლებზე! ისეთი ამბავი იყო თეატრში, რომ კედლები სულ ზანზარებდა! მართლაც, მშვენიერი სპექტაკლი იყო „ცხვრის წყარო“ კოტე მარჯანიშვილის დროს. ამ სპექტაკლში თავი ისახელეს ახალგაზრდა მსახიობებმა: თამარ ჭავჭავაძემ – ლაურენსია, აკაკი ვასაძემ – მენგო და გიორგი დავითაშვილმა—ფრონდოზო. დამსწრე საზოგადოება აღტაცებით ხვდებოდა ამ მსახიობებს. შემდეგ დავდგით „ინტერესთა თამაში“. ამ წარმოდგენაში მთავარი როლები ჰქონდათ ვერიკო ანჯაფარიძეს, გ. დავითაშვილსა და დიმიტრი მჟავიას; კარგადაც თამაშობდნენ. შემდეგ დაიდგა „გააზნაურებული მდაბიო“, რომელშიც მთავარ როლს, თვითონ გააზნაურებულ მდაბიოს ჟურდენს ნიკო გოცირიძე თამაშობდა. ნიკო ამ როლს ჩვეული ხელოვნებით ასრულებდა. დავდგით „გმირი“ და ბოლოს „კაცი მასა“, რომელშიც მთავარი როლი აკაკი ხორავას ჰქონდა და დიდი ტემპერამენტითაც თამაშობდა მას. აკაკი ხორავამ ამ როლით საზოგადოების დიდი მოწონება დაიმსახურა! ბათუმის შემდეგ წავედით ფოთში, სადაც კინოთეატრ „კომეტაში“ გავმართეთ წარმოდგენები. აქაც პირველ წარმოდგენად დავდგით „ცხვრის წყარო“. მე მგონია, ფოთის საზოგადოებისათვის ეს პირველი სერიოზულად და კარგად დადგმული წარმოდგენა იყო.

რაღა თქმა უნდა, ჩვენ მიერ გამართულ სპექტაკლებით ფოთის საზოგადოება დიდად მადლიერი დარჩა. თუმცა ფოთის პატარა სცენაზე ძლივს ვეტეოდით და გაჭირვებას განვიცდიდით, მაგრამ სპექტაკლები მაინც კარგად მიდიოდა. ფოთის შემდეგ წავედით ქუთაისში, სადაც საზოგადოება მოუთმენლად მიგველოდა. ეს არც გასაკვირველია, რადგან ქუთაისი ყოველთვის ითვლებოდა მოწინავე თეატრალურ ქალაქად. ჩვენს სპექტაკლებზე იმ დროს თბილისის ჟურნალ-გაზეთებში მრავალი რეცენზია იწერებოდა და ამიტომ ქუთაისის საზოგადოებას ეინტერესებოდა ენახა ეს სპექტაკლები. ქუთაისშიც პირველ წარმოდგენად დავდგით „ცხვრის წყარო“. ქუთაისის საზოგადოება ჩვენს სპექტაკლებს დიდი ენთუზიაზმით შეხვდა. როგორც ბათუმსა და ფოთში, ისე ქუთაისშიც ყველა სპექტაკლის ბილეთები სწრაფად იყიდებოდა და აღარ იშოვებოდა. ადგილობრივმა ხელისუფლებამ და ინტელიგენციამ დასის ქუთაისში ჩასვლა აღნიშნა დიდი ბანკეტით.

უკანასკნელად ვიყავით ჭიათურაში, სადაც მოწინავე ინტელიგენციასა და მუშებში აღტაცება გამოიწვია ჩვენმა სპექტაკლებმა. ჭიათურაში დავამთავრეთ ჩვენი გასტროლები და გამარჯვებულნი და დიდად კმაყოფილნი თბილისში დავბრუნდით.

თბილისში დაბრუნების შემდეგ არ გასულა დიდი ხანი, და კოტე მარჯანიშვილმა გასცა განკარგულება, რათა თეატრის ადმინისტრაციას მანგლისში ექირავნა ოთახები, რომ დასი იქ წაეყვანა საზაფხულო მუშაობისთვის. როგორც 1923 წელს ბორჯომში წასვლის წინ, ისე ახლაც, კოტემ შვებულებაში არ გაუშვა დასი, დირექციას სათანადო კომპენსაცია გააცემინა და დასი სამუშაოდ წაიყვანა. მართლაც, როგორც კი დირექციამ შვებულების მაგიერად საკომპენსაციო თანხა დაგვირიგა, გავემგზავრეთ მანგლისში სამუშაოდ. ჩვენთვის, მსახიობებისათვის, ეს უჩვეულო რამ იყო: აგარაკზე ვისვენებდით თანხა ოთახებში. ერთი კვირა არაფერი გაგვიკეთებია, ყველანი ვისვენებდით. პირველი პიესა, რომელზეც დავიწყეთ მუშაობა, ეს იყო სანდრო შანშიაშვილის ლექსად დაწერილი პიესა „ლატავრა“, რომლის წაკითხვამაც ჩვენზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. ამ ზაფხულს დასს შემოერთნენ ახლად კურსდამთავრებული მსახიობები: ვასო გოძიაშვილი, პოკო მურღულია და პიერ კობახიძე. მათ სწორედ ამ გაზაფხულზე, 1924 წელს, დაამთავრეს დრამატული კურსები, რომელსაც ხელმძღვანელობდა აკაკი ფალავა. პიესა „ლატავრა“ ჩვენს დასში კარგად განაწილდა... ლატავრას როლს ამზადებდა ვერიკო ანჯაფარიძე, ინკუბუსისას-უშანგი ჩხეიძე. საქართველოს დამპყრობი ხანის—ენგიჩარის როლს ასრულებდა აკაკი ხორავა. „ლატავრაზე“ ჩვენი რეჟისურა დიდ იმედს ამყარებდა.

მეორე პიესა, რომელსაც კოტე თვითონ ამზადებდა, იყო შექსპირის „ვინძორის ცელქი ქალები“. ამ პიესაში მთავარ როლებს ასრულებდნენ: ელენე დონაური, შალვა ღამბაშიძე და პოკო მურღულია, როგორც ახალგაზრდა მსახიობი. მონაწილეობდნენ ავრეთვე: ვასო გოძიაშვილი, დიმიტრი მჟავია, ნიკო გვარაძე, უშანგი ჩხეიძე, აკაკი

ხორავა. მესამე პიესად გვქონდა ვერფლის „შპიგელმენში“ („ადამიანი სარკე“). ეს პიესა სანდრო შანშიაშვილის ნათარგმნი იყო. აი ეს სამი პიესა გვქონდა, რომელთაც მთელი ზაფხულის პერიოდში ვამზადებდით. „შპიგელმენში“ მთავარ როლებს თამაშობდნენ: თამალას—აკაკი ვასაძე და ბერს—გიორგი დავითაშვილი. ეს ორი როლი პიესაში მთავარი იყო, მთელი პიესის სიმძიმე ამ ორ როლზე იყო დამყარებული. მახსოვს, აკაკი ვასაძემ და გიორგი დავითაშვილმა ამ როლებზე ბევრი იმუშავეს და პიესაც კარგად იყო დადგმული და გათამაშებული. სწორედ ამ ზაფხულში, მანგლისში ყოფნის დროს, კოტე მარჯანიშვილმა ნინო დავითაშვილის ქმრის, სოლომონ ახვლედიანის წინადადებით, ხელი მოჰკიდა კინოსურათის „ქარიშხლის წინ“ დადგმას. სურათში მონაწილეობას ვიღებდით თითქმის მთელი დასი. კინოსურათის სცენარი ეკუთვნოდა შალვა დადიანს, რომელსაც ხშირად უხდებოდა მანგლისში ყოფნა და ჩვენთან ცხოვრება. ამავე სურათში კოტემ მონაწილეობის მისაღებად მოიწვია მსახიობები: ალ. იმედაშვილი, სოსო ჟივიძე, გოგი ფრონისპირელი და სხვანი, რომლებიც თბილისის კინტოებს ანსახიერებდნენ.

პიესებს ვამზადებდით დილით. საღამოობით რეპეტიციები არ გვქონდა. საღამოობით ვისვენებდით და ხანდახან პიესების კითხვა და უფრო ხელოვნებაზე სჯა-ბაასი იმართებოდა ხოლმე. კინოს გადასაღებად კოტემ წაგვიყვანა თითქმის მთელი დასი მანგლისის მახლობელ ოსების სოფელში ორიოდე დღით; ამ სოფელს სახელად ერქვა, თუ არ ვცდები, არხოტი. ჩავედით სოფელში, მოგვათავსეს ადგილობრივი გლეხების ოჯახებში. ზაფხულის მშვენიერი მთვარიანი ღამე იყო. ჩვენ ყმაწვილებმა გარეთ გავაშლევინეთ თივა და ისე მოვისვენეთ, ქალებმა კი გარეთ მოსვენება არ ინებეს. შუაღამისას შეიქნა ჩოჩქოლი, თურმე რწყილები დაეხვიათ და შეწუხებული ქალები გარეთ გამოცვივდნენ და იმათაც ინებეს ჩვენსავით თივაზე მოსვენება. კინოსურათზე კოტე მარჯანიშვილმა დიდი ენერგია დახარჯა, მაგრამ სურათს არავითარი წარმატება აქ ჰქონდა და ძალიან მალეც მოიხსნა ეკრანიდან. კოტე მარჯანიშვილმა, როგორც კინორეჟისორმა, შემდეგში მოიპოვა გამარჯვება, როდესაც 1926 წელს რუსთაველის სახელობის თეატრს გაანება თავი და თავისი მოღვაწეობის ასპარეზი კინომრეწველობაში გადაიტანა. კოტემ მშვენიერი კინო სურათები დადგა: „კომუნარის ჩიბუხი“, „სამანიშვილის დედინაცვა-

ლი“, „კრაზანა“ და „ამოკი“. განსაკუთრებით დიდი გემოვნებით იყო დადგმული ორი სურათი: „ამოკი“ და „კრაზანა“, რომლებმაც თავის დროზე პრესის და საზოგადოების დიდი გამოხმაურება ჰპოვეს. ამ სურათებში მთავარ როლებს ასრულებდნენ ნატო ვაჩნაძე და ალექსანდრე იმედაშვილი.

ამრიგად, ჩვენმა დასმა მანგლისში დიდი მუშაობა გასწია. 1-ლ სექტემბრისათვის ჩამოვედით თბილისში. არ ვიცი, რა იყო მიზეზი, და კოტემ უცბად, სრულიად მოულოდნელად, ხელი მოჰკიდა სანდრო შანშიაშვილის მიერ გადმოქართულებულ პიესას „მათრახის პანაშვიდს“ („ჰერეთის გმირები“), რომელიც სწრაფად მოამზადა, მაგრამ მომზადებაზე დიდი შრომა და ენერგია დახარჯა. სწორედ ამ პიესით—„მათრახის პანაშვიდით“ გახსნა სეზონი. პიესა დაიდგა პირველად 1924 წლის 25 ოქტომბერს. ამ პიესას რუსთაველის თეატრში დიდი წარმატება ხვდა. სეზონის განმავლობაში ბევრჯერაც დაიდგა და საზოგადოების დიდი მოწონებაც დაიმსახურა. ამ პიესაში მთავარი როლები ჰქონდათ ელენე დონაურს, დავით ჩხეიძეს, და ალექსანდრე იმედაშვილი.

პიესა ასახავდა ქიზიყის გლეხების ცხოვრებას და დადგმული იყო რეალისტურად; ამიტომ ჩვენმა მაყურებლებმა ის გულთბილად მიიღეს. ამავე სეზონში მშვენივრად დაიდგა შანშიაშვილის პიესა „ლატავრა“, რომელმაც საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია. ამ ინტერესს აორკეცებდა ახალგაზრდა მსახიობთა მშვენიერი თამაში. ესენი იყვნენ: ვერიკო ანჯაფარიძე—ლატავრა, უშანგი ჩხეიძე—ინკუბუსი და აკაკი ხორავა—ენკიჩარი. მართლაც ამ სამმა ახალგაზრდა მსახიობმა დიდი სასცენო უნარი გამოიჩინა. ისინი მაყურებლის წინაშე წარსდგნენ, როგორც უკვე მომზადებული და დამთავრებული მსახიობები. ვერიკო ანჯაფარიძე დიდი განძია საბჭოთა ქართული თეატრისათვის. მან სასცენო მოღვაწეობა დაიწყო ჯაბადარის სტუდიაში 1918-19 წლებში. პირველად ვერიკო ვნახე სცენაზე, როცა ჯაბადარის სტუდიამ გამართა პირველი წარმოდგენა ოპერის თეატრში. დაიდგა „სარწმუნოება“, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ, ვერიკოს გარდა, დიმიტრი მჟავია, გიორგი სარჩიმელიძე, მიხეილ ჭიაურელი და გიორგი იშხნელი. სტუდიის მიერ გამართულმა საჯარო წარმოდგენამ მაშინდელ საზოგადოებაზე,

დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. სტუდიამ დიდხანს ვეღარ იარსება და ყველა ეს ახალგაზრდა მსახიობი 1920 წელს ჩაირიცხა ახლანდელ რუსთაველის სახელობის თეატრში.

ვერიკო ანჯაფარიძე უაღრესად დახვეწილი გემოვნების მსახიობია. ქართულ სცენაზე მან შექმნა როლების გახსახიერების თავისი სტილი. იგი არც ერთ ჩვენს ნიჭიერ მსახიობს არა ჰგავს! ვერიკო ზედმიწევნით თავისებური მსახიობია. პირველად ეს არტისტული თავისებურება ლატავრას როლის შესრულებაში გამოჩნდა, როგორც ლექსად დაწერილ პიესაში. ლექსის კითხვა მას თავისებური ჰქონდა, მიხრამოხრა პლასტიკური. ძეტად მშვენიერი და ორიგინალური იყო ვერიკო ლატავრას როლში. ვერიკო ანჯაფარიძე ბევრ როლში მინახავს ჯერ კიდევ ახალგაზრდობისას და უნდა ვთქვა, რომ არც ერთი როლი არ ჰქონია ისეთი, რომ მისი შესრულებით იგი უფერული და არა საინტერესო ყოფილიყოს. რა მშვენიერი იყო იგი ოფელიას როლში „ჰამლეტში", კოტეს დადგმით რუსთაველის თეატრში! მართლაც, ჰამლეტის დადგმაში სამი აქტიორი იყო, რომელთაც თავი ისახელეს: ვერიკო—ოფელია, კლავდიუსი—აკაკი ვასაძე, რომელმაც დაინსწრე საზოგადოების დიდი მოწონება დაიმსახურა, და უშანგი ჩხეიძე, რომელმაც საზოგადოების განცვიფრება გამოიწვია. უშანგის ჰამლეტი არც ერთ წინათ ნათამაშევ ჰამლეტს არა ჰგავდა, და ამიტომაც იყო, რომ უშანგის ჰამლეტმა თეატრალურ საზოგადოებაში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. საზოგადოება ორ ბანაკად იყო გაყოფილი, ერთი აღტაცებით შეხვდა მსახიობს, მეორე—მეტად კრიტიკულად.

ვერიკო მეტისმეტი ლირიკული ტემპერამენტის მსახიობია. ამიტომაც, მის რეპერტუარში ლირიკულ როლებს უფრო დიდი ადგილი უკავია. ვერიკომ თავისი არტისტული მოღვაწეობის შანძილზე ბევრი დაუვიწყარი სახე შექმნა, მაგრამ მის მიერ განსახიერებული ივდითი „ურიელ აკოსტაში" და მარგარიტა გოტიე, ისეთი გამარჯვებაა, რომელსაც ბევრი ნიჭიერი მსახიობი ინატრებდა. ივდითის როლში ვერიკო არტისტული შემოქმედების უმაღლეს წერტილს აღწევს. ამიტომაც არის, რომ დღესაც ვინც კი „ურიელის" წარმოდგენას ესწრება, აღტაცებული რჩება ვერიკოს მიერ ივდითის განსახიერებით.

მეორე შედევრი მის შემოქმედებაში, ეს მარგარიტაა ა. დიუმას

პიესაში—„მარგარიტა გოტიე“ (თარგმანი ვ. გუნიასი და ა. იმედაშვილისა). მარგარიტას როლი ძველისძველი როლია და ამასთანავე ავტორის მიერ დიდი ოსტატობით დაწერილი. ამიტომაც არის, რომ ყოველი ნიჭიერი მსახიობი, რომელიც ახალგაზრდა ქალის დრამატულ როლებს თამაშობს, ოცნებობს მარგარიტას როლის განსახიერებაზე. ვერიკო ანჯაფარიძეს მთელი როლი მშვენივრად აქვს დამუშავებული, განსაკუთრებით დიდი არტისტული ტემპერამენტით ასახიერებს სცენას არმანის მამასთან. ეს მისი არტისტული შემოქმედების შედეგია!

ამ სეზონში ბევრი კარგი წარმოდგენა დადგა კოტემ, მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა იოსებ გედევანიშვილის პიესა „სინათლე“. ზლაპრის დადგმაში კოტეს ვინ აჯობებდა! კოტეს ყველაფერი ხელს უწყობდა, რომ „სინათლე“ მოხდენილად დაედგა!.. როლები ჩვენს დასმი კარგად განაწილდა, და ამიტომ პიესამაც საზოგადოების დიდი მოწონება დაიმსახურა. განსაკუთრებით მშვენიერი იყვნენ აკაკი ხორავა—დავრიში და უშანგი ჩხეიძე—მეფე ჯიბშერი.

ყველაზე მკრთალი წარმოდგენა ამ სეზონში იყო შექსპირის „ვინძორის მხიარული ქალები“. თუმცა კოტემ ამ პიესის დადგმაზე დიდი ენერგია დახარჯა, მაგრამ წარმოდგენას მაინც წარმატება არა ჰქონდა.

თავი მეხუთე

კოტე მარჯანიშვილის მოწაფეები. უშანგი ჩხეიძე. „ჰამლეტის“ დადგმა. უშანგი ჩხეიძე ჰამლეტის, ურიელის, ყვარყვარე თუთაბერის როლებში. ელენე დონაური და გიორგი დავითაშვილი. აკაკი ვასაძე თავის საყვარელ როლებში. დიმიტრი მუავია. ემანუილ აფხაიძე.

კოტე მარჯანიშვილმა რუსთაველის სახელობის თეატრში მუშაობის დროს ბევრი ნიჭიერი მსახიობი გამოავლინა. უმეტესობა აქტიორებისა, რომლებიც ახლა ჩვენს სცენას ამშვენებენ, კოტეს ნიჭის და ენერგიის წყალობით არის გამოვლინებული. მე თვით მოწმე ვარ, თუ რა შრომა და ღვაწლი მიუძღვის კოტეს ახალგაზრდა აქტიორთა კადრების გაწრთვნა-განვითარებაში. თუ არა კოტე მარჯანიშვილმა, ვინ გამოიყვანა ფართო გზაზე უშანგი ჩხეიძე, ეს დიდათ ნიჭიერი მსახიობი, რომელშაც სულ ორიოდე წლის განმავლობაში ასეთი სახელი მოიხვეჭა. მე მოწმე ვარ უშანგი ჩხეიძის პირველი არტისტული ნაბიჯებისა. ერთ-ერთი გენერალური რეპეტიციის დროს, 1922-23 წლის სეზონში, უშანგი ჩხეიძე და მე რუსთაველის თეატრის ფოიეში ვისხედით და სცენაზე გასვლას ველოდით, თან ვსაუბრობდით. უცბად უშანგი ჩხეიძე შემეკითხა: ნიკო, რას მირჩევ, როგორც გამოცდილი მსახიობი, მინდა თეატრს სამუდამოდ ჩაბმოვშორდე და სწავლა განვაგრძო. უშანგის შეკითხვამ, ცოტა არ იყოს, გამაოცა. მე ვუთხარი, შენ ისეთ შეკითხვას მაძლევ, რომ პასუხის მოცემა ძნელია მეთქი, მაგრამ მაინც ვუპასუხე, რა გეჩქარება, თეატრის თავის დანებებას ყოველთვის მოასწრებ, დაიცადე, ერთი-ორი როლი ითამაშე და თუ შენი თავის კმაყოფილი არ იქნები, როგორც მსახიობი, მაშინ, მეც გირჩევ, რომ სცენას თავი დაანებო, მაგრამ ასეთი ლაპარაკი ჯერ ნაადრე-

ვია მეთქი. უშანგი ჩხეიძე, როგორც ახალგაზრდა მსახიობი, თავისი როლებით კმაყოფილი არ იყო. პირველი გამარჯვება აკაკი ხორავამ და უშანგი ჩხეიძემ მოიპოვეს პიესა „გაზში“, რომელიც კონსტანტინე ანდრონიკაშვილმა დადგა რუსთაველის სახ. თეატრში. მეორე გამარჯვება უშანგიმ მოიპოვა „ლატავრაში“ — ინკუბუსის როლში. რაღა თქმა უნდა, ასეთი პასუხსაგები როლების თამაშის შემდეგ უშანგი უკვე ამაღლდა, საზოგადოების თვალში გაიზარდა, მაგრამ ვინ მოელოდა, რომ 1924-25 წლის სეზონში გავიდოდა რამდენიმე თვე და კოტე მარჯანიშვილი უშანგის შესთავაზებდა ჰამლეტის როლს, 1925 წლის ზამთრის სეზონს ნოემბრის 12-ს „ჰამლეტით“ გახსნიდა და ჰამლეტს უშანგი ჩხეიძეს ათამაშებდა! ეს ისეთი მოულოდნელი ამბავი იყო, რომ ყველანი განცვიფრებულნი დარჩნენ და დიდი ინტერესით მოელოდნენ „ჰამლეტის“ პირველ წარმოდგენას. ამ დროს ალექსანდრე იმედაშვილი ქუთაისში იყო, სადაც სეზონს ხელმძღვანელობდა. ქუთაისიდან წერილსა მწერდა და თეატრისათვის რაღაც ნივთების ყიდვას მავალებდა, ამავე დროს მწერდა: თუ ჩემი ხათრი გაქვს, ნიკო, უსათუოდ დაესწარი „ჰამლეტის“ პირველ წარმოდგენას და შენი შეხედულება და შთაბეჭდილება მომწერეო. მე მგონია, ქართულ თეატრს არ ახსოვს, რომ ქართველი თეატრალური საზოგადოება ასე ყოფილიყოს დაინტერესებული აქტიორის ნახვით, როგორც მაშინ მოელოდა უშანგის ჰამლეტის ნახვას! რა თქმა უნდა, თეატრში ტევა აღარ იყო. საზოგადოება დიდი ინტერესით მოელოდა უშანგის გამოჩენას. უნდა ვთქვა, რომ კოტეს მიერ დასმული ამოცანა უშანგიმ მართლაც ბრწყინვალედ გადაჭრა. თეატრში, ანტრაქტებში დიდი სჯა-ბაასი და მითქმა-მოთქმა იყო, ყველას თვალწინ ედგა ლადო მესხიშვილის განსახიერებული ჰამლეტი. პიესა დადგმული იყო დიდი გემოვნებით და მდიდრულად. აქტიორები ყველა თავის სიმაღლეზე იდგნენ. სპექტაკლი გრანდიოზულ შთაბეჭდილებას სტოვებდა.

უშანგის საგვირგვინო როლი, მე რომ მკითხოთ, ურიელია, პიესაში „ურიელ აკოსტა“. ურიელის შესრულებით უშანგიმ არტისტულ ზენიტს მიაღწია. განსაკუთრებით კარგია უშანგი სინაგოგაში. აქ იგი ყოველთვის დიდ ტემპერამენტს იჩენდა. საზოგადოდ, ურიელი ძალიან მოუხდა მას, როგორც გარეგნობით, ისე არტისტული

დიაპაზონის თვალსაზრისით. უშანგის ყველაფერი ხელს უწყობდა, რომ კარგი ურიელი ყოფილიყო: გარეგნობა, ტემპერამენტი, გულში ჩამწვდომი ხმა. ეს ყველაფერია!... ერთხელ სალვინის (იტალიის გამოჩენილ მსახიობს) ჰკითხეს, რა არის საჭირო მსახიობისათვის, რომ მან დრამატული და ტრაგიკული როლები კარგად ითამაშოს და მაყურებელზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინოსო. სალვინიმ უპასუხა: აქტიორისათვის, რომელიც დრამას და ტრაგედიას ითამაშებს, საჭიროა ხმა და კიდევ ხმაო. მართლაც დრამატული მსახიობისათვის ხმა მთავარია. უშანგის ისეთი მგრძნობიარე ხმა ჰქონდა, რომ მაყურებლებს პირველი ფრაზითვე იპყრობდა.

აგრეთვე მშვენიერი იყო უშანგი ფრანჩესკო ჩენჩის როლში (შელის პიესა „ბეატრიჩე ჩენჩი"), რომელიც 1929 წელს ითამაშა ქუთაისის თეატრის გასტროლების დროს. რა დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა უშანგი ამ როლში! ანდა აიღეთ პ. კაკაბაძის პიესა „ყვარყვარე თუთაბერი". რა განსაცვიფრებელი მიგნებით, რა სადად ასახიერებდა ყვარყვარეს და რა დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა მაყურებელზე. ამ როლის შესრულებით უშანგი ჩხეიძემ გვიჩვენა, რომ იგი ბრწყინვალედ თამაშობს კომედიაშიც და ტრაგედიაშიც. თუ როლი მიუდგა და მოუხდა, მერე ნიჭმა გაჩერება აღარ იცის. მახსოვს, რა ექსპრესიით ასახიერებდა უშანგი კარლ ტომასის როლს ტოლერის პიესაში „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ". მშვენიერი იყო აგრეთვე შ. დადიანის პიესა „კაკალ გულში" კვეტენაძე. საზოგადოდ, უშანგი, როგორც ძლიერი და ნამდვილი შემოქმედი იყო დრამატულ როლებში, ისევე მეტად უბრალო და დამაჯერებელი იყო სახასიათო როლებში. უშანგის დამახასიათებელი თვისება, როგორც აქტიორისა, ის იყო, რომ თავდავიწყებამდე გატაცება იცოდა როლით და ამით საზოგადოებაზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა.

1920 წელს გაზაფხულზე ფოთში სეზონი დავამთავრეთ და თბილისში დავბრუნდი. ჩამოსვლისთანავე თეატრში მივედი ამხანაგების სანახავად. სწორედ იმ საღამოს რუსთაველის სახელობის თეატრში, კონსტანტინე ანდრონიკაშვილის დადგმით, დ. ერისთავის „საბშობლო" იდგმებოდა. ამ დადგმაში ჩემთვის ორი უცნობი მსახიობი იღებდა მონაწილეობას, რომლებზედაც ბევრი კარგი რამ გამეგო, და სცენაზე კი არ მენახა. ისინი იყვნენ: ელენე დონაჟური

და გიორგი დავითაშვილი. პირველი ასრულებდა ქეთევანის როლს, ხოლო მეორე — ლევან ხიმშიაშვილს. მე პირადად დიდად მოხარული ვიყავი, რომ ამ წარმოდგენას დავესწარი და ჩემთვის უცნობი ორი ნიჭიერი მსახიობის ნახვა მომიხდა. ჩემზე ორივემ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა, როგორც უკვე დამთავრებულმა და ნიჭიერმა მსახიობებმა. ორივენი რუსული დასის მსახიობები იყვნენ და სწორედ ამ სეზონში დაეწყოთ ქართულ დასში მუშაობა.

ელენე დონაურს ყველაფერი ხელს უწყობდა, რომ რთული როლი ქეთევანისა კარგად ეთამაშნა. ელენე დონაური მახსოვდა 1908-09 წლიდან, როცა ის, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, იავორსკის ქალთან მუშაობდა რუსულ დასში. შემდეგში ელენე დონაური ქართულ სცენაზე დაწინაურდა და ჩვენთან მოიპოვა ნიჭიერი მსახიობის სახელი. ელენე დონაური ძალიან მომზადებული და ინტელიგენტი მსახიობია. მან ჯერ რუსთაველის თეატრში და შემდეგ წითელ თეატრში ბევრი კარგი როლი ითამაშა. მახსოვს ის ლუნაჩარსკის პიესა „ამფეთქებელში", აგრეთვე პიესებში „სიმახინჯე", „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ", ამ ბოლო დროს — ოთარაანთ ქვრივის როლში.

გიორგი დავითაშვილმა პირველად ითამაშა რუსთაველის თეატრში ჰამლეტი 1923 წელს. აგერ 30 წელიწადია, რაც მას ღირსეულად უჭირავს რუსთაველის თეატრში მოწინავე აქტიორის საპატიო ადგილი. რა როლი არ უთამაშნია გიორგის რუსთაველის თეატრში! გიორგი დაუვიწყარი არმანია ქართულ სცენაზე. რა მშვენივრად თამაშობდა იგი „უდანაშაულო დამნაშავენში" ნეზნამოვს, „ხევისბერ გოჩაში" — ონისეს. გიორგის ყველაფერი ხელს უწყობდა, რომ სწორედ ასეთი როლები ეთამაშნა: მოხდენილი სასცენო გარეგნობა, ლამაზი სახე და მგრძნობიარე ხმა. გიორგი დავითაშვილს დიდი ღვაწლი მიუძღვის რუსთაველის თეატრის წინსვლა-განვითარებაში და საზოგადოდ ქართული საბჭოთა თეატრის განვითარებაში.

1924-25 წლის სეზონში საინტერესო სპექტაკლი იყო „შპიგელმენში" („კაცი სარკიდან"), რომლის დადგმაზედაც თეატრმა და რეჟისურამ დიდი ენერგია დახარჯეს. პირველად პიესა დაიდგა 1925 წლის 2 იანვარს. ამ პიესაში მთავარი როლები ჰქონდათ, როგორც ზევითაც მოვიხსენიე, აკაკი ვასაძეს (თამალ) და გიორგი

დავითაშვილს (შპიგელმენშ). თამალი აკაკისათვის მეტად საინტერესო და შინაარსიანი როლი იყო. აკაკიმ ამ როლით საზოგადოებაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, როგორც ახალგაზრდა მსახიობმა. აკაკი ვასაძე მე მახსოვს დღიდან პირველი გამოსვლისა სცენაზე, როცა იგი ჯერ კიდევ ჯაბადარის სტუდიაში იყო და შემდეგში რუსთაველის თეატრში დაიწყო მუშაობა. მე მგონია, ქართულ სცენას ჯერ არ ჰყოლია აქტიორული ტექნიკით აღჭურვილი ასეთი მსახიობი. აკაკიმ ბევრი კარგი სახე შექმნა ქართულ სცენაზე და შექმნა დიდი გემოვნებით და არტისტული დაკვირვებით. ვისაც აკაკი ვასაძე უნახავს „ჰამლეტში“ — მეფის როლში, მსახიობისათვის ამ უგემურ და არახელსაყრელ როლში, ის დამერწმუნება, რომ აკაკი ვასაძე დიდი ხელოვანია. რა დიდებული ფიგურა შექმნა აკაკი ვასაძემ მეფე კლავდიუსისა „ჰამლეტში“. მეფე კლავდიუსის როლი, საზოგადოების მსჯელობის საგანი რომ გამხდარიყო, მე მგონია, ქართული თეატრის ისტორიაში ეს პირველი მაგალითი იყო. აკაკიმ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა კლავდიუსის განსახიერების დროს, 1925 წ. ნოემბრის 12 „ჰამლეტის“ პირველ წარმოდგენაზე. რა მშვენიერი იყო აკაკი უბრალო პიესა „ნაბიჭვარში“, სადაც ასრულებდა სახასიათო როლს, პილატე შუკაკიძეს, რომლის შესრულებითაც დამსწრე საზოგადოება აღტაცებაში მოყავდა. რომელ საბჭოთა თეატრალს დაავიწყდება აკაკის მიერ ნათამაშევი შუისკი „დიდ ხელმწიფეში“, შმაგი „უდანაშაულოდ დამნაშავეში“. მისი დიდი არტისტული მიღწევა არის იაგო „ოტელოში“. მშვენიერი იყო აკაკი „ქართა ქალაქში“. აკაკი ვასაძეს, როგორც რეჟისორ-დამდგმელსაც, რუსთაველის თეატრის წინაშე დიდი ამაგი მიუძღვის. რაც კი ღირსშესანიშნავი დადგმები იყო რუსთაველის თეატრში მარჯანიშვილის შემდეგ, უმთავრესად აკაკის დიდ შრომასა და ნიჭიერებას მიეწერება.

რუსთაველის თეატრში დღიდან მისი დაარსებისა მუშაობს ნიჭიერი მსახიობი დიმიტრი მჟავია. მან არტისტული მოღვაწეობა დაიწყო ჯერ კიდევ ჯაბადარის სტუდიაში. დიმიტრი მჟავია ერთი იმ მსახიობთაგანია, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა რუსთაველის სახელობის თეატრს. თეატრის წინაშე დიმიტრი მჟავიასაც, თავის ძველ აბხანაგებთან ერთად, დიდი დამსახურება მიუძღვის, როგორც მშრომელ და ნიჭიერ მსახიობს. ბევრი კარგი როლი შე-

უსრულებია დიმიტრი მეავიას რუსთაველის თეატრში. ჯერ კიდევ 1923-24 წლის სეზონში ნშვენივრად ასრულებდა ყმაწვილის როლს „ინტერესთა თამაშში“, მერე მირზას როლს „ანბორში“. უკანასკნელ დროს დიმიტრიმ შეასრულა შმაგას როლი პიესაში „უდანაშაულოდ დამნაშავენი“. უნდა ვთქვა, რომ შმაგას როლში მან ბევრი საინტერესო შტრიხი შეიტანა. მის შემოქმედებაში ეს როლი ერთ-ერთი საუკეთესო ფურცელია. აგრეთვე მშვენიერია დიმიტრი პიესა „სამშობლოში“, შაჰ აბასის როლში. საინტერესოდ თამაშობს იგი „ღრმა ფესვებში“. დიმიტრი მეავიამ აგრეთვე დამაჯერებელი სახე შექმნა შადიმანისა პიესაში „გიორგი სააკაძე“. დიმიტრის დამახასიათებელი თვისებაა შრომისმოყვარეობა. ის მეტად დაკვირვებული მსახიობია. ამასთან მუდამ შესანიშნავია მისი გრიმი, რაც მის აქტიორულ შემოქმედებას ძალიან ხელს უწყობს.

ხალისიანი, ნიჭიერი და პოპულარული არტისტი შეეძინა რუსთაველის სახელობის თეატრს ემანუილ აფხაიძის სახით. ემანუილ აფხაიძე ერთ-ერთი საყვარელი მსახიობია რუსთაველის თეატრის მაყურებლისა. აფხაიძეს პირველად შევხვდი ბათუმში 1921-22 წლის ზამთრის სეზონში, როდესაც მან განაცხადა სურვილი ჩვენთან მუშაობისა, როგორც მოკარნახემ; შემდეგ წლებში, როგორც მსახიობმა, მუშაობა დაიწყო რუსთაველის სახელობის თეატრში. ემანუილ აფხაიძე, როგორც ახალგაზრდა მსახიობი, ძალიან მალე დაწინაურდა და რუსთაველის თეატრის მაყურებელთა საყვარელი მსახიობი გახდა. იგი ქართული სცენის ერთ-ერთი ნიჭიერი მსახიობია, ამპლუით კომიკი, სცენაზე მუდამ ხალისიანი და სანდომიანი. აფხაიძეს განსაკუთრებით ეხერხება იმერული სახასიათო როლების განსახიერება. რა საუცხოო ტიპი შექმნა ე. აფხაიძემ პიესა „განგაშში“ — ზაქარიას სახით!.. ან რა ხალისიანად თამაშობს „შემოდგომის აზნაურებში“ სოლომონ მორბელაძეს, „ღალატში“ ბესოს. რა წარმატებით ასრულებს პანდოლფის როლს პიესაში „საპატარძლო აფიშით“, ბუბლიკის როლს „პლატონ კრეჩეტში“. ე. აფხაიძე ერთ-ერთი პირველი მსახიობი იყო საქართველოში, რომელმაც ქართულ ესტრადას ასე დიდი ამაგი დასდო.

თავი მეექვსე

ვასო გოძიაშვილი. „ანზორის“ დადგმა. ახმას როლის შესრულება. აკაკი ხორავა თავის საყვარელ როლებში: ანზორი, იჩო, არგიშდი. პიესა „რლვევა“. აკაკი ხორავა, ბერსენევის როლში. უშანგი ჩხეიძე გოდუნის როლში. აკაკი ხორავა ოტელოს როლში. გიორგი სარჩიმელიძე.

1924 წლის გაზაფხულზე თეატრალური სტუდია დაამთავრა და ჩვენთან მუშაობა დაიწყო ორმა ახალგაზრდა მსახიობმა—ვასო გოძიაშვილმა და პიერ კობახიძემ. პირველი როლი ვასო გოძიაშვილმა რუსთაველის თეატრში მიიღო „ვინძორის მხიარულ ქალებში“. ნათლად მახსოვს ის მომენტი, როცა ვასომ პირველად გაიარა რეპეტიცია. პირველსავე რეპეტიციაზე ვასომ მთელ დასზე მშვენიერი შთაბეჭდილება მოახდინა. რომ იტყვიან, მოვიდა და გაიმარჯვა, სწორედ ასე იყო. მან პირველ დღესვე გამოავლინა თავისი არტისტული უნარი. ხალასი ნიჭიაო, აი, სწორედ ვასო გოძიაშვილზე ითქმის! ვასო გოძიაშვილი რომ აკაკი ფალავას დრამატულ სტუდიაში არ მოხვედრილიყო და არ დაემთავრებინა, ვგონებ, მაინც ვერ ასცდებოდა თეატრს. ვასოს ყველაფერი ხელს უწყობს, რომ თეატრისათვის და მაყურებლისათვის სასურველი და საყვარელი იყოს. ვასო თავისი არტისტული მონაცემებით და ბუნებით კომიკური და სახასიათო როლების უბადლო შემსრულებელია. მაგრამ იმდენად ნიჭიერია, რომ დრამატულ როლებსაც მშვენივრად თამაშობს. ვასო დიდი დიაპაზონის არტისტია. მინახავს, რა დიდ მოწონებას იწვევს იგი ავეტიკას როლში („რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“). ვასო გოძიაშვილს პირველი დიდი გამარჯვება—პოპულარობა მოუპოვა ახმას როლის შესრულებამ პიე-

სა „ანზორში“. ვასოსაგან ახმას როლის შესრულება ისეთი ამბავი იყო, რომ მთელი მაშინდელი თეატრალური საზოგადოება აალაპარაკა და ყველა ამბობდა, მეორე ვასო აბაშიძე გაჩნდა ქართულ სცენაზეო. მართლა რომ მშვენივრად თამაშობდა ვასო ახმას როლს. რა მხიარულად, რა ნსუბუქად მიჰყავდა როლი! რომ ვუყურებდი, ვტკბებოდი მისი არტისტული თამაშით, იმდენად ბუნებრივი იყო. ან კიდევ რა მშვენიერი ტიპი შექმნა ვასომ პიესა „საქმის კაცში“. „ანზორი“ ერთი საუკეთესო სპექტაკლი იყო რუსთაველის სახელობის თეატრისა. მან მაშინდელ თეატრალურ საზოგადოებაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და თეატრს დიდხანს შერჩა რეპერტუარში. ამის მიზეზი იყვნენ მაშინ ახალგაზრდა მსახიობები აკაკი ხორავა და ვასო გოძიაშვილი. ეს ორნი იყვნენ, რომელთაც „ანზორის“ დადგმას ასეთი დიდი წარმატება და პოპულარობა მოუპოვეს, პირველმა ანზორის განსახიერებით და მეორემ— ახმას შესრულებით. არ დამავიწყდება ვასო „დეზერტირკაში“. რა მშვენივრად თამაშობდა გლეხის როლს! ამ ბოლო დროს ხომ ვასომ წარუშლელი კვალი გაავლო ლუარსაბ თათქარიძის როლის შესრულებით.

შესანიშნავია ვასო გოძიაშვილი ესტრადაზეც. როგორც ესტრადის მსახიობმა, ვასომ დიდი პოპულარობა მოიპოვა.

აკაკი ხორავას ბავშვობიდანვე უყვარდა თეატრი და თავიდანვე აქტიურ მონაწილეობას იღებდა დრამატულ წრეებში. აკაკი ხორავა ჯერ მუშაობდა ყოფილი რუსული კლუბის შენობაში მომუშავე ქართულ დრამატულ წრეში, რომელშიც კარგ წარმოდგენებს მართავდა; შემდეგ მან მოღვაწეობა დაიწყო შალვა დადიანთან სახალხო სახლში, სადაც შალვა ხელმძღვანელად ითვლებოდა. აკაკიმ, როგორც მსახიობმა, პირველად სახალხო სახლში აიდგა ფეხი. 1922-23 წლის სეზონში მეცადინეობდა დრამატულ სტუდიაში. სტუდია დააშთავრა 1924 წელს და მას შემდეგ აკაკი რუსთაველის თეატრს აღარ მოშორებია.

აკაკი ხორავამ ძალიან მალე მიიპყრო ფართო საზოგადოების ყურადღება და ჩქარა დაწინაურდა. როგორც ზევითაც მოვიხსენიე, პირველი პასუხსაგები როლი, რომელიც მან რუსთაველის თეატრში მიიღო, ეს იყო პიესაში „კაცი — მასა“ ტოლერისა. ის ამ პიესაში გამარჯვებული გამოვიდა. აკაკი დიდ ნიჭიერებასთან ერთად

არტისტული ჭკუის განსახიერებაცაა. ბგერ თითქმის 30 წელიწადია აკაკი სცენაზე მოღვაწეობს და მე არ მახსოვს, რომ ის ოდესმე უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილიყოს საზოგადოების წინაშე. ეს არტისტის დიდი ღირსებაა! აკაკიმ თავის აქტიორული მოღვაწეობის მანძილზე ბევრი კარგი სახე შექმნა. აკაკის ახალგაზრდობის შემოქმედებაში პირველ ადგილს ვაკუთვნებ კიდევ და კიდევ „ანზორს". ის მშვენივრად თამაშობდა ამ როლს. რა დიდი ტემპერამენტით თამაშობდა აკაკი „თეთნულდში"—არგიშდის, ანდა აიღეთ „რღვევაში" ბერსენევი. ამ პიესის დადგმით თავი ისახელა ორმა ახალგაზრდა ნიჭიერმა მსახიობმა: აკაკა ხორავამ—ბერსენევი და უშანგი ჩხეიძემ — გოდუნი. „რღვევა" რუსთაველის თეატრის მაყურებლის ერთ-ერთი საყვარელი სპექტაკლი იყო და სცენაზე დიდხანსაც იდგმებოდა.

აკაკიმ თავის ოტელოთი არტისტულ ზენიტს მიაღწია. აკაკი ხორავა ქართული თეატრის ისტორიაში მესამე ოტელოა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ლ. მესხიშვილს, რომელმაც მხოლოდ სამჯერ ითამაშა ეს როლი, და მერე თავი მიანება. პირველი იყო ვალ. გუნია, რომელიც ხშირად თამაშობდა ოტელოს, შემდეგ ალ. იმედაშვილი და ბოლოს აკაკი ხორავა. აკაკის შემოქმედებაში, თქმა არ უნდა, ოტელოს პირველი ადგილი უჭირავს და მან ღირსეული შეფასება მიიღო არა მარტო ქართველი მაყურებლის მხრივ.

რუსთაველის თეატრის ერთგული მსახიობია გიორგი სარჩიმელიძე, რომელიც ახალგაზრდობაშიც და ახლაც უმეტესად ასახიერებს ეპიზოდურ როლებს. არიან თეატრებში ისეთ ; მსახიობები, რომლებიც თავის არტისტულ უნარს, განსაკუთრებით ეპიზოდურ როლებში გამოაჩენენ ხოლმე. აი ასეთი კატეგორიის მსახიობებს ეკუთვნის გიორგი სარჩიმელიძე. ის მშვენივრად თამაშობდა პიესა „გაზში" მუშის როლს, რომელიც დაჭრილი შემოჰყავთ სცენაზე. აგრეთვე კარგი იყო გიორგი ჩინელის როლში პიესა „ანზორში". „სინათლეში" როლი ზუსტად ჰქონდა დამუშავებული. გიორგი გრიმის ჩინებული ოსტატია. მას თეატრალური გრიმის შესახებ დიდი შრომა აქვს დაწერილი, რომელიც კარგ სამსახურს უწევს ჩვენს ახალგაზრდა მსახიობებს გრიმის შესწავლის საქმეში.

თავი მეშვიდე

ალისა ქიქოძე. თამარ ჭავჭავაძე თავის საყვარელ როლებში: ლაურენსია, ზეინაბი. ნინო ლაფაჩი. დოდო ანთაძე. ვ. ლ. სიდამონ-ერისთავი. ირაკლი გამრეკელი.

1920-23 წლებში რუსთაველის თეატრში მუშაობდა ნიჭიერი ახალგაზრდა მსახიობი — ქალი ალისა ქიქოძე, რომელმაც, არ ვიცი რა მოსაზრებით, მალე გაანება თავი ჭართულ სცენას. ალისა ქიქოძე რამდენიმე სეზონი მუშაობდა რუსთაველის სახელობის თეტრში და მუშაობდა ძალიან ნაყოფიერად. ალისა ქიქოძე მახსოვს პიესა „ღალატში“ გაიანეს როლში, რომელსაც მშვენივრად თამაშობდა. განსაკუთრებით კარგად თამაშობდა პიესა „რომანში“, რომელშიც მთავარ როლს ასრულებდა. ქიქოძე გარეგნობით ძალიან ლამაზი და მიმზიდველი იყო, და ყოველ როლში დაკვირვებასა და სიბეჯითეს იჩენდა ხოლმე.

ამავე ხანებში დიდ წარმატებას მიაღწია ნიჭიერმა მსახიობმა თამარ ჭავჭავაძემ. იგი დიდი წარმატებით ასრულებდა „ცხვრის წყაროში“ ლაურენსიას როლს, რომელმაც ახალგაზრდა მსახიობ-ქალს დიდი სახელი მოუპოვა. ეს პირველი პასუხსაგები როლი იყო, რომელიც თამარ ჭავჭავაძემ შეასრულა რუსთაველის სახელობის თეატრში. შემდეგ იგი თამაშობდა „რღვევაში“ ტატიანას, რომელსაც აგრეთვე მშვენივრად ასრულებდა, კატრინ-იუბშეს „მადამ სან-ჟენში“, ბეატრიჩეს „ბეატრიჩე ჩენჩში“. თამარ ჭავჭავაძე რუსთაველის თეატრის ერთ-ერთი ნიჭიერი და სახელოვანი მსახიობი იყო ჯერ კიდევ თავისი ახალგაზრდობის დროს. ახლაც წარმატებით განაგრძობს მუშაობას რუსთაველის თეატრში. საუკეთესო ზეინაბია პიესა „ღალატში“.

რუსთაველის თეატრიდან ჩემი წასვლის შემდეგ მეტად ნაჭიერი

და მშრომელი ახალგაზრდობა გამოიზარდა ამ თეატრში, როგორც ვაჟები, ისე ქალები. ქალებში საკმარისია დავასახელო ნინო ლაფაჩი, ეს მართლა ნიჭიერი მსახიობი. მე ნ. ლაფაჩის ნახვა მომიხდა ბევრჯერ, მაგრამ ორ როლში, რომ იტყვიან, მას ბადალი არა ჰყავს. ეს როლებია: პირველი-ქეთევანი პიესა „სამშობლოში“, მეორე-რუქაია „ღალატში“. ძალიან რთული და ძნელი როლებია, რაც წარმატებით დასძლია ამ ნიჭიერმა მსახიობმა. ეს მსახიობი-ქალი, როგორც დრამატულ როლებშია კარგი და დიდი ტემპერამენტით აღჭურვილი, ისე კარგია კომედიებშიც. ნინოს ნახვა მე მომიხდა გოლდონის პიესაში „ორი ბატონის მსახური“, სადაც მოხდენილად ასრულებდა ახალგაზრდა ქალის ბეატრიჩე რასპონის როლს.

საზოგადოდ ამ პიესას წარმატება ჰქონდა რუსთაველის სახელობის თეატრში და დიდხანსაც შერჩა რეპერტუარს. პიესა მშვენიერი ქართული ენით იყო ნათარგმნი გოგი ფრონისპირელის მიერ. რაც შეეხება ვაჟთა პერსონალს, უნდა ითქვას, რომ გიორგი საღარაძემ, სტეფანე ჯაფარიძემ, ლადო ადამიძემ და ალ. აფხაიძემ ბევრი პასუხსაგები როლი შეასრულეს რუსთაველის სახელობის თეატრში.

კოტე მარჯანიშვილს მთელი თავისი მძიმე მუშაობის დროს დიდად ეხმარებოდა დოდო ანთაძე. რაც რთული და დიდი დადგმები იყო, დოდო ანთაძე ხელმძღვანელობდა, და კოტეც, როგორც თავის თანაშემწეს ძალიან ენდობოდა მას. დოდომ რამდენიმე სეზონი იმუშავა კოტესთან და მალე მოჰკიდა ხელი პიესების დამოუკიდებლად დადგმას. პირველი პიესა, რომელიც დოდო ანთაძემ რუსთაველის სახელობის თეატრში დადგა, იყო შილერის „ვილჰელმ ტელი“. ვილჰელმ ტელს თამაშობდა შალვა ღამბაშიძე. პიესა მშვენივრად იყო დადგმული და საზოგადოებაზედაც კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. ამ პიესის დადგმის შემდეგ დოდო ანთაძე, როგორც რეჟისორი, მალე დაწინაურდა. მას კოტე მარჯანიშვილთან ერთად დიდი ღვაწლი მიუძღვის მეორე ქართული სახელმწიფო თეატრის ჩამოყალიბებაში. დოდოს დიდი ღვაწლი მიუძღვის აგრეთვე ქუთაისის სახელმწიფო თეატრის წინსვლა-განვითარებაში.

ამავე სეზონში რუსთაველის სახელობის თეატრში მუშაობდა ორი ნიჭიერი მხატვარი: ვალერიან სიდამონ-ერისთავი და ირაკლი გამრეკელი. სიდამონ ერისთავმა განახორციელა „მზის დაბნელება

საქართველოში“ ზ. ანტონოვისა, რამაც დიდი მოწონება დაიმსახურა როგორც საზოგადოებისა, ისე პრესისაც. რაც შეეხება ირაკლი გამრეკელს, როგორც თეატრალურ მხატვარს, ის რამდენიმე წლის განმავლობაში სული და გული იყო რუსთაველის სახელობის თეატრისა. ამ ნიჭიერმა მხატვარმა მრავალი დადგმა განახორციელა რუსთაველის სახელობის თეატრში. მისი გაფორმებით დაიდგა „ჰამლეტი“, „ანბორი“, „დეზერტირკა“. საზოგადოდ, ირაკლი გამრეკელმა დიდი ამაგი დასდო რუსთაველის სახელობის თეატრს.

თავი მერვე

დავით კობახიძე. პროლეტკულტის დასი. პიესა „რიჟრაჟის“ დადგმა. ალ. წუწუნავა — „წითელი თეატრის“ ხელმძღვანელი. დადგმა „ჯანყი გურიაში“. ჩემი მუშაობა „წითელ თეატრში“. კონსტანტინე ანდრონიკაშვილი. პიესა „გაჭირვების ტალკვესი“. „ყაჩაღების“ დადგმა. ბიძინა წულაძე. ალ. წუწუნავა — რეჟისორი.

1925 წელს, სეზონის დასასრულს თავი დავანებე რუსთაველის სახელობის თეატრს. ზაფხული ხონში გავატარე, სადაც ვხელმძღვანელობდი ადგილობრივ სცენისმოყვარეთა წრეს. შემოდგომაზე ჩავირიცხე „წითელი თეატრის“ დასში, სადაც დავიწყე მუშაობა, როგორც მსახიობმა. „წითელი თეატრის“ დამწყები იყო რეჟისორი დავით კობახიძე. დავით კობახიძე ხშირად ხელმძღვანელობდა ხოლმე პროვინციებში სცენისმოყვარეთა წრეებს. 1922 წლიდან დაიწყო პროლეტკულტის სტუდიაში მუშაობა. ამ სტუდიის მოსწავლეთაგან დავით კობახიძემ ჩამოაყალიბა დასი, რომელიც წინანდელ სახალხო სახლის დარბაზში, ამჟამად კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრის დარბაზში, მართავდა წარმოდგენებს. ამ დასმა პირველად დადგა პიესა „ცხვრის წყარო“ ლოპე დე ვეგასი, შემდეგ ვერჰარნის „რიჟრაჟი“, რომელშიც მოწაფეები იღებდნენ მონაწილეობას. მაგრამ დავით კობახიძის მიერ წამოწყებულმა საქმემ დიდხანს ვერ იარსება. ქალაქის საბჭოს დახმარებით და ალ. წუწუნავას ხელმძღვანელობით შეიქმნა პროფესიული დასი, რომელშიც მოწვეულნი იყვნენ პროლეტკულტის ყოფილი მოსწავლეები, რომელთაც სასცენო უნარი გამოიჩინეს.

1925-26 წლის ზამთრის სეზონში მოწვეული იყვნენ: ტასო აბაშიძე, ელისაბედ ბარათაშვილი, მერი ერგნელი, თამარ კიკნაძე, არეთა

ლოლუა, ანეტა ქიქოძე, ცეცილია წუწუნავა, ქეთევან ჭილაშვილი. ვაჟები: ნიკო გოცირიძე (რომელმაც მხოლოდ ერთ პიესაში მიიღო მონაწილეობა), ვასო არაბიძე, ნიკო გვარაძე, ტიტიკო გაგუა, მიხეილ გელოვანი, ივანე გვინჩიძე, გიორგი გორდაძე, ალექსი თავდგირიძე, ნიკო ილურიძე, ანატოლი კოსტავა, ალექსი ლოლუა, გაიოზ მელიავა, ვიქტორ სიხარულიძე, ალე ყიასაშვილი, ბიძინა წულაძე, არკადი ხინთიბიძე.

რეჟისორები: ალ. წუწუნავა, კოტე ანდრონიკაშვილი, მიხეილ ჭიაურელი.

თეატრს სათავეში ჩაუდგა ალ. წუწუნავა, რომელმაც სეზონი გახსნა 1925 წლის 22 ნოემბერს ჭიჭიკო გელეიშვილის მიერ ნინოშვილის მოთხრობიდან გადმოკეთებული პიესით „ჯანყი გურიაში". ეს პიესა პროლეტკულტის სტუდიის მოწაფეების ძალებით წინა სეზონში დიდი გემოვნებით დადგა ალ. წუწუნავამ და საზოგადოების მხურვალე გამოხმაურება ჰპოვა. ეს საინტერესო დადგმა „წითელი თეატრიდან" გადატანილ იქნა საოპერო თეატრის სცენაზე, რათა ფართო საზოგადოებას მისცემოდა მისი ნახვის საშუალება. ალ. წუწუნავამ ორიგინალურად და საინტერესოდ დადგა „წითელ თეატრში" „ჯანყი გურიაში". ალ. წუწუნავას სცენა და დარბაზი გაერთიანებული ჰქონდა. მოქმედი პირები დარბაზიდანაც შემოდიოდნენ სცენაზე. განსაკუთრებით მშვენიერი იყო მასობრივი სცენები. ყრილობის სცენა დიდ შთაბეჭდილებასა ჰქმნიდა. აი სწორედ ამიტომაც 1925-26 წლის სეზონი ამ პიესით გაიხსნა. ამ დადგმაში, მართალია, როლებს ახალგაზრდა მსახიობები ასრულებდნენ, მაგრამ ალ. წუწუნავას ხელმძღვანელობის და დიდი შრომის წყალობით, ეს ახალგაზრდები მშვენივრად თამაშობდნენ. ყველანი კარგები იყვნენ, მაგრამ გამოირჩეოდა თავისი ნიჭიერი შესრულებით კაკო ხინთიბიძე (ივანე), რომელმაც მიმზიდველი სახე შექმნა და საზოგადოების დიდი მოწონება დაიმსახურა. აგრეთვე კარგი იყო გაიოზ მელიავა (ბესია), რომელსაც როლი ძალიან მოუხდა, ალიოშა ლოლუა — გიორგი, ვანო გვინჩიძე — კოწია, თამარ კიკნაძე — მანანა, ცეცილია წუწუნავა — თავადის ცოლი, ტიტიკო გაგუა — სვიმონი. პიესას დიდი მოწონება ჰქონდა, მას აღტაცებით იღებდა „წითელი თეატრის" მაყურებელი. შემსრულებელი თითქმის ყველა ის იყო, ვისაც წინა სეზონში ჰქონდა ნათამაშევი; ზოგნი ახალი მონაწილენი

ვიყავით. მე ვიყავ ახალი შემსრულებელი, ვასახიერებდი პეტრია სალოსს.

ამ სეზონშიაც „ჯანყი გურიაში“ დადგმას დიდი წარმატება ხვდა, როგორც საუკეთესო სპექტაკლს. ჟურნალი „ხელოვნება“ (1924 წ. № 7) წერდა:

„ჯანყი გურიაში“ გამარჯვებულია მასების მოძრაობით. ეს პიესა „წითელ თეატრს“ უთითებს ნამდვილ გზისაკენ. რეჟისორ ა. წუწუნავას მუშაობა ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა. „ჯანყი გურიაში“ ნამდვილ ფსიქოლოგიურ დრამად არის გადაქცეული. აქ მთავარი გმირი მასაა, მოზღვავებული ხალხი, ბობოქარი და ფაფარაყრილი, რომელიც პირველი სიტყვიდან უკანასკნელამდე აქტიურია და მოქმედი. შეიძლება თამამად ითქვას, ქართულ რამპას ასეთი ცოცხალი მასა ჯერ არ უნახავს.

საუცხოოდ არის გამართული ყველა სალიანგო სცენები. გაზომილი და შეწონილია ყველა პაუზა, ინტონაცია! ეს დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს არამც თუ „წითელი თეატრის“, არამედ სხვა თეთეატრებისთვისაც“.

კარგი წარმოდგენა იყო ტრიფონ რამიშვილის სამმოქმედებიანი კომედია „გაპირვების ტალკვესი“, რომელიც აქტუალურ თემაზე იყო დაწერილი. იგი დიდი სიყვარულით დადგა კონსტანტინე ანდრონიკაშვილმა. ამ სპექტაკლისათვის მოწვეული იყო ნიკო გოცირიძე, რომელიც სომეხი ვაჭრის როლს თამაშობდა. მშვენივრად თამაშობდა აგრეთვე გაიოზ მელიავა ახალგაზრდა ყმაწვილს. ამავე სეზონში დაიდგა რომენ როლანის პიესა „ბასტილიის აღება“, რამაც დიდი გამოხმაურება ჰპოვა საზოგადოებაში. სრულიად ახალი მიზანსცენებით და ახალი დეკორაციებით დაიდგა შილერის ტრაგედია „ყაჩაღები“, რომელშიაც სულ ახალგაზრდა მსახიობები იღებდნენ მონაწილეობას. კარლოს თამაშობდა ბიძინა წულაძე, რომელიც გადმოვიდა რუსთაველის სახ. თეატრიდან. კარლოსს თამაშობდა აგრეთვე მორიგეობით შალვა ჩხეიძე. ფრანცს თამაშობდა ვიქტორ სიხარულიძე, მამას — ნიკო ილურიძე, შვეიცერს — ალე ყიასაშვილი. ეს ახალგაზრდების წარმოდგენა მეტად საინტერესო იყო. კარგი კარლოსი იყო ბიძინა წულაძე. მან საზოგადოების და თავისივე ამხანაგების მოწონება დაიმსახურა. შემდეგში ბიძინა წულაძე დაუბრუნდა რუსთაველის სახელობის თეატრს, სადაც გა-

ატარა თავისი არტისტული მოღვაწეობის საუკეთესო წლები. აგრეთვე მშვენიერი მსახიობი გახდა ნიკო ილურიძე, რომელმაც დიდი ამაგი დასდო ქართულ მოზარდ მაყურებელთა თეატრს. „წითელ თეატრიდან“ გამოვიდნენ ისეთი ნიჭიერი მსახიობები, როგორიც იყვნენ და დღესაც არიან: მერი ერგნელი, გოგუცა კუპრაშვილი, კაკო ხინთიბიძე და სხვანი. ამ სეზონში დასის გამგედ და ამასთანავე მორიგ რეჟისორად ითვლებოდა მიხეილ ჭიაურელი, რომელიც დროგამოშვებით დგამდა პიესებს. ამავე სეზონში ალ. წუწუნავას რეჟისორობით მშვენივრად დაიდგა ნინო ნაკაშიძის პიესა „ვინ არის დამნაშავე?“. მთავარ როლებს ასრულებდნენ: ცეცილია წუწუნავა — სალიხე, გაიოზ მელიავა — სიკო, ხინთიბიძე — ყარამანი, ა. ქიქოძე — ფატი, ვასო არაბიძე — ბაბუა. პიესის დადგმით, კიდევ და კიდევ დიდი რეჟისორული ნიჭი და უნარი გამოიჩინა ალ. წუწუნავამ. მასთან პირველად შეხვედრა მომიხდა ქ. ბათუმში 1906 წელს, სადაც ჩვენი დასი გასტროლებზე იყო და მთელი ზაფხულის განმავლობაში წარმოდგენებს მართავდა. ალ. წუწუნავა საზაფხულოდ იყო ბათუმში ჩამოსული მოსკოვიდან და ადგილობრივ სცენისმოყვარეთა დახმარებით წარმოდგენებს დგამდა. ალ. წუწუნავა 1906 წლიდან 1910 წლამდის მოსკოვში იმყოფებოდა და მეცადინეობდა სამხატვრო თეატრის სტუდიაში, იმავე დროს ამ თეატრის თანამშრომლად ითვლებოდა. ალ. წუწუნავამ დიდი გამოცდილება და რეჟისორული ცოდნა შეიძინა მოსკოვის სამხატვრო თეატრში ყოფნის დროს. ალ. წუწუნავა, პირველი პროფესიონალი რეჟისორი იყო საქართველოში და პირველმა მან ჩაუყარა მტკიცე საფუძველი სტანისლავსკის სისტემას საქართველოში. მართალია, ალ. წუწუნავამდის გვყავდა რეჟისორები, მაგრამ ისინი უფრო მსახიობ-რეჟისორები იყვნენ. ვალ. გუნია, ვალ. შალიკაშვილი, ვლ. მესხიშვილი, შალვა დადიანი კარგი რეჟისორები იყვნენ, მაგრამ ამავე დროს უმთავრესად აქტიორებიც იყვნენ. ვიმეორებ, ალ. წუწუნავა პირველი პროფესიონალი რეჟისორი იყო საქართველოში, რომელიც როგორც მსახიობი, სულ არ მუშაობდა და მხოლოდ პიესებსა დგამდა.

პირველი სეზონი, რომელიც ალ. წუწუნავამ გაატარა საქართველოში ეს იყო 1910-11 წლის სეზონი ჭიათურაში. დაიდგა პ. ირეთელის მიერ პიესად გადმოკეთებული „ქრისტინე“. ისე საინტერესოდ დადგა ალ. წუწუნავამ ეს პიესა, რომ საზოგადოების მოწონება

გამოიწვია და სეზონის განმავლობაში მრავალჯერ იქნა განმეორებული. ეს იმ დროს, როცა ქიათურაში თითო პიესის დადგმა მხოლოდ ერთხელ ხდებოდა ხოლმე. ალ. წუწუნავას რეჟისორულმა უნარმა და ნიჭმა პირველ სეზონშივე იჩინა თავი და ამიტომაც, შემდეგ სეზონში, 1911-12 წელს, ის მიწვეულ იქნა სახალხო სახლში, სადაც დიდხანს იმუშავა და სახალხო სახლის სცენისმოყვარეთა წრეს დიდი ამაგი დასდო. 1911-12-13 წლებში ალ. წუწუნავამ სახალხო სახლში დიდი გემოვნებით დადგა იოსებ გედევანიშვილის „მსხვერპლი“ და „გამცემი“, სუმბათაშვილის „ღალატი“, გოგოლის „რევიზორი“, რომელშიც მშვენივრად თამაშობდნენ: ილია ზურაბიშვილი — გოროდნიჩის და შალვა ხონელი — ხლესტაკოვს. ალ. წუწუნავას, როგორც რეჟისორის ღირსება ის იყო, რომ მასობრივი სცენების დადგმა მშვენივრად ეხერხებოდა. აიღეთ მაგალითად, ი. გედევანიშვილის „მსხვერპლი“. მართალია, აქტიორთა შესრულების მხრივ, პროფესიულ თეატრში „მსხვერპლი“ უკეთესი იყო, მაგრამ რაც შეეხება მასობრივ სცენებს, სიმართლე უნდა ითქვას, წუწუნავას, ბევრად უკეთესად ჰქონდა დადგმული.

იმ დროს წუწუნავას მიერ დადგმულ პიესებს, სახალხო სახლში თბილისის მთელი თეატრალური ინტელიგენცია ესწრებოდა ხოლმე.

მოვიყვანოთ ერთ-ერთი რეცენზია: 1911 წ. 8 დეკემბერი. „სახალხო გაზეთი“.

პიესა „ჩვენი ქვეყნის რაინდი“

(სოფლის გმირები).

პიესა კარგად იყო დადგმული. ყოველ წვრილმანს ემჩნეოდა მოსიყვარულე ხელი რეჟისორისა.

პედანტიზმი იქნება ბრსად არ იყოს ისეთი კარგი, როგორც თეატრში, სწორედ ეს პედანტიზმი აძლიერებდა შთაბეჭდილებას. არც ერთი წვრილმანი არ ყოფილა გამოტოვებული. რომელი სცენაც უნდა აგეღოთ, ყველგან აზრსა და საქმისადმი სიყვარულს დაინახავდით. ყველა ეს რეჟისორის ბ-ნ ალ. წუწუნავას ნიჭს უნდა მიეწეროს“.

რა საინტერესოდ ჰქონდა დადგმული ალ. წუწუნავას სუმბათაშვილის პიესა „ღალატი“, რომელშიც ზეინაბის როლს თამაშობდა სოფიო რომანიშვილი, ხოლო ოთარბეგს — ილია ზურაბიშვილი. აქაც, როგორც ყოველთვის ალ. წუწუნავას დადგმებში, ყოველ

წვრილმანს დათმობილი ჰქონდა დიდი ყურადღება. მშვენიერი იყო პიესის ფინალი. ალ. წუწუნავამ დადგა აგრეთვე „გამცემი“ ი. გედევანიშვილისა, „შეშლილები“ ტრ. რამიშვილისა. საზოგადოდ, ალ. წუწუნავა ყოველთვის დიდი ხალისით დგამდა ქართულ ორიგინალურ პიესებს. ტრ. რამიშვილის „მეზობლები“, მისივე „სტუმარმასპინძლობა“ ხშირად იდგმებოდა სახალხო სახლში წუწუნავას რეჟისორობით. მანვე დადგა ჩირიკოვის „ებრაელები“ რომელშიც მეც ვიყავ მიწვეული და ვთამაშობდი მთავარ როლს — ნახმანისას, ხოლო ლეიზერის როლს ასრულებდა სრულიად ახალგაზრდა მსახიობი გოგი ფრონისპირელი, რომელმაც სახალხო სახლში კარგახანს იმუშავა და დიდი ამაგი დასდო თავისი მუშაობით.

ალ. წუწუნავა ერთი სეზონი ქ. როსტოვშიც — რუსულ დრამაში მუშაობდა, როგორც მთავარი რეჟისორი და თეატრის ხელმძღვანელი. მან ბრწყინვალედ ჩაატარა მთელი სეზონი და ადგილობრივი პრესის მოწონება და საზოგადოების სიყვარული დაიმსახურა.

ალ. წუწუნავას, როგორც რეჟისორს, დიდი ღვაწლი და დამსახურება მიუძღვის, აგრეთვე ქართული საოპერო ხელოვნების აყვავებაგანვითარებაში. ალ. წუწუნავა პირველი ქართველი რეჟისორი იყო, რომელმაც დიდი სიყვარულით მოჰკიდა ხელი და დადგა ქართული ოპერები: „ქრისტინე“, „ლეილა“, „აბესალომ და ეთერი“, „ქეთო და კოტე“ და „დარეჯან ცბიერი“.

წუწუნავამ პირველად დადგა ქართულად რუბინშტეინის „დემონი“. დემონს მღეროდა სანდრო ინაშვილი. აგრეთვე პირველად დადგა ოპერა „ლალატი“ იპოლიტოვ-ივანოვისა.

თავი მეცხრე

ქართველი სცენისმოყვარეები. ნიკო გოცირიძე — სახალხო სახლის მსახიობი და მის მიერ შესრულებული როლები. მიხეილ ჭიაურელის პირველი დადგმა „ჭირვეული ცოლის მორჯულება". გაიოზ მელიავა. კაკო ხინთიბიძე. მიხეილ ჭიაურელი — დრამის აქტიორი. მიხეილ ჭიაურელი კინორეჟისორი

„წითელი თეატრი" თითქმის გაგრძელება იყო სახალხო სახლისა. სახალხო სახლში დაბინავდა „პროლეტკულტის" სტუდია. ამ სახლს ეწოდა „წითელი თეატრი". სცენისმოყვარეთა მუშაობა იქ 1924 წლიდან შეწყდა და დროგამოშვებით „პროლეტკულტის" სტუდია მართავდა წარმოდგენებს. 1925 26 წლის სეზონიდან უკვე პროფესიული დასი შეადგინა ქალაქის საბჭომ. მსახიობები მოწვეული იყვნენ მთელი სეზონით, მაშინ „წითელ თეატრში" წლიური დასი არ არსებობდა. ყოველი სექტემბრიდან ხელმძღვანელობა იცვლებოდა. სახალხო სახლის სცენისმოყვარეთა უმეტესობა, გადავიდა სანკულტურის თეატრში, რომელიც ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის ხელშეწყობით ჩამოაყალიბა ვიქტორ ნინიძემ და სათავეშიც თვით ჩაუდგა. ვიქტორ ნინიძესთან დიდხანს მუშაობდნენ ყოფილი სახალხო სახლის მუდმივი მოღვაწენი, რომელთაც ორი ათეული წელი გაატარეს სახალხო სახლში. ესენი იყვნენ: სონა ანკარა, გრიგოლ ძნელაძე, ალექსანდრე შანშიაშვილი, ელისაბედ ბარათაშვილი, ლექსო მეტრეველი, ვასო კევლიშვილი. რაც შეეხება ნიკო გოცირიძეს, მან თითქმის ოცდაათი წელიწადი დაჰყო სახალხო სახლში, როგორც ერთ-ერთმა ფუძემდებელმა საქართველოში, სახალხო წარმოდგენებისა. ქართველ სცენისმოყვარეებს საერთოდ დიდი დამსახურება მიუძღვით ქართული თეატრის აღორძინების

საქმეში, ყველგან, საქართველოში და განსაკუთრებით თბილისში. თბილისის სცენისმოყვარეები, ბავშვობიდანვე მახსოვს. ანჩისხატის უბანში, სოლოლაკში, ავლაბარში უფასო წარმოდგენებს მართავდნენ კერძო სახლებში და ხალხს, ასე თუ ისე, თეატრალურ ხელოვნებასთან აახლოვებდნენ. ავჭალის ქუჩაზე, საჩაიეს დარბაზი თეატრად გადააკეთეს ქართველმა სცენისმოყვარეებმა და იაფფასიანი წარმოდგენების მართვა დაიწყეს მუშებისათვის. ეს სცენისმოყვარეები იყვნენ: ნიკო გოცირიძე, სოფიო რომანიშვილი, მარიამ დემურია (რომელიც სცენაზე არ თამაშობდა), იოსებ იმედაშვილი, გიორგი ჯაბაური, დათიკო მშველიძე, მიშა თუშმალიშვილი, კოტე ხახანაშვილი და მრავალი სხვანი. მუშათა თეატრის აღორძინების საქმეში ნიკო გოცირიძის ღვაწლი ფასდაუდებელია. ეს იყო მეტად ნიჭიერი მსახიობი, რომელსაც სრულიად თამამად შეეძლო პროფესიულ დასში ემუშავა. მახსოვს, რამდენჯერმე სთხოვა მას ლადო მესხიშვილმა, თავი დაენებებინა თბილისისათვის და ქუთაისში გაჰყოლოდა სამუშაოდ, როგორც პროფესიული მსახიობი. ნიკო ყოველთვის უარს ეუბნებოდა ლადოს ქუთაისში წასვლაზე და ასე უპასუხებდა: მე შენი დიდი ხათრი მაქვს, ლადოჯან, მაგრამ მუშათა თეატრს თავს ვერ დავანებებო. მართლაც ნიკოს გადაწყვეტილება მტკიცე იყო. ბოლოს, როცა მუშათა თეატრმა თავისი ისტორიული როლი შეასრულა და მისი არსებობა უკვე ზედმეტი შეიქნა, ნიკო გადავიდა რუსთაველის თეატრში, როგორც უკვე დამსახურებული და სახელმოხვეჭილი არტისტი. ეს იყო 1922 წელს.

ნიკო გოცირიძე, მსახიობი მახსოვს ჯერ კიდევ ავჭალის აუდიტორიიდან, სადაც ბავშვობისას ხშირად ვესწრებოდი ხოლმე წარმოდგენებს. იგი ავჭალის აუდიტორიის საყვარელ მსახიობად ითვლებოდა. შემდეგ, ნიკო მახსოვს სახალხო სახლში. არც ერთი საკითხი არ გადაწყდებოდა გამგეობაში, რომ ნიკოს დასტური არა ჰქონოდათ. იშვიათად იდგმებოდა სახალხო სახლში ისეთი პიესა, რომ ნიკოს მთავარი როლი არ ეთამაშნა. თუ ჩვენთან ქართულ თეატრში ვასო აბაშიძეს ჰქონდა ბრწყინვალე წარმატება კომიკურ როლებში, სახალხო სახლში ნიკო გოცირიძე უყვარდა მაყურებელს და ყოველ მის გამოსვლას სცენაზე სიცილ-ხარხარითა და ტაშისკვრით ხვდებოდა. ნიკო გოცირიძე, როგორც არტისტი,

მემკვიდრე იყო დიდებული ვასო აბაშიძისა. თუ ვისმეს შეეძლო ნიჭიერად განესახიერებინა ძველი თბილისის ვაჭრები და მოქალაქეები, ვასო აბაშიძის შემდეგ, ეს მხოლოდ და მხოლოდ ნიკო გოცირიძეს შეეძლო. ნიკო გოცირიძეს, ნიჭიერებასთან ერთად, დიდი სერიოზულობა და ბეჯითობაც ახასიათებდა. მას უყვარდა დინჯი, მოფიქრებული მუშაობა. ამიტომაც არის, რომ მის მიერ განსახიერებულ როლებს უფრო ახასიათებდა დეტალები და ნიუანსები. თეატრალურ წრეებში ისეთი აზრი იყო გავრცელებული, თითქოს ნიკო გოცირიძე, როგორც კომიკური მსახიობი, ვასო აბაშიძის მიმბაძველი იყო ყველა როლებში. ეს შეხედულება სრულიად შემცდარია. მე რომ მკითხოთ, მათ როგორც მსახიობთ, საერთო ბრაფერი ჰქონდათ, გარდა ერთი და იგივე რეპერტუარისა. როლების განსახიერებაში დიდათ განსხვავდებოდნენ ერთიმეორისაგან.

მაგალითად, მოვიყვან საქოს როლს იოსებ გედევანიშვილის პიესიდან „მსხვერპლი". მიკიტან საქოს როლს, ჩვენთან, ქართულ თეატრში, ყოველთვის ვასო აბაშიძე თამაშობდა. სახალხო სახლში ამავე როლს, ალ. წუწუნავას დადგმით, მუდამ ნიკო გოცირიძე ასახიერებდა. საქოს როლში ორივე ხშირად მინახავს და მათთანაც ერთად ხშირად მითამაშნია. ვასო აბაშიძე საქოს როლში უფრო მოძრავი და მლიქვნელი მიკიტანი იყო. ნიკო კი, პირიქით, უფრო მოხუც, დარბაისელ სირაჯს თამაშობდა, რომელიც სოფლის წურბელა იყო. ასევე ითქმის შმაგაზე პიესიდან „უდანაშაულოდ დამნაშავენი". ამ როლის თამაშიც ხშირად უხდებოდათ ვასოსა და ნიკოს და ორივე სულ სხვადასხვა გვარად ასახიერებდა. რაღა თქმა უნდა, ნიკო, როგორც მსახიობი, ფართო საზოგადოებაში უფრო პოპულარული შეიქნა მას შემდეგ, რაც რუსთაველის სახელობის თეატრში დაიწყო მუშაობა. ნიკოს უფრო მეტი დრო და საშუალება მიეცა, რათა თავის თავზე ემუშავნა. ნიკომ რუსთაველის სახელობის თეატრში თავისი რეპერტუარი გაამდიდრა მშვენიერი როლებით: ჟურდენი—„გააზნაურებული მდაბიოში", მოხუცი ბეგონი—„გმირი", გეურქა—„მზის დაბნელება საქართველოში", სამართლის დოქტორი—„ინტერესთა თამაშში", მიკირტუმა — „გაყრაში".

„წითელ თეატრში" 1925-26 წლის სეზონი მეტად ნაყოფიერი აღმოჩნდა ახალგაზრდა. კადრების მომზადება-დაწინაურებაში. სეზონში საინტერესო სპექტაკლი იყო „ჟირვეული ცოლის მორჯუ-

ლება“ შექსპირისა, თარგმანი კოტე მესხისა, რომელიც დადგა მიხეილ ჭიაურელმა. მიხეილ ჭიაურელი, როგორც რეჟისორი, მაშინ იდგამდა ფეხს და თუ არა ვცდები, ეს პირველი დადგმა იყო მისი. კატირინას როლს თამაშობდა ჩვენი ცნობილი მსახიობი ტასო აბაშიძე, რომელიც ჩვენთან ერთად მუშაობდა „წითელ თეატრის“ დასში, პეტრუჩიოს ასრულებდა მიხეილ გელოვანი, გორტენზიოს და გრემიოს ასახიერებდნენ ახალგაზრდა მსახიობნი: გორტენზიოს — გაიოზ მელიავა, ხოლო გრემიოს—ალიოშა ლოლუა. მე ვთამაშობდი გრუმიოს პეტრუჩიოს მხლებელს. ეს პიესა კარგად იყო დადგმული და წარმატებაც ჰქონდა. მიხეილ ჭიაურელმა სასცენო მოღვაწეობა ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ დაიწყო სწორედ სახალხო სახლში. იგი სახელოსნო სასწავლებლის მოწაფე იყო, როცა მონაწილეობდა სახალხო სახლში სცენისმოყვარეთა მიერ გამართულ წარმოდგენებში. მშვენივრად თამაშობდა ახალგაზრდა გლეხის ბიჭებს. „მსხვერპლში“ მიხას თამაშობდა ხოლმე, რომელსაც ჩვენს თეატრში მე ვთამაშობდი. შემდეგ ჭიაურელი მიწვეული იყო ჯაბადარის სტუდიაში. სტუდიის სპექტაკლი 1918 წელს დაიდგა ოპერის თეატრში, ეს იყო პიესა „სარწმუნოება“, სადაც ჭიაურელი მთავარ როლს ასრულებდა. 1916-17 წლის სეზონში, ჭიაურელი მიიწვიეს ქუთაისის დრამატულ დასში, მიხეილ ქორელთან, სადაც წარმატებით მოღვაწეობდა. ამ სეზონში მშვენივრად შეასრულა ბარათაშვილის როლი ნიკო შიუკაშვილის პიესაში „სულელი“, რომელიც პირველად ქუთაისში დადგა მიხეილ ქორელმა. ბარათაშვილის როლმა ჭიაურელს დიდი წარმატება მოუპოვა. იგივე პიესა დაიდგა თბილისში ოპერის თეატრში და აქაც ჭიაურელი ასრულებდა ბარათაშვილის როლს. როლი მას მშვენივრად ჰქონდა დამუშავებული. შემდეგში, ჭიაურელი მთავარ როლს ასრულებდა „ბერდო-ზმანიაში“, რომელიც რუსთაველის სახელობის თეატრში დაიდგა. თამაშობდა აგრეთვე გ. ერისთავის პიესაში „დავა“ ბეგლარის როლს. აფთიაქარ ჭარხალაძის როლს „აღლუმში“. ჭიაურელმა ქართულ სცენაზე კარგახანს იმუშავა, ჯერ როგორც მსახიობმა და შემდეგში, როგორც რეჟისორმა. საზოგადოდ, მეტად მრავალმხრივი ნიჭი გამოამჟღავნა მან. რა არ იყო ჭიაურელი! ქართული თეატრის ნიჭიერი მსახიობი, დრამატული თეატრის რეჟისორი, მშვენიერი მოქანდაკე და შესანიშნავი კარიკატურისტი. ბევრს

ახსოვს მისი კარიკატურები ჩვენი მოღვაწეების შესახებ „სახალხო ფურცლის“ დამატებებში. ბოლოს ჭიაურელმა საფუძვლიანად მოჰკიდა ხელი რეჟისორობას და აგრეთვე კინომსახიობობას. რა კარგი იყო დურმიშხანი „სურამის ციხეში“, რომელიც ბეკ-ნაზაროვმა დადგა, აგრეთვე აკოფი „ხანუმაში“, რომელიც ალ. წუწუნავამ დადგა და მაყურებლის დიდი გამოხმაურება პოვა. შემდეგში ჭიაურელმა მსახიობობას თავი მიანება და მხოლოდ კინორეჟისორობას ეწევა. პირველი სურათი, რომელიც მან დამოუკიდებლად დადგა, იყო „საბა“ ტრამვაელების ყოფაცხოვრებიდან.

თავი მეათე

ტასო აბაშიძე სადებიუტო წარმოდგენაში. მისი მოღვაწეობა ქართულ სცენაზე. „ფული და ხარისხის“ პირველი დადგმა. ტასო აბაშიძე კარმენის როლში. ტასო აბაშიძის სასცენო მოღვაწეობის ოცდახუთი წლის იუბილე რუსთაველის სახელობის თეატრში.

ამავე სეზონში, ჩვენთან მოღვაწეობდა ნიჭიერი მსახიობი ტასო აბაშიძე, რომელიც რუსთაველის თეატრიდან „წითელ თეატრში“ გადმოვიდა, რა თქმა უნდა, ტასო აბაშიძის გადმოსვლა „წითელ თეატრში“ დიდად გასახარელი და თეატრისათვის დიდად სასარგებლო საქმე იყო. ტასო აბაშიძე შვილია ისეთი დიდათნიჭიერი მსახიობებისა, როგორიც იყვნენ ვასო აბაშიძე და მაკო საფაროვა-აბაშიძისა. აი მსახიობი ქალი, რომელიც თეატრში დაიბადა და თეატრშივე აღიზარდა. ერთ-ერთი წარმოდგენის დროს, რომელშიაც მაკო საფაროვ-აბაშიძისა მთავარ როლს ასრულებდა, იგი სცენაზე უქეიფოდ შეიქნა, როლი როგორც იყო დაამთავრა, შინ წაიყვანეს. არ გასულა დიდი ხანი, რომ ეყოლა ქალი, რომელსაც მშობლებმა ტასო დაარქვეს. ტასო აბაშიძე, მართლაც რომ თეატრშია აღზრდილი. მოწაფეობის დროსაც კი, პატარა ტასო, ყოველთვის ან კულისებში იყო, ან თეატრის დარბაზში. მართალია, ბავშვობისას მშობლები ტასოს სცენაზე არ ათამაშებდნენ, მაგრამ სცენისათვის კი უსათუოდ ამზადებდნენ. იმ დროს თბილისში, თეატრალური სტუდიები არ არსებობდა, მაგრამ მშობლები ყოველმხრივ ცდილობდნენ, რომ სცენისათვის მოემზადებინათ ტასო. შვილს კარგი განათლება მისცეს: დაამთავრებინეს ქალთა გიმნაზია, ასწავლეს მუსიკა, გალობა, ცეკვა, რაც მსახიობისათვის ეგზომ საჭირო და აუცილებელია. მშობლების სურვილი იყო, ტასო ქართული თეატრის

მსახიობი გამხდარიყო, და ნატვრა აუსრულდათ: მათი საყვარელი შვილი ტასო ხალხის საყვარელი მსახიობი გახდა. როცა 1899—1900 წლის სეზონში, 21 ოქტომბერს, გამოცხადდა, დღეს ქართულ თეატრში, ტასო აბაშიძის სადებიუტო წარმოდგენა გაიმართებაო, მთელმა ქართველმა საზოგადოებამ მოიყარა თავი ქართულ თეატრში. დიდი ინტერესით მოელოდნენ ტასო აბაშიძის გამოსვლას სცენაზე. პირველად იდგმებოდა ცნობილი დრამატურგის—ნატალია აზიანის კომედია: „ფული და ხარისხი". ტასო აბაშიძე თამაშობდა ახალგაზრდა ფუქსავატი ქალიშვილის მაშოს როლს, რომელსაც ერთად-ერთი მიზანი აქვს, რაც შეიძლება მალე გათხოვდეს და უდარდელად იცხოვროს. ქართული თეატრის დარბაზი გაჭედილია ხალხით. ბილეთი აღარ იშოვება. აუარებელი ხალხი რჩება თეატრის გარეთ. ყველას აინტერესებს, თუ რა ნიჭსა და უნარს გამოიჩენს ისეთი დედ-მამის შვილი, როგორიც არიან ვასო აბაშიძე და მაკო საფაროვ-აბაშიძისა. იწყება წარმოდგენა. ყველა მოუთმენლად მოელის ტასოს გამოჩენას სცენაზე, მაგრამ პირველი მოქმედება ისე თავდება, რომ ტასო სცენაზე არ ჩნდება, ტასო თავის როლს მეორე მოქმედებიდან იწყებს. ანტრაქტში, თეატრის დარბაზსა და ფოიეში, დამსწრე საზოგადოება მხოლოდ ტასოზე ლაპარაკობს. დაირეკა მესამე ზარი, დარბაზში სინათლე ჩააქრეს, აიხადა ფარდა და არ გასულა დიდი ხანი, რომ სცენაზე შემოვარდა ახალგაზრდა, ცქრიალა გოგონა, შემოვარდა და თან სიცოცხლე და ახალგაზრდული აღტაცება, სიხარული შემოიტანა... მთელი დარბაზი ტაშისცემით შეხვდა მას, ისეთი ოვაციით, რომ გეგონებოდათ, ეს ახალგაზრდა მსახიობის პირველი გამოსვლა კი არა, ვინმე გამოჩენილი მსახიობის საგასტროლო წარმოდგენაო. ყვავილები, გვირგვინები... საზოგადოების აღტაცებას დასასრული არა აქვს.

ტასო აბაშიძე, ჩვენს მსახიობთა მეორე თაობაში პირველი მსახიობია, რომელმაც სცენაზე გამოსვლის პირველ დღიდანვე დაიკავა თეატრში წამყვანი მსახიობის მდგომარეობა. ამ საღამოს შემდეგ ტასო აბაშიძე მთელ საქართველოში განთქმული მსახიობი გახდა. მართლაც, იგი ქართული სცენის თვალმარგალიტი იყო. მთელმა მისმა სასცენო მოღვაწეობამ ჩემს თვალწინ გაიარა. სწორედ ტასოზე ითქმის, ვისაც ჩემი ახალგაზრდობა არ უნახავს, ჩემი სიბერე ნუ აჩვენოსო. მართალია ჩვენი პლეადის მსახიობები, ბევრნი ძლი-

ერები იყვნენ, მაგრამ ზოგიერთებს ნიჭიერებასთან სიზარმაცე და დაუდევრობაც ახლდათ. ტასო კი, მათში ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი მუყაითობით და შრომისმოყვარეობით. ტასოს როლი რომ არ სცოდნოდა, ან როლი ზედმიწევნით მომზადებული არ ჰქონოდა, ისე სცენაზე არ გამოვიდოდა, ტასოსათვის მოკარნახე არ არსებობდა.

ტასო, რა თქმა უნდა, უთუოდ კომედიის მსახიობი იყო და შესანიშნავ სახეებსაც ჰქმნიდა. განსაკუთრებით მშვენივრად თამაშობდა ბიჭების როლებს. საკმარისია დავასახელოთ მის მიერ განსახიერებული ბიჭის როლი—ფან-ფანი ფრანგულ მელოდრამაში „ორი ჯიბგირი". რა მოხდენილად, რა გატაცებით თამაშობდა ქუჩის ბიჭს. დამსწრე საზოგადოება აღტაცებაში მოჰყავდა. ანდა, „პარიზელ ბიჭში", თვითონ პარიზელ ბიჭს—ჟოზეფს. რამდენი უბრალოება, გულწრფელობა ჰქონდა ტასოს ამ როლის შესრულებაში. პატარა ცელქი ბიჭების და ახალგაზრდა ცქრიალა გოგონების როლების შესრულებაში ტასოს ბადალი არავინ იყო ქართულ თეატრში. 30 წლის განმავლობაში ტასო აბაშიძეს თავისი ნიჭიერებით აღტაცებაში მოჰყავდა ქართული საზოგადოება.

პირველი სეზონის დამთავრებისთანავე, ტასო აბაშიძე ვლ. ალექსი-მესხიშვილმა მიიწვია ქუთაისის დრამატულ დასში, სადაც ერთი სეზონის განმავლობაში მუშაობდა. მან ტასოს შეურჩია განსაკუთრებული რეპერტუარი, რათა ახალგაზრდა მსახიობს საშუალება მისცემოდა თავი ესახელებინა. ბევრს ახსოვს ტასო აბაშიძე „ღლუმში"—ნუცას როლში, ანდა თამარის როლში, ვალ. გუნიას კომედიაში „რაც არ მერგება, არ შემერგება". რა მშვენივრად თამაშობდნენ მამა და შვილი (ვასო და ტასო), პირველი მოხუც პორუჩიკს ამიზაურს, რომელსაც სურს ცოლად შეირთოს ახალგაზრდა ქალი, მეორე ახალგაზრდა გოგონას, რომელიც დასცინის და მასხარად იგდებს მოხუცი პორუჩიკის მიერ სიყვარულის გამოცხადებას. რა სიცილ-ხარხარს იწვევდა საზოგადოებაში მათი შესანიშნავი თამაში. ხშირად მამა და შვილი კომედიებში და ვოდევილებში ერთად თამაშობდნენ. ნათლად მახსოვს მათ მიერ ნათამაშევი ვოდევილი „მშვენიერი ელენეს მაძიებელნი". ვასო აბაშიძე ანტრეპრენიორ მახახაშვილის როლში, ტასო—ახალგაზრდა მსახიობის ვარდოს როლში. მამა და შვილი სრულიად უბრალო და უშინაარსო ვოდევილს

სულს ჩაუდგამდნენ და ხელოვნების შედევრებსა ქმნიდნენ. განა რომელიმე ქართველ თეატრალს, ვისაც კი ტასო ახალგაზრდობაში უნახავს, დაავიწყდება ტასოს მიერ განსახიერებული მოსამსახურე გოგოები მოლიერის კომედიებში „ეკვით ავადმყოფი“, „ქმართა სკოლა“, „ტარტიუფი“. შესანიშნავი იყო ტასო აბაშიძე, აგრეთვე როგორც ოპერეტის არტისტი. დიდი წარმატებით თამაშობდა და მღეროდა ოპერეტებში: „რაინდი უშიშარი და უებარი“, „მეჯლისი იტალიელებთან“, „მომღერალი ჩიტები“, „პერიკოლა“, „მასკოტა“ (ნატვრის თვალი). რა მშვენიერი ხმა ჰქონდა ტასოს, რა მუსიკალობა! ტასო აბაშიძე იმდენად მუსიკალური იყო, რომ როდესაც ჯერ კიდევ ქართული ოპერები არ გვქონდა და მხოლოდ ნიკო ქართველიშვილის მეოხებით იდგმებოდა სცენისმოყვარეების მიერ ქართულ ენაზე ნათარგმნი ოპერები, ტასოს შესთავაზეს კარმენის პარტია ოპერა „კარმენში“ და დიდი წარმატებითაც შეასრულა ის. ტასო აბაშიძე იმდენად ნიჭიერი იყო, რომ დრამატულ როლებსაც ხშირად ასრულებდა. მშვენივრად თამაშობდა ლუიზას როლს პიესაში „ორი ობოლი“, ოლ-ოლის როლს პიესაში „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“, როზის—„პეპელათა ბრძოლაში“, ოფელიას—„ჰამლეტში“.

„ივერია“ წერდა (11 დეკემბერი 1889 წ.):

„სხვა მსახიობთა შორის, განსაკუთრებით ყურადღება მიიქცია ახალგაზრდა არტისტმა ქალმა ან. აბაშიძემ, რომელმაც მეტად მოხდენილად შეასრულა ოფელიას როლი და თავისი მშვენიერი სიმღერით, ისეთ აღტაცებაში მოიყვანა საზოგადოება, რომ რამდენჯერმე გულმხურვალე ტაშისცემით იქნა დაჯილდოებული და გამოწვეული“.

ტასოსათვის ამპლუა არ არსებობდა: თუ როლი ახალგაზრდისა იყო, ბიჭის როლი იქნებოდა ის, თუ ახალგაზრდა გოგონასი, არ გაუჭირდებოდა. მშვენივრად თამაშობდა კატრინს—„მადამ სანჟენში“, ავთანდილს—„სინათლეში“. იშვიათად იდგმებოდა ისეთი პიესა, რომ ტასოს როლი არ ჰქონოდა და პიესაში მონაწილეობა არ მიეღო. ყველა რეჟისორი იმას ცდილობდა, რომ მის დადგმაში, ტასოს უსათუოდ მიეღო მონაწილეობა. თვითონ ტასოც დაუზარებელი მსახიობი იყო. დიდი ამაგი დასდო ქართულ სცენას ტასო აბაშიძემ. იგი ყოველთვის საყვარელი არტისტი იყო ქართველი ხალხისა, სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ მადლიერმა ერმა ტასოს 1924

წელს 10 თებერვალს, შესანიშნავი იუბილე გადაუხადა რუსთაველის სახელობის თეატრში. მაშინ დასის ხელმძღვანელი და მთავარი რეჟისორი, რუსთაველის თეატრში კოტე მარჯანიშვილი იყო. ტასოს იუბილესთვის განსაკუთრებით მოამზადა კოტემ ოდრანის ოპერეტა „მასკოტა“ (ნატვრის თვალი), რომელშიც იუბილარი მღეროდა ბეტინას, ხოლო პიპოს—აკაკი ვასაძე. ეს ოპერეტა მშვენივრად იყო დადგმული და დიდი წარმატებაც ხვდა. ოპერეტასთან ერთად დაიდგა „პარიზელი ბიჭი“, რომელშიც მონაწილეობდნენ ტასოს მშობლები და შალვა დადიანი. საქართველოს ყველა თეატრმა მიიღო მონაწილეობა ტასოს იუბილეში. მთავრობამ ტასო აბაშიძე დააჯილდოვა საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის წოდებით.

გაზ. „კომუნისტი“ (12 თებერვალი, 1924 წ.) წერდა: 10 თებერვალს, ჩვენმა ხალხმა ღირსეულად იდღესასწაულა ტასო აბაშიძის მოღვაწეობა ქართულ სცენაზე 25 წლის განმავლობაში. ეს იყო გაგრძელება იმ საუცხოო ეპოპეისა, რომელიც იქმნებოდა აბაშიძეანთ ოჯახით, ქართულ თეატრის ცხოვრებაში... ხალხის გულწრფელმა დაფასებამ და სიყვარულმა, საზეიმო სილამაზით იფეთქა ამ საგანგებო დღესაც. რუსთაველის სახელობის თეატრი ბევრად პატარა გამოდგა იმ ზღვა ხალხისათვის, რომელიც სტიქიასავით მოაწყდა იმ საღამოს, საყვარელი ადამიანის პატივსაცემად. 9 საათზე დაიწყო წარმოდგენა. მიდის „პარიზელი ბიჭი“. იუბილარი ასრულებს თავის სანიმუშო როლს—ჟოზეფისას. აქვე იღებდნენ მონაწილეობას მისი სახელოვანი მშობლები—მაკო საფაროვ-აბაშიძისა და ვასო აბაშიძე. ყველა მათგანის გამოსვლა სცენაზე უსაზღვრო აღტაცებას და ტაშის ცემას იწვევს. ტასოს დანახვას თან მოსდევს ყვავილებისა და გვირგვინების წვიმა. შემდეგ დადგმულ იქნა ოპერეტა „მასკოტა“. აქაც იუბილარმა თავისებური სიცოცხლით და სიცელქით ჩაატარა ბეტინას როლი. ყველა მონაწილე მსახიობი, საკადრისად უმშვენებდა მხარს იუბილარს. მესამე ნაწილი კი წარმოადგენდა ზეიმს. სცენა სავსეა მომლოცველებით. მარჯვნივ კი იშვიათ ყვავილთა შორის მაღალი ესტრადაა. იქ ელოდება სამი ტახტრევანი. ყველამ იცის ვისაც. და აგერ გამოჩნდნენ ისინიც.

მოხუც მშობლებს, შემოჰყავთ შვილი. შეიძლება ითქვას: თეატრის მშობლებს, თეატრის შვილი. რას განიცდიდა იმათი გული. რ მღელვარებას“.

თავი მეთერთმეტე

მიხეილ ქორელი „წითელ თეატრში". პიესა „პარიზის" დადგმა. მიხეილ ჭიაურელის დადგმა „რაც გინახავს, ველარ ნახავ". მუსიკალურ კომედიის თეატრის დარსება. კინოსურათი „იბრაგიმ და გოდერძის" დადგმა. ჩვენი მუშაობა ბელაქანში. შაქრო ბერიშვილი კინორეჟისორი. ლადო კავსაძე კინოაქტიორი.

1925-26 წლის სეზონი „წითელ თეატრში" კარგად დამთავრდა. ახალგაზრდა მსახიობებმა, ამხანაგობა შეადგინეს და სამოგზაუროდ წავიდნენ. შემდეგ 26-27 წლის სეზონში „წითელ თეატრში რეჟისორებად მოწვეულ იყვნენ მიხეილ ქორელი და მიხეილ ჭიაურელი, რომელნიც მთელი სეზონის განმავლობაში მუშაობდნენ. მიხეილ ქორელმა დადგა პიესა „პარიზი", რომელსაც დიდი წარმატება ხვდა. უფრო მეტი წარმატება ხვდა და საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია მიხეილ ჭიაურელის დადგმამ, „რაც გინახავს, ველარ ნახავ", რომელიც გათამაშებული იყო, როგორც ოპერეტა. პიესა გადაამუშავა ნიკოლოზ ჩაჩავამ. ეს პირველი ცდა იყო ქართული ოპერეტისა. მიხეილ ჭიაურელმა დიდი რეჟისორული უნარი გამოიჩინა ამ პიესის დადგმით. მშვენიერი იყო სცენა ბატონთან. შემდეგში მიხეილ ჭიაურელმა მის მიერვე დაარსებულ მუსიკალური კომედიის თეატრში დადგა მოლიერის „სკაპენის ოინები". საზოგადოდ ჭიაურელს კომედიების და ოპერეტების დადგმა მეტად ეხერხებოდა. ამიტომაც იყო, რომ შემდეგ სცენისმოყვარეთა ჯგუფიდან ჭიაურელმა შექმნა იმისთანა საინტერესო თეატრი, როგორიც არის დღეს ვასო აბაშიძის სახელობის ქართული მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრი. მან მთელ საქართველოში გაითქვა სახელი და მაყურებლის სიყვარული და პატივისცემა მოიპოვა. ამ

თეატრის კოლექტივის დაუღალავმა შრომამ და საქმის სიყვარულმა თეატრი მკვიდრ ნიადაგზე დააყენა.

1926-27 წლის ზამთრის სეზონში, თეატრში არ ვმუშაობდი. სექტემბრიდან კინორეჟისორმა შაქრო ბერიშვილმა ხელი მოჰკიდა კინოსურათ „იბრაგიმ და გოდერძის“ დადგმას. შაქრო ბერიშვილი მაშინ უკვე ცნობილი იყო როგორც ნიჭიერი რეჟისორი. მართალია, მაშინ კინომრეწველობაში მუშაობდნენ კარგი და გამოცდილი რეჟისორები: პერესტიანი, რომელმაც დადგა „სამი სიცოცხლე“ და მაშინდელი მაყურებლის დიდი მოწონება და აღტაცება გამოიწვია, ბეკ-ნაზაროვი, რომელმაც მშვენივრად დადგა „სურამის ციხე“ და „მამის მკვლელი“, ბარსკი, რომელმაც ბევრი კარგი სურათი დადგა, მათ შორის „არსენა“ (პირველი დადგმა), მაგრამ შაქრო ბერიშვილს, მარჯვე და ნიჭიერ რეჟისორს, კინომრეწველობის დირექცია ანგარიშს უწევდა და მნიშვნელოვან სურათებს შესთავაზებდა ხოლმე დასადგმელად. შაქრო ბერიშვილმა სასცენო მოღვაწეობა ჯერ კიდევ ახალგაზრდამ დაიწყო აქტიორობით ქართულ დასში, 1906 წელს. მაგრამ მსახიობობას მალე გაანება თავი და რეჟისორობას მოჰკიდა ხელი. ჯერ კიდევ ახალგაზრდა რეჟისორი ნაძალადევის სცენისმოყვარეთა წრეს ხელმძღვანელობდა, სადაც კარგი გამოცდილება შეიძინა. შემდეგ პეტერბურგის ოპერეტაში იყო, სადაც რამდენიმე სეზონი დაჰყო და ბოლოს რუსთაველის თეატრში მუშაობდა. სწორედ 1920 წელს ვლ. მესხიშვილის მიერ დაწყებული დადგმა „მარიამ მაგდალინელი“ ლადოს გარდაცვალების გამო, შაქრო ბერიშვილმა განახორციელა. შაქრო ბერიშვილი ერთ-ერთი ფუძემდებელია ქართული კინოსი, სადაც მუშაობს მისი დაარსების დღიდან. 1926 წლის ოქტომბერში შაქრო ბერიშვილმა უკვე დაიწყო მსახიობების შერჩევა „იბრაგიმ და გოდერძისათვის“. მან მშვენივრად გაანაწილა როლები და კარგი მსახიობები მიიწვია. სურათში ორი ჩინებული როლი იყო ქალისა: ერთი დედისა, რომელსაც ასახიერებდა ისია ნაზაროვა, და მეორე შვილისა, რომელსაც თამაშობდა ლილი ყიფიანი. მოწვეული იყვნენ: ლადო კავსაძე და ახალგაზრდა ყმაწვილი ქარუხიშვილი, რომლებიც მწყემსებს თამაშობდნენ; იბრაგიმს თამაშობდა ბადრი სვანი, გოდერძის—დუდე ძნელაძე, ნიკოლოზ კახიძე თამაშობდა ხანს, მე—მის მოურავს ქიარიმს.

პირველ ნოემბერს მთელი ექსპედიცია გაემგზავრა სოფელ ბელაქანში (ზაქათალის ოლქში). დავყავით ორი თვე, ნოემბერი და

„იბრაგიმ და გოდერძი"
ისია ნაზაროვა და ნ. გვარაძე

დეკემბერი. ბელაქანში დიდი მუშაობა გასწია შაქრო ბერიშვილმა. დამხმარე რეჟისორად ჰყავდა გიორგი მაკაროვი; ჩვენთან მუშაობდა აგრეთვე სრულიად ახალგაზრდა გიორგი მდივანი, ახლა ცნობილი დრამატურგი და სცენარისტი. ჩვენთანვე მუშაობდნენ (მშვენიერი როლი ჰქონდა მოლასი) შაქრო გურამიშვილი, კარგი ამხანაგი და ამასთან სპეტაკი ადამიანი, მაგრამ ძალიან უყვარდა ღვინის სმა. ერთ დილას, როდესაც ჩვენ ადგილობრივ მეჩეთის ეზოში სცენები უნდა გადაგვეღო, შაქროს, მოლას კოსტიუმში გამოწყობილს, გადაღების წინ კარგად გადაეკრა და ბარბაცით შუა ბაზარში გაევლო, რათა ჩვენამდის მოეღწია. ადგილობრივ მცხოვრებლებს ძალიან გაუკვირდათ მთვრალი მოლას ნახვა და მას აუარებელი ხალხი აედევნა. შაქრო ბერიშვილი იძულებული იყო, რომ გურამიშვილის სცენები იმ დღეს გამოეტოვებინა და მთვრალი მსახიობი შინ გაესტუმრებინა. ამ სურათში იყო სცენა ჭიდაობისა, რომელშიაც მთელი ბელაქნის მოსახლეობა იღებდა მონაწილეობას. ჭიდაობდა მწყემსი — ლადო კავსაძე, რომელსაც მოწინააღმდეგე უნდა წაექცია. ლადოს მოწინააღმდეგედ მოიყვანეს ადგილობრივი მცხოვრები ლეკი, ეს ლეკი ლადოს გაუძალიანდა, ლადომ არც აცივა, არც აცხელა— ძალადობა ეგრე არ უნდაო, მოიკიდა ეს ცნობილი ფალავანი და ხანის წინ მის ფეხებთან გაშხლართა. როგორ თუ ჩამოსულმა კაცმა, ჩვენი ფალავანი წაგვიქციაო, ადგილობრივ ლეკებს ძალიან ეწყინათ და გულმოსული იყვნენ; საქმე იქამდის მივიდა, რომ შორეული სოფლიდან ვილაც მოჭიდავე მოიყვანეს და მოითხოვდნენ, თქვენი ფალავანი გამოიყვანეთ, სამაგიერო უნდა გადაუხადოთო. რაღა თქმა უნდა, ამაზე შაქრო ბერიშვილმა უარი შეუთვალა და მოციქულებს დააბარა, რომ ჩვენ აქ საჭიდაოდ არ ჩამოვსულვართ, ეს უბრალო თამაში იყოო.

ბელაქნიდან წითელწყაროში წავედით, სადაც გადაღება გვქონდა დანიშნული თამარის დროინდელ ციხეში. იქ მთელი კვირა დავრჩით და გადავიღეთ ჩვენთვის საჭირო კადრები. 1926 წლის 31 დეკემბერს ჩამოვედით თბილისში. ახლანდელი კინოსტუდიის ეზოში მაშინ პავილიონები არ იყო; შუა ზამთარში, თოვლში, შაქრო ბერიშვილმა ააშენებინა პავილიონი, სადაც დავამთავრეთ „იბრაგიმ და გოდერძის“ გადაღება. შაქრომ ეს სურათი დადგა ოთხ ღეში. სურათს დიდი წარმატება ხვდა.

თავი მეთორმეტე

ბეკ-ნაზაროვი — კინორეჟისორი. „მამის მკვლელის" დადგმა. ნატო ვაჩნაძე. ვანო სარაჯიშვილი. კონსტანტინე ანდრონიკაშვილი. აკაკი ვასაძე. ალექსანდრე წუწუნავა კინორეჟისორი. „ჯანუი გურიაში".

1923 წლის შემოდგომაზე სახკინმრეწვმა კინორეჟისორს ამო ბეკ-ნაზაროვს შესთავაზა ალ. ყაზბეგის მოთხრობის მიხედვით გაკეთებული სცენარი „მამის მკვლელი". ა. ბეკ-ნაზაროვმა, რომელსაც საკმაო გამოცდილება ჰქონდა როგორც კინორეჟისორს, დიდი მონდომებით მოჰკიდა ხელი ამ სურათის დადგმას. მთავარი როლების შესასრულებლად მოიწვია საუკეთესო მსახიობები. ნუნუს როლის შემსრულებლად მოიწვია, მაშინ სრულიად გამოუცდელი, ახალგაზრდა, ლამაზი ქალი ნატო ვაჩნაძე. მართალია ნატო ვაჩნაძემ, როგორც კინომსახიობმა, პირველად ბარსკის დადგმულ სურათ „არსენაში" მიიღო მონაწილეობა, მაგრამ ნუნუს როლი „მამის მკვლელში", მაინც ძალიან პასუხსაგები როლი იყო და პირველად ნატო ამ როლში დაწინაურდა. რა განძიც შეიქმნა შემდეგში ნატო ვაჩნაძე საქართველოს კინოხელოვნებისათვის, ეს ყველასათვის ცნობილია.

„მამის მკვლელში" ონისეს ასრულებდა გელაშვილი, იაგოს—ვანო სარაჯიშვილი, რომელიც პირველად თამაშობდა კინოში და შემდეგში აღარ მიუღია მონაწილეობა კინოგადაღებაში. გრიგოლას მშვენივრად ასრულებდა მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა მსახიობი აკაკი ვასაძე, კობას ასახიერებდა, მაშინ ჩვენში უკვე საკმაოდ ცნობილი რეჟისორი, კონ. ანდრონიკაშვილი. მე ვასრულებდი ნინიას ეპიზოდურ როლს. თითქმის უმეტესი ნაწილი სურათისა გადავიღეთ მცხეთის მიდამოებში. დილით წავიდოდით ხოლმე მცხეთაში და საღამოს უკანვე ვბუნდებოდით. მხოლოდ რამდენიმე დღით გავემ-

გზავრეთ ანანურში, სადაც გადაღება გვქონდა. იმ დროს, მუნჯი კინო იყო და გადაღებაც ისეთი რთული არ იყო როგორც ახლა, გახმოვანების გამო. „მამის მკვლელს“ დიდი მოწონება ჰქონდა და ეკრანსაც კარგა ხანს შერჩა.

1927 წლის გაზაფხულზე დიდძალი ხალხი მოაწყდა სახკინმრეწვს. სახელმოხვეჭილი რეჟისორი ალ. წუწუნავა, ემზადებოდა სურათის „ჯანყი გურიაში“ გადასაღებად. ის იწვევდა მსახიობებს, სინჯავდა ამა თუ იმ როლისათვის, იკერებოდა ტანსაცმელი, კეთდებოდა პარიკები; ერთი სიტყვით, ყოველ დილით. კინომრეწველობის ეზო სავსე იყო ხალხით. სურათი განზრახული იყო ორ სერიად. იმ დროს ჩვენს კინომრეწველობაში ბევრი სურათი იდგმებოდა, მაგრამ ასე გრანდიოზულად დადგმული სურათი მაშინდელ კინომრეწველობას არ ახსოვს. „ჯანყი გურიაში“ ალ. წუწუნავამ წარმატებით დადგა „წითელ თეატრში“. კინოსურათისათვის შემდეგში, კარგი სცენარი გაკეთდა (ეკნატე ნინოშვილის მოთხრობის მიხედვით). ალ. წუწუნავამ მთავარი როლების შემსრულებლად მოიწვია თავისივე მოწაფეები, რომლებიც თეატრშიც იმავე როლებს ასრულებდნენ. ივანეს როლის შემსრულებლად მოიწვია კაკო ხინთიბიძე, რომელიც თეატრში მშვენივრად ანსახიერებდა ივანეს. ბესიას თამაშობდა იგივე გაიოზ მელიავა. რომელსაც ძალიან უხდებოდა ეს როლი. გენერალ ბრუსილოვს ასახიერებდა, ოპერის მსახიობი მესნიაევი. გიორგის როლს თამაშობდა დუდე ძნელაძე. მანას როლს ასახიერებდა თამარ ბოლქვაძე, დედას — ელისაბედ ჩერქეზიშვილი. გურიელის როლში მოწვეული იყო ტელემაკ გურიელი. ტელემაკ გურიელს, მიუხედავად ნისი ხანდაზმულობისა, მშვენიერი ხუჭუჭა თმა ჰქონდა, ალ. წუწუნავას შთანაფიქრით, სურათში ტელემაკი-გურიელი თავის ეზოში თმას იბანდა, რომ მაყურებელს ეს მშვენიერი თმა პარიკი არა ჰგონებოდა, დაბანილ თმას იქვე ივარცხნიდა. მოწვეული იყვნენ ჩვენი თეატრის მსახიობები გოგი ფრონისპირელი, ალე ყიასაშვილი, მერი ერგნელი, ოპერის მსახიობი ნიკოლოზ ელიოზიშვილი, მამუკა ამაშუკელი, ვარლამ ახვლედიანი, რომელიც ასრულებდა დადიანის როლს. ერთი სიტყვით, აუარებელი ხალხი იყო მოწვეული ამ სურათისათვის. თბილისიდან ექსპედიცია რომ დაიძრა ოზურგეთისაკენ, მთელი მატარებელი ჩვენი ხალხით იყო გაჭედილი.

„მამაცი მცველი“ ნინია—ნ. გვარაძე

მთელი საძი თვე დავყავით ოზურგეთში და თითქმის ყოველდღე გვქონდა გადაღება, რომელშიაც აუარებელი ადგილობრივად მოწვეული ხალხიც იღებდა მონაწილეობას. მე ვასახიერებდი თარჯიმანის როლს, რომელიც ყოველთვის გენერალ ბრუსილოვს ახლდა. ალ. წუწუნავამ, როგორც რეჟისორ-დამდგმელმა, დიდი შრომა დახარჯა ამ სურათის განხორციელებაში. სურათმა მაყურებლის დიდი აღტაცება გამოიწვია, თუმცა მონტაჟის დროს იგი ცოტა შემოკლებულ იქნა. ალ. წუწუნავამ დიდი კვალი დააჩნია თავისი მუშაობით საქართველოს კინომრეწველობას. მან დადგა ქართული კინოსურათები: „ვინ არის დამნაშავე?“, „ჯანყი გურიაში“, „ხანუმა“, „ორი მონადირე“, რომლებიც ეკრანს დიდხანს არ შორდებოდა და ჩვენს კინომრეწველობას საგრძნობ შემოსავალს აძლევდა.

თავი მეცამეტე

1927-28 წლის სეზონი „წითელ თეატრში". მიხეილ ჭიაურელი — თეატრის ხელმძღვანელი. დავით სულიაშვილი. ახალგაზრდა რეჟისორები: შოთა აღსაბაძე. გრიგოლ სულიაშვილი. გიორგი ჯაოშვილი. პიესა „გაყრას" დადგმა. შაქრო გომელაური. დოდო ანთაძე. პიესების: „ასე იყო", „ამფეთქებლები", „დიდების გამყიდველი", „ვინც ყველაზე სულელია" დადგმა.

1927-28 წლის სეზონი „წითელ თეატრში" პირველ სექტემბრიდან დაიწყო. მთავარ რეჟისორად მოწვეული იყო მიხეილ ჭიაურელი, რომელიც მთელი სეზონის მუშაობას უძღვებოდა. თეატრის დირექტორად იყო ბელეტრისტი დავით სულიაშვილი, რომელსაც ყოველთვის უყვარდა ქართული თეატრი და სწორედ მაშინ მიეცა შემთხვევა თავისი სიყვარული გამოეჩინა თეატრისადმი. მე ოზურგეთიდან გვიან ჩამოვედი. სანამ ჩემი სცენები არ დავამთავრე, წამოსვლა შეუძლებელი იყო. მე რომ თბილისში ჩამოვედი, „წითელ თეატრში" უკვე შეედგინათ დასი და პიესა „გაყრას" ამზადებდნენ, რომელსაც შოთა აღსაბაძე დგამდა. თეატრში პატივისცემით მიმიღო დავით სულიაშვილმა და იმავე საღამოს ჩამრიცხა დასში. როგორც კი დამინახა შოთა აღსაბაძემ, მაშინვე მომმართა: „სწორედ კარგ დროს მოხვედი, ეს როლი შენ გელოდებაო" და გადმომცა გაბრიელის როლი „გაყრაში". როლები მშვენივრად იყო განაწილებული: მიკირტუმას თამაშობდა, როგორც მოწვეული მსახიობი ნიკო გოცირიძე, ანდუყაფარს — გიორგი გორდაძე, მომსახურე გოგოს — ტასო აბაშიძე, მიკირტუმას მეუღლეს — ელენე ციმაკურიძე, მოურავს — რეზო მაღალაშვილი, ივანეს — შაქრო გომელაური, პავლეს — ანდრო მურუსიძე. ეს პირველი დადგმა იყო შოთა აღსაბა-

ძისა, როგორც ახლად კურსდამთავრებული რეჟისორისა. სწორედ ამ სეზონში დაიწყეს ჩვენთან მუშაობა ახლად კურსდამთავრებულმა რეჟისორებმა, რომელნიც მოსკოვში ვახტანგ მშედლიშვილის ხელმძღვანელობით მეცადინეობდნენ. ესენი იყვნენ: შოთა აღსაბაძე, ნიკო გოძიაშვილი, გიორგი ჟურული, გრიგოლ სულიაშვილი, გიორგი ჯაოშვილი. მათგან ჩვენთან მუშაობდნენ აღსაბაძე, გოძიაშვილი და სულიაშვილი. პირველი დადგმა ჭიაურელმა მიანდო შოთა აღსაბაძეს. მხატვრად მოიწვია ბელეტრისტი შიო არაგვისპირელის ვაჟი, მხატვარი დედაბრიშვილი, რომელმაც საუცხოო დეკორაცია გააკეთა „გაყრისათვის". პიესა იდგმებოდა ერთი კონსტრუქციით: სცენაზე იდგა ქართული კოშკი; მთელი პიესა მიმდინარეობდა ამ კოშკის გარშემო. ამ პიესით გაიხსნა 1927-28 წლის სეზონი „წითელ თეატრში". სეზონის გახსნას ბევრი ხალხი დაესწრო და წარმოდგენასაც დიდი წარმატება ხვდა. მართლაც რომ ხალისიანი და მხატვრულად გამართული სპექტაკლი იყო. მ. ჭიაურელის მოწვევით ამ სპექტაკლს დაესწრო კოტე მარჯანიშვილი. დადგმა ძალიან მოეწონა კოტეს. შოთა აღსაბაძემ გაამართლა თეატრალური საზოგადოების მოლოდინი. „წითელი თეატრის" შემდეგ რუსთაველის თეატრში დაიწყო მუშაობა, სადაც კარგად დადგა აკაკი ვასაძესთან ერთად შექსპირის „ოტელო", რომელშიც ოტელოს ასრულებდა აკაკი ხორავა, ხოლო იაგოს — აკაკი ვასაძე.

„გაყრაში" თავი ისახელა შაქრო გომელაურმა ივანეს როლის შესრულებით. სწორედ ეს როლი იყო მიზეზი, რომ კოტე მარჯანიშვილმა, როცა ქუთაისში თეატრი შექმნა, შაქრო გომელაურსაც წინადადება მისცა, რათა მასთან ემუშავა. შაქრო გომელაური 45 წელია, რაც მოღვაწეობს ქართულ თეატრში. მან პირველად მუშაობა დაიწყო ავლაბრის სცენისმოყვარეთა წრეში. იქ მუშაობდა 1904 წლიდან 1909 წლამდე. როდესაც 1909-10 წლის სეზონში, ნატო გაბუნია-ცაგარლის იუბილე გაიმართა ავლაბარში, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს თბილისის ქართული თეატრის მსახიობებმა: ვალერიან გუნიამ, კოტე მესხმა და კოტე ყიფიანმა, შაქრო გომელაურიც მონაწილეობდა ამ სპექტაკლში, როგორც სცენისმოყვარე. მაშინ მიაქციეს მას ყურადღება, როგორც ნიჭიერ ახალგაზრდა მსახიობს და ქართულ თეატრში სამუშაოდ მიიწვიეს, სადაც მაშინ რეჟისორობდა ლადო მესხიშვილი. სწორედ ლადოს ხელში დაიწყო

შაქრო გომელაურმა სერიოზული მუშაობა და სამართლიანად ითვლება ლადოს მოწაფედ. შემდეგ ხანებში, როდესაც თბილისის დასი ქუთაისში ჩადიოდა, შაქროც იღებდა მონაწილეობას ამ დასში და ქუთაისის საზოგადოების ყურადღებაც მიიპყრო.

1916-17 წლებში შაქრო გომელაური მიწვეული იყო ქუთაისის დასში, რომელსაც ხელმძღვანელობდა ალ. იმედაშვილი. ამის შემდეგ, იგი ხშირად იყო ხოლმე ქუთაისის თეატრში და ითვლებოდა მის ერთ-ერთ წამყვან მსახიობად. საგულისხმო როლები განასახიერა შაქრო გომელაურმა ქართულ სცენაზე: ივანე — „გაყრა", პრაპორჩიკი სუმბუქაშვილი — „აღლუმი", კახი — „პატარა კახი", კელბანი — „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ", ცაცა — „გადაჭრილი მუხა", რიმკველი — „კაკალ გულში". შაქრო 1930 წელს მარჯანიშვილის თეატრთან ერთად მოსკოვსა და ხარკოვში იყო გასტროლების დროს, სადაც მიიქცია საზოგადოების და პრესის ყურადღება.

„წითელ თეატრში" ისეთი ნაყოფიერი სეზონი არ ყოფილა, როგორიც იყო 1927-28 წლის სეზონი მიხეილ პიაურელის ხელმძღვანელობით. სეზონში ჩვენთან ერთად მუშაობდა ახალგაზრდა რეჟისორი დოდო ანთაძეც. საზოგადოდ კოტე მარჯანიშვილი დიდი ყურადღებით ეპყრობოდა „წითელ თეატრს". ამ სეზონში ახლად დადგმულ პიესებს ყოველთვის ესწრებოდა და დროგამოშვებით გენერალურ რეპეტიციებზედაც შესწორება შეჰქონდა ხოლმე ჩვენი ახალგაზრდა რეჟისორების ნამუშევარში. მახსოვს, ნოემბრის დღესასწაულისათვის დოდო ანთაძე ამზადებდა გუგული ბუხნიკაშვილის პიესას „ასე იყო". დოდო ანთაძე დიდი ხალისით და მონდომებით მოეკიდა პიესის დადგმას. პიესაში მრავალი სურათი იყო, რომელიც კინოფილმის მსგავსად ერთიმეორეს ცვლიდა და თვითეული მსახიობი, რამოდენიმე როლს თამაშობდა. გაფორმების მხრივ, პიესა დიდ სიძნელეს წარმოადგენდა. გენერალურ რეპეტიციაზე დოდომ კოტე მარჯანიშვილი მოიწვია, რომელმაც დიდი დახმარება გაუწია მას და პიესაში შეიტანა საყურადღებო ცვლილებები. ნაწილობრივ ამის მიზეზი ისიც იყო, რომ ამ ხანებში კოტე თეატრში აღარ მუშაობდა და უთეატროდ ვერ ისვენებდა. სწორედ ამ სეზონში, მან ერთი სპექტაკლი დადგა რუსულ დრამაში, რომელიც ჩვენი თეატრის შენობაში მუშაობდა „მუშათა თეატრის" სახელწოდებით. დოდო ანთაძემ დადგა აგრეთვე ზურაბ ანტონოვის პიესა „ქმარი ხუთი ცოლისა", შალვა შარაშიძის (თაგუნას) მიერ

გადამუშავებული. აგრეთვე კარგად იყო დადგმული ა. ლუნაჩარსკის პიესა „ამფეთქებელნი“, გ. ფრონისპირელის თარგმანი. პიესაში როლები ჰქონდათ ელენე დონაურს, ალექსანდრე იმედაშვილს და ალექსანდრე ბურთიკაშვილს, რომელნიც მორიგეობით თამაშობდნენ. ეს პიესა ძალიან ხშირად იდგმებოდა და დიდი მოწონებაც ჰქონდა. ანდრო მურუსიძესაც ნშვენიერი როლი ჰქონდა ამ პიესაში.

ჩვენ, ქართულ დასს, „წითელ თეატრში“ ყოველდღიურად წარმოდგენები არა გვქონდა, რადგან ჩვენს შენობაში, „წითელ თეატრში“ (ახლა მარჯანიშვილის სახელობის თეატრი) მუშაობდა რუსული დრამა, რომელსაც უფრო მეტი დღე ჰქონდა დათმობილი თეატრში. ამიტომ ჩვენი წარმოდგენები იდგმებოდა თბილისის კლუბებში, სადაც აუარებელი ახალგაზრდობა გვესწრებოდა. გრიგოლ სულიაშვილმა დადგა ამ სეზონში „დიდების გამყიდველნი“, რაშიც უნარი გამოიჩინა, როგორც ახალგაზრდა რეჟისორმა. ჭიაურელმა შესთავაზა ერთი დადგმა გიორგი ჯაოშვილს, პიესა „ბრბო“. ეს პიესაც ბევრჯერ იყო განმეორებული თბილისის კლუბების სცენაზე. თვით ჭიაურელმა დადგა პიესა „ვინც ყველაზე სულელია“. ამ პიესაზე დამდგმელმა ბევრი იშრომა და კარგი ხალისიანი სპექტაკლიც შექმნა იმ სეზონში. მთავარ როლს ასრულებდა მიხეილ სულთანიშვილი. ეს სეზონი ჭიაურელმა დიდი წარმატებით დაამთავრა. სეზონის ბოლოს მან მოგზაურობა მოაწყო დასავლეთ საქართველოში. მოგზაურობის პროგრამაში შედიოდა უფრო საესტრადო ნომრები და კომედიები.

1927-28 წლის სეზონში დასში შედიოდნენ შემდეგი მსახიობები: ქალები — ტასო აბაშიძე, ელისაბედ ჩერქეზიშვილი, ელენე დონაური, ბებე ჯაიანი, ალისა ქიქოძე, ევგენია ბარბაქაძე, გოგუცა კუპრაშვილი, მედეია ქორელი; ვაჟები — ალექსანდრე იმედაშვილი, სოსო რომანიშვილი, ალექსანდრე ბურთიკაშვილი, შაქრო გომელაური, ანდრო მურუსიძე, სერგო ქელიძე, რეზო მაღალაშვილი, ნიკო გვარაძე, მიხეილ სულთანიშვილი, გოგი დარისპანაშვილი, შალვა გოცირელი, ,ჯაკო კვანტალიანი, ნიკო ილურიძე, მიხეილ ჯაფარიძე, ივანე გვინჩიძე.

თეატრის დირექტორი იყო დავით სულიაშვილი, ხოლო ადმინისტრატორი შალვა ჯაფარიძე.

თავი მეთოთხმეტე

კაკო კვანტალიანი. ალექსანდრე გომელაური. კოტე მარჯანიშვილის მიერ თეატრის დაარსება. მოზარდ მაყურებელთა თეატრი. გუგული ბუხნიკაშვილი.

სწორედ ამ სეზონში დაიწყო ჩვენთან მუშაობა კაკო კვანტალიანმა. ჩვენთან დასში, ყველაზე ახალგაზრდა კაკო კვანტალიანი იყო. პირველი როლი, რომელიც მან შეასრულა ამ სეზონში, იყო მოხელის პატარა როლი, შოთა აღსაბაძის დადგმულ „გაყრაში". კაკო კვანტალიანმა უკვე ამ პატარა როლის შესრულებით მიიქცია როგორც მსახიობების, ისე დამსწრე საზოგადოების ყურადღება. ისე ხალისიანად და ნიჭიერად შეასრულა ეს პატარა ეპიზოდური როლი, რომ ამხანაგებმა ქება შეასხეს. ამ როლის შესრულების შემდეგ, კაკო კვანტალიანმა შემდეგში უფრო კარგი როლები მიიღო, რითაც კოტე მარჯანიშვილის ყურადღება მიიპყრო და მის მიერ დაარსებულ თეატრში მიწვეულ იქნა, როგორც ნიჭიერი მსახიობი. მარჯანიშვილის მიერ დაარსებული თეატრიდან იწყება კაკო კვანტალიანის სამსახიობო კარიერა. პირველი ბიძგი მას კოტე მარჯანიშვილმა მისცა და მისი არტისტული უნარიც კოტეს ხელმძღვანელობით გაიშალა.

ალექსანდრე გომელაურმა სასცენო მოღვაწეობა დაიწყო გიორგი დარისპანაშვილის ხელმძღვანელობით, რომელიც ავლაბარში, მურაშკოს ყოფილ შენობაში, არსებულ პატარა თეატრში მუშაობდა 1925-26 წლებში, შემდეგ ალ. გომელაური გადავიდა ახლად დაარსებულ მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრში. მოზარდ მაყურებელთა თეატრში ალ. გომელაურმა კარგახანს იმუშავა, მაგრამ მისი არტისტული კარიერა მაინც მარჯანიშვილის სახელობის თეატრიდან იწყება, სადაც მას მეტი გასაქანი მიეცა.

ისეთი ნაყოფიერი ზაფხული, როგორიც იყო 1928 წლის ზაფხული, ქართული თეატრის ისტორიას არ ახსოვს. ამ ზაფხულს, ივლისში, დასის შედგენას შეუდგა კოტე მარჯანიშვილი, რომელმაც ქუთაისში დააარსა მეორე სახელმწიფო დრამატული თეატრი და რუსთაველის თეატრიდან მიიწვია თავისი მოწაფეები: ვერიკო ანჯაფარიძე, ელენე დონაური, თამარ ჭავჭავაძე, ცეცილია წუწუნავა. უშანგი ჩხეიძე, შალვა ღამბაშიძე, დოდო ანთაძე, შაქრო გომელაური, ალექსანდრე იმედაშვილი, იუზა ზარდალიშვილი, ანდრო მურუსიძე, შალვა ხონელი, კაკო კვანტალიანი და სხვა ახალგაზრდა მსახიობები. სეზონი გაიხსნა ტოლერის პიესით „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ“. დიდი ინტერესი გამოიწვია, კოტეს მიერ დაარსებულმა თეატრმა. სეზონის გახსნისას, თბილისიდან აუარებელი სტუმარი წავიდა ქუთაისში და ყველა დიდად კმაყოფილი და აღტაცებული დაბრუნდა. ამავე ზაფხულს ჩაეყარა საფუძველი და ნოემბერში სეზონი გახსნა, ოპერის თეატრში მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრმა ალ. თაყაიშვილის ხელმძღვანელობით. ამავე ზაფხულს მიხეილ ქორელის ხელმძღვანელობით დაარსდა საქართველოში პირველი მოგზაური დასი, რომლის შემადგენლობაში მეც ვიყავი მიწვეული.

მიხეილ ქორელი ხალისით და მონდომებით შეუდგა საქმეს და ხელი მოჰკიდა პიესას „წმინდა ქურდი“. დასმა მუშაობა დაიწყო ვოროშილოვის სახელობის კლუბის სათეატრო დარბაზში. რეპერტუარიც მთელი სეზონისათვის შედგენილი იყო. ამრიგად, ამ მშვენიერ საქმეს, უთუოდ კარგი პირი უჩანდა, მაგრამ არ ვიცი, რა მიზეზით, თეატრალურმა განყოფილებამ, ერთი თვის ჯამაგირი დაგვირიგა და დასი დაშლილად გამოაცხადა. ასე რომ, ნოემბერში ყველანი, ვინც კი დასში ვირიცხებოდით, უსეზონოდ დავრჩით.

ამავე ზაფხულს გუგული ბუხნიკაშვილის ინიციატივით დაარსდა „სატირის თეატრი“. ამ საინტერესო თეატრმა იარსება მხოლოდ სამი წელიწადი.

ერთხელ საღამო ჟამს, რუსთაველის პროსპექტზე მხვდება გუგული ბუხნიკაშვილი და მეუბნება: ნიკო, ჩვენი თეატრის სპექტაკლები ხომ არ გინახავსო. მე ის-ის იყო სუხუმიდან ვიყავი დაბრუნებული, სადაც ზამთრის სეზონი დავამთავრე და ამიტომ, არავითარი წარმოდგენა არ მქონდა ახლად დაარსებულ „სატირის თეატრზე“.

დიდი ხალისით გავყევი ბუხნიკაშვილს ვოროშილოვის სახელობის კლუბში, სადაც იდგმებოდა მათი სპექტაკლები. ამ საღამოს მიდიოდა პიესა „თბილისი 24 საათში“. დიდი სიამოვნება ვიგრძენი ამ პიესის ნახვით. მშვენიერი ანსამბლი. პიესა დადგმული იყო უბრალოდ, მარტივად. მსახიობები, რომ იტყვიან, ერთი მეორეს ეჯიბრებოდნენ, ისე მშვენივრად თამაშობდნენ. დარბაზში გაისმოდა დაუსრულებელი სიცილ-ხარხარი, აუდიტორიის უმეტესობას ქარხნის მუშები შეადგენდნენ. ამ თეატრში მუშაობდნენ ახალგაზრდა აქტიორები: ვერა ნიკოლაიშვილი, რ. რამიშვილი, ალ. რამიშვილი, თამარ ლივარდი, რ. სოსელი, ფ. ჭანტურია, სოფიო ვაჩნაძე, შალვა ქარცივაძე, დავით კობახიძე, გ. გელაშვილი და სხვ.

„სატირის თეატრი“ ნაყოფიერად მუშაობდა როგორც თბილისში, ისე საქართველოს რაიონებში. მას თბილისში სათეატრო შენობა არ გააჩნდა და იძულებული იყო სამი წლის განმავლობაში თბილისის კლუბებსა და პერიფერიის თეატრებში ემუშავნა. „სატირის თეატრი“ ხშირად მოგზაურობდა. ამ თეატრს თითქმის მხოლოდ ორიგინალური რეპერტუარი ჰქონდა.

თავი მეთხუთმეტე

მოგზაურობის მოწყობა ვალერიან გუნიას მეთაურობით. პიესა „რღვევის“ დადგმა. აკაკი ფალავა პიესების „აღლუმის“ და „ხანუმას“ დადგმა. დუდე ძნელაძე. გოგი ფრონისპირელი. დავით ჩხეიძე.

1927-28 წლის ზამთრის სეზონი მიხეილ ჭიაურელის ხელმძღვანელობით დამთავრდა აპრილში და მსახიობები, რომლებიც მის მიერ მოწყობილ მოგზაურობაში არ წავედით, თბილისში დავრჩით. სწორედ ამ სეზონში, დიდი წარმატებით იდგმებოდა რუსთაველის სახელობის თეატრში ლავრენიევის პიესა „რღვევა“, რომელმაც მთელი საბჭოთა კავშირის თეატრებში დიდი გამოხმაურება და პოპულარობა მოიპოვა. პირველი თანამედროვე პიესა, რომელიც მაშინ საბჭოთა თეატრებში დაიდგა, ეს იყო „რღვევა“. ლავრენიევმა მშვენივრად ასახა სამოქალაქო ომის პერიოდი. სწორედ ამიტომ იყო, რომ ამ პიესამ ასეთი მოწონება დაიმსახურა.

ვალერიან გუნიამ წინადადება მოგვცა, მსახიობთა პატარა ამხანაგობა შეგვედგინა და ეს პიესა რაიონული მაყურებლისათვის გვეჩვენებინა. შევადგინეთ ამხანაგობა ვალერიან გუნიას მეთაურობით: ელისაბედ ჩერქეზიშვილი, ტასო აბაშიძე, პაშა შოთაძე, მერი დავითაშვილი, ვალ. გუნია, გოგი ფრონისპირელი, შაქრო გომელაური, ნიკო გვარაძე, დუდე ძნელაძე, დავით ჩხეიძე, მიხეილ ჯუღელი და შალვა გოცირელი. ჩვენს ამხანაგობაში პიესა კარგად განაწილდა: ბერსენევი — ვალერიან გუნია, გოდუნი — დუდე ძნელაძე და დავით ჩხეიძე, შტუბე — შაქრო გომელაური, შვაცი — ნიკო გვარაძე და მიხეილ ჯუღელი, მოხუცი მატროსები — მიხეილ ჯუღელი და ნიკო გვარაძე, ახალგაზრდა მატროსი — მერი დავითაშვილი, მეორე მატროსი — შალვა გოცირელი. ადმირალი და იარცევი — გ. ფრო-

ნისპირელი, დედა — ელისაბედ ჩერქეზიშვილი, ტატიანა — პაშა შოთაძე, ქსენია — ტასო აბაშიძე. პიესის დადგმა შევთავაზეთ ვალერიან გუნიას, რომელმაც ამაზე კატეგორიული უარი განაცხადა· დასი ურეჟისოროდ დარჩა. აღარ ვიცოდით, პიესა ვისთვის დაგვედგმევინებინა. მივმართეთ გიორგი ფრონისპირელს და როგორც იყო დავითანხმეთ. ჩვენ დასაკეცი დეკორაციაც გავაკეთებინეთ გემისა, რომელიც წასაღებად იოლი იყო და მოსახერხებელი. ასე რომ, ჩვენ საკუთარი დეკორაციაც და ტანსაცმელიც გვქონდა. მშვენივრად მოვამზადეთ პიესა. თეატრალურმა განყოფილებამ აკაკი ფაღავა გამოგზავნა, რომ მას ენახა ჩვენი გენერალური რეპეტიცია „წითელი თეატრის“ სცენაზე. აკაკი ფაღავა ძალიან კმაყოფილი იყო ჩვენი დადგმით, მით უმეტეს, რომ პიესის თარგმანი აკაკი ფაღავას ეკუთვნოდა. ჩვენ მხოლოდ ერთი პიესით ვერ წავიდოდით, ამიტომ მეორე პიესაც მოვამზადეთ — „აღლუმი“ ვალერიან გუნიასი. იგი უმეტესობას ნათამაშევი გვქონდა. მესამე პიესად წავიღეთ გ. ფრონისპირელის თარგმნილი „კუდრაჟა“, რომელშიც მთავარ როლებს თამაშობდნენ ტასო აბაშიძე და შაქრო გომელაური. რეპერტუარში აგრეთვე გვქონდა ავქ. ცაგარელის „ხანუმა“. ეს პიესა განსაკუთრებით ელისაბედ ჩერქეზიშვილისათვის წავიღეთ, რომელიც საუცხოოდ ასრულებდა ხანუმას როლს. დიდი წარმატება ხვდა მაშინ ჩვენს საგასტროლო მოგზაურობას. მაყურებლის აღტაცებას და მოწონებას, პირველ ყოვლისა, იწვევდა „რლვევა“, რომელიც რაიონულ ცენტრებში პირველად ჩვენ წავიღეთ, გარდა ქუთაისისა, სადაც ის უკვე დადგმული იყო. ამ მოგზაურობის დროს, თითქმის მთელი საქართველო შემოვიარეთ: ვიყავით გორში, ჭიათურაში, ხაშურში, ზესტაფონში, ახალსენაკში, (ცხაკაია) ბათუმში, ფოთში, ზუგდიდში, ხონში, სამტრედიაში, ხარაგოულში, აგრეთვე სიღნაღში, გურჯაანსა და თელავში. „რლვევა“, რომელსაც პირველ სპექტაკლად ვდგამდით, დიდ შემოსავალს გვაძლევდა. მარტო ვალერიან გუნიას, ტასო აბაშიძის და ელისაბედ ჩერქეზიშვილის სახელი კმაროდა, რათა მაყურებელი ინტერესით დასწრებოდა ჩვენს მიერ გამართულ წარმოდგენებს. უნდა ვთქვა, რომ ამ მოგზაურობის დროს, პიესები კარგად იყო დადგმული და გათამაშებული. „აღლუმის“ ასე დადგმა, ბევრ კარგ დასს გაუპირდებოდა. მარტო ტასო აბაშიძე რად ღირდა ნუცას როლში, რომ არა-

ფერი ვთქვა ვალ. გუნიაზე, რომელიც გენერალს ასახიერებდა და ელისაბედი — ქართველ კნეინას, ხოლო შაქრო გომელაური, რომელიც ნაქები იყო ამ როლის შესრულებაში — მსუბუქაშვილს. გ. ფრონისპირელი თამაშობდა ქართველ თავადიშვილ პეტრეს, მე — აფთიაქარ ივლიანე ჭარხალაძეს. აგრეთვე მშვენივრად დაიდგა ავქსენტი ცაგარელის ცნობილი კომედია „ხანუმა“, რომელშიც ელისაბედ ჩერქეზიშვილი ხანუმას როლს ასრულებდა. აკოფას თამაშობდა ახალგაზრდა მსახიობი შალვა გოცირელი. ეს მოგზაურობა 1928 წლის გაზაფხულზე უკანასკნელი იყო, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ ჩვენი ძველი თაობის მსახიობები: ვალერიან გუნია და ელისაბედ ჩერქეზიშვილი. ყველგან დიდი პატივისცემით და სიყვარულით ხვდებოდნენ მათ. წარმოდგენის შემდეგ გვიმართავდნენ ნადიმს. მახსოვს, ზუგდიდში სადილი გაგვიმართეს, წამოსვლისას სადგურზე გაგვაცილეს და მოიწვიეს ადგილობრივი ფოტოგრაფი, რომელმაც მთელ დასს სურათი გადაგვიღო. ეს ხანგრძლივი მოგზაურობა მეტად ნაყოფიერი გამოდგა. ჩვენს დასში ახალგაზრდა აქტიორები ძალიან კარგები იყვნენ. გოდუნს „რღვევაში“ ასახიერებდა მაშინ ახალგაზრდა მსახიობი დუდე ძნელაძე. დუდე ძნელაძე უკვე გამოცდილი მსახიობი იყო ქართული თეატრისა. მან სასცენო მოღვაწეობა დაიწყო მიხეილ ქორელთან 1916-17 წლის სეზონში. 1918-19 წლის სეზონში, უკვე თბილისის დასში იყო მოწვეული, სადაც სეზონს აწარმოებდა ხელოვნების მუშაკთა კავშირი „კავშირის დასის“ სახელწოდებით. დასს ხელმძღვანელობდა შალვა დადიანი. ამ სეზონში, როგორც მუყაითმა მსახიობმა დუდემ საზოგადოების ყურადღება დაიმსახურა. შემდეგ დუდე ძნელაძე ქართულ სცენას აღარ მოშორებია. მას გარეგნობა მეტად უწყობდა ხელს. მისი საყვარელი როლები იყო: ლევან დადიანი — „ციხის საიდუმლო“, მირვანდელი — „აღლუმი“, შვეიცარი — „ყაჩაღები“, ლაერტი — „ჰამლეტი“, გოლა — „გადაჭრილი მუხა“. შემდეგ დუდემ მსახიობობა მიატოვა და რეჟისორობას მიჰყო ხელი.

ამ მოგზაურობას დიდი ამაგი დასდო გ. ფრონისპირელმა როგორც რეჟისორმა. ჩვენ ყოველ ქალაქში, „რღვევის“ დადგმის დროს, თანამშრომლები გვჭირდებოდა, და იძულებული ვიყავით ადგილობრივი ძალები მოგვემზადებინა. ამიტომ, თითქმის ყოველ დადგმაზე დიდი შრომა სჭირდებოდა გ. ფრონისპირელს. სცე-

ნის ბატონ-პატრონი ჩვენს მოგზაურობაში გ. ფრონისპირელი იყო. ამავე დროს პიესაშიც ორ როლს ასრულებდა. გ. ფრონისპირელი იყო შვილი სახელოვანი ჟურნალისტისა და მთარგმნელის, გიგა ყიფშიძისა, ასე, რომ, მას თეატრალური კულტურა და თეატრისადმი სიყვარული ბავშვობიდანვე მოსდევდა. ჯერ კიდევ ქართული გიმნაზიის მეშვიდე-მერვე კლასის მოწაფე იყო გოგი, რომ სახალხო სახლში მუშაობდა, როგორც სცენისმოყვარე და პასუხსაგებ როლებს ასრულებდა: მამასახლისს „მსხვერპლში", ლეიზერს — „ებრაელებში". 1914-15 წლის სეზონში ის მიწვეულ იქნა ქართულ თეატრში სამუშაოდ, როგორც პროფესიონალი მსახიობი. მაშინ რეჟისორად ქართულ თეატრში მუშაობდნენ ალ. წუწუნავა და მიხეილ ქორელი.

1921-22 წლის სეზონში გ. ფრონისპირელი მუშაობდა როგორც რეჟისორ მსახიობი ბათუმის სახელმწიფო თეატრში.

ჩვენს მოგზაურობაში გოდუნის როლს „რღვევაში" ხანდახან დავით ჩხეიძე ასრულებდა. დავით ჩხეიძე, აქტიორობასთან ერთად, კარგი ადმინისტრატორიც არის. ამიტომ, ჩვენი მოგზაურობის ფინანსების საქმე და საზოგადოდ მოგზაურობის ადმინისტრაციული საქმეები სულ მას ჰქონდა მინდობილი. მოგზაურობის მარშრუტს დავითი განაგებდა.

დავით ჩხეიძე დიდი ხანია, რაც ქართულ სცენაზე მოღვაწეობს. პირველად სასცენო მუშაობა დაიწყო 1914-15 წლის სეზონში, ქუთაისში, როცა ვალერიან გუნია ხელმძღვანელობდა ქუთაისის თეატრს. 1922-23-24 წლებში ის ითვლებოდა რუსთაველის თეატრის კომისრად, ამავე დროს, დასშიც მუშაობდა როგორც მსახიობი.

ჩვენთან აგრეთვე მოგზაურობდა მიხეილ ჯუღელი, გულმოდგინე და ბეჯითი მსახიობი. ერთხანს ჯუღელი ქუთაისის დასში მუშაობდა.

ჩვენთან მოგზაურობდა აგრეთვე სასიამოვნო და საყვარელი ახალგაზრდა მსახიობი მერი დავითაშვილი, რომელმაც სწორედ ამ წლებში დაიწყო თავისი სასცენო მოღვაწეობა. ძალიან კარგად და მხიარულად თამაშობდა ახალგაზრდა მატროსის როლს.

მშვენივრად თამაშობდა აკოფას როლს „ხანუმაში" შ. გოცირელი, შემდეგში მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი.

თავი მეთექვსმეტე

ჩემი მიწვევა ზუგდიდში 1928 წელს. ზუგდიდის სცენისმოყვარენი. პიესების: „რღვევის“, „მათრახის პანაშვიდის“, „სულელის“ დადგმა ზუგდიდში. სოსო ჟივიძე. ელენე აბაზაძე. ლეო ჭედია. გიორგი გაბუნია.

1928 წლის შემოდგომაზე, როცა მიხეილ ქორელის მიერ დაარსებული მოგზაური დასი დაიშალა, თბილისში შემხვდა ჩემი ძველი ნაცნობი და მეგობარი, ზუგდიდელი პეტრე მეუნარგია. მან, როგორც კი დამინახა, მაშინვე მომაძახა: ნიკო, სწორედ შენ გეძებდი, და კარგია, რომ გნახეო; ახლა შალვა დადიანთან ვიყავი და შენი ბინის მისამართი ვკითხეო. ზუგდიდელმა სცენისმოყვარეებმა გამომგზავნეს, ნიკო გვარაძე მოძებნე თბილისში და რეჟისორად ჩამოგვიყვანეო. სწორედ უადგილოდ ვიყავი და გამეხარდა პეტრე მეუნარგიას წინადადება, აღარ დავაყოვნე და რამდენიმე დღის შემდეგ გავემგზავრე ზუგდიდში სამუშაოდ. ზუგდიდში მთელი სეზონი არასდროს არ მემუშავნა, მხოლოდ გავლით მიხდებოდა ყოფნა ზუგდიდში, როცა სხვა ჩამოსულ მსახიობებთან ერთად წარმოდგენას ვმართავდით ხოლმე. ზუგდიდელ სცენისმოყვარეთა ჯგუფზე არავითარი წარმოდგენა არა მქონდა. ვიცოდი მხოლოდ, რომ ჩემამდის ზუგდიდში რეჟისორ-ხელმძღვანელად მუშაობდა მსახიობი სოსო ჟივიძე, რომ იქვე მუშაობდა მისი მეუღლე ელენე აბაზაძე. სოსო ჟივიძემ ზუგდიდის თეატრალურ საქმიანობას საკმაო ამაგი დასდო და კარგა ხანს იყო ზუგდიდში, როგორც სცენისმოყვარეთა წრის რეჟისორი. იმ დროს ზუგდიდში სათეატრო შენობა არ იყო. ჰქონდათ პატარა კლუბი ორასი მაყურებლისათვის. აი სწორედ ამ პატარა კლუბის სცენაზე, უნდა მეწარმოებინა მთელი სეზონი ზუგდიდელ სცენისმოყვარეთა დახმარებით. ზუგდიდში ბევრი იყო მო-

წინავე ინტელიგენტი. იქ არსებობდა რამდენიმე სასწავლებელი. მოსწავლენი ხალისიანად ესწრებოდნენ ჩვენს წარმოდგენებს. პეტრე მეუნარგიამ კარგად შეკავშირებული ჯგუფი დამახვედრა. დასში შედიოდნენ სცენისმოყვარენი: ქალები — მანია პატარაია, ლიდა ბოჯგუა, ბაბუცა თევზაია; ვაჟები — ანტონ ნადარეიშვილი, დიმიტრი (ძუკუ) ჩხოლარია, ნიკოლოზ ბუკია, ლეო ჭედია, გიორგი გაბუნია, სერგო სარქისოვი, ანდრო პატარაია და ლადო გუგუშვილი. მოვილაპარაკეთ და შევთანხმდით, რომ სეზონი კარგი პიესით გაგვეხსნა. დაასახელეს რამდენიმე ნაწარმოები, ბოლოს შეჩერდნენ სანდრო შანშიაშვილის პიესაზე „მათრახის პანაშვიდი" („ჰერეთის გმირები"). მთავარი როლები ჰქონდათ: ლიდა ბოჯგუას — ბაბულია და ძუკუ ჩხოლარიას — თანდილა. მე ვთამაშობდი სახასიათო როლს — ელიბოს. პიესა ვამზადეთ კარგახანს. ყველა მოწადინებული იყო, რომ სეზონის დასაწყისი ღირსეული ყოფილიყო. მართლაც, პირველ წარმოდგენაზე ფართო საზოგადოებამ მოიყარა თავი. კლუბის პატარა დარბაზი მთლად გაჭედილი იყო. ზუგდიდის სცენისმოყვარენი პირველად დგამდნენ სერიოზულ და კარგად მომზადებულ პიესას. მაშინ „მათრახის პანაშვიდი" რუსთაველის სახელობის თეატრში დიდი წარმატებით იდგმებოდა. პიესა მართლაც კარგად გავითამაშეთ, და ზუგდიდის თეატრალური საზოგადოებაც კმაყოფილი დაიშალა პირველი წარმოდგენის შემდეგ. პიესა მალე იქნა განმეორებული. ამ წარმატებით გათამამებულმა ზუგდიდელმა სცენისმოყვარეებმა წინადადებით მომმართეს, რადაც უნდა დაგვიჯდეს, პატარა კლუბის სცენაზე, ლავრენიევის პიესა „რღვევა" დავდგათო. მე უარზე ვიყავი, რადგან ზუგდიდში ყველას ახსოვდა, ჩვენი დასის მიერ ნათამაშევი „რღვევა", მაგრამ ზუგდიდის სცენისმოყვარეთა თხოვნას ვერ წაუველ და შევუდექი პიესის მზადებას. მთავარი გასაჭირი იყო გოდუნის როლის შემსრულებლის მოძებნა ზუგდიდელ სცენისმოყვარეთა შორის. მითხრეს ანტონ ნადარეიშვილი შეძლებს გოდუნის როლის შესრულებასო. ანტონ ნადარეიშვილი გამოცდილი სცენისმოყვარე ყოფილიყო, რომელსაც ახალსენაკში (ცხაკაიაში) ეთამაშნა პასუხსაგები როლები. გადავეცით გოდუნის როლი ანტონ ნადარეიშვილს და ისიც სიყვარულით მოეკიდა მუშაობას. ანტონი კარგი დეკორატორიც გამოდგა და პიესისთვის კარტონის მშვენი-

ერი გემი გაგვიკეთა. იგი დაუშლელად იდგა მთელი პიესის მსვლელობის დროს. პირველ და მესამე მოქმედებას გემის წინ ვთამაშობდით, ასე, რომ ანტრაქტებისთვისაც კარგი იყო; გემის მოშლა და ხელახლად დადგმა აღარ გვჭირდებოდა. ამ დადგმასაც ზუგდიდელი სცენისმოყვარენი დიდი სერიოზულობით მოეკიდნენ და წარმოდგენას დიდი წარმატება ხვდა. რამდენჯერმე იყო განმეორებული. როგორც აღვნიშნე, გოდუნს თამაშობდა ანტონ ნადარეიშვილი, ტატიანას — ბაბუცა თევზაია, ქსენიას — ლიდა ბოჯგუა, იარცევს — ლეო ჭედია, მატროსს—გიორგი გაბუნია, ადმირალს — ნიკოლოზ ბუკია, მე კი შვაცს ვთამაშობდი. პიესა „რღვევა“ ზუგდიდში სამჯერ იქნა განმეორებული ზედიზედ. ზედიზედ რომ არ დაგვედგა, შეუძლებელი იყო, რადგან ჩვენი გემის დეკორაციას ვერ მოვშლიდით, სამჯერვე კლუბის დარბაზი გაჭედილი იყო ხალხით.

მესამე პიესად ვალერიან გუნიას ძველი კომედია დავდგით — „ვაის გავეყარე, ვუის შევეყარე“. დავდგით აგრეთვე იმავე ვალერიან გუნიას კომედია „სიძე-სიმამრი“. მშვენიერი წარმოდგენა იყო ნიკო შიუკაშვილის პიესა „სულელი“. ზუგდიდელ მაყურებლებს ძალიან მოეწონათ ნიჭიერად დაწერილი პიესა, ისე დადგმა და მსახიობთა თამაში. ამ პიესაში მთავარ როლს ბარათაშვილისას ასახიერებდა ლადო გუგუშვილი, ზუგდიდელი ნიჭიერი სცენისმოყვარე, რომელიც აგრეთვე კარგად თამაშობდა „რღვევაში“ შტუბეს.

საზოგადოდ უნდა ვთქვა, რომ ზუგდიდში ბევრნი იყვნენ გამოცდილი სცენისმოყვარენი, რომელთაც რამდენიმე წლის სასცენო მოღვაწეობის სტაჟი ჰქონდათ. პირველ რიგში დავასახელებ ადგილობრივ გამოცდილ მასწავლებელს, ნიკოლოზ ბუკიას, რომელსაც დიდი დამსახურება მიუძღვის ზუგდიდის საზოგადოების წინაშე, თავისი პედაგოგიური და სასცენო მოღვაწეობით. ძუკუ ჩხოლარიაც (ამჟამად ექიმი) აქტიური მუშაკი იყო კულტურულ-საგანმანათლებლო დარგისა. როგორც სცენის მოღვაწე ხომ ფასდაუდებელი იყო. ყოველთვის ხალისით ეკიდებოდა ჩვენს წამოწყებას და სცენაზე ძალიან ხშირად თამაშობდა. აგრეთვე დიდ დახმარებას გვიწევდა ჩვენს მუშაობაში ექიმი ანდრო პატარაია, რაც შეეხება მის მეუღ-

ლეს — მანია პატარაიას, ის მუდმივი მონაწილე იყო ჩვენი სპექ-ტაკლებისა. ძალიან დახელოვნებული და სცენისმოყვარე იყო ლიდა ბოჯგუა, პროფესიით პედაგოგი. ლიდა ბოჯგუას ძალიან კარგი მონაცემები ჰქონდა როგორც სცენის მომუშავეს, როლებს მშვენივ-რად ასახიერებდა, კარგად თამაშობდა „ოლეევაში“ ქსენიას და „მათრახის პანაშვიდში“ ბაბულიას. პეტრე მეუნარგია, თუმცა სცე-ნაზე არ თამაშობდა, მაგრამ როგორც თეატრის და საზოგადოდ ხელოვნების მოყვარული თავისი გულწრფელი დახმარებით ყოველ-თვის დიდ სამსახურს უწევდა ზუგდიდის თეატრალურ საქმიანობას. ზუგდიდში არ ჩავიდოდა დასი, რომ პეტრე მეუნარგიას დახმარება არ გაეწია რითაც კი შეეძლო; ეს ზამთრის სეზონიც პეტრე მეუ-ნარგიას დიდი შრომისა და ზრუნვის შედეგი იყო. პეტრე მეუნარ-გიას ჰქონდა ორგანიზატორული უნარი. ეს სცენისმოყვარეთა ჯგუ-ფიც მისი წყალობით იყო შეკრებილი და ჩამოყალიბებული.

ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობაში აქტიურად იყო ჩაბმული ახლა უკვე ექიმი, ბაბუცა თევზაია. ისიც ყოველთვის ხალისით გვესმარე-ბოდა.

ჩვენთან მუშაობდა აგრეთვე სერგო სარქისოვი, ადგილობრივი აგრონომი, რომელსაც სცენა ძალიან უყვარდა და ხშირად გვესმა-რებოდა. სცენაზე გამოდიოდა თელაველის ფსევდონიმით. სრულიად ახალგაზრდებმა დაიწყეს ჩემთან მუშაობა 1928-29 წლის სეზონში ახლა საკმაოდ ცნობილმა მსახიობებმა: ლეო ჭედიამ და გიორგი გაბუნიამ. მხოლოდ ამ ორმა ახალგაზრდა სცენისმოყვარემ არ გა-ანება თავი სასცენო მოღვაწეობას და აგერ ოც წელზე მეტია, რაც თეატრში მოღვაწეობენ: ლეო ჭედია სუხუმის თეატრში, ხო-ლო გიორგი გაბუნია საქალაქო და სარაიონო თეატრებში. ეს უკა-ნასკნელი დრამატურგიცაა. ის რამდენიმე პიესის ავტორია, რო-მელთაგან ერთი პიესა თბილისში მოზარდ მაყურებელთა თეატრშიც დაიდგა. ეს პიესა იყო „ორჯონიკიძის ხმალი“, მას საკმაო წარმა-ტება ხვდა ახალგაზრდა მაყურებელთა შორის. რა თქმა უნდა, ჩვე-ნი მუშაობა მხოლოდ ზუგდიდით არ ამოიწურებოდა, ჩვენი სცე-ნისმოყვარეთა დასი ხშირად მართავდა წარმოდგენას ზუგდიდის მახლობელ დაბა-სოფლებში. ხშირად ვდგამდით წარმოდგენებს

ხობში, სადაც დიდი ხალისით ესწრებოდა მოსახლეობა. ჩვენ იქ მიგვქონდა უფრო იოლად დასადგმელი პიესები: „ვაის გავეყარე, უის შევეყარე“, „სიძე-სიმამრი“, „სულელი“. იმ დროს ჩვენ მიერ გამართულ წარმოდგენებს დიდი კულტურულ-საგანმანათლებლო მნიშვნელობა ჰქონდა, ეს პირველი წარმოდგენები იყო, რომლებსაც ხობის მოსახლეობა ესწრებოდა, ამიტომაც მსურველი ბევრი იყო და სასწავლებლის პატარა დარბაზი, მაყურებელს ვერ იტევდა. ზუგდიდელ სცენისმოყვარეთა ამ პირველმა სეზონმა ათ თვეს გასტანა.

თავი მეჩვიდმეტე

ჩემი მიწვევა სუხუმის დასში. ცაცა ამირეჯიბი. ელო ანდრონიკაშვილი. დიმიტრი გაგუა. პიესების „ყარაბ და ემზარის“, „ანზორის“, „ყაჩაღების“ დადგმა. დავით მირიანაშვილი.

30 აგვისტოს, 1929 წელს, ზუგდიდში სეზონი დავამთავრე და ჩამოვედი თბილისში, რომ მომავალი ზამთრის სეზონისათვის მოვწყობილიყავი. ხელოვნების კავშირს აქტიორთა ბიურო ჰქონდა, სადაც იკრიბებოდნენ რაიონული თეატრების რეჟისორები და მსახიობებთან მოლაპარაკებას აწარმოებდნენ, უთანხმებდნენ და დასს ადგენდნენ. მეც თბილისში ჩამოსვლისთანავე ხელოვნების მუშაკთა კავშირში მივედი, რათა ჩემი ამხანაგები მენახა და გამეგო, ვინ სად ეწყობოდა სამუშაოდ. სწორედ ხელოვნების კავშირში გავიცანი ახალგაზრდა ყმაწვილი ილიკო ჯუღელი, რომელსაც მინდობილი ქონდა სუხუმისათვის დასი შეედგინა და თან წაეყვანა სამუშაოდ. გაცნობისთანავე მან წინადადება მომცა, რომ სუხუმში წავყოლოდი სამუშაოდ, როგორც მსახიობი და დამხმარე რეჟისორი. ილიკო ჯუღელს უკვე მოწვეული ყავდა ზოგიერთი ჩემი ამხანაგი, რომელთაც უკვე პირობაზე ხელიც ქონდათ მოწერილი. მე ვკითხე წარსული სეზონი როგორი გქონდათ მეთქი; მიპასუხა, ძალიან მკრთალი იყო და ვაი ვაგლახით დავამთავრეთო. მე ამ ამბავმა ცოტა არ იყოს შემაფიქრიანა. ილიკო ჯუღელმა მითხრა, თქვენი ყოფნა ჩვენ დასში აუცილებელია, როგორც გამოცდილი მსახიობის, ჩვენი ახალგაზრდა მსახიობები უფრო სერიოზულად მოეკიდებიან საქმეს, როცა ძველი თაობის მსახიობი მათ გვერდით იმუშავებსო. სიხარულით დავთანხმდი ილიკო ჯუღელის წინადადებას, მითუმეტეს, როცა გავიგე, რომ დასში მიწვეულნი იყვნენ ჩემი საუკეთესო მეგობრები,

ნიჭიერი მსახიობები: ცაცა ამირეჯიბი და ელო ანდრონიკაშვილი, რომლებთანაც მე არა ერთი სეზონი მქონდა ნამუშევარი. სუხუმი, როგორც თეატრალური ქალაქი, ჩემთვის უცხო არ იყო. მე სეზონით სუხუმშიც არ მემუშავნა, მაგრამ თბილისის დასთან ერთად, ხშირად მიხდებოდა იქ წარმოდგენებში მონაწილეობის მიღება.

მიწვეული მსახიობები ერთად არ წასულან; მე რამდენიმე დღით ჩამოვშორდი ამხანაგებს, მაგრამ იცოდნენ, როდის უნდა ჩავსულიყავი და ამიტომ, ჩემ შესახვედრად გამოეგზავნათ მსახიობი, რომელიც ჩემთან ერთად მუშაობდა „წითელ თეატრში“ — ტიტიკო გაგუა. მან დიდი დახმარება გამიწია პირველ დღეებში, შეხვედრისთანავე ჩემი ბარგი-ბარხანით რესტორანის კაბინეტში წამიყვანა, სადაც იქაური მსახიობები შეკრებილიყვნენ და ჩემს ჩასვლას ელოდნენ. შეიკრიბა დასი. პირველი პიესა, რომელსაც ჩვენმა დასმა მოჰკიდა ხელი, სეზონის გასახსნელად, იყო „ყარაბ და ემზარი“, რომელიც ასახავდა სვანეთის ცხოვრებას და კარგად იყო დაწერილი. დასი ძალიან გულმოდგინედ შეუდგა ამ პიესის მომზადებას. მთავარ როლებს თამაშობდნენ ცაცა ამირეჯიბი, შურა სიხარულიძე, ტიტიკო გაგუა. მეც მშვენიერი როლი მქონდა მოხუცი სვანისა. ეს პიესა „ყარაბ და ემზარი“ იმ დროისათვის აქტუალურ თემაზე იყო დაწერილი და ამიტომაც, სუხუმის მაყურებელს ძალიან მოეწონა. სეზონის გახსნა ძალიან ხალისიანი იყო. პირველი წარმოდგენითვე მიიპყრო ჩვენმა დასმა სუხუმის საზოგადოების ყურადღება.

პრემიერად დავდგით აფხაზი დრამატურგის პიესა „მახაჯირები“, რომელიც ქართულად ადგილობრივ თარგმნეს. პიესა ეხებოდა აფხაზების გადასახლებას ოსმალეთში. ამ პიესამაც სუხუმელ მაყურებელზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა. შემდეგ დავდგით შალვა დადიანის პიესა „კაკალ გულში“. ეს პიესა სუხუმში დაიდგა ცეკვითა და სიმღერით. აგრეთვე დავდგით: „რღვევა“ ლავრენიეკისა — თარგმანი აკაკი ფალავასი, დადგა ჩვენმა ახალგაზრდა რეჟისორმა ა. ციციშვილმა; ავქსენტი ცაგარელის ცნობილი კომედია „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“, რომელშიც გიჟუას თამაშობდა მიხეილ მგელაძე, ხოლო მე ავეტიკას, ა. ციციშვილმა დადგა თითქმის როგორც ოპერეტა, თუმცა ტექსტი სრულიად არ იყო შეცვლილი. მიხეილ მგელაძემ ამ სეზონში შემდეგ

ითამაშა „ყაჩაღებში“ კარლ მოორი. ეს ახალგაზრდა მსახიობი, გარეგნობით ძალიან მოხდენილი იყო.

როგორც ვთქვით, ამ სეზონში ნაყოფიერად მუშაობდა ცაცა ამირეჯიბი, რომელმაც დაიმსახურა სუხუმის საზოგადოების სიყვარული და პატივისცემა. მან შეასრულა ბევრი კარგი როლი: „ყარაბ

ნიკო გვარაძე 1930 წ.

და ემზარში“, „რღვევაში“ — ტატიანა, „ჭირვეული ცოლის მორჯულებაში“ — კატი, „ცხვრის წყაროში“ — ლაურენსია. ასე რომ, ამ სეზონში ცაცა ამირეჯიბი, სამართლიანად ითვლებოდა სუხუმის ქართული დასის მთავარ მსახიობად, ქალთა შორის.

ამავე სეზონში დიდი მუშაობა შეხვდა და დიდი სამსახური გაუწია ჩვენს დასს მუყაითი მუშაობით გამოცდილმა მსახიობმა ელო

ანდრონიკაშვილმა, რომელსაც სუხუმის თეატრალური საზოგადოება, საკმაოდ იცნობდა წინა წლების მუშაობით. ელო ანდრონიკაშვილი ჯერ კიდევ 1911-12 წელს შალვა დადიანთან ერთად, სუხუმის სცენისმოყვარეთა დახმარებით აწარმოებდა სეზონს. ნაყოფიერად მუშაობდნენ ამ სეზონში შურა სიხარულიძე და მერი კანდელაკი. მაშინ, ეს მსახიობები სრულიად ახალგაზრდები იყვნენ და ახალგაზრდული ენერგიით და სიყვარულით ემსახურებოდნენ თეატრს.

1929-30 წლის ზამთრის სეზონში დასში ირიცხებოდნენ შემდეგი მსახიობები: ქალები — ცაცა ამირეჯიბი, ელო ანდრონიკაშვილი, შურა სიხარულიძე, მერი კანდელაკი, ოლია კანდელაკი, დები — ერქომაიშვილები; ვაჟები—ნიკო გვარაძე, დიმიტრი გაგუა, ბარნაბ კოკელაძე, მიხეილ ბელიძე, ილიკო ჯუღელი, მიხეილ ხოფოლავა, ბარდღუ ჩოჩია, ჯოტი სანიკიძე, შალვა ჯიჯეშვილი და სხვა.

მთავარი დეკორატორი იყო იოსებ ბერიანიძე, თეატრის მხატვარი — დავით მირიანაშვილი, მოკარნახე პროკლე თურქია, მუსიკალური ნაწილის გამგე პ. კორენიაკი.

ამ სეზონში დავდგით კარლო კალაძის პიესა „როგორ“, რომელიც ქუთაისის თეატრში კოტე მარჯანიშვილმა დადგა. ეს პიესაც კარგად იყო დადგმული, მსახიობები ხალისით თამაშობდნენ. აგრეთვე დადგმული იყო „ცხვრის წყარო“ კოტე მარჯანიშვილის მიზანსცენებით. „ცხვრის წყარო“, როგორც განთქმული პიესა, დიდი გულმოდგინებით დაიდგა. იმ დროს „ცხვრის წყარო“ ძალიან პოპულარული იყო, მის შესახებ მრავალი რეცენზია იწერებოდა და ამიტომ, სუხუმის საზოგადოება დიდი აღფრთოვანებით შეხვდა ამ ნაწარმოების დადგმას. ამ პიესაში ცაცა ამირეჯიბი თამაშობდა ლაურენსიას, ხოლო მე მენგოს. ბოლო პრემიერად დადგმულ იქნა შექსპირის „ჭირვეული ცოლის მორჯულება“. პიესაში მშვენიერი სახასიათო როლია პეტრუჩიოს მხლებლისა გრუმიო, რომელსაც მე ვასახიერებდი. პეტრუჩიოს ასახიერებდა ტიტიკო გაგუა, კატის — ცაცა ამირეჯიბი, ბიანკას — შურა სიხარულიძე.

29 მარტს დავამთავრეთ სუხუმში ზამთრის სეზონი „ყარაბ და ემზარით“. საქართველოს ბევრ ქალაქში გამიტარებია სეზონები, ბევრი ნაყოფიერი და ხალისიანი სეზონის მომსწრე ვარ, მაგრამ, მე პირადად და, ვგონებ ჩემს ამხანაგებსაც, ამდენი სიხარული და

საზოგადოების მხრივ პატივისცემა საქართველოს არც ერთ ქალაქში არ განგვიცდია, როგორც სუხუმში 1929-30 წლის სეზონში. ერთი დღეც არ გამორჩენია, რომ წარმოდგენის შემდეგ ვახშმად არ ვყოფილიყავით მიწვეულნი და საზოგადოების პატივისცემა და სიყვარული არ გვეგრძნო. ერთი სიტყვით, სუხუმის ქართველი საზოგადოება რაღაც უჩვეულო პატივისცემით გვეპყრობოდა.

ჩვენთან ნაყოფიერად მუშაობდა ახალგაზრდა მსახიობი ბარნაბ კოკელაძე, რომელმაც რამდენიმე კარგი როლი შეასრულა ამ სეზონში. სუხუმში დამხდური ახალგაზრდა მსახიობებიც დიდად ნაყოფიერად მუშაობდნენ: მიხეილ ჭელიძე, რომელიც თითქმის ყოველ სპექტაკლში იღებდა მონაწილეობას და თამაშობდა პასუხსაგებ როლებს; მიხეილ ხოჭოლავა, რომელიც ძალიან ხალისიანი და ბუყაითი მსახიობი იყო; აგრეთვე ლავრენტი ინაშვილი, შალვა ჭეიშვილი, ბარდღუ ჩოჩია — ყველანი ადგილობრივი ძალები იყვნენ და ისე გულმოდგინედ და ხალისიანად მუშაობდნენ, რომ ბევრ კარგ პროფესიულ მსახიობს აჭარბებდნენ ამ მხრივ. თუ რა აზრისა იყო ჩვენს მუშაობაზე ადგილობრივი პრესა, ამის შესახებ მომყავს ორიოდე ამონაწერი ადგილობრივი გაზეთებიდან: „საბჭოთა აფხაზეთი“ 1930 წ. 1-ლი მარტი.

„წელს სუხუმის ქართულმა დრამამ, დიდი ყურადღება დაიმსახურა. წინათ ბილეთების ხელზე გაყიდვით თუ მიიზიდავდით საზოგადოებას, ახლა კი, თვით ხალხი აწყდება თეატრის კარს. ასეთი დიდი ინტერესი, მიეწერება თვით დასის უნარიან მუშაობას და მის ხელმძღვანელობას, რომელმაც შეძლო სულ მცირე საშუალებებით გადაელახა ბევრი დაბრკოლება და შეექმნა სერიოზული ქართული დრამა. განსაკუთრებით აღსანიშნავია შერჩეული რეპერტუარი. ამას ზედ ერთვის მსახიობთა კარგი, მწყობრი ანსამბლი. წარმოდგენების დეკორაციული და მუსიკალური გაფორმება, რომელსაც წინათ სუხუმში არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ. დღემდე სეზონის გახსნიდან დაიდგა შემდეგი პრემიერები: „ყარაბ და ემზარი“, „ანზორ“, „კაკალ გულში“, „ცხვრის წყარო“, „მახაჯირები“, „რღვევა“, „რაც გინახავს, ველარ ნახავ“ და შილერის „ყაჩაღები“. ამჟამად მზადდება კარლო კალაძის „როგორ“.

„საბჭოთა აფხაზეთი“ № 69, 1930 წელი.

„შაბათს, 29 მარტს, იხურება ქართული დრამის სეზონი. უკანასკნელ წარმოდგენად დაიდგმება „ყარაბ და ემზარი“, რომელიც დაიდგა დიდის წარმატებით სეზონის გახსნისას. წლევანდელი სეზონი ქართული დრამისა, უნდა ჩაითვალოს ბრწყინვალე სეზონად. იდეოლოგიური გამართლება, მხატვრული რეპერტუარი, მშვენიერი შეკავშირება დასისა, მტკიცე ხელმძღვანელობა. ყველა ამას, არ შეეძლო მშვენიერი შედეგი არ მოეტანა. ისეთი დადგმები, როგორიც იყო: „ანზორ“, „ყარაბ და ემზარი“, „ყაჩაღები“ და „ჭირვეული ცოლის მორჯულება“ უნდა ჩაითვალოს თეატრის დიდ მიღწევად. ქართულმა დრამამ საესებით გაამართლა თავისი მუშაობა და კარგად მოემსახურა სუხუმის მშრომელ მოსახლეობას“.

მხატვარს საზოგადოდ თეატრში ყოველთვის ჰქონდა დათმობილი საპატიო ადგილი. მითუმეტეს თანამედროვე საბჭოთა თეატრში, მხატვარს დიდი მნიშვნელობა აქვს. მხატვარს შეუძლია პიესას წარმატება მოუპოვოს, ასევე შეუძლია პიესის დადგმა სრულიად დასცეს და რეჟისორი უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენოს. ამიტომაც სუხუმში ჩვენს მუშაობაში დიდი შრომა და ღვაწლი მიუძღვის მაშინ სრულიად ახალგაზრდა მხატვარს დავით მირიანაშვილს, რომელიც დიდი მონდომებით ახორციელებდა ჩვენს დადგმებს. ყველა პიესის დეკორაციული გაფორმება დავით მირიანაშვილს ჰქონდა მინდობილი. მხატვარმა ერთ სეზონში ათი პიესა რომ გააფორმოს, ეს, ცხადია, დიდ შრომასა და ნიჭს მოითხოვს. მირიანაშვილმა დაძაბული მუშაობით მშვენივრად გააფორმა ჩვენი დადგმები. ამავე დროს, იგი აფხაზურ დრამაშიც მუშაობდა და მის დადგმებსაც აფორმებდა.

ამ სეზონში, ჩვენი თეატრის დირექტორად მუშაობდა გამოცდილი ადმინისტრატორი და თეატრის ძველი მოყვარული თევდორე ალექსანდროვი, რომელიც სუხუმის თეატრის ხუთივე სექტორს ხელმძღვანელობდა — როგორც ქართულს, ისე აფხაზურს, რუსულს, სომხურსა და ბერძნულს. მაშინ ჩვენი თეატრის შენობაში, ხუთი დასი მუშაობდა და, ცოტა არ იყოს, მუშაობა გვიჭირდა უადგილობის გამო, თუმცა უმეტესი ყურადღება ჩვენს დრამას ჰქონდა მიქცეული. აფხაზური დრამა მხოლოდ მაშინ იდგამდა ფეხს და თვეში ერთ წარმოდგენას თუ ახერხებდნენ.

თავი მეთვრამეტე

სუხუმის მეორე სეზონი. „ფიესკოს შეთქმულების“ დადგმა. მსახიობები: არეთა ლოლუა, ბებე ჯაიანი, ვახტანგ არეშიძე, გაიოზ მელიავა, გიორგი გორდაძე. პიესების „გაურის“, „უვარყვარე თუთაბერის“, „პროტესტის“ დადგმა.

რაკი პირველი სეზონი ასე კარგად დავამთავრეთ, ადგილობრივმა ხელისუფლებამ გადაწყვიტა, დასში იგივე შემადგენლობა ყოფილიყო´ მოწვეული მეორე სეზონშიც. მართლაც, მეორე სეზონში მსახიობთა თითქმის მეორე შემადგენლობა ვიყავით: ოლია ლეჟავა, არეთა ლოლუა, ლუბა ფოჩხუა, შურა სიხარულიძე, ბებე ჯაიანი მერი კანდელაკი; ვაჟები—ნიკო გვარაძე, გაიოზ მელიავა, გიორგი გორდაძე, ბარნაბ კოკელაძე, ვახტანგ არეშიძე, ლავრენტი ინაშვილი, ჯოტო სანიკიძე, ბ. ჩოჩია, ვ. გოგია, მიხეილ ქელიძე, მიხეილ ხოფოლავა, მ. წერეთელი, ი. ჩხეტია, ილიკო ჯუღელი. მორიგი რეჟისორი — ნიკო გვარაძე და ა. ციციშვილი, მხატვარი დავით მირიანაშვილი, მოკარნახე — პროკლე თურქია.

მეორე 1930-31 წლის სეზონის გასახსნელად ჩვენმა რეჟისორმა ხელი მოჰკიდა შილერის პიესა „ფიესკოს შეთქმულებას“, რომელიც პირველად იდგმებოდა ქართულ სცენაზე. სეზონისათვის მზადება დავიწყეთ პირველ ნოემბრიდან. დიდხანს ვამზადეთ „ფიესკოს შეთქმულება“, რომელიც დიდად პასუხსაგები პიესა იყო და ამასთანავე ძნელი დასადგმელი დეკორაციულად.

„ფიესკოს შეთქმულებაში“ მონაწილეობდნენ:

ფიესკო — გაიოზ მელიავა
ლეონორა — ბებე ჯაიანი
ვერინა — გიორგი გორდაძე

იულია — არეთა ლოლუა
მავრი — ვახტანგ არეშიძე.

წარსული წარმატება გვავალებდა, რომ წელს ჩვენი სეზონის დასაწყისი კარგი ყოფილიყო. პიესისათვის საგანგებოდ დაწერეს მუსიკა, შეკერეს ახალი ტანსაცმელი, დახატეს ახალი დეკორაციები. მართლაც, „ფიესკოს შეთქმულების“ დადგმამ სუხუმის საზოგადოების დიდი მოწონება დაიმსახურა. პიესაში მონაწილეობას იღებდნენ სუხუმის საზოგადოებისათვის უცნობი მსახიობები: არეთა ლოლუა, ბებე ჯაიანი, ვახტანგ არეშიძე, გაიოზ მელიავა, გიორგი გორდაძე. ამათ ყველას პიესაში წამყვანი როლები ჰქონდათ. პირველი წარმოდგენიდანვე ყველა ამ მსახიობმა საზოგადოების ყურადღება მიიქცია და შემდეგში, ისინი სუხუმის საზოგადოების საყვარელი მსახიობები გახდნენ. ქალებში არეთა ლოლუამ და ბებე ჯაიანმა სუხუმის საზოგადოების დიდი მოწონება დაიმსახურეს; ვაჟებიდან განსაკუთრებით მოეწონათ ვახტანგ არეშიძე, რომელმაც შეასრულა პასუხსაგები როლი მავრისა. აგრეთვე ამ სეზონში წარმატება ხვდათ გაიოზ მელიავას და გიორგი გორდაძეს.

1930 წელს 9 დეკემბერს, თეატრის აფხაზურმა სექტორმა სეზონი გახსნა „ანზორით“, ჩვენ კი 10 დეკემბერს გავხსენით „ფიესკოს შეთქმულებით“.

აგრეთვე საზოგადოების დიდი მოწონება დაიმსახურა კაკაბაძის პიესამ „ყვარყვარე თუთაბერმა“. ყვარყვარეს როლს ასრულებდა ილიკო ჯუღელი. 1930-31 წლის სეზონში დავდგით ხუთი ახალი პიესა: „ფიესკოს შეთქმულება“ შილერისა, „გაყრა“ გ. ერისთავისა, „ყვარყვარე თუთაბერი“ პ. კაკაბაძისა, „პროტესტი“ რუსულიდან ნათარგმნი გ. ფრონისპირელისა. ძველი დადგმებიდან განმეორებული იყო „ყარაბ და ემზარი“, „ყაჩაღები“, „ანზორი“ და „პირველი ცოლის მორჯულება“. ასე რომ, სეზონში სულ ცხრა პიესა გვქონდა, და როდესაც სეზონი მხოლოდ ექვს თვეს გრძელდებოდა, ცხრა პიესის დადგმა დიდ შრომას მოითხოვდა, ამრიგად, მეორე სეზონიც ნაყოფიერად დავამთავრეთ.

თავი მეცხრამეტე

ლიტერატურული საღამოს მოწყობა სუხუმში. გალაქტიონ ტაბიძე და გიორგი ქუჩიშვილი. მათი მოგზაურობა რაიონებში. ლიტერატურული საღამოების მოწყობა ოჩამჩირეში, გალში, ზუგდიდში, ცხაკაიასა და ფოთში.

1930 წლის 29 მარტს სუხუმში ზამთრის სეზონი დამთავრდა. მსახიობებიც წავიდ-წამოვიდნენ. მე თბილისში ვაპირებდი წამოსვლას. სწორედ ამ დროს, სუხუმის დასის მსახიობმა ილიკო ჯუღელმა და ელო ანდრონიკაშვილმა მომმართეს წინადადებით, რომ პატარა მოგზაურობა მოგვეწყო და სალიტერატურო საღამოები გაგვემართა თვით სუხუმში და საქართველოს სხვა ქალაქებში. მე ამ წინადადებაზე დიდის სიამოვნებით დავთანხმდი და ვუთხარი, რომ თბილისში მივდივარ, მოველაპარაკები გიორგი ქუჩიშვილსა და გალაქტიონ ტაბიძეს და თუ ისინი დამთანხმდებიან, მაშინ ღირს მეთქი მოგზაურობის მოწყობა. ავირჩიეთ ერთმოქმედებიანი დრამა, რომელიც ზუგდიდში მქონდა ნათამაშევი და დადგმული — „საბედისწერო შეხვედრა“. ამ პიესაში სამი მოქმედი პირია, ერთი ქალი და ორი კაცი. ასე რომ, პიესაში ელო ანდრონიკაშვილი, ილიკო ჯუღელი და მე ვთამაშობდით, მაგრამ ლიტერატურული განყოფილებისათვის გვჭირდებოდა სახელოვანი პოეტები; ასეთები იყვნენ გალაქტიონ ტაბიძე და გიორგი ქუჩიშვილი. ელო ანდრონიკაშვილი და ილიკო ჯუღელი სუხუმში დავტოვე და მე თბილისში გამოვწიე პოეტებთან მოსალაპარაკებლად. ჩამოვედი თბილისში, შევხვდი გალაქტიონს და გიორგი ქუჩიშვილს, რომლებიც ჩემს წინადადებაზე, დიდი სიამოვნებით დამთანხმდნენ და მითხრეს, რომ სუხუმში დავბრუნებულიყავი და ეს განზრახული მოგზაურობა მომეწყო. მართლაც, დავბრუნდი სუხუმში და შევუდექით

მზადებას. პირველი საღამო უნდა გაგვემართა სუხუმში და დეპუ-
შით უნდა მეცნობებინა გიორგი ქუჩიშვილისა და გალაქტიონ ტაბი-
ძისათვის, თუ სახელდობრ როდის გაიმართებოდა სუხუმში საღა-
მო. რადგანაც ჩვენს თეატრს არ ეცალა — რუსული ოპერეტის და
სი თამაშობდა, ვიქირავეთ ერთი საღამოსთვის კინოთეატრი „აფსნი“,
და იქ მოვაწყეთ სალიტერატურო საღამო. დანიშნულ დროს, სა-
ღამოს, ზუგდიდიდან მანქანა მოვიდა. ჩვენ მიერ მოწვეული მგოს-
ნებიც გამოჩნდნენ. ჩვენ, სამმა, ვითამაშეთ პიესა „საბედისწერო
შეხვედრა“, გადმოკეთებული დავით თაქთაქიშვილისა. შემდეგ,
საღამოს მეორე განყოფილებაშიც ვიღებდით მონაწილეობას მსახიო-
ბები; ვკითხულობდით ლექსებს და მონოლოგებს პიესებიდან. გა-
ლაქტიონი და გიორგი კითხულობდნენ თავიანთ ლექსებს. მახსოვს,
გიორგი მშვენივრად კითხულობდა საკუთარ ლექსს „ლენინს“, რო-
მელიც საზოგადოების დიდ აღტაცებას იწვევდა. აგრეთვე დიდი
ექსპრესიით კითხულობდა გიორგი „ჯვარის მონასტერს“, რომლი-
თაც დამსწრე საზოგადოებაზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა ხოლ-
მე. სუხუმის საზოგადოება დიდი ამბით შეხვდა გიორგისა და
გალაქტიონის გამოსვლას სცენაზე. თუ არ ვცდები, გალაქტიონი
და გიორგი მაშინ პირველად გამოდიოდნენ სალიტერატურო საღა-
მოზე სუხუმში. ამიტომაც იყო რომ დამსწრე საზოგადოების ვაშას
ძახილს და მათ გამოწვევას დასასრული არ ჰქონდა. მშვენივრად
კითხულობდა საკუთარ ლექსებს გალაქტიონ ტაბიძე. სუხუმის შემ-
დეგ, მეორე დღეს სალიტერატურო საღამო გვქონდა ოჩამჩირეში.
რადგან იქ სათეატრო შენობა არა ჰქონდათ, საღამო მოვაწყეთ
სასწავლებლის დარბაზში, სადაც აუარებელი ხალხი დაგვესწრო.
ოჩამჩირეშიც დამსწრე საზოგადოება დიდი ამბით შეხვდა გიორ-
გისა და გალაქტიონს. საზოგადოდ, უნდა ვთქვა, რომ გალაქტიონ
ტაბიძე და გიორგი ქუჩიშვილი, ახალგაზრდობიდანვე განუყრელი
მეგობრები იყვნენ და ძალიანაც უყვარდათ ერთიმეორე და მათი
ერთად გამოსვლა მუდამ აღფრთოვანებას იწვევდა მაყურებელში.
ჩვენ ყველგან აფიშები გაგზავნილი გვქონდა და დღეები განაწილე-
ბული, ასე რომ, სადაც ჩავდიოდით, ყველაფერი წინასწარ იყო
მოწესრიგებული. ოჩამჩირის შემდეგ საღამო გავმართეთ გალში.
გალში ადგილობრივი მასწავლებლები დიდი სიხარულით შეხვდნენ
ჩვენს მიერ გამართულ საღამოს. ბილეთები წინასწარვე გაევრცელე-

ბინათ, ჩვენი ჩასვლისას უკვე მთლიანად გაყიდული იყო. დილით რომ ჩავედით გალში, ადგილობრივმა მასწავლებლებმა სთხოვეს გიორგის და გალაქტიონს, რომ სკოლაში წაჰყოლოდნენ მოწაფეებთან შესახვედრად. მოწაფეებს თურმე ძალიან აინტერესებდათ გალაქტიონის და გიორგის ნახვა. მოწაფეები მათ ლექსებს სკოლაში სწავლობდნენ, როგორც გაკვეთილს, პოეტები კი არ ენახათ. მოსწავლეებმა დიდი ამბით მიიღეს სკოლაში გიორგი და გალაქტიონი, ოვაცია გაუმართეს სასწავლებლის დარბაზში. ჩვენ მიერ გამართულ საღამოზე, უფროსებთან ერთად აუარებელი მოსწავლე ახალგაზრდობა დაგვესწრო. იმ დროს ისეთი სალიტერატურო საღამოების გამართვას, განსაკუთრებით რაიონულ ქალაქებში, მეტად დიდი კულტურული მნიშვნელობა ჰქონდა.

გალის შემდეგ საღამო დანიშნული გვქონდა ზუგდიდში, სადაც კლუბი უკვე აღებული იყო და ბილეთებიც იყიდებოდა. მაშინ სუხუმსა და ზუგდიდს შორის მანქანები ხშირად არ დადიოდნენ, რკინიგზა მოთავებული არ იყო; ერთადერთი საშუალება მიმოსვლისათვის იყო „სოიუზტრანსის" მანქანები. დილით გზაზე დუქანში ვართ, ვსაუზმობთ და მანქანას ველით, რომ ზუგდიდში წავიდეთ. ჩამოიარა ერთმა მანქანამ, ადგილი არ იყო, ჩამოიარა მეორემ — სავსე იყო. ჩვენ კი ხუთნი ვართ და, მაშასადამე, ხუთი ადგილი გვჭირდება. უკვე შუადღე მოახლოვდა და კიდევ გალის გზაზე დუქანში ვიმყოფებით, არ არის ტრანსპორტი, რომ როგორმე ზუგდიდში წავიდეთ; ჩამოიარა მესამე მანქანამ და როგორც იყო, ორი ადგილი აღმოჩნდა თავისუფალი; მე და ელო ანდრონიკაშვილი წავედით, და გიორგის, გალაქტიონს და ილიკო ჯუღელს დავუბარეთ, რომ როგორმე, მოეხერხებინათ და ისინიც მალე წამოსულიყვნენ. ჩამოვედით მე და ელო ანდრონიკაშვილი ზუგდიდში, და ყველაფერი, რაც ჩვენი საღამოსათვის საჭირო იყო, გაკეთებული დაგვხვდა. ბილეთები იყიდებოდა და მხოლოდ დანარჩენ მონაწილეთა ჩამოსვლას ველოდებოდით. გახდა საღამოს 9 საათი, ზუგდიდის კლუბის პატარა დარბაზი მთლად გაიჭედა მაყურებლებით. საზოგადოება ღელავს, გვთხოვს, რომ უკვე დროა საღამო დაიწყოს. მე პირადად უხერხულ მდგომარეობაში ვიყავი ჩავარდნილი: აღარ ვიცოდი, გადამედო საღამო, თუ კიდევ დამეცადნა. გახდა საღამოს 10 საათი, როგორც იყო კლუბის კარებს მოადგნენ დაღლილ-დაქანცულნი და

მთლად მტვერში ამოგანგლული გიორგი ქუჩიშვილი, გალაქტიონ ტაბიძე და ილიკო ჯუღელი. თურმე, ტრანსპორტი ვერ ეშოვათ და ფეხით წამოსულიყვნენ, გზაში წამოსწეოდათ რაღაც მანქანა, რომელიც ხშირად ჩერდებოდა. როგორც იყო ენგურამდე მიეღწიათ, შოფერს შეეყვანა მანქანა წყალში და შუა მდინარეში რომ მიეღწია, მარქანა გაჩერებულიყო. დგანან თურმე შუა ენგურში, არ იციან რა ქნან, ნაპირზე როგორ გამოვიდნენ. ბოლოს გიორგიმ ნაპირზე შენიშნა გლეხი, რომელიც ხეზე ასულიყო და ხეს ტოტებს სჭრიდა, დაუწყო გიორგიმ ამ გლეხს ძახილი და შველა სთხოვა. მასაც მოეყვანა ხარები და რის ვაი-ვაგლახით ეს დამტვრეული მანქანა თავის მგზავრებით წყლიდან ამოეყვანა. შემდეგ ენგურიდან — ზუგდიდამდის ისინი ფეხით წამოსულიყვნენ, რათა დანიშნულ საღამოსათვის როგორმე მოესწროთ. საზოგადოების სახარულს საზღვარი არა ჰქონდა, როცა დაგვიანებისათვის საზოგადოების წინაშე ბოდიში მოვიხადე და გამოვაცხადე, რომ საღამო უსათუოდ გაიმართებოდა. საზოგადოება დიდი სიყვარულით შეხვდა გიორგის და გალაქტიონის სცენაზე გამოჩენას.

ამ 25-30 წლის წინათ მხოლოდ სამი პოეტი გვყავდა, რომლებიც ხშირად მართავდნენ სალიტერატურო საღამოებს და სცენაზე კითხულობდნენ საკუთარ ლექსებს. ესენი იყვნენ: იოსებ გრიშაშვილი, რომელმაც თავისი საკუთარი სტილი შექმნა ლექსის კითხვისა, გიორგი ქუჩიშვილი, რომელსაც თბილისის მუშები დიდი სიყვარულით ხვდებოდნენ, გიორგი ♦რამცთუ სცენაზე, არამედ სუფრაზედაც, დამსწრე საზოგადოების თხოვნით, ხშირად კითხულობდა საკუთარ ლექსებს და აღტაცებას იწვევდა ხოლმე. განსაკუთრებით უყვარდათ გიორგი ქუჩიშვილი თბილისის მუშებს და დიდ პატივსა სცემდნენ. თბილისის კლუბებსა და თეატრებში გიორგი ქუჩიშვილი ძალიან ხშირად კითხულობდა საკუთარ ლექსებს. ხალხის საყვარელი პოეტი იყო ჯერ კიდევ მაშინ გალაქტიონ ტაბიძეც; მის გამოსვლასაც დიდის აღტაცებით ხვდებოდნენ ხოლმე, როგორც თბილისში, ისე ყველგან, საქართველოში. ეს პოეტები სცენაზე თავიანთ ლექსების კითხვით უფრო უახლოვდებოდნენ ხალხს, დიდად პოპულარული იყვნენ.

ზუგდიდიდან წავედით ახალ-სენაკში. აქაც დიდად კმაყოფილნი იყვნენ ჩვენი ჩასვლით და გამართული საღამოთი. ახალ-სენაკიდან გავემგზავრეთ ფოთში, სადაც თეატრ „კომეტაში“ გავმართეთ საღამო. ფოთში, საღამოს მოწყობის საქმეში დიდი დახმარება გაგვიწია, ჩვენმა ძველმა მსახიობმა, სტეფანე ხარაზიშვილმა. ფოთში დიდი ძალი ხალხი დაესწრო ჩვენს საღამოს. ნაესადგურის მუშების თხოვნით, მეორე საღამო, უკვე მათ კლუბში გავმართეთ, სადაც განსაკუთრებით მუშები დაგვესწრნენ. მათ აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა, როცა სცენაზე თავიანთი საყვარელი პოეტები დაინახეს.

ამრიგად ეს მოგზაურობა ხალხის კულტურული მომსახურების თვალსაზრისით, მეტად სასარგებლო გამოდგა.

თავი მეოცე

საგარეჯოს საზაფხულო სეზონი. საგარეჯოს სცენის-მოყვარენი. პიესების: „მათრახის პანაშვიდის", „მსხვერპ-ლის" და „ციცინათელას" დადგმა. საგარეჯოს მეორე საზაფხულო სეზონი. „რღვევის", „ნამუსისათვის" და „ოტელოს" დადგმა. ალექსანდრე იმედაშვილის მიწვევა.

ამ მოგზაურობის შემდეგ, თბილისში რომ ჩამოვედი, ჩემმა მეგობარმა ალექსანდრე ბურთიკაშვილმა წინადადებით მომმართა, ორი თვით საზაფხულო სეზონისათვის საგარეჯოში გავყოლოდი როგორც რეჟისორ-მსახიობი და ადგილობრივი დრამატული წრისათვის ხელმძღვანელობა გამეწია. ამ წინადადებაზე სიამოვნებით დავთანხმდი, რადგან ვიცოდი, რომ სოფელ საგარეჯოში ძველათვე მშვენიერი სცენისმოყვარენი იყვნენ, რომელთაც კარგა ხნის სასცენო მუშაობის პრაქტიკა ჰქონდათ, და მათთან მუშაობა არ გამიძნელდებოდა, მით უმეტეს, რომ თვით ალექსანდრე ბურთიკაშვილი, როგორც უკვე გამოცდილი მსახიობი, ჩემს გვერდით იქნებოდა და მუშაობაში დამეხმარებოდა. საგარეჯოს თეატრს ხანგრძლივი ისტორია აქვს, ნიკო ავალიშვილის და ერემია გულისაშვილის შემწეობით და დახმარებით. ვგონებ, საქართველოში არ არსებობს სოფელი, რომელსაც ამდენი წლის თეატრალური ისტორია ჰქონდეს, როგორც საგარეჯოს. პირველი წარმოდგენა სოფელ საგარეჯოში გაუმართავთ 1876 წელს. უთამაშნიათ ცხვედაძის პიესა: „ბედნიერი ქორწილი". საგარეჯოს თეატრმა 1926 წელს 50 წლის იუბილეც კი გადაიხადა. ასე რომ, სოფელ საგარეჯოს თეატრს ყოველთვის ჰყავდა კარგად შეკავშირებული სცენისმოყვარეთა წრე, რომელიც ზაფხულობით მაინც, ხშირად მართავდა წარმოდგენებს. ერთ ზაფხულს, მიხეილ ქორელიც იყო მოწვეული საგარეჯოს და ნუცა

ჩხეიძის მონაწილეობითა და ადგილობრივ სცენისმოყვარეთა დახმარებით წარმოდგენებს მართავდა. სოფელ საგარეჯოში მე არასდროს არ მეთამაშნა. ჩვენ წინასწარ შევიმუშავეთ რეპერტუარი. მართალია, საგარეჯოში კარგი სცენისმოყვარეები იყვნენ როგორც ქალები, ისე ვაჟები, მაგრამ ალ. ბურთიკაშვილს პირობა დავუდე, რომ ერთი პროფესიონალი მსახიობი ქალი მოეწვია, რომელიც შეძლებდა ახალგაზრდა ქალების მთავარ როლების შესრულებას. ეს მით უმეტეს იყო საჭირო, რომ ადგილობრივი საზოგადოება დაინტერესებული ყოფილიყო ახალი მსახიობი ქალის სცენაზე ნახვით. ამიტომ ალ. ბურთიკაშვილმა, როგორც ამ საზაფხულო სეზონის ორგანიზატორმა, მოლაპარაკება გამართა ახალგაზრდა მსახიობ ქალთან, ნინო ზურმუხტაშვილთან. ნინო ზურმუხტაშვილი დათანხმდა ბურთიკაშვილის წინადადებას და დიდი ხალისით იწყო მუშაობა საგარეჯოს საზაფხულო სეზონში. პირველი პიესა, რომელსაც ჩვენ ხელი მოვკიდეთ სეზონის გასახსნელად, იყო სანდრო შანშიაშვილის „მათრახის პანაშვიდი“ („ჰერეთის გმირები“). ამ პიესაში მთავარ როლს, თანდილას თამაშობდა ალექსანდრე ბურთიკაშვილი. ბაბულიას, აგრეთვე მთავარ როლს ქალისას — ნინო ზურმუხტაშვილი. ეს პიესა სანდრო შანშიაშვილს ქიზიყელთა ცხოვრებიდან აქვს აღებული და მოქმედი პირნი ქიზიყელი გლეხები არიან, რომელთა გასახიერებაც საგარეჯოელ სცენისმოყვარეებს არ გასჭირებიათ. ასე რომ, პიესა ჩვენს დასში კარგად განაწილდა და კარგი წარმოდგენაც გამოვიდა. ამ პიესამ საგარეჯოს მაყურებელზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა და ამიტომ გავიმეორეთ. ამ პიესაში ბატონის როლს მშვენივრად თამაშობდა კოლა ქვლივიძე. აგრეთვე მშვენიერი წარმოდგენა იყო იოსებ გედევანიშვილის „მსხვერპლი“, რომელიც ქართლის გლეხობის ცხოვრებას ასახავს. აქაც გლეხების ბევრი როლია, რაც საგარეჯოს სცენისმოყვარეებმა მშვენივრად დაძლიეს და პიესის კარგ მსვლელობას ხელი შეუწყეს. ახალგაზრდა ქალის — ნატოს როლს ასრულებდა ნინო ზურმუხტაშვილი, ვანოსას — ალექსანდრე ბურთიკაშვილი, გიგო ტეტიაშვილის როლს მე ვთამაშობდი, სირაჯის როლს — საქოს თამაშობდა იაკობ ანუაშვილი, რომელიც საზოგადოდ სომეხი ვაჭრების და სირაჯების როლს კარგად თამაშობდა. ანუაშვილმა თავისი ხანგრძლივი მუშაობით საგარეჯოს თეატრს დიდი ამაგი დას-

საგარეჯოს სცენისმოყვარეთა დასი 1930 წ.

დო. თვალსაჩინო ღვაწლი მიუძღვის აგრეთვე ძველ სცენისმოყვარეს ლიზა ვაშაკიძეს, რომელიც ჩემს იქ ყოფნის დროს უკვე მოხუცი იყო და იშვიათად იღებდა მონაწილეობას წარმოდგენებში. ლიზა ვაშაკიძე ერთხანს თბილისის დასშიც მოღვაწეობდა.

დავდგით კიდევ შალვა დადიანის მიერ გადმოკეთებული პიესა „საქარიქედზე", „ინსტინქტი", რომელიც ლადო მესხიშვილის თარგმანია. ოდესღაც, ლადო ამ პიესაში მშვენივრად თამაშობდა მთავარ როლს პროფესორისას. ჩვენთან ეს როლი შეასრულა ალექსანდრე ბურთიკაშვილმა. ჩემს საბენეფისოდ დავდგით პიესა „ზღვასთან". აგრეთვე ვთამაშობდით ვალერიან გუნიას კომედიებს: „სიძე-სიმამრს" და „ვაის გავეყარე, უის შევეყარეს". ამ ზაფხულს სტუმრად გვეწვია მსახიობი შაქრო გომელაური, რომლის ჩამოსვლამაც საშუალება მოგვცა დაგვედგა ნიკო შიუკაშვილის ცნობილი პიესა „ციცინათელა", რომელშიც შაქრო გომელაური მშვენივრად თამაშობდა მაქსის — ერთ-ერთ მთავარ როლს. შაქრო გომელაური კარგა ხანს დარჩა ჩვენთან და გვეხმარებოდა მუშაობაში. 1930 წლის ზაფხულის განმავლობაში მთელი სეზონი მუშაობდნენ ჩვენთან შემდეგი მსახიობები: ნინო ზურმუხტაშვილი, ქეთო ციციშვილი, დარუსია მაისურაძე, ელენე მჭედლიშვილი, ქეთო მჭედლიშვილი; ვაჟები: ალექსანდრე ბურთიკაშვილი, იაკობ ანუაშვილი, ნიკოლოზ ქვლივიძე, ნიკოლოზ ქურდოვანიძე, ალექსანდრე ბედიაშვილი, ლევან ნადირაძე, ირაკლი ექვთიმიშვილი, ვიქტორ გარსიაშვილი, ელიზბარ ქურდოვანიძე, კოტე მჭედლიშვილი.

თეატრს ჰყავდა თავისი გამგეობა, რომელიც ყოველდღიურად თვალყურს ადევნებდა ჩვენს მუშაობას და ადმინისტრაციულ მოვალეობას ასრულებდა. გამგეობაში შედიოდნენ შემდეგი ამხანაგები: ერემია გულისაშვილი (ჩვენი ძველი დრამატურგი, რომელსაც აქვს ორიგინალური პიესა, — „დრონი მეფოპენ"), ლენტო გულისაშვილი, გიორგი მთვარაძე, მუსიკალური ნაწილის გამგე იყო მარიამ გულისაშვილი.

1931 წლის ზაფხულის სეზონში იმავე ალექსანდრე ბურთიკაშვილის წინადადებით მეორედ ვიყავი მიწვეული საგარეჯოში რეჟისორ-მსახიობად. ამ სეზონში ა. ბურთიკაშვილმა უფრო ფართოდ მოჰკიდა ხელი საგარეჯოს საზაფხულო სეზონის მოგვარებას. ამიტომ, ნინო ზურმუხტაშვილის გარდა, რომელმაც ჩვენთან იმუშავა

პირველ სეზონში, დასში მოიწვია კიდევ ორი პროფესიონალი მსახიობი. ესენი იყვნენ უკვე საკმაოდ გამოცდილნი და სცენის დიდი ხნის მოღვაწენი: არეთა ლოლუა და გ. ფრონისპირელი (ყიფშიძე). რა თქმა უნდა, ჩვენ მეტი საშუალება მოგვეცა, რომ პიესები, მხატვრულად უფრო კარგად დაგვედგა. დასში ვირიცხებოდით ხუთი პროფესიონალი მსახიობი, რაც საგარეჯოს თეატრისათვის დიდად მნიშვნელოვანი იყო. პირველი პიესა, რომელსაც ხელი მოვკიდეთ სეზონის გასახსნელად იყო ლავრენიევის ცნობილი პიესა „რღვევა“, რომელიც დიდის მონდომებით და სიყვარულით დადგა გ. ფრონისპირელმა. ტატიანას მთავარ როლს ასახიერებდა ნინო ზურმუხტაშვილი, ქსენიას — არეთა ლოლუა, ბერსენიევს — გ. ფრონისპირელი, გოდუნს — ალექსანდრე ბურთიკაშვილი, შვაცსს მე ვთამაშობდი. ამ პიესამ საგარეჯოს საზოგადოების დიდი მოწონება დაიმსახურა. აგრეთვე კარგი წარმოდგენა იყო შირვანზადეს ცნობილი პიესა „ნამუსისათვის“. დავდგით აგრეთვე „მგლის ბილიკი“, რომელშიც მთავარ როლებს თამაშობდნენ: ნინო ზურმუხტაშვილი, არეთა ლოლუა, გ. ფრონისპირელი და ალექსანდრე ბურთიკაშვილი. ჩემს საბენეფისოდ დავდგით მხიარული ფრანგული კომედია „ნათლული“, აგრეთვე გავიმეორეთ „სიძე-სიმამრი“. ამ დროს, ალექსანდრე იმედაშვილისაგან წერილი მივიღეთ, რომ ჩვენს წინადადებაზე თანახმა იყო, რათა ერთი წარმოდგენით ჩვენთან ჩამოსულიყო. მართლაც, გვეწვია ა. იმედაშვილი. მისმა ჩამოსვლამაც დიდი ინტერესი გამოიწვია საგარეჯოს მოსახლეობაში. იმედაშვილმა ჩვენთან მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ერთ წარმოდგენაში: ითამაშა თავისი საყვარელი როლი „ოტელოს“ მესამე მოქმედებიდან, ეპვიანობის სცენა, რომელშიც მხოლოდ ორნი იღებდნენ მონაწილეობას, ოტელო და იაგო. იაგოს თამაშობდა გ. ფრონისპირელი. „ოტელოს“ შემდეგ დაიდგა ერთმოქმედებიანი ვოდევილი „გამარჯვებულებს არ სჯიან“, რომელსაც ალექსანდრე იმედაშვილი ძალიან ხშირად თამაშობდა ხოლმე და ძალიან კარგ ტიპსაც ქმნიდა — მეზღვაურ ოფიცრისას. საგარეჯოში პირველად იდგმებოდა შექსპირის „ოტელო“, მართალია ერთი სცენა, მაგრამ მაინც დიდად საინტერესო წარმოდგენა.

ამ საღამომ სადღესასწაულო ელფერი მიიღო. ალექსანდრე იმედაშვილს ჩვენი თეატრის მაყურებელი დიდი სიყვარულით და პატი-

ვისცემით შეხვდა. წარმოდგენის შემდეგ რამდენიმე დღეს დარჩა ჩვენთან საგარეჯოში და ეს რამდენიმე დღე მის პატივისცემასა და სიყვარულში გავატარეთ. ა. იმედაშვილი, როგორც ცნობილია უაღრესად ნიჭიერი, ამასთანავე მეტად მომზადებული, ჭკვიანი და თავმდაბალი მსახიობი იყო. მან ფასდაუდებელი დახმარება გაუწია ახალგაზრდა მსახიობებს, ბევრი მათგანი დააყენა სწორ გზაზე, როცა ვასო გოძიაშვილმა განიხრახა ოტელოს როლის მომზადება და მისი განსახიერება, ა. იმედაშვილი იყო, რომელმაც მას, როგორც ახალგაზრდა მსახიობს, ხელი შეუწყო, ეხმარებოდა და რჩევა-დარიგებას აძლევდა. საქართველოში შექსპირის რეპერტუარს ბევრნი თამაშობდნენ, ლადო მესხიშვილით დაწყებული, მაგრამ ჩვენს აქტიორებში შექსპირის ნამდვილი მოყვარული იყო ალექსანდრე იმედაშვილი. იმედაშვილი ბევრს მუშაობდა შექსპირის ტიპებზე. მან განასახიერა შექსპირის რეპერტუარის თითქმის ყველა მთავარი როლი. პირველად ლადო მესხიშვილის შემდეგ, ქართულ სცენაზე, მან განასახიერა ჰამლეტი, რომელიც ითამაშა თავის ბენეფისზე ქუთაისში 1910 წელს, შემდეგ განასახიერა ოტელო, რომელიც ითამაშა 1914 წელს თბილისში, მერე შეასრულა კასიო „იულიოს კეისარში", 1923 წელს თავის საბენეფისოდ დადგა „მაკბეტი" რუსთაველის სახელობის თეატრში (ტრაგედია დადგა მიხეილ ქორელმა და ლედი მაკბეტს თამაშობდა ნინო ჩხეიძე). ბოლოს ქუთაისის სცენაზე, დოდო ანთაძის დადგმაში, ქუთაისის დასის გასტროლების დროს თბილისში, ითამაშა მეფე ლირი 1941 წელს. შექსპირის ტიპების განხორციელებაზე ა. იმედაშვილი რამდენიმე წელიწადს მუშაობდა ხოლმე. ამრიგად, ა. იმედაშვილი ქართულ სცენაზე, შექსპირის დიდი დამამკვიდრებელი იყო.

საგარეჯოს თეატრის აღორძინება-წინსვლაში დიდი ამაგი მიუძღვის და კარგა ხანსაც მუშაობდა საგარეჯოს სცენაზე დარუსია მაისურაძე, რომელიც ყოველთვის ასახიერებდა ახალგაზრდა მანდილოსნების როლებს; იგი ერთ-ერთი ნიჭიერი სცენისმოყვარე იყო და თითქმის ორ ათეულ წელიწადს მუშაობდა საგარეჯოს სცენაზე. ასევე უანგარო მუშაკი იყო ქეთო მჭედლიშვილი. ძალიან ხელს გვიწყობდნენ საქმის სიყვარულით აგრეთვე ელენე მჭედლიშვილი და მაშინ ჯერ კიდევ გოგონა ქეთო ციციშვილი, რომელიც ბავშვების როლებს თამაშობდა. ორივე სეზონში დიდი ტვირთი აწვა მსახიობ

ნინო ზურმუხტაშვილს, რომელიც თამაშობდა ახალგაზრდა ქალების პასუხსაგებ როლებს.

არეთა ლოლუამ პირველ გამოსვლისთანავე მიიპყრო საზოგადოების ყურადღება. საგარეჯოს ძველი ამაგდარი სცენისმოყვარენი იყვნენ და დიდხანს უწყობდნენ ხელს საგარეჯოს თეატრის აღორძინებას ნიკოლოზ ქვლივიძე და ნიკოლოზ ქურდოვანიძე. მაშინ ახალგაზრდა სცენისმოყვარენი იყვნენ და დიდი ხალისითაც მუშაობდნენ ალექსანდრე ბედიაშვილი, ლევან ნადირაძე, ვიქტორ გარსიაშვილი, ელიზბარ ქურდოვანიძე, კოტე მჭედლიშვილი. როგორც გამგეობის წევრებს, დიდი ამაგი მიუძღვით ლენტო გულისაშვილს, ერემია გულისაშვილს და გიორგი ბთვარაძეს.

ამ სეზონში, როგორც რეჟისორმა და მსახიობმა დიდი მუშაობა გასწია გ. ფრონისპირელმა, რომელიც ყოველ წარმოდგენაში თამაშობდა და პიესებსაც დგამდა. მაგრამ საგარეჯოს საზაფხულო სეზონების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი იყო ალექსანდრე ბურთიკაშვილი. თუ რაიმე გაგვიჭირდებოდა, ჩვენი ხელისშემწყობი და გაჭირვების ტალკვესი ყოველთვის ალექსანდრე ბურთიკაშვილი იყო. საგარეჯოს თეატრის განვითარებაში ბურთიკაშვილს დიდი ღვაწლი მიუძღვის. ამიტომაც, როცა სეზონი დავამთავრეთ, ნიშნად პატივისცემისა, მის საბენეფისოდ დავდგით ლეონიდ ანდრეევის ცნობილი პიესა „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“, რომელშიც ბენეფიციანტი თამაშობდა მთავარ როლს — კოლია გლუხოვცევისას. ალექსანდრე ბურთიკაშვილის ბენეფისს აუარებელი ხალხი დაესწრო.

ჩვენ, რა თქმა უნდა, საგარეჯოში მუშაობით არ ვკმაყოფილდებოდით და დროგამოშვებით მახლობელ სოფლებშიც ვდგამდით წარმოდგენებს. ვიყავით ხაშმში, სადაც ერთი წარმოდგენა გავმართეთ, ვითამაშეთ მოპასანის მოთხრობიდან გადმოკეთებული ერთმოქმედებიანი დრამა „დები“, „მათიკო“ — მესამე მოქმედება და „საბედისწერო შეხვედრა“, ერთმოქმედებიანი დრამა.

თავი ოცდამეერთე

შალვა ღამბაშიძე. პიერ კობახიძე. პავლე ფრანგიშვილი. მიხეილ სარაული.

1922-23 წლის სეზონში ძალიან ხშირად იდგმებოდა კ. მარჯანიშვილის დადგმით, პიესა „ცხვრის წყარო". ერთ-ერთ წარმოდგენაზე, ფრონდოზოს და ლაურენსიას სცენის დროს, ყველა მოქმედი პირნი გამწკრივებული ვიყავით კულისებში და ველოდებოდით სცენაზე გასვლას. სწორედ ამ დროს ალ. იმედაშვილი შალვა ღამბაშიძეს ეუბნება: შალვა, მაღარიჩი იქნება, რომ კარგი ამბავი გახარო. შალვა ღამბაშიძემ მიუგო, მითხარით, ძვირფასო ალექსანდრე, რა მოხდაო. მე ბათუმში მივდივარ, და დღეის შემდეგ, ესტევანის როლი შენთვის დამილოცნიაო,—უთხრა ალექსანდრე იმედაშვილმა.

მართლაც, მეორე დღეს იმედაშვილის როლი (ესტევანი) „ცხვრის წყაროში", კოტე მარჯანიშვილის განკარგულებით შალვა ღამბაშიძეს გადასცეს. ეს პირველი პასუხსაგები როლი იყო, რომელიც მაშინ ახალგაზრდა მსახიობმა, შალვა ღამბაშიძემ მიიღო. უნდა ვთქვათ, რომ ესტევანის როლის შესრულებით, შალვა ღამბაშიძემ, საზოგადოების და თავის ამხანაგების დიდი ყურადღება დაიმსახურა. ახალგაზრდობიდანვე ღამბაშიძე დიდი მშრომელი და თავისი საქმის მოყვარული მსახიობი იყო. რუსთაველის თეატრშივე, შალვამ ბევრი პასუხსაგები როლი შეასრულა. მშვენიერი როლი ჰქონდა შალვას „ინტერესთა თამაშში", სადაც ნატალია ჯავახიშვილის ქალთან ერთად თამაშობდა. შექსპირის „ვინზორის მხიარულ ქალებში" ის მშვენივრად თამაშობდა ფალსტაფს; გარეგნობითაც ძალიან მოუხდა მას ეს როლი. შალვა აგრეთვე მთავარ როლს ასრულებდა დოდო ანთაძის დადგმაში, „ვილჰელმ ტელი". მიუხედავად ამისა, შალვა ღამბაშიძე, როგორც მსახიობი, უფრო შემდეგში და-

ვაჟკაცდა, როცა კოტე მარჯანიშვილმა მეორე სახელმწიფო თეატრი დაარსა. კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრში, ბევრი პასუხსაგები როლი შეხვდა შალვას. მე, როგორც მაყურებელს, იგი ბევრ როლში მინახავს. მშვენიერი იყო შალვა „ურიელ აკოსტაში“ (დესილვა). აგრეთვე საუცხოოდ თამაშობდა „ჩატეხილ ხიდში“. კოტე მარჯანიშვილის დადგმაში—„შიში“ პროფესორ ბოროზდინს. შალვა ღამბაშიძე ერთ-ერთი ნიჭიერი და თვალსაჩინო მოღვაწეა ქართული სცენისა და დიდი დამსახურებაც მიუძღვის მარჯანიშვილის სახელობის თეატრის ჩამოყალიბება-დამკვიდრებაში.

მარჯანიშვილის სახელობის თეატრი მდიდარია ნიჭიერ აქტიორთა კადრებით, რომლებიც თეატრს დაარსების დღიდან მოსდევენ, ერთი ასეთი თვალსაჩინო და ნიჭიერი წევრია მარჯანიშვილის თეატრისა პიერ კობახიძე, რომელმაც 1924 წლის გაზაფხულზე დაამთავრა თეატრალური სტუდია, იმავე ზაფხულს ჩარიცხულ იქნა რუსთაველ ის სახელობის თეატრის დასში და ჩვენთან ერთად გაემგზავრა მანგლისში. პიერ კობახიძემ რამდენიმე სეზონი იმუშავა რუსთაველის სახელობის თეატრში, ხოლო შემდეგ გადავიდა მარჯანიშვილის სახელობის თეატრში. პიერ კობახიძემ მარჯანიშვილის სახელობის თეატრში თვალსაჩინო როლები შეასრულა, რითაც საშუალება მიეცა გამოევლინებინა თავისი აქტიორული უნარი. საკმარისია დავასახელოთ ისეთი როლები, როგორიც არის. ურიელ („ურიელ აკოსტა“), არმანი („მარგარიტა გოტიე“), ფერდინანდი („ვერაგობა და სიყვარული“).

საქართველოს არც ერთ პროვინციულ ქალაქს არა აქვს ისეთი ხანგრძლივი და ნაყოფიერი თეატრალური მუშაობის ისტორია, როგორც ჭიათურას. ჭიათურას, როგორც მუშათა ქალაქს, ჩვენი თეატრალური მუშაკები ყოველთვის ყურადღებას აქცევდნენ და ხშირად მართავდნენ წარმოდგენებს ჭიათურის მუშებისათვის, რასაც მარგანეცის მრეწველობის გამგეობაც ყურადღებას აქცევდა და საჭირო ფულად დახმარებასაც უწევდა წარმოდგენების გამმართველებს. პირველად, ასეთი წარმოდგენების გამართვა დაიწყო შალვა დადიანმა, როდესაც შალვა ჯერ კიდევ ქუთაისის დასში მუშაობდა მსახიობად. აგრეთვე ხშირად მართავდა წარმოდგენებს ვლ. მესხიშვილი, როდესაც ქუთაისის დასს ხელმძღვანელობდა. მაგრამ სეზონით მუშაობას ჭიათურაში უფრო სერიოზულად მოჰკიდა ხელი ვალ.

შალიკაშვილმა, რომელმაც რამდენიმე სეზონი გაატარა ჭიათურაში, როგორც დასის რეჟისორ-მსახიობმა. რეჟისორსა და მსახიობს დიდ პატივს სცემდნენ ჭიათურაში. ვალ. შალიკაშვილის შემდეგ დასის ხელმძღვანელად მუშაობდნენ კონსტანტინე ანდრონიკაშვილი, მიხეილ ქორელი, შალვა ხონელი და ვასო ურუშაძე.

1926-27 წლიდან ჭიათურაში მოწვეული იყო რეჟისორად მაშინ ახალგაზრდა პავლე ფრანგიშვილი. პავლე ფრანგიშვილმა სასცენო მოღვაწეობა დაიწყო, როგორც მსახიობმა, 1913-14 წელს თბილისის დასში. ის კარგა ხანს მუშაობდა მსახიობად, თამაშობდა ყოველთვის ახალგაზრდა ყმაწვილკაცების როლებს. პირველი ნაბიჯი, როგორც რეჟისორმა, პავლე ფრანგიშვილმა პლეხანოვის სახელობის კლუბში გადადგა. მან დიდი ამაგი დასდო ნაძალადევის სცენისმოყვარეთა ჯგუფს. ნაძალადევის ჯგუფთან მუშაობის შემდეგ პავლე ფრანგიშვილს თავისი მოღვაწეობა გადააქვს ჭიათურაში. მან ჭიათურის თეატრში თითქმის ორი ათეული წელიწადი იმუშავა. მის მიერ გამოზრდილი კადრები დღესაც მუშაობენ ჭიათურის თეატრში. თუ დღეს ჭიათურის სახელმწიფო თეატრს ასეთი საპატიო ადგილი უჭირავს ჩვენს თეატრალურ ცხოვრებაში, ამაში პავლე ფრანგიშვილსაც მიუძღვის ღვაწლი. ფრანგიშვილი კარგი საქმის ორგანიზატორია და დაუღალავი მუშაკია. მისი მეთხებით ჭიათურის სცენაზე ალ. იმედაშვილის მონაწილეობით დაიდგა სოფოკლეს „მეფე ოიდიპოსი“ და შექსპირის „ოტელო“.

1910-11 წლის სეზონში, მესხიშვილმა ჩირიკოვის პიესის „ალქაჯის“ რუსული ეგზემპლარი ჩამოიტანა რუსეთიდან, რომელიც კონსტანტინე ანდრონიკაშვილმა გადმოაკეთა და მანეე დადგა. ეს პიესა რეჟისორისაგან დიდ მუშაობას მოითხოვდა. მის დადგმაზე კონსტანტინე ანდრონიკაშვილმა დიდი შრომა გასწია და შედეგიც კარგი იყო. პიესა გადმოკეთებული იყო ქართულ ნიადაგზე, რითაც მან ძალიან მოიგო. ამ პიესაში მშვენიერი როლები გვქონდა-გიორგი იშხნელს—მამისა და მე—ავადმყოფი შვილის. ერთი როლი იყო ამ პიესაში ალქაჯისა. ამ როლის შემსრულებლად სოსო ივანიძემ ჩვენთან მოიყვანა ახალგაზრდა მიხეილ სარაული. ეს როლი ისე მშვენივრად შეასრულა მიხეილ სარაულმა, რომ მთელი დასის ყურადღება მიიქცია და იმ დღიდანვე დასში იქნა ჩარიცხული. ამ დები-

უტის შემდეგ ქართულ სცენას აღარ მოშორებია. სარაული ერთ-ხანს რაიონულ თეატრებშიც მუშაობდა. შემდეგ მიწვეულ იქნა რუსთაველის სახელობის თეატრში, სადაც რამდენიმე წელიწადს ნაყოფიერად იმუშავა. შემდეგ გადავიდა კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრში, სადაც საყურადღებო როლები შეასრულა. მ. სარაულს, როგორც მსახიობს, ახასიათებს უბრალოება და ბუნებრიობა. არავითარი ნაძალადევი პათოსი და სიყალბე მასში არ არის. ეს კი დიდი ღირსებაა აქტიორისა; მას მშვენიერი სასცენო ხმა და დიქცია აქვს, ამიტომაც არის, რომ ყოველი თეატრისათვის საყვარელი არტისტია, როგორც ამხანაგი და ადამიანი კი მ. სარაული სამაგალითოა.

თავი ოცდამეოთხე

რუსთაველის სახელობის თეატრის გასტროლები მოსკოვში.

1935-36 წლის სეზონის დასაწყისში, რუსთაველის სახელობის თეატრის მუშაობაში გარდატეხა მოხდა. თეატრის საბჭატვრო ხელმძღვანელობა შეიცვალა. თეატრის ახალ სამხატვრო ხელმძღვანელად დაინიშნა აკაკი ვასაძე. თეატრმა უარყო ძველი მუშაობის მეთოდი და დაადგა რეალისტურ გზას. პირველი დადგმა, რომელიც თეატრმა ამ სეზონის დასაწყისში განახორციელა, იყო უკრაინელ დრამატურგ ა. კორნეიჩუკის ცნობილი პიესა „პლატონ კრეჩეტი“. მთავარ როლს პლატონ კრეჩეტისას ასრულებდნენ აკაკი ხორავა და გიორგი დავითაშვილი. ამ პიესის დადგმა განახორციელა რეჟისორმა შოთა აღსაბაძემ. ამავე სეზონში დაიდგა სერგო კლდიაშვილის კომედია „შემოდგომის აზნაურები“. სერგო კლდიაშვილმა კომედიაში გამოიყენა თავისი მამის, დავით კლდიაშვილის ნაწარმოებნი და მის მიერ შექმნილი ტიპები. ეს პიესა, რომელსაც თეატრმა მუსიკალური კომედიის ელფერი მისცა, დიდი პოპულარობით სარგებლობდა რუსთაველის თეატრის მაყურებელთა შორის და მრავალჯერ იქნა დადგმული. მესამე პიესა, რომელიც დადგა რუსთაველის სახელობის თეატრმა, იყო სანდრო შანშიაშვილის ლექსად დაწერილი დრამა „არსენა“. ამ პიესის დადგმაზე თეატრის კოლექტივმა დიდხანს იმუშავა და შესანიშნავი სპექტაკლი შექმნა. „არსენას“ დადგმამ დიდი ინტერესი გამოიწვია. პიესის დადგმა განახორციელა აკაკი ვასაძემ.

ეს სეზონი რუსთაველის სახელობის თეატრის ისტორიაში მეტად მნიშვნელოვანი იყო. თეატრმა იგი დიდი წარმატებით დაამთავრა. სწორედ წარმატებითი მუშაობა იყო მიზეზი, რომ თეატრი მოსკოვში გამართულ ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად იქნა მიწვეული.

1936 წელს, ზაფხულში შვებულებას ქვიშხეთში ვატარებდი და სრულიად მოულოდნელად თბილისიდან, თეატრის დირექტორისაგან მივიღე ცნობა, რომ დაუყოვნებლივ თბილისში ჩამოვსულიყავი, რათა გავყოლოდი მოსკოვში იმ მსახიობთა ჯგუფს, რომელსაც მოზარდ მაყურებელთა თეატრის ადმინისტრაცია, მთავრობის განკარგულებით და ხელის შეწყობით შემოქმედებითს მივლინებაში აგზავნიდა მოსკოვსა და ლენინგრადის თეატრების გასაცნობად. ამ ჯგუფში ვიყავით შემდეგი მსახიობები: გ. კუპრაშვილი, თ. თვალიაშვილი, მერი ერგნერი, ელ. ციხისთავი, ს. გამრეკელი, გ. აბაშიძე, ნ. მიქაშავიძე, ალ. კაპკაპიშვილი, გ. ჟორდანია და ნ. გვარაძე. ჩვენს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როცა ყველანი თბილისის სადგურზე შევიკრიბენით და მოსკოვის მატარებლის ვაგონში მოვეწყვეთ გასამგზავრებლად. ეს იყო 1936 წლის აგვისტოში. მოსკოვში ჩავედი სწორედ იმ დროს, როცა რუსთაველის თეატრის გასტროლები იწყებოდა ვახტანგოვის სახელობის თეატრში. ჩვენ ყველანი, ჩვენდა საბედნიეროდ, პირველსავე წარმოდგენაზე მოვხვდით. მართლაც რომ პირველი საგასტროლო წარმოდგენა „არსენა“ სადღესასწაულო სპექტაკლი იყო. ვახტანგოვის სახელობის თეატრის დარბაზი გაჭედილი იყო მაყურებლებით. წარმოდგენას დაესწრო მოსკოვის თეატრალური საზოგადოებრივობა. დაესწრნენ გამოჩენილი მსახიობები, რეჟისორები და თეატრალური კრიტიკოსები. წარმოდგენას დაესწრნენ მთავრობის წევრები ამხანაგები: სერგო ორჯონიკიძე, ლ. კაგანოვიჩი და კ. ვოროშილოვი. წარმოდგენაზე მრავლად იყვნენ მოსკოვში მცხოვრები ქართველები. წარმოდგენის დაწყებამდის მოკლე სიტყვა წარმოთქვა თეატრის ხელმძღვანელმა აკაკი ვასაძემ. მომყავს ეს სიტყვა:

«Правда», 21 августа 1936 г.

ТЕАТР РУСТАВЕЛИ В МОСКВЕ

Вчера в помещении театра им. Вахтангова, начались гастроли, прибывшего на днях в Москву Государственного драматического театра имени Руставели. К началу спектакля сотни москвичей заполнили зал. С краткой вступительной речью выступил народный артист республики, орденоносец А. Васа-

дзе.— Гастроли,— говорит он,— имеют целью, продемонстрировать наше искусство перед великим русским народом. Спектакли, которые мы покажем московскому зрителю, для нас большая творческая проверка. Кончая свою речь, тов. Васадзе восклицает: Да здравствует великий зодчий счастья—товарищ Сталин. Театр встретил эти слова долгими, горячими овациями. В зале гаснет свет. Раздвигается занавес. На сцене возникают горы Грузии, далекое синее небо. В игре талантливых артистов оживает жизнь Арсена Одзелашвили, одного из любимых героев грузинского народа. Зритель тепло встречает пьесу «Арсен», принадлежащую перу Сандро Шаншиашвили. Кроме «Арсена» в следующих спектаклях руставельцы, покажут пьесы, «Осенние дворяне» и «Анзор».

დაიწყო წარმოდგენა. ეტყობოდა, რომ ადგილობრივი, მოსკოვში მცხოვრები ქართველობა, ძალიან ღელავდა რუსთაველის თეატრის გასტროლების გამო. ეს გასაგებიც იყო. რუსთაველის თეატრის კოლექტივს, როგორც თაყვანისმცემლები ჰყავდა, ისევე ალბათ, მოშურნენიც არა ნაკლები ეყოლებოდა, რადგანაც რუსთაველის თეატრი, წინა წლებშიც ორჯერ იყო გასტროლებზე, და ახლა კი, ახალი ხელმძღვანელობის მეოხებით იმართებოდა ეს გასტროლები.

თეატრის დარბაზში განსაკუთრებული სიჩუმე იყო. მაყურებლები გულისყურით ისმენდნენ პიესას. ამ წარმოდგენას, როგორც ზევითაც მოვიხსენიე, აუარებელი ქართველობა დაესწრო. ანტრაქტებში ჯგუფ-ჯგუფად იყვნენ ქართველები და პიესაზე და დადგმაზე მსჯელობდნენ. მესამე მოქმედების შემდეგ—ყველა იქ დამსწრემ იწამა, რომ „არსენას“ დადგმა რუსთაველის თეატრში, ერთ-ერთი ბრწყინვალე გამარჯვება იყო. მესამე მოქმედებამ, მართლაც რომ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მაყურებლებზე. საზოგადოების ყურადღების ცენტრში, პირველ რიგში აკაკი ხორავა იყო, როგორც პიესის მთავარი როლის, არსენას განმსახიერებელი. დიდი წარმატება ხვდა აკაკი ხორავას ამ საღამოს არსენას მადლიერი როლის შესრულებით! არსენას როლი აკაკი ხორავას რეპერტუარში ერთ-ერთი ბრწყინვალე როლია. აკაკი ხორავას

მშვენიერი ხმა და მადლიერი სასცენო გარეგნობა ხელს უწყობს არსენას განსახიერების სრულსაყოფად. აგრეთვე დიდი წარმატება ხვდა კომიკური როლის გონჯას შემსრულებელს ემანუილ აფხაიძეს. მსახიობის ყოველი გამოჩენა მაყურებლის სიამოვნებას და სიყვარულს იწვევდა. კარგად და დამაჯერებლად ასახიერებდა გიორგი დავითაშვილი ზაალ ბარათაშვილის როლს.

მოხდენილად და თავდაჭერით ასრულებდა ბარონ როზენის როლს დიმიტრი მჟავია. მე პირადად, იმ საღამოს გამაკვირვა დ. ხუციშვილმა, არსენას ბიძის ონისეს როლის შესრულებით, დ. ხუციშვილი მაშინ ახალგაზრდა მსახიობი იყო, მაგრამ ისე მოხდენილად განასახიერა დაკისრებული როლი, გეგონებოდათ სცენაზე გამოცდილი მსახიობიაო. დანარჩენი მსახიობებიც კარგად თამაშობდნენ.

რეალისტურად და დიდი გემოვნებით იყო შესრულებული მასობრივი სცენები. აკაკი ვასაძემ მოსკოვის თეატრალური საზოგადოების წინაშე თავი ისახელა, როგორც მხატვრული გემოვნებით აღჭურვილმა დამდგმელმა—რეჟისორმა. ამ დადგმას, რა თქმა უნდა, ხელს უწყობდა განსვენებული ირაკლი გამრეკელის ნიჭიერად შესრულებული დეკორაციული გაფორმება. მოსკოვის თეატრალური საზოგადოებრივობა აღტაცებული იყო ირ. გამრეკელის ნამუშევარით.

«Известия», 23 августа 1936 г.

«АРСЕН» В ТЕАТРЕ им. РУСТАВЕЛИ

Первая гастроль грузинского государственного драматического театра им. Руставели прошла с большим успехом. Театр показал пьесу «Арсен», Сандро Шаншиашвили. Основой пьесы является народное сказание об Арсене Одзелашвили, руководителе крестьянских восстаний в 20—30 г. г. прошлого столетия. На материале этой пьесы, постановщик пьесы ее народный артист республики А. Васадзе создал подлинно народный спектакль. Этому в большой мере содействовали композитор И. Туския, насытивший свою музыку к пьесе фольклорными мотивами и художник Ир. Гамрекели, сумевший ярко и

просто передать грузинский пейзаж в первом и пятом актах. Как только поднялся занавес и зрители увидели декорацию Ир. Гамрекели, раздались аплодисменты. Зрители с волнением следили за развитием действия. Театралы не меньше, чем остальные зрители, восхищались прекрасной игрой замечательного артиста А. Хорава (Арсен), Г. Давиташвили (князь Бараташвили), Э. Абхандзе (Гонджа). После окончания спектакля зрители наградили долгими аплодисментами исполнителей, постановщика А. Васадзе и автора С. Шаншиашвили, приехавшего вместе с театром в Москву.

„არსენას“ შემდეგ რუსთაველის სახელობის თეატრმა დადგა სერგო კლდიაშვილის მუსიკალური კომედია „შემოდგომის აზნაურები“. ეს სპექტაკლიც, რომელშიც უმეტესობა ახალგაზრდა მსახიობები იღებდნენ მონაწილეობას, რუსთაველის თეატრის კოლექტივმა მშვენივრად დადგა და მოსკოვის თეატრალურ საზოგადოებრივობაზე მშვენიერი შთაბეჭდილება მოახდინა. თეატრის დარბაზში განუწყვეტლივ გაისმოდა სიცილ-ხარხარი. ამ დადგმასაც აუარებელი ქართველობა დაესწრო და, რა თქმა უნდა, ყოველი მოქმედი პირის გამოჩენას სცენაზე ტაშის ცემით ხვდებოდა. „შემოდგომის აზნაურები“ რუსთაველის თეატრის ერთ-ერთი მკაფიო გამომსახველი სპექტაკლი იყო. ი. ტუსკიას მშვენიერი მუსიკა და დ. თავაძის მოხერხებული და ნიჭიერად შესრულებული დეკორაციული გაფორმება, სპექტაკლს ძალიან უწყობდა ხელს. ამ სპექტაკლში განსაკუთრებით მრავლად იყო იმერული ხალხური სიმღერები. რაც შეეხება შესრულებას, უნდა ვთქვა, რომ ეს ნამდვილად აქტიორთა სპექტაკლი იყო. არავითარ რეჟისორულ ტრუკსა და გამოგონებას ადგილი არა ჰქონდა. ყველანი ხალისიანად და თავისუფლად ასახიერებდნენ თავიანთ როლებს. პირველ რიგში, რა თქმა უნდა, აღსანიშნავია აკაკი ვასაძე, დარისპანის როლში. აგრეთვე მშვენიერი იყო არისტოს მადლიან როლში სტ. ჯაფარიძე. ეს ტიპიური ზემოური აზნაური იყო, რომელსაც უწინ ხშირად შეხვდებოდით იმერეთში. ბუნებრივად და ხალისიანად ასრულებდა სოლომონ მორბელაძის როლს ემ. აფხაიძე. საზოგადოდ, ემ. აფხაიძეს ეხერხება იმერელი ტიპების განსახიერება და მორბელაძის როლში

თავს ისე გრძნობდა, როგორც თევზი წყალში! მშვენიერი იყო აგრეთვე გ. საღარაძე—როდამის როლში. კარგები იყვნენ თამარ თუშიშვილი—კაროლნა, ლ. ყაზაიშვილი—სოგრატი, შ. აბესაძე და გ. ბეჟუაშვილი—ოსიკო. ამ მშვენიერი სპექტაკლის დადგმა უსათუოდ მიღწევა იყო რუსთაველის თეატრის ნიჭიერი კოლექტივისა. ამიტომაც იყო რომ მოსკოვის პრესამ ქებით მოიხსენია ეს სპექტაკლიც. მომყავს რეცენზია:

«Известия», 27 августа 1936 г.

Народный артист орденоносец А. Васадзе, один из крупных мастеров театра им. Руставели, знакомый Москве по трагедийному репертуару, показал на этот раз, мастерство комедийного актера в роли дворянина Дариспана, единственная цель жизни которого, выдать замуж своих четырех дочерей. А. Васадзе доводит звучание этого образа до трагедии дворянина, у которого остались претензии на превосходство при утрате всех материальных основ дворянского сословия.

Заслуженный артист Э. Абхандзе в роли Соломона Морбеладзе обнаруживает неисчерпанный запас юмора, показывая хитрого и плутоватого дворянина, занявшегося отнюдь не «дворянской» профессией свата. Спектакль «Осенние дворяне» еще резче, чем «Арсен», порывает с прошлым театра.

ამ გასტროლების შემდეგ რუსთაველის სახელობის თეატრმა მონაწილეობა მიიღო მეოთხე თეატრალურ ფესტივალში 1936 წლის 5 სექტემბერს. ფესტივალის წარმოდგენები იმართებოდა მოსკოვის დიდი თეატრის ფილიალში. დაიდგა „არსენა“. რუსთაველის სახელობის თეატრმა ფესტივალზე დიდი მოწონება დაიმსახურა. ამ გასტროლების დროს თეატრი დაჯილდოებულ იქნა მთავრობის უმაღლესი ჯილდოთი, ლენინის ორდენით. სსრ კავშირის სახალხო არტისტის წოდება მიიღეს (პირველად ქართველმა მსახიობებმა) აკაკი ხორავამ და აკაკი ვასაძემ. მთელი რიგი მსახიობები დაჯილდოებული იქნენ ორდენებით.

თავი ოცდამესამე

საბავშვო თეატრის დაარსება: ბავშვების მიერ ნათამაშევი წარმოდგენები. პირველი პიესა „ტომ სოიერი". ალ. თაყაიშვილი. მოზარდ მაყურებელთა თეატრის ჩამოყალიბება. სეზონის გახსნა. პიესა „ფრიც ბაუერი". პირველი ორიგინალური პიესა „გოჩა". მოზარდ მაყურებელთა თეატრის გასტროლები რაიონებში. მეორე სეზონის გახსნა.

1900 წელს, 2 იანვარს, ქართველი ხალხი მოწინავე ინტელიგენციის მეთაურობით, მუდმივი ქართული თეატრის განახლების 50 წლისთავს დღესასწაულობდა. დილით, საზეიმო სხდომის დროს, ჩვენმა სასიქადულო მწერალმა ილია ჭავჭავაძემ სიტყვა წარმოთქვა და თავისი სიტყვა ასე დაიწყო: შექსპირმა თქვა: არარაისაგან დაიბადების არარაისი. ჩვენ, ქართველებმა კი დავამტკიცეთ, რომ არარაისაგან დაიბადების რაისი!.. ჩვენ ქართველებმა არაფრისაგან, შევქმენით ჩვენი ეროვნული თეატრი და მის 50 წლის იუბილესაც შევესწარითო!

სწორედ ასეთივე მდგომარეობა იყო საქართველოში 1925-26 წლებში, საბავშვო თეატრის მხრივ. საქართველოში საბავშვო წარმოდგენები ხშირად იდგმებოდა, რომლებშიც თვითონ ბავშვები მონაწილეობდნენ. 1910 წელს „ჯეჯილის" რედაქციამ მომმართა წინადადებით, რათა ერთ-ერთი სასწავლებლის მოსწავლეთა მონაწილეობით ჩვენი თეატრის შენობაში, დილის წარმოდგენა დამედგა მოსწავლეთათვის. ბავშვების მონაწილეობით დავდგი პიესა „მდგმური", რომელიც ჟურნალ „ჯეჯილშივე" იყო დაბეჭდილი. იდეა საქართველოში საბავშვო თეატრის დაარსებისა, პირველად მსახიობმა ელო ანდრონიკაშვილმა წამოაყენა. მახსოვს, მან გეგმაც კი

წარადგინა თბილისის საბჭოში, მაგრამ ყურადღება არავინ მიაქცია, რადგან საქართველოში საბავშვო თეატრის დაარსების საკითხი, ჯერ კიდევ არ იყო მომწიფებული. თვითონ ჩვენ, თეატრის მსახურთ, ვერ წარმოგვედგინა, რომ ჩვენს ბავშვებს საკუთარი თეატრი ექნებოდათ და განსაკუთრებული რეპერტუარიც დასჭირდებოდათ. 1927-28 წლის სეზონში „წითელ თეატრში“ ვმუშაობდი, სეზონი რომ დამთავრდა, გაზაფხულზე ერთ-ერთმა ჩვენმა მსახიობმა მითხრა, დოდო ანთაძე საბავშვო პიესას დგამს და ჩვენი ახალგაზრდა მსახიობები მიიწვიაო. მართლაც დოდო ანთაძის ხელმძღვანელობით, ახალგაზრდა რეჟისორმა გრიგოლ სულიაშვილმა, მოსწავლეთათვის დადგა პიესა „ტომ სოიერი“. მეორე წარმოდგენისათვის დოდო ანთაძემ მიიწვია ალ. თაყაიშვილი და დასადგმელად შესთავაზა საბავშვო პიესა „რობინ გუდი“. ალ. თაყაიშვილმა, მაშინ სრულიად გამოუცდელმა რეჟისორმა, მოჰკიდა ამ საბავშვო პიესას ხელი და დიდის სიყვარულით დადგა. ეს იყო ალ. თაყაიშვილის დებიუტი. ეს წარმოდგენები ბიძგი იყო საბავშვო თეატრის დაარსებისა, მაგრამ ამას სჭირდებოდა ორგანიზატორი და საქმის სიყვარულით გამსჭვალული ადამიანები, რომლებიც ამ საქმისათვის თავს გამოიდებდნენ და არავითარ დაბრკოლების წინაშე არ დაიხევდნენ. ასეთი თავდადებული და ენერგიით აღსავსე ახალგაზრდები გამოუჩნდა საბავშვო თეატრს ალ. თაყაიშვილის და გრ. მიქელაძის სახით. აი სწორედ ამ ორმა ენთუზიაზმით აღსავსე ახალგაზრდამ მოჰკიდა საქმეს ხელი, რათა საფუძველი ჩაეყარათ საქართველოში საბავშვო თეატრის საქმიანობისთვის. მათ დაინტერესებულ პირებთან ერთად გეგმა შეადგინეს და ამ გეგმით წარსდგნენ თეატრალურ სამმართველოში. თეატრალური სამმართველო მათ დახმარებას შეჰპირდა. ეს მოხდა 1928 წლის მაისში. ალ. თაყაიშვილი სწორედ ამავე ხანებში სახკინმრეწვში მუშაობდა როგორც კინომსახიობი და მონაწილეობას იღებდა კინორეჟისორ შაქრო ბერიშვილის მიერ დადგმულ სურათში „ღრუბლების თავშესაფარი“. ამრიგად, თაყაიშვილს ზაფხულში თბილისში დარჩენა არ შეეძლო, კინოექსპედიციას უნდა გაჰყოლოდა ხევსურეთში. ამიტომ სეზონის ორგანიზაციას ხელი მოჰკიდა გრ. მიქელაძემ. სამხატვრო ხელმძღვანელად კი დანიშნულ იქნა ალ. თაყაიშვილი.

ბევრმა ახალგაზრდა მსახიობმა სიხარულით მიიღო გრ. მიქელა-

ძის წინადადება და განაცხადა სურვილი სიყვარულით და თავდადებით ემუშავნა საბავშვო თეატრში.

აგვისტოში ალ. თაყაიშვილი კინოექსპედიციიდან დაბრუნდა და დასი უკვე შეკრებილი დახვდა. დასში შედიოდნენ შემდეგი მსახიობები, ქალები: გოგუცა კუპრაშვილი, თამარ თვალიაშვილი, ბაბუცა გაბრეკელი, ბ. ბარბაქაძე, მერი ერგნელი, ნინო ერისთავი, მერი ქორელი, ქეთო ჩეჩელაშვილი; ვაჟები: ბორის გამრეკელი, გ. დარისპანაშვილი, მიხეილ ჯაფარიძე, ალ. გომელაური, პ. აბესაძე, გ. დეისაძე, ნიკო ილურიძე. პ. ლაშხი, გ. ლომაია, ბადრი სვანი, დ. სიხარულიძე, ვასო კობელი.

თეატრის მხატვრად მოწვეული იქნა ახალგაზრდა მხატვარი მიხეილ გოცირიძე, ტექნიკურ რეჟისორად გრ. მიქელაძე. თეატრის დირექტორად განათლების კომისარიატმა დანიშნა მწერალი ელიზბარ ზედგინიძე, მთავარ ადმინისტრატორად — მამუკა ამაშუკელი.

როცა ქართული თეატრი დაარსდა, მას თავისივე დრამატურგებიცა ჰყავდა გიორგი ერისთავის და ზურაბ ანტონოვის სახით. ქართულ საბავშვო თეატრს ფულადი სახსრებიც ჰქონდა, მსახიობებიც ჰყავდა, რომელთაც, ზოგიერთებს მაინც, სპეციალური განათლებაც ჰქონდა მიღებული, რეჟისორიც ჰყავდა, მხატვარიც და კომპოზიტორიც, მაგრამ უბედურება ის იყო, რომ საკუთარი დრამატურგი არა ჰყავდა და ქართული ორიგინალური საბავშვო პიესა არ გააჩნდა.

ასე რომ, ახალგაზრდა დასი, რომელიც გატაცებული იყო იმით, რომ ქართული საბავშვო თეატრისათვის საფუძველი ჩაეყარა და მისთვის ემუშავნა, ორიგინალური პიესის უქონლობის გამო იძულებული შეიქმნა ნათარგმნი პიესით დაეწყო მუშაობა.

დასმა ხელი მოჰკიდა „ფრიც ბაუერს“, რომელიც გერმანიის კომუნისტების არალეგალურ მუშაობას ასახავდა. ამ პიესაში მთავარი მოქმედი პირი ბავშვია. ახალგაზრდა დასს არახელსაყრელ პირობებში უხდებოდა მუშაობა. მას ბინა არა ჰქონდა, რომ დამშვიდებულად მოემზადებინა პიესა. დასი იძულებული იყო განათლების კომისარიატის ხან ერთ ოთახში გაევლო რეპეტიცია, ხან მეორეში. ახალგაზრდულ ენერგიას ბევრი დაბრკოლების ატანა შეუძლია და ამიტომაც, მსახიობებმა არ გაიტეხეს გული და პიესა მართლაც კარგად მოამზადეს. რაკი საკუთარი თეატრის შენობა არ გააჩნდა, პირველი წარმოდგენა დასმა გამართა ოპერის თეატრში კვირა დი-

ლით 1928 წლის 11 ნოემბერს, დაიდგა პიესა „ფრიც ბაუერი". წარმოდგენას აუარებელი ხალხი დაესწრო, როგორც ბავშვები, ისე უფროსები. ყველას აინტერესებდა, თუ რა შთაბეჭდილებას მოახდენდა ბავშვებზე მსახიობების მიერ გათამაშებული პიესა და რას წარმოადგენდნენ, როგორც მსახიობები, ისინი რომელთაც, ასეთი დიდი საქმის გაძღოლა იკისრეს, როგორც დამოუკიდებელი საბავშვო თეატრის შექმნა. დაწყებული მთავარი რეჟისორით და გათავებული უბრალო თანამშრომლით, ყველანი ახალგაზრდები იყვნენ. ახალგაზრდა დასის სასახელოდ უნდა ვთქვა, რომ წარმოდგენამ ჩინებულად ჩაიარა, მომზადებული იყვნენ მშვენივრად. ახალგაზრდა მხატვარს გოცირიძეს კარგი დეკორაციები გაეკეთებინა. ალ. თაყაიშვილმა „ფრიც ბაუერის" დადგმით თავი ისახელა, როგორც კულტურულმა და ნიჭიერმა რეჟისორმა. ბავშვების და დამსწრე საზოგადოების აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა. დასი და მისი ხელმძღვანელები საზოგადოებამ წარმოდგენის გათავების შემდეგ რამდენჯერმე გამოიწვია და ოვაციები გაუმართა.

პირველ წარმოდგენაში მონაწილეობას იღებდნენ: ფრიცი ბაუერი — თამარ თვალიაშვილი, ფრიცის მამა—გიორგი როსება, ფრიცის დედა—ბ. გამრეკელი, სტინეს ლეინ — ნიკო ილურიძე, ფრაუ ბიუტმერ — მერი ერგნელი, კურც — ვასო კობელი, მაჯეს შპიცელ—გოგუცა კუპრაშვილი, ერნა დაუ — ბ. ბარბაქაძე, მასწავლებელი — ქეთო ჩეჩელაშვილი, მთავარი ჟანდარმი — ალ. გომელაური.

მეორე წარმოდგენა დასმა გამოაცხადა „წითელარმიელთა სახლში". რაკი საკუთარი ბინა არ გააჩნდა, დასი იძულებული იყო აქა-იქ კლუბებში გაემართა წარმოდგენები. ბავშვებიც ხან ერთ კლუბში ესწრებოდნენ თავიანთ საყვარელ წარმოდგენებს, ხან მეორეში. დასს უბინაობის გამო რეპეტიციები ჰქონდა მასწავლებელთა სახლში. ასე იხეტიალა საბავშვო თეატრმა რამდენიმე თვის განმავლობაში. განათლების კომისარიატმა დაუთმო მას პატარა სარდაფი, რუსთაველის პროსპექტზე, რომელშიც მანამდე „მუზიკჰოლი" იყო მოთავსებული. საბავშვო თეატრის მსახიობების სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როცა ეს პატარა სარდაფი მათი საკუთრება შეიქმნა.

დასი, მართალია, რამდენიმე თვის განმავლობაში კლუბებში მართავდა წარმოდგენებს და საკუთარი ბინა არ გააჩნდა, მაგრამ მუშაობას მაინც ხელს არ აკლებდა და ამ ხეტიალის პერიოდში მაინც

შეამზადა მეორე პიესა „რობინ გუდი“, რომელიც აგრეთვე ალ. თაყაიშვილმა დადგა. ეს პიესა მოზარდ მაყურებელთა თეატრს ძალიან დიდხანს შერჩა რეპერტუარში, როგორც კარგად დადგმული და კარგად ნათამაშევი პიესა.

მესამე სპექტაკლი იყო „ალტაელი რობინზონები“ — იმავე ალ. თაყაიშვილის დადგმით. სამივე ეს პიესა ნათარგმნი იყო. ორიგინალური პიესა დასს მაინც არ გააჩნდა, დასმა უკვე სამი ახალი სპექტაკლი დადგა, თბილისის მოზარდთა ყურადღება და სიყვარული დაიმსახურა. წარმოდგენებს აუარებელი ბავშვი ესწრებოდა, მაგრამ ჩვენი დრამატურგები მაინც საბავშვო თეატრიდან შორს იდგნენ, და არავის არ მოუვიდა ფიქრად, რომ ამ ახლად დაარსებულ თეატრისთვის პიესა მიეწოდებინა. ისევ ამავე თეატრის კოლექტივის წევრმა, მსახიობმა ვასო კობელმა ითავა ეს საქმე, რომ იტყვიან ნავსი გატეხა, და საბავშვო თეატრს დაუწერა პიესა „გოჩა“. აი, სწორედ ეს პირველი ორიგინალური პიესა იყო, რომელიც საბავშვო თეატრმა შეიტანა თავის რეპერტუარში და დადგა კიდეც. ამ პიესის დადგმა მიენდო ბორის გამრეკელს, რომელიც თეატრის მსახიობად ითვლებოდა. „გოჩას“ დადგმა მისი პირველი ცდა იყო. ამ პიესაზე ბორის გამრეკელმა კარა ხანს იმუშავა და რიგიანი წარმოდგენაც დადგა. პირველი ორიგინალური პიესა მოზარდ მაყურებელთა თეატრში დადგმულ იქნა 1929 წლის 3 თებერვალს. მეხუთე პრემიერად მოზარდ მაყურებელთა თეატრმა დადგა „შავსათვალებიანი კაცი“, დადგმა ალ. თაყაიშვილისა, მხატვარი — მიხ. გოცირიძე. „კომუნისტი“, 1929 წლის 14 მარტს წერდა:

„სეზონის უკანასკნელ პრემიერად დაიდგა: „შავსათვალებიანი კაცი“. პიესაში მოთხრობილია კომკავშირელთა ბრძოლა იტალიის პოლიციასთან. ახალგაზრდა აუდიტორიას განსაკუთრებით მოსწონს უკანასკნელი მოქმედება, სადაც ფაშისტური პოლიცია იძულებულია გაათავისუფლოს კომკავშირელები. დადგმის მინუსად უნდა ჩაითვალოს რევოლვერების ტრიალი და გადაჭარბებული ტენდენციურობა მაძებრობისა. თ. თვალიაშვილმა და გ. კუპრაშვილმა, თავიანთი შეუდარებელი თამაშით, პიესაში შეიტანეს მოზარდ მაყურებელთათვის უცილებელი სიხალისე და სიცოცხლე. თეატრმა ამ პიესით დაამთავრა სეზონი და მალე გაემგზავრება საგასტროლოდ“.

დასმა ამ სეზონში დადგა მხოლოდ ხუთი პიესა. დასი მიწვეულ

იყო განათლების კომისარიატის მიერ, მხოლოდ სეზონით. სეზონი რომ დამთავრდა დასს ჯამაგირი მოესპო, მაგრამ ახალგაზრდა კოლექტივმა გული არ გაიტეხა. მას სურდა როგორმე სექტემბრამდის მიეტანა თავი. ამიტომ, გადაწყვიტა მთელი ზაფხული ემოგზაურნა, რათა სეზონის დაწყებამდის კოლექტივი არ დაშლილიყო. ახლად დაარსებული თეატრის მეთაურებმა იშუამდგომლეს მთავრობის წინაშე, რათა კოლექტივისათვის რკინიგზის სამმართველოს, დაეთმო რამდენიმე ვაგონი. კოლექტივის თხოვნა შეწყნარებულ იქნა, და მართლაც, საბავშვო თეატრის კოლექტივმა რკინიგზის სამმართველოდან მიიღო საჭირო ვაგონები, ერთი სამგზავრო და ორიც საბარგო — დეკორაციებისათვის. დასი ორი თვის განმავლობაში ამ ვაგონში ცხოვრობდა. ეს პირველი მოგზაურობა იყო ახლად დაარსებული მოზარდ მაყურებელთა თეატრისა.

რადგანაც მოზარდ მაყურებელთა თეატრის აუდიტორიას მოსწავლენი შეადგენდნენ, ადგილების ფასები ხელმისაწვდომი იყო. დასი იძულებული იყო დღეში ორი-სამი წარმოდგენა გაემართა, რათა საჭირო თანხა აეღო და ხარჯები დაეფარა. წარმოდგენები გრძელდებოდა არა უმეტეს ორი საათისა. ხშირი იყო შემთხვევა, რომ დასი ერთ დღეს სამ წარმოდგენას მართავდა. პირველ წარმოდგენას იწყებდა დილის 12 საათზე, მეორეს — 3 საათზე და მესამეს — საღამოს 7 საათზე. მოზარდ მაყურებელთა თეატრის გასტროლებს რაიონებში ყველგან დიდი აღტაცებით ხვდებოდნენ, განსაკუთრებით მოსწავლე ახალგაზრდობა. დილის წარმოდგენებს უმთავრესად მოსწავლე ახალგაზრდობა ესწრებოდა, სამაგიეროდ საღამოს წარმოდგენებზე დარბაზი მოზრდილებით იყო ხოლმე სავსე. ყველას აინტერესებდა, თუ რას წარმოადგენდა ახლად დაარსებული მოზარდ მაყურებელთა თეატრი და ამიტომ აუარებელ მოზრდილ მაყურებელსაც იზიდავდა. მე პირადად მოზარდ მაყურებელთა თეატრის გასტროლების დროს, 1929 წლის ზაფხულის პერიოდში, ზუგდიდში ვიყავი მიწვეული რეჟისორად, სადაც სცენისმოყვარეთა წრეს ვხელმძღვანელობდი. თეატრს ზუგდიდში მე შევხვდი და როგორც იქ დამხდურმა რითაც შემეძლო დახმარება გავუწიე. ზუგდიდში თეატრმა დადგა, თუ არ ვცდები, ათი წარმოდგენა. დღეში ორი წარმოდგენა იდგმებოდა. ყოველ წარმოდგენას აუარებელი ხალხი ესწრებოდა. დასმა ორ თვეს იმოგზაურა და მთელი დასავლეთი საქარ-

თველო მოიარა. ამ გასტროლებითაც მოზარდ მაყურებელთა ახალგაზრდა თეატრმა სასარგებლო საქმე გააკეთა, საქართველოს რაიონულ ქალაქებს უჩვენა მშვენიერი ანსამბლით ნათამაშევი და ლამაზად გაფორმებული წარმოდგენები, რაც იმ დროს, რაიონში იშვიათი მოვლენა იყო.

1929 წლის 1-ლ სექტემბრიდან დასი კვლავ გადავიდა განათლების კომისარიატის ხარჯზე. მას უკვე იმ სეზონში საკუთარი სამხატვრო საბჭო ჰყავს, და გეგმიან მუშაობასაც აპირებს. თეატრის ადმინისტრაციამ უკვე კავშირი გააბა თბილისის სკოლებთან და წარმოდგენების აბონემენტებიც გამოუშვა, ისე რომ, მოზარდ მაყურებელთა თეატრს უკვე ჰყავს მუდმივი მაყურებელი და დასს შეუძლია დამშვიდებულად იმუშაოს. დასი მეორე სეზონის გასახსნელად გულმოდგინედ ემზადება; სეზონისათვის მოსამზადებელი მუშაობა თითქმის ორ თვეს გრძელდება. სეზონს ხსნის კერესელიძის ორიგინალური პიესით „ეშმაკი", რომელსაც დგამს თეატრის ხელმძღვანელი ალ. თაყაიშვილი. პიესას აფორმებს თეატრის მხატვარი მიხ. გოცირიძე. ეს პიესა ანტირელიგიური ხასიათისაა და ცოცხლათ არის დაწერილი. მას მოზარდ მაყურებელთა თეატრში დიდი წარმატება ხვდა, განსაკუთრებით კარგად თამაშობდნენ ალ. გომელაური (მღვდელი), თ. თვალიაშვილი (რეზო), გ. კუპრაშვილი (დიტო).

თავი ოცდამეოთხე

თ. თვალიაშვილი. გ. კუპრაშვილი. მ. ერგნელი. შალვა დადიანი საბავშვო თეატრში. პიესა „ბოთე და კუსპარა". სიმონ მთვარაძის პიესა: „ჩვენც-ჩვენც". მოზარდ მაყურებელთა თეატრის გადასვლა თეატრ „სოლეიში". წარმოდგენა „შორეული გზით". ალ. თაყაიშვილი რ.-გორც თეატრის ხელმძღვანელი. პიესა „სკაპენის ოინების" დადგმა.

მოზარდ მაყურებელთა თეატრში, დღიდან მისი დაარსებისა, ნიჭიერმა აქტიორებმა მოიყარეს თავი და თითქოს განგებ, ისეთი ხასიათის მსახიობებმა, ურომლისოდაც მოზარდ მაყურებელთა თეატრს არსებობა გაუჭირდებოდა. მათ შორის არიან: თამარ თვალიაშვილი და გოგუცა კუპრაშვილი. ეს ორი მსახიობი სული და გულია მოზარდ მაყურებელთა თეატრისა. რაც ბავშვების როლებია მოზარდ მაყურებელთა თეატრის რეპერტუარში, ბავშვების როლები კი ხშირად მთავარია, ეს ორი ნიჭიერი მსახიობი ასრულებს. თამარ თვალიაშვილი უაღრესად ნიჭიერი დრამატული მსახიობია. მე ჩემს დღეში არ დამავიწყდება მის მიერ განსახიერებული როლი პიესა „გამომგონებლებში". რამდენი ბავშვური გულწრფელობა, რამდენი უბრალოება და არტისტული ზომიერება აქვს თამარ თვალიაშვილს ამ როლის თამაშის დროს. ანდა აიღეთ მისი ნათამაშევი ზურაბი „სურამის ციხეში". რამდენ გრძნობას აქსოვს ამ პატარა როლს. თამარ თვალიაშვილმა ბევრი თვალსაჩინო სახე შექმნა მოზარდ მაყურებელთა თეატრში: „გამომგონებლები" — რემი, „სურამის ციხე" — ზურაბი, „კაპიტანის ქალი" — მაშა, „ეშმაკი" — რეზო, „ფრიცი ბაუერი" — ფრიცი. ყოველ მის ნათამაშევ როლს ნიჭიერების გარდა, აზროვნებისა და შრომის ბეჭედი აზის.

გოგუცა კუპრაშვილი სახასიათო როლების მეტად ნიჭიერი შემსრულებელია. სცენაზე რომ გამოჩნდება, სიცოცხლე და სიხარული შემოაქვს თან. ამიტომაც არის, რომ მოზარდ მაყურებელთა თეატრის აუდიტორიას ის გულწრფელად უყვარს და მის ყოველ გამოჩენას სცენაზე აღტაცებით ეგებება.

მოზარდ მაყურებელთა თეატრში ხშირად ადარებენ ერთიმეორეს თამარ თვალიაშვილსა და გოგუცა კუპრაშვილს. მე რომ მკითხოთ, ამ მსახიობების შედარება არ შეიძლება. ისინი სულ სხვადასხვა ხასიათის და ტემპერამენტის მსახიობები არიან.

გოგუცა კუპრაშვილი სახასიათო კომიკური როლების შემსრულებელი არტისტია. რა მშვენივრად თამაშობს და რა აღტაცებას იწვევს მაყურებლებში კუპრაშვილი, როცა ასახიერებს „ნაცარქექიაში" მებატონის შვილს ვახუშტის, ანდა ავიღოთ მისი ნათამაშევი წუკა „აურიე რგოლში", კატო „ქაჯანაში", დიეგო — „ადელანტეში". მისი არტისტული დიაპაზონი დიდია: ლაზღანდარა, ყეყეჩა, მკვირცხლ-ცელქი ბიჭების როლების შესრულებაში გოგუცა კუპრაშვილს ბადალი არა ჰყავს.

პირველ ხანებშივე მოზარდ მაყურებლთა თეატრს აგრეთვე ჰყავდა სახასიათო როლების ნიჭიერი შემსრულებელი მსახიობი მერი ერგნელი, რომელიც თეატრს დაარსების დღიდან მოსდევს. მერი ერგნელი მოზარდ მაყურებელთა თეატრის ერთ-ერთი ბეჯითი მსახიობია; მას უფრო ეხერხება შუახნის ქალების სახასიათო როლების განსახიერება; ერგნელმა პირველი წარმოდგენიდანვე მიიპყრო საზოგადოების ყურადღება ფრაუ ბიუტნერის შესრულებით „ფრიც ბაუერში". მერი ერგნელის ღირსება ის არის, რომ ყოველ როლს მოუნახავს ხოლმე რაიმე ახალ დეტალს და ამიტომ მისი შესრულებული როლები ერთიმეორეს არა ჰგავს. მსახიობმა ქალმა თავი ისახელა უფრო „სურამის ციხეში" — სალომეს როლის შესრულებით. იგი მშვენივრად თამაშობს ქართელი გლეხი დედაკაცების როლებს. მაგალითად, შემიძლია დავასახელო „კომბლეში" კაწაწა. აგრეთვე კარგად თამაშობს ინტელიგენტი და არისტოკრატი ქალების როლებს.

მეორე პრემიერად მოზარდ მაყურებელთა თეატრი დგამს კვლავ ნათარგმნ პიესას „ჰაიავატას". ამ სეზონში მოზარდ მაყურებელთა თეატრს მოევლინა დრამატურგი შალვა დადიანი, რომელმაც სპეცი-

ალურად ამ თეატრისათვის დაწერა პიესა „ბოთე და კუსპარა“. ახალგაზრდა კოლექტივი გახარებულია, რომ დამსახურებულმა და ცნობილმა დრამატურგმა შალვა დადიანმა შეაღო ახალგაზრდა თეატრის კარები.

დასი დიდი სიყვარულით და მონდომებით ეკიდება პიესის მომზადებას და მალე ახორციელებს კიდეც მის დადგმას. შალვა დადიანის პიესა დიდ სიხარულს იწვევს ნორჩ მაყურებლებში. ამავე ხანში დაიდგა ნათარგმნი პიესა „დამმსმენი“. ამ სეზონში ეს უკანასკნელი პრემიერა იყო. მოზარდ მაყურებელთა თეატრს უკვე აუდიტორია მოემატა. პატარა სარდაფში მათი მუშაობა უკვე შეუძლებელი ხდება და დგება საკითხი თეატრის გადაყვანისა. მალე მოზარდ მაყურებელთა თეატრს უთმობენ კინოთეატრ „სოლეის“ შენობას, რომელშიც ამჟამადაც მოთავსებულია ეს თეატრი.

მესამე — 1930-31 წლის სეზონი მოზარდ მაყურებელთა თეატრმა ახალ შენობაში დაიწყო. სეზონი იწყება სრულიად ახალგაზრდა დრამატურგის სიმონ მთვარაძის პიესით „ჩვენც-ჩვენც“. სიმონ მთვარაძე ამ ხანებში სალიტერატურო ნაწილის გამგედ ითვლებოდა მოზარდ მაყურებელთა თეატრში. პიესა „ჩვენც-ჩვენც“ პირველი ნაწარმოები იყო ამ დამწყები დრამატურგისა. საზოგადოდ სიმონ მთვარაძე მოზარდ მაყურებელთა თეატრის გაზრდილია როგორც დრამატურგი. მისი მეორე პიესა, რომელიც დაიდგა მოზარდ მაყურებელთა თეატრში იყო „შირაქის გულში“, შემდეგ უკვე „სურამის ციხე“, რომლითაც სახელი მოიპოვა ს. მთვარაძემ როგორც დრამატურგმა. მართლაც „სურამის ციხე“ ერთი-ერთი საუკეთესო პიესაა მოზარდ მაყურებელთა თეატრის რეპერტუარში. მეოთხე პიესა ს. მთვარაძისა, რომელიც დადგა მოზარდ მაყურებელთა თეატრმა ეს იყო „პირველი გემი“. ეს უკვე საბავშვო პიესა იყო, სპეციალურად მცირე ასაკისათვის. ს. მთვარაძის კალამს ეკუთვნის აგრეთვე პიესები „შლეგი“ და „მთაგრეხილზე“, რომლებიც რუსთაველის სახელობის თეატრში დაიდგა.

ამ სეზონიდან თეატრი მკვიდრ ნიადაგზე დგება და განათლების კომისარიატი უკვე წლიურად იყვანს დასს.

მოზარდ მაყურებელთა თეატრს ემატებიან ახალგაზრდა მსახიობები: თამარ ლივარდი, ანა ტუსიშვილი, ელენე ციხისთავი, ალ. ღვინიაშვილი, ალ. ყიასაშვილი, ვანო ნინუა, გ. დეისაძე, მ. ციციშვილი.

ამ სეზონში, თეატრის ხელმძღვანელი ალ. თაყაიშვილი, ახორციელებს ახალ ორიგინალურ დადგმას „შორეული გზით“, რომელიც მოზარდ მაყურებელთა თეატრის ერთ-ერთი ორიგინალური და საუკეთესო დადგმაა. პიესა „შორეული გზით“ მოზარდ მაყურებელთა თეატრში, თითქმის რვა წელიწადს იდგმებოდა და ყოველთვის ბავშვების დიდ აღტაცებას იწვევდა. არათუ ბავშვების აუდიტორიას მოსწონდა ეს სპექტაკლი, არამედ, თეატრალური საზოგადოების დიდი ყურადღებაც დაიმსახურა, როგორც ორიგინალურად დადგმულმა წარმოდგენამ. ამ პიესის დადგმით ალ. თაყაიშვილმა, ფართო საზოგადოების ყურადღება მიიპყრო. მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის ფუძემდებელსა და ორგანიზატორს, ალ. თაყაიშვილს თეატრალური ხელოვნება ბავშვობიდანვე უყვარდა. ჯერ კიდევ მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი იყო ალ. თაყაიშვილი, როცა მოსკოვის სამხატვრო თეატრის სტუდიაში ლექციებს ისმენს და უნივერისტეტის დამთავრების შემდეგ, თბილისში დაბრუნებისთანავე ის მუშაობას იწყებს ალ. სუმბათაშვილის (იუჟინის) სახელობის სცენისმოყვარეთა ჯგუფში, როგორც სცენისმოყვარე. ამ ჯგუფს მეთაურობს თბილისისათვის ცნობილი რეჟისორ-მსახიობი ტუგანოვი. ტუგანოვი ამავე დროს რუსთაველის თეატრში ხელმძღვანელობს რუსული დრამის ამხანაგობას „ტარტოს“ სახელწოდებით. ალ. თაყაიშვილს, როგორც ნიჭიერ სცენისმოყვარეს, ტუგანოვი ყურადღებას აქცევს და იწვევს დასში სამუშაოდ 1919-20 წლის სეზონში. თაყაიშვილი მუშაობს მსახიობად რამდენიმე სეზონის განმავლობაში. ალ. თაყაიშვილი, როგორც რუსული დრამის მსახიობი, თბილისის საზოგადოების ყურადღებას იპყრობს პირველ სეზონშივე. ის ასრულებს პასუხსაგებ როლებს. მალე მას საქართველოს კინომრეწველობის რეჟისორები მთავარი როლების შემსრულებლად იწვევენ და ხდება კინოს ერთ-ერთი ნიჭიერი და პოპულარული მსახიობი. ასრულებს მთავარ როლებს სურათებში „ღრუბლების თავშესაფარი“ და „ბოშათა სისხლი“. ამავე ხანებში კოტე მარჯანიშვილი წინადადებას აძლევს ალ. თაყაიშვილს თავი დაანებოს რუსულ დრამას და მასთან გადავიდეს სამუშაოდ რუსთაველის თეატრში. ასეც მოხდა. 1926-27 წლის სეზონში ალ. თაყაიშვილი კოტე მარჯანიშვილის დადგმაში — „ჰამლეტ-

ში“ ასრულებს პოლონიუსის როლს. რუსთაველის სახელობის თეატრში ალ. თაყაიშვილმა დაჰყო მხოლოდ ერთი სეზონი.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, ალ. თაყაიშვილი, როგორც რეჟისორი და თეატრის ხელმძღვანელი, მოზარდ მაყურებელთა თეატრში დაარსების პირველ დღიდანვე მუშაობს, და თუ დღეს ამ თეატრმა ასეთი პოპულარობა მოიპოვა, ეს მეტწილად ალ. თაყაიშვილის ნიჭს და დიდ ენერგიას უნდა მივაწეროთ. ალ. თაყაიშვილი უთუოდ თვალსაჩინო თეატრალური მოღვაწეა. ათი წლის მანძილზე მასთან მუშაობისას ბევრი სიამოვნება მიგრძნია. როგორც მსახიობს. უწინარეს ყოვლისა, ალ. თაყაიშვილი დიდი ერუდიციით და განათლებით არის აღჭურვილი, რაც აუცილებელია თეატრის ხელმძღვანელისა და რეჟისორისათვის. ალ. თაყაიშვილის მთავარი ღირსება ის არის, რომ იცის რასაც აკეთებს; ზერელედ, მხოლოდ ფანტაზიით ის არაფერს აკეთებს. მოგეხსენებათ არიან რეჟისორები ორი კატეგორიის. ერთი კატეგორიის რეჟისორები გულმოდგინედ მუშაობენ მაგიდასთან, მსახიობებთან, ყოველმხრივ წვდებიან პიესას, სულ იმას ფიქრობენ, რომ სცენაზე ყალბი პათოსი არ შეეპაროთ. მეორე კატეგორიის რეჟისორები უფრო გარეგნულ სილამაზეს აქცევენ ყურადღებას, ლამაზ გაფორმებას, კარგ მუსიკას და პოზებით შექმნილ მიზანსცენებს. ალ. თაყაიშვილი პირველი ჯგუფის რეჟისორებს ეკუთვნის. ის დიდ ყურადღებას აქცევს მაგიდასთან მუშაობას. და, მართლაც, მისი ხელმძღვანელობით მუშაობა, პირდაპირ სიამოვნებაა მსახიობისათვის.

ალ. თაყაიშვილი ძალიან ენამეტყველია. ლაპარაკობს ისე მშვენივრად და გატაცებით, რომ გინდათ სულ უსმინოთ. ბევრჯერ მინახავს, რომ ალ. თაყაიშვილს ისე კარგად მოუმზადებია პიესა მაგიდასთან, რომ დასს მთელი ნაწარმოები თავიდან ბოლომდე გაუთამაშებია და, როგორც მაყურებელს, დიდი სიამოვნება მიგრძნია. უგრიმოდ, უკოსტიუმოდ, უმიზანსცენოდ დასმა მთელი მოქმედება გაითამაშოს! მე რომ მკითხოთ, აქ არის ნამდვილი აქტიორული შემოქმედება. ალ. თაყაიშვილს, როგორც რეჟისორს, ნამდვილად სწამს მსახიობის პირველობა თეატრში და საქმითაც ყოველთვის ამას აკეთებს. რასაკვირველია, როგორც ახალგაზრდა რეჟისორს, ალ. თაყაიშვილსაც ჰქონდა გადახრები. შემდეგ წლებში იგი ძალიან დაიხვეწა, როგორც თეატრის მოღვაწე და დიდი გამოცდილებაც შეიძინა. მან უმუსიკოდ დადგა მოზარდთა თეატრში მოლიერის „სკაპენის

„სკაპენის ოინები“
ჟერონტი—ნ. გვარაძე
სკაპენი—ვ. არეშიძე

ოინები“. მახსოვს ამ პიესის პირველი რეპეტიციის დღე, როცა ალ. თაყაიშვილმა დასს გამოუცხადა, „სკაპენის ოინებს“ დავდგამთ უმუსიკოდ, ისე, როგორც ძველათ იდგმებოდაო. მთელმა დასმა იუცხოვა ეს ამბავი. როგორ, მოლიერის კომედიას ვდგამთ და უმუსიკოდაო! ალ. თაყაიშვილმა დასს ამაზე უპასუხა: თვით მოლიერის ნაწარმოები იმდენად მუსიკალურია, რომ მას მუსიკა თუ არ დაუშლის, არაფერს მოუმატებსო.

ალ. თაყაიშვილი მართალი გამოდგა. მართლაც მშვენიერი წარმოდგენა დადგა უმუსიკოდ, პიესასაც დიდი წარმატება ხვდა. „სკაპენის ოინები“ მოზარდ მაყურებელთა თეატრში ერთ-ერთი საუკეთესო დადგმაა. პიესა დადგმულია მარტივად, სადად, რეალისტურად; არავითარ რეჟისორულ ტრიუკს და ნაძალადევ გამომგონებლობას ამ დადგმაში ადგილი არა აქვს; ამიტომაც არის, რომ მაყურებელი სპექტაკლს მშვენივრად იღებს. მოლიერის პიესის დადგმით ჩვენი თეატრის მსახიობებს დიდი გასაქანი მიეცათ, ბევრმა მათგანმა ისახელა თავი. ესენი იყვნენ: ვახტანგ არეშიძე (სკაპენი), თამარ ლივარდი (ზერბინეტა), ანა ტუსიშვილი (გიაცინტა), სიმონ გამრეკელი (ოქტავი), ელ. ციხისათვი (ნერინა), ალ. ყიასაშვილი (არგანტი), ვ. ძაგნიძე (სილვესტრ).

თავი ოცდამეხუთე

ვახტანგ არეშიძე, თამარ ლივარდი, ალ. ყიასაშვილი. ჩემი მოსვლა მოზარდ მაყურებელთა თეატრში. ჩემი პირველი გამოსვლა. პიესა „შაშხანას“ დადგმა. მოზარდ მაყურებელთა თეატრის ექსპერიმენტები.

ვახტანგ არეშიძემ, როგორც სკაპენის როლის შემსრულებელმა, მაყურებელსაც და თავის ამხანაგებსაც დაუმტკიცა, რომ მას ღირსეულად უჭირავს მოზარდ მაყურებელთა თეატრში წამყვანი მსახიობის ადგილი. ვახტანგ არეშიძეს ბევრი კარგი როლი შეუსრულებია მოზარდ მაყურებელთა თეატრში და შეუსრულებია ნიჭიერად. ვინც კი მინახავს სკაპენის როლში, ვ. არეშიძე ყველასა სჯობდა. ტანის სხარტად მოხმარება, მსუბუქად კითხვა მონოლოგებისა—ეს ისეთი ღირსებაა მსახიობისა, რომელიც ბევრს არ მოეპოვება. ვახტანგ არეშიძე, როგორც სახასიათო როლებში, ისე დრამატულ როლებშიც, მშვენიერია. იგი ბეჯითი მსახიობია და ყოველ დაკისრებულ როლს დიდი სიყვარულით ეკიდება, პატარაა ის როლი, თუ დიდი. არის ისეთი კატეგორიის მსახიობი, რომელიც საითკენაც გინდათ გადისროლოთ მაინც „ალჩუზე ჯდება“. ასეთ მსახიობთა ჯგუფს ეკუთვნის თამარ ლივარდი. აი მსახიობი, რომელსაც ამპლუა არ გააჩნია. ოღონდ როლი ახალგაზრდისა იყოს, იქნება ის სახასიათო, კომიკური თუ დრამატული, თამარ ლივარდისათვის არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს. იგი თანაბარი ხელოვნებით ასრულებს: თუმანიანის „გიქორში“ ვაჭრის ცოლის ნატოს სახასიათო როლს და „სურამის ციხეში“—დრამატულ-ტრაგიკულ როლს მაროსას—ზურაბის დედისას, რომელიც ბოლო მოქმედებაში ცრემლად იღვრება. აგრეთვე მშვენივრად ასრულებს ბიჭის როლს,

იუნგას „შორეულ გზაში“ და მხიარულ ბოშა ქალს „სკაპენის ოინებში“ — ბერბინეტას.

მოზარდ მაყურებელთა თეატრის საინტერესო აქტიორი იყო ალ. ყიასაშვილი. ამ თეატრში ალ. ყიასაშვილივით ვერავინ ასრულებდა ქართველი თავადიშვილებისა და გლეხების როლებს. ამ მხრივ მას დიდი წარმატება ჰქონდა. მან ძალიან მკაფიო სახეები შექმნა. ასეთია: „სურამის ციხეში“ — თავადი გივი, „ქაჯანაში“ — კიკოლა, „პატარა კახში“—გელა, „არსენა მარაბდელში“—ღვთისავარი.

1931-32 წლის სეზონის დასაწყისში ოჯახური პირობების გამო პროვინციაში სამუშაოდ წასვლა არ შეშეძლო. უსათუოდ თბილისის რომელიმე თეატრში უნდა მოეწყობილიყავი. სექტემბრის ერთ-ერთ დილას, როცა რუსთაველის თეატრის წინ ვიდექი, სრულიად შეუმჩნევლად ორი ახალგაზრდა მსახიობი გაჩნდა ჩემთან: ესენი იყვნენ მოზარდ მაყურებელთა თეატრის აქტიორები მ. ჯაფარიძე და გ. როსება. მათ გადმომცეს, ჩვენ უკვე მოველაპარაკეთ ალ. თაყაიშვილს და ჩვენს ამხანაგებს, რომ ჩვენთან უნდა დაიწყო მუშაობა და ჩვენი დასის წევრი გახდეო. ეს ამბავი ჩემთვის მეტად სასიამოვნო იყო, თუმცა მოულოდნელიც. მე, ნიკო გვარაძემ, რომელმაც 27 წელიწადი მოზრდილთა თეატრში გავატარე, საბავშვო თეატრში დავიწყო მუშაობა?! მე რა უნდა გავაკეთო, როგორ უნდა შევეგუო იმ აუდიტორიას, რომელთანაც არასოდეს კავშირი არა მქონია, როგორც მსახიობს? მაგრამ მაინც მადლობა გადავუხადე და შევპირდი, რომ საღამოს გამოვიელი და ალ. თაყაიშვილს ვნახავ მეთქი. პიროობისამებრ, საღამოს მიველ მოზარდ მაყურებელთა თეატრში, სადაც შევხვდი თეატრის ხელმძღვანელს ალ. თაყაიშვილს, რომელმაც დიდი სიყვარულით და თავაზით მიმიღო. ალ. თაყაიშვილმა გამიზიარა თავისი შეხედულება ხელოვნებაზე, მოზარდ მაყურებელთა თეატრის მუშაობაზე და მითხრა: მესმის, თქვენთვის, როგორც უკვე გამოცდილი მსახიობისათვის, ჩვენთან მუშაობა, შეიძლება პირველ ხანებში, სანამ ჩვენს კოლექტივს შეეჩვეოდეთ, ძნელი იყოს, მაგრამ შემდეგში გაგიადვილდებათო. წამობრძანდით რეპეტიციაზე და გაეცანით ჩვენს მუშაობასო. წამავლო ხელი და ჩამიყვანა უშველებელ სარდაფში, რომელიც დასს სარეპეტიციო ოთახად ჰქონდა მიჩენილი. დასი ამზადებდა ახალ პიესას სეზონის გასახსნელად — „შაშხანას“, რომელსაც თვითონ ალ. თაყაიშვილი რეჟისორობდა.

იგი პირველი სურათების მიზანსცენებზე მუშაობდა, პიესაში მოქმედი-პირები იყვნენ „პაცანები", რომლებიც წითელარმიელებთან ერთად იმყოფებოდნენ ბანაკში. მათ როლებს თამაშობდნენ: გოგუცა კუპრაშვილი, ანა ტუსიშვილი, თამარ ლივარდი, თამარ თვალიაშვილი. მეთაურებს და წითელარმიელებს: გიორგი როსება, მიხ. ჯაფარიძე, ალ. ყიასაშვილი, კოტე ხუნდაძე, „პაცანების" მეთაურს — მიხ. ციციშვილი. მთავარ როლს, ახალგაზრდა ბიჭისას, ასრულებდა ნიკო მიქაშავიძე. სწორედ ამ ხანებში ჩვენი თეატრები ძიების პროცესში იყვნენ და ათასნაირ „იზმებს" ჰქონდა ადგილი ჩვენს სცენაზე. ალ. თაყაიშვილიც, როგორც ახალგაზრდა რეჟისორი, ერთგვარ მსხვერპლს წირავდა ამ გატაცებას. სწორეთ ამ დადგმაში, პიესა „შაშხანაში", მსახიობები მაყურებელთა დარბაზიდან შემოყავდა და პიესის რამდენიმე სცენას მსახიობები, სცენის მაგივრად, პარტერში თამაშობდნენ, სადაც საგუშაგო იყო გაკეთებული. რასაკვირველია, მე ეს ამბავი არ გამკვირვებია, რადგანაც ასეთი მოვლენები და ექსპერიმენტები მაშინ თეატრებში ხშირი იყო. მე მხოლოდ ერთმა ამბავმა გამაკვირვა. ეს იყო როლების ზედმიწევნით ცოდნა რეპეტიციაზე. მოკარნახე ჰყავდათ, მაგრამ არც ერთ სიტყვას არ აწვდიდა. ისე მშვენივრად ასრულებდნენ როლებს, რომ მათი თამაშით პირდაპირ მოვიხიბლე, როლების ზედმიწევნით ცოდნა ყველა თეატრშია აუცილებელი, მაგრამ რეპეტიციაზე მოკარნახე რომ არ უკარნახებდეს, ეს პირველად ვნახე.

ალ. თაყაიშვილმა პიესაში შემომთავაზა ერთ-ერთი წითელარმიელის სახასიათო როლი — მაჟაროვისა, რომელსაც ახალგაზრდა აქტიორი კოტე ხუნდაძე თამაშობდა. ტექსტით, ეს როლი, დიდი არ იყო, მაგრამ სათამაშოდ ძალიან საინტერესო იყო. ალ. თაყაიშვილმა ეს როლი განგებ მომცა, რომ პირველ წარმოდგენაშივე ბავშვების ყურადღება მიმეპყრო და მათი სიყვარული დამემსახურებინა. მართლაც ასე მოხდა. პირველ წარმოდგენიდანვე, ჩემთვის სრულიად უცნობი აუდიტორიის — ბავშვების ყურადღება დავიმსახურე და როგორც მსახიობს სითამამე მომემატა. პირველი წარმოდგენის ღამეს ძალიან ვღელავდი; როგორც შემდეგში შევიტყე, ლოჟაში მჯდომი ალ. თაყაიშვილი, თურმე ჩემზე მეტად ღელავდა; ახალ მაყურებელს მსახიობისათვის, საზოგადოდ დიდი მნიშვნელობა აქვს და მით უმეტეს გამოუცდელ მაყურებელს! ალ. თაყაიშვილს

ეშინოდა, რომ მე უკვე გამოცდილი და დამსახურებული მსახიობი, არ შევრცხვენილიყავი ჩემთვის სრულიად უცნობი აუდიტორიის წინაშე. ალ. თაყაიშვილმა წარმოდგენის შემდეგ მომილოცა და მითხრა: მშვენივრად მიგიღოთ ჩვენმა ნორჩმა მაყურებელმა და თამამად შეგიძლიათ ჩვენთან დარჩენა და მუშაობაო.

ამავე 1931-32 წლის სეზონში დაიდგა ჩვენი თეატრის მსახიობის, გიორგი როსებას ორიგინალური პიესა „კიგო ვას“ (ორი ბიჭი) ლეკების ცხოვრებიდან, რომელიც სამოქალიქო ომის პერიოდს ასახავდა. პიესა თეატრალური ენით იყო დაწერილი და მაყურებლებზედაც კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. ეს პიესა თვითონ ავტორმა დადგა. დაიდგა აგრეთვე გოგი დარისპანაშვილის ახალი პიესა „სამი ამხანაგი“. ეს პიესა თბილისის ახალგაზრდობის ცხვრებიდან იყო და შეეხებოდა ხალხთა მეგობრობის საკითხს. პიესაში გამოყვანილია სამი ბიჭი — თათარი, ქართველი და სომეხი. მათი მეგობრობის და სოლიდარობის ამბავი კარგად არის ასახული. ეს პიესაც ავტორმა — გოგი დარისპანაშვილმა დადგა.

მესამე პიესაც ორიგინალური იყო — სიმონ მთვარაძის „შირაქის გულში“. ამრიგად ამ სეზონში ოთხ ახალ პიესაში სამი ორიგინალური იყო. ეს ის დრო იყო, როცა მოზარდ მაყურებელთა თეატრი საბჭოთა ხელისუფლების დახმარებით და მზურვენელობით, ალ. თაყაიშვილის ხელმძღვანელობით ახალ კადრებს ჰქმნიდა, როგორც დრამატურგებისას, ისე რეჟისორებისას. სწორედ ამ სეზონში დაიწყეს მუშაობა, როგორც რეჟისორებმა, გიორგი როსებამ და გოგი დარისპანაშვილმა. გიორგი როსება მალე ჩამოშორდა მოზარდ მაყურებელთა თეატრს და რაიონულ თეატრებში დაიწყო მოღვაწეობა. გოგი დარისპანაშვილი შერჩა ჩვენს თეატრს და დღემდის განაგრძობს მუშაობას, როგორც ერთ-ერთი ნიჭიერი მსახიობი და რეჟისორი.

გოგი დარისპანაშვილი პირველი მსახიობია, რომელიც ასახიერებდა ახალგაზრდა გმირების როლებს მოზარდ მაყურებელთა თეატრში: „რობინ გუდში“—რობინ გუდს, „ჰაიავატაში“— ჰაიავატას, „კაპიტანის ქალიშვილში“—პუგაჩოვს, „სურამის ციხეში“—დურმიშხანს. მსახიობმა თავი ისახელა და საზოგადოების სიყვარული დაიმსახურა „ლადო კეცხოველში“ ლადოს როლის შესრულებით და „კაპიტანის ქალიშვილში“ პუგაჩოვის როლის განსახიერებით. გმირების როლების

შექმნისათვის გოგი დარისპანაშვილს ხელს უწყობს კარგი გარეგნობა და დრამატიზმით აღსავსე ხმა. ის ნაყოფიერად მუშაობს როგორც რეჟისორიც. მისი დადგმულია შემდეგი პიესები: „სამი ამხანაგი“, „მწვანე ველი“, „მეწისქვილე“, „სერგო“, „პარტიზანები“, „ქაჯანა“, „ბაში-აჩუკი“.

არ შეიძლება გვერდი ავუარო ისეთ ამაგდარ მსახიობებს მოზარდ მაყურებელთა თეატრისას, როგორებიც არიან ალ. კაკაბაძე და სიმონ გამრეკელი. ორივემ არტისტული მოღვაწეობა დაიწყო ქ. ჭიათურაში და ორივენი მოზარდ მაყურებელთა თეატრში მოვიდნენ, როგორც უკვე გამოცდილი მსახიობები. ალ. კაკაბაძე სახასიათო-კომიკური როლების შემსრულებელი მსახიობია. პირველი სადებიუტო როლი, რომლითაც მიიქცია საზოგადოების ყურადღება, იყო პიესაში „ჩვენ გავიმარჯვებთ“ ახალგაზრდა რევოლუციონერი მატროსის როლი, რომელიც მშვენივრად შეასრულა და კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ჩვენს თეატრში, ალ. კაკაბაძემ მალე დაიმკვიდრა ერთ-ერთი საყვარელი მსახიობის ადგილი. ალ. კაკაბაძე დინჯი და მოფიქრებული მომუშავეა: ამას ამტკიცებს მის მიერ შესრულებული როლები.

არიან მსახიობები, რომლებიც ინტუიციით პირველ წაკითხვისთანავე აუღებენ როლს ალღოს. ალ. კაკაბაძე არ ეკუთვნის ამისთანა კატეგორიის მსახიობებს: მას უყვარს შრომით მოპოვებული გამარჯვება; რა მშვენივრად და არტისტულის სიხალისით ასრულებს ისეთ კომიკურ როლებს, როგორიც არის: ფიცილა „კომბლეში“, მატროსი „ჩვენ გავიმარჯვებთ“, აკიმი „მარშალი ბავშვობისას“, მელამედი „ჭინჭარში“. მელამედი მთავარი როლია პიესაში და ამასთან რთულიც. ამ როლმა ალ. კაკაბაძე გამოავლინა როგორც უკვე დახვეწილი მსახიობი.

ალ. კაკაბაძე მოზარდ მაყურებელთა თეატრის დრამატურგიცაა. მის კალამს ეკუთვნის პიესები „ადელანტე“, „პარტიზანები“, „გაიდარი“, ჰაკაკი წერეთლის მოთხრობიდან გადმოკეთებული პიესა—„ბაში-აჩუკი“, რომელსაც დიდი წარმატება აქვს მოზარდ მაყურებელთა თეატრში.

სიმონ გამრეკელი წევრია ისეთი თეატრალური ოჯახისა, როგორიც იყო ქ. ჭიათურაში ალექსანდრე გამრეკელის ოჯახი. ალ. გამრეკელი დიდი მოამაგე იყო ჭიათურის თეატრალური საქმიანობი-

სა და დიდ დახმარებას უწევდა ჭიათურის დრამატული საზოგადოების გამგეობას. სწორედ ეს გარემოება იყო მიზეზი, რომ ალ. გამრეკელის ოჯახის წევრები ახლოს იყვნენ ჭიათურის თეატრის მუშაობასთან. სამივე ძმამ, ბორის გამრეკელმა, დავით გამრეკელმა და სიმონ გამრეკელმა, პირველი არტისტული ნათლობა ჯერ კიდევ ბავშვობისას, ჭიათურის თეატრში მიიღეს. ერთი ოჯახიდან სამი ძმა რომ თეატრალური მოღვაწე გამხდარიყო, მართლაც იშვიათი მოვლენაა ქართული თეატრის ისტორიაში, თუ მხედველობაში არ მივიღებთ, მესხების ოჯახს. ბორის გამრეკელი კარგად ცნობილი მსახიობ-რეჟისორია, დავით გამრეკელი ქართველი საზოგადობის საყვარელი მომღერალია, სიმონ გამრეკელი მოზარდ მაყურებელთა თეატრში თითქმის დაარსების დღიდან მოღვაწეობდა, როგორც ერთ-ერთი ნიჭიერი მსახიობი. სიმონ გამრეკელი დიდი მოამაგეა მოზარდ მაყურებელთა თეატრისა. ის ბუნებით უხვად არის დაჯილდოებული მსახიობისათვის საჭირო თვისებებით, რომ სწორედ ისეთი როლების თვალსაჩინო შემსრულებელი იყოს როგორიც არის: ოსმან-აღა — „სურამის ციხეში“, პეტრუჩიო — „ჭირვეული ცოლის მორჯულებაში“, ბენვოლიო — „რომეო და ჯულიეტაში“, გივი — „პატარა კახში“. სიმონ გამრეკელის კარგი გარეგნობა, მგრძნობიარე ხმა და უაღრესი მუსიკალობა, არტისტისათვის ეს ყველაზე ძვირფასი ღირსება საშუალებას აძლევს მას, თვალსაჩინო ადგილი ეკავოს ქართულ სცენაზე.

თავი ოცდამეექვსე

სიმონ მთვარაძის „სურამის ციხის“ მომზადება და დადგმა. ღია წარმოდგენა მოზრდილთათვის. ალ. ღვინიაშვილი ვარდოს როლში. ბორის გამრეკელი ოსმან-აღას როლში. მარო მესხიშვილი. ისაი აგასოვი. მოზარდ მაყურებელთა თეატრის ხუთი წლის იუბილე.

მოზარდ მაყურებელთა ახალგაზრდა თეატრის მსახიობები მომწიფდნენ და საკმაო თეატრალური ცოდნა და გამოცდილება შეიძინეს. ამის საფუძველზე თეატრის ხელმძღვანელმა ალ. თაყაიშვილმა განიზრახა ისეთ პიესათა ციკლის შექმნა, რომლებიც მოზარდ მაყურებელს თვალწინ გადაუშლიდნენ სოციალური ბრძოლის ისტორიას მეთვრამეტე საუკუნიდან ოქტომბრის რევოლუციამდე. ამიტომ თეატრმა დრამატურგს ს. მთვარაძეს შეუკვეთა დ. ჭონქაძის „სურამის ციხის“ სიუჟეტზე პიესის დაწერა, რომ ახალგაზრდობას გაეცნო ბატონყმობის ეპოქა და კაპიტალიზმის შემოჭრა საქართველოში. ს. მთვარაძემ დ. ჭონქაძის მოთხრობით მშვენიერი პიესა დაწერა. პიესამ წაკითხვის დროს დასსზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ეს ისეთი ნაწარმოები იყო, რომლის ბადალიც მოზარდთა თეატრს ჯერ არ ენახა. პიესის წაკითხვის შემდეგ გაიმართა სჯა-ბაასი. უმრავლესობა ამბობდა, უსათუოდ ხელი მოვკიდოთ ამ პიესის დადგმის და დიდი გულმოდგინებით მოვამზადოთო. დასის უმცირესობა არ იზიარებდა ამ აზრს და ამტკიცებდა, პიესა ძალიან კარგია, მაგრამ მოზარდ მაყურებელთა თეატრის აუდიტორიისათვის შეუფერებელიაო. ალ. თაყაიშვილმა წინააღმდეგში დაარწმუნა ამხანაგები და შეუდგა პიესის მზადებას. თანარეჟისორად დაინიშნა ბორის გამრეკელი. დასმა პიესა დიდხანს ამზადა და მართლაც შესანიშნავი წარმოდგენა დადგა. ეს სპექტაკლი მოზარდ მა-

ყურებელთა თეატრის გვირგვინად შეიძლება ჩაითვალოს. მან თეატრი ფართო გზაზე გამოიყვანა და თბილისის საზოგადოების ყურადღება მიიპყრო.

„სურამის ციხე" თამამად შეეძლო ენახა როგორც უფროსი ასაკის მაყურებელს, ისე მოზარდ მაყურებელსაც და ამიტომაც იყო, რომ შესაძლებელი შეიქნა ღია სპექტაკლების, ე. ი. უაბონემენტო წარმოდგენების ჩვენება მაყურებლისათვის. ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა ჩვენი თეატრის კარი შემოაღო სრულ ასაკოვანმა მაყურებელმა და მას საშუალება მიეცა, ახლო გასცნობოდა ჩვენს ახალგაზრდა და ჯანსაღ თეატრალურ კოლექტივს.

„სურამის ციხეს" ალ. თაყაიშვილი დიდი სიფრთხილით კარგახანს ამზადებდა. მთავარი ის იყო, რომ ამ პიესის დადგმით ალ. თაყაიშვილმა გამოავლინა მოზარდ მაყურებელთა თეატრის კოლექტივის შესაძლებლობა. თვით კოლექტივიც, დიდი ხალისით და მონდომებით მუშაობდა. ალ. თაყაიშვილმა „სურამის ციხის" დადგმით შექმნა ნამდვილი ქართული სპექტაკლი, რომლის მსგავსი მანამდე მოზარდ მაყურებელთა თეატრს არ ჰქონდა. ამიტომაც იყო, რომ პრესამაც და მაყურებლებმაც „სურამის ციხეს" კარგი შეფასება მისცეს და ფართო საზოგადოებამ მოზარდ მაყურებელთა თეატრი „დიდი" თეატრების რიგში დააყენა. რაღა თქმა უნდა, ალ. თაყაიშვილი „სურამის ციხის" დადგმას ხელს არ მოჰკიდებდა, რომ თავისივე შექმნილი კოლექტივის იმედი არ ჰქონოდა.

პირველ რიგში შემიძლია დავასახელო ალექსანდრა ღვინიაშვილი. იგი ვარდოს განსახიერებით მაყურებლის და ამხანაგების თვალში, თვალსაჩინო მსახიობი გახდა. პირველი როლი ვარდო იყო, რომელმაც ამ მსახიობს სითამამე, გამბედაობა შემატა და ფეხზე დააყენა. ვარდოს როლის განსახიერების შემდეგ, ალ. ღვინიაშვილს ფართო გასაქანი მიეცა ჩვენს თეატრში. შემდეგში მან შეასრულა ისეთი პასუხსაგები როლები, როგორიც იყო: „არსენა მარაბდელში"—ხორეშანი, „ხალხის რჩეულში"—ნანო, „ცეცხლის ხაზზე"—ნინო და სხვა. ვაჟთაგან „სურამის ციხეში" უთუოდ პირველი ადგილი ბორის გამრეკელს ეკავა. ბ. გამრეკელმა მშვენიერი სახე შექმნა ოსმან-აღასი: კარგი გარეგნობა, საუცხოო ხმა, არტისტული ტემპერამენტი საშუალებას აძლევდა ბორის გამრეკელს, რომ ოსმან-აღას შესრულებით, დიდი შთაბეჭდილება მოეხდინა მაყურებელზე.



„სურამის ციხე"
ოსმან-აღა—ბ. გამრეკელი; ხუცია—ნ. გვარაძე

გოგი აბაშიძე ჩვენს თეატრში მოსვლის პირველი დღიდანვე ითვლებოდა აუდიტორიის საყვარელ მსახიობად; ბევრი კარგი როლი განუსახიერებია გოგი აბაშიძეს მოზარდ მაყურებელთა თეატრში: „რობინ გუდში"—რობინ გუდი, „არსენა მარაბდელში"—ლაცაბიძე, „შირაქის გულში"—ყაჩაღი შაქრო, „მარშალი ბავშვობისას"—ვასილ კორობოვი და სხვ. მაგრამ მისთვის, როგორც ახალგაზრდა მსახიობისათვის, დურმიშხანის როლი „სურამის ციხეში" მაინც მთავარი იყო, რომლითაც მას საშუალება ეძლეოდა მაყურებლის წინაშე თავი ესახელებინა. არტისტული ბუნებით, გოგი აბაშიძე, უფრო ახალგაზრდათა ლირიკული როლების განმასახიერებელი იყო, მაგრამ როგორც ბეჯითი და დაკვირვებული მსახიობი, ხშირად სახასიათო როლებსაც ასრულებდა. მშვენივრად თამაშობდა კომიკურ როლს, დიაკვნისას, პიესა „ეშმაკში".

„სურამის ციხის" დადგმამ გამოავლინა თვალსაჩინო მსახიობი მარო მესხიშვილი, რომელმაც სწორედ ამ 1933-34 წლის სეზონში დაიწყო მუშაობა ჩვენს თეატრში. არიან ისეთი მსახიობები, რომლებიც პირველი გამოჩენისთანავე სცენაზე თავიანთი მიმზიდველობით და გარეგნული სილამაზით ხიბლავენ მაყურებელს.

სწორედ ასეთ მსახიობთა ჯგუფს ეკუთვნის მარო მესხიშვილი. მოზარდ მაყურებელთა თეატრში არ მეგულება ისეთი აქტიორი, რომელსაც ასე მოუხდეს დარბაისელი ქალების როლები, როგორც მარო მესხიშვილს. როცა მარო „სურამის ციხეში" კნეინას ასახიერებს, ანდა „პატარა კახში" დედოფალს, განა ვისმე შეუძლია წუნი დასდოს მარო მესხიშვილს? რა მშვენიერია მარო პიესა „კაპიტანის ქალიშვილში", დედოფალ ეკატერინეს როლში თავისი მშვენიერი გარეგნობით, ტანით, მიხრა-მოხრით. ამასთანავე, მას აქვს გარდაქმნიანობის უნარიანობა, რაც მსახიობს საშუალებას აძლევს, სახასიათო როლებიც კარგად შეასრულოს. რა ექსპრესიით და ცოცხლად თამაშობს „ნაცარქექიაში" გლეხის დედაკაცს—მართას და რა დამაჯერებელი კომიკური სახე შექმნა პიესა „გამომგონებლებში" მრეცხავი ქალი ბაბილინასი.

„სურამის ციხეში" მშვენივრად თამაშობდნენ აგრეთვე მერი ერგნელი—გლეხი დედაკაცის სალომეს კომიკურ როლს, თ. თვალიაშვილი ზურაბს, რომელსაც ამ როლის შესრულებაში ბადალი არა ჰყავს. ძალიან კარგი იყო ისაი აგასოვი მღვდლის როლში. მისი

გარეგნობა და ხმა შესაფერისი იყო მღვდლის როლის განსახიერებისათვის. ზურაბის დედას, მაროს თამარ ლივარდის შესრულებით, დიდი წარმატება ხვდა. ეპიზოდურ როლებში კარგნი იყვნენ და სპექტაკლის მთლიანობას ხელს უწყობდნენ: ვანო ნინუა, რომელმაც მხატვრული სახე შექმნა მოხუცი გლეხისა (მესამე ყმა) დ. ცხაკაია—მეორე ყმა და ნ. რამიშვილი—მახარობელი. ჩემთვისაც „სურამის ციხეში“ ხუციას როლი პირველი თვალსაჩინო როლი იყო, რომლითაც სულიერი კმაყოფილება ვიგრძენი და ვფიქრობ მაყურებლებზედაც კარგი შთაბეჭდილება მოვახდინე.

აგრეთვე კარგად ასრულებდნენ თავადიშვილების როლებს ალ. ყიასაშვილი—თავადი გივი, მ. ციციშვილი—თავადი ნუგზარ და დ. კობახიძე—ვეზირი. „სურამის ციხის“ დადგმამ, როგორც ფართო საზოგადოებაში, ისე პრესაში, დიდი გამოხმაურობა ჰპოვა. პრესა ძალიან გულთბილად შეხვდა და ბევრი რეცენზიაც დაიწერა.

აი რას სწერდა გაზეთი „კოლექტივიზაცია“ (1934 წ. 8 აპრილი): „სურამის ციხის“ დამდგმელებმა ერთხელ კიდევ გამოააშკარავეს, რომ მოზარდ მაყურებელთა თეატრი გამოცდილი ოსტატების ხელშია. მოზარდ მაყურებელთა თეატრის რიცხობრივად პატარა დასმა, პატარა სცენაზე გადალახა ყოველივე დაბრკოლება და გამარჯვებით შეასრულა დაკისრებული ამოცანა. დამდგმელებს—ალ. თაყაიშვილს და ბ. გამრეკელს სამართლიანად უკუ უგდიათ რეჟისორული ტრუკები. გაუთავისუფლებიათ სცენა ყოველი ზედმეტი ნივთისაგან და ლამაზად გამართული მიზანსცენებით, სრული შესაძლებლობა მიუციათ აქტიორებისათვის, რომ შემოქმედების უნარი გამოეაშკარავებინათ. ბ. გამრეკელი (ოსმან-აღა) და გოგი აბაშიძე (დურმიშხანი) დამაჯერებელ და სრულ სახეებსა ქმნიან. ეპიზოდური როლებიდან განსაკუთრებით გამოირჩევა მსახიობი ნიკო გვარაძე (ხუცია), რომლის როლის განსახიერებაც აქტიორული ოსტატობის ნიმუშს წარმოადგენს. ქეიფის მოტრფიალე მეფის მხატვრულ სახეს ქმნის ს. ჭელიძე. კარგად ასახიერებენ თავიანთ როლებს ალ. ღვინიაშვილი (ვარდო), მ. ერგნელი (სალომე), ალ. ყიასაშვილი (გივი), თ. თვალიაშვილი (ზურაბი), ი. აგასოვი (მღვდელი), სამივე ყმის შემსრულებელნი: ვ. ნინუა, დ. ცხაკაია, ნ. მიქაშავიძე და თამარ ლივარდი—მარო. მოზარდ მაყურებელთა თეატრმა მორიგი და ღირსეული გამარჯვება მოიპოვა“.



„სურამის ციხე“
ხუცია—ნ. გვარაძე

ამავე წელს დავდგით „გამომგონებლები“. იგი ახალგაზრდა რეჟისორმა სერგო ჭელიძემ განახორციელა. ეს პიესა კარგად იყო დადგმული და დიდი წარმატება ჰქონდა. პიესა საშუალო ასაკისათვის იყო განზრახული და მაყურებელზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. მშვენიერი კომედია იყო და ჩვენი ახალგაზრდა მაყურებლების სიცილ-ხარხარს დასასრული არ ჰქონდა. რეჟისორული, აქტიორული შესრულების მხრივ, ეს კარგი წარმოდგენა იყო. კარგად თამაშობდა ამ პიესაში თ. თვალიაშვილი—(რემი), რომელსაც მთავარი როლი ჰქონდა გულუბრყვილო ბავშვისა; აგრეთვე დამაჯერებლად თამაშობდნენ ბავშვების როლებს: კოწოს—გ. კუპრაშვილი, მიტოს—ვანო ნინუა და კოლას—გ. დეისაძე, ბაბილინას—მრეცხავს მარო მესხიშვილი ასრულებდა, ხოლო ნადია სირბილაძე—სახასიათო კომიკურ როლს—აგრაფინასას.

ნადია სირბილაძემ სასცენო მოღვაწეობა დაიწყო ქალაქ ქუთაისში 1921 წელს. რაიონულ თეატრებში ერთ-ერთ წამყვან მსახიობად ითვლებოდა. ქუთაისის, ფოთის, ჭიათურის თეატრალურ საზოგადოებას კარგად ახსოვს ნადია სირბილაძე, როგორც მსახიობი. მოზარდ მაყურებელთა თეატრში ის მოვიდა, როგორც უკვე გამოცდილი მსახიობი. ბევრი პასუხსაგები როლი შეუსრულებია ნადია სირბილაძეს მოზარდ მაყურებელთა თეატრში და შეუსრულებია ღირსეულადაც. განსაკუთრებით კარგა განასახიერა მან „გამომგონებლებში“—აგრაფინა, „ცეცხლის ხაზში“—ციცუნია, „ხალხის რჩეულში“—ნანო, „ქაჯანაში“—ბაბალე.

ამავე სეზონში, 1934 წელს, 30 აპრილს გადახდილ იქნა მოზარდ მაყურებელთა თეატრის არსებობის ხუთი წლის იუბილე. საიუბილეო სხდომის გახსნამდე წარმოდგენილ იქნა თეატრის მიერ ხუთი წლის მანძილზე დადგმული ზოგიერთი პიესიდან თითო მოქმედება, მათ შორის: 1) „შორეული გზით“ (მეორე მოქ.). 2) „შავსათვალებიანი კაცი“ (III მოქ.), „სურამის ციხე“ (III მოქ.), მოზარდ მაყურებელთა თეატრი დაჯილდოებულ იქნა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სიგელით. რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის სახელწოდება მივიღეთ თეატრის ხელმძღვანელმა ალ. თაყაიშვილმა და მე, როგორც დიდი ხნის ნამოღვაწარმა ქართულ თეატრში. თეატრს ბიულოცეს პიონერთა ორგანიზაციების, განათლების კომისარია-

ტის, ხელოვნების მუშაკთა კავშირის, რუსთაველის სახელობის თეატრის, მარჯანიშვილის სახელობის თეატრის, მოზარდ მაყურებელთა რუსულ და სომხურ თეატრების და მრავალი სხვა ორგანიზაციის წარმომადგენლებმა. თეატრმა მიიღო ფულადი საჩუქრები: მთავრობისაგან, თბილისის საბჭოსაგან, საბჭოთა მეურნეობის ტრესტისაგან. თეატრის ხელმძღვანელი, დრამატურგი ს. მთვარაძე და მთელი დასი დაჯილდოებულ იქნა ფულადი საჩუქრებით. საპასუხო სიტყვა წარმოსთქვა თეატრის სამხატვრო ნაწილის გამგემ ალ. თაყაიშვილმა. საზეიმო სხდომამ მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და საკ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის საჰხარეო კომიტეტის მდივანს ამხანაგ ლავრენტი ბერიას.

თავი ოცდამეშვიდე

მოზარდ მაყურებელთა თეატრის გასტროლები ქუთაისში, ფოთსა და ჭიათურაში. გაზეთების „მუშის“ და „კოლმეურნის“ რეცენზიები. 1934-35 წლის სეზონი. „ნაცარქექიას“ დადგმა.

იუბილეს შემდეგ, 1934 წლის ივნისში, თეატრმა მოაწყო დასავლეთ საქართველოში გასტროლები. გასტროლებზე წავიღეთ სამი პიესა, რომელიც მთელ სეზონში კარგად იყო დადგმული და საზოგადოებაზედაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ეს იყო: ს. მთვარაძის „სურამის ციხე“, „შორეული გზით“ და „გამომგონებლები“. ვიყავით სამ ქალაქში: ქუთაისში, ფოთში და ჭიათურაში.

პირველად ჩავედით ქუთაისში. „სურამის ციხემ“ დიდი ინტერესი გამოიწვია და, თუ არ ვცდები, ეს პიესა ექვსჯერ დავდგით. რასაკვირველია, ჩვენი მოგზაურობის ღერძი „სურამის ციხე“ იყო. დიდი წარმატება ხვდათ როგორც ალ. ღვინიაშვილს (ვარდო), ისე ბ. გამრეკელს (ოსმან-აღა), გ. აბაშიძეს (დურმიშხანი) ს. ჭელიძეს (მეფე), თ. თვალიაშვილს (ზურაბი), მ. ერგნელს (სალომე) და მე (ხუცია). მოწონება დაიმსახურა აგრეთვე პიესებმა „გამომგონებლები“ და „შორეული გზით“, რომლებიც დიდი ხელოვნებით იყო დადგმული, პირველი—ს. ჭელიძის და მეორე—ალ. თაყაიშვილის მიერ. „სურამის ციხის“ შემდეგ დიდი წარმატება ხვდა „გამომგონებლებს“. ამ პიესაში მშვენივრად თამაშობდნენ ჩვენი თეატრის ახალგაზრდა მსახიობები: თ. თვალიაშვილი (რემი თუხარელი), ვ. ნინუა (მიტო), გ. კუპრაშვილი (კოწო), ნ. რამიშვილი (ბრონეკი), გ. დეისაძე (გოლა), ნ. სირბილაძე (აგრაფინა), ელ. ურუშაძე (თინა).

მოსწავლე ახალგაზრდობა დიდი აღტაცებით შეხვდა სპექტაკლს „შორეული გზით“. მე მგონია, ქუთაისის ნორჩმა მაყურებლებმა პირ-

ველად იხილეს ასეთი მხიარული და კარგად გათამაშებული საბავშვო პიესა. ამიტომაც იყო, რომ თეატრში წარმოდგენის დროს, როცა ჩვენმა მსახიობებმა პარტერის კარი შემოაღეს და სიმღერით სცენისაკენ გაემართნენ, მთელი დარბაზი ფეხზე წამოდგა და ვაშას ძახილით მიაცილა მსახიობები სცენამდის. ამ წარმოდგენაში თავი ისახელეს და ბავშვების სიყვარული დაიმსახურეს: მ. ერგნელმა, თ. თვალიაშვილმა, გ. კუპრაშვილმა და თ. ლივარდიმ, რომლებიც ბავშვების როლებს თამაშობდნენ.

მომყავს ქუთაისის პრესის აზრი ჩვენი გასტროლების შესახებ („მუშა და კოლმეურნე", ივნისი, 1934 წ.) „თბილისის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრმა თავისი საგასტროლო პროგრამა უკვე დაასრულა და ამჟამად მიემგზავრება სხვა ქალაქებში. ქუთაისის საბჭოთა ფართო საზოგადოებრიობა არაჩვეულებრივი ინტერესით შეხვდა ამ გასტროლებს, რაც მოწმობს იმას, რომ ამ თეატრს საკმაოდ დამსახურებული სახელი აქვს თავისი მაღალხარისხოვანი პროდუქციით. საბჭოთა, პარტიული, პროფესიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციები ამ თეატრის გასტროლებს დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ. ჩვენი რედაქციის წარმომადგენელთან საუბარში გასტროლების ხელმძღვანელმა ამხ. ბ. გამრეკელმა განაცხადა: წლევანდელი ჩამოსვლა ქუთაისში თეატრის ისტორიას შერჩება, როგორც ერთ-ერთი ბრწყინვალე ფურცელი თავისი მოღვაწეობისა. ის დიდი წარმატება, რომელიც თეატრის თითოეულმა დადგმამ გამოიწვია მაყურებელთა შორის, მომავლისათვის უდიდესი ენთუზიაზმით ავსებს თეატრის კოლექტივს".

ქუთაისის შემდეგ ჩავედით ფოთში, ვთამაშობდით თეატრ „კომეტაში". იქაც ისევე აღტაცებით და ენთუზიაზმით შეგვხვდა საზოგადოება, როგორც ქუთაისში. ვიყავით ჭიათურაში და იქაც გავიმეორეთ ჩვენ მიერ წაღებული ყველა პიესა და საზოგადოების სიყვარული და პატივისცემა დავიმსახურეთ. მშვენიერი რეცენზია მოათავსა ფოთის გაზეთში „სურამის ციხეზე" როდიონ ქორქიამ, რომელიც მაშინ ფოთში იყო. ამ გასტროლების შემდეგ დავბრუნდით თბილისში და შვებულებაში წავედით.

1934-35 წლის სეზონი კვლავ „სურამის ციხით" დავიწყეთ. არ გასულა რამდენიმე თვე და ჩვენს თეატრს გ. ნახუცრიშვილმა და ბ. გამრეკელმა დაუწერეს ქართული ზღაპარი—პიესა: „ნაცარქექია".



„ნაცარქმქია" ნაცარქმქია—გ. დეისაძე; ყაფლანი—ნ. გვარაძე; იბრუხტი—მარო აბრამიშვილი

ეს პიესა თვითონ ბ. გამრეკელმა წაიკითხა დასში. წაკითხვის შემდეგ გაიმართა სჯა-ბაასი პიესის გამო. მთელი დასი აღტაცებული იყო ამ პიესით. თუ „სურამის ციხის“ წაკითხვის დროს დასი ორ ნაწილად გაიყო, რომელთაგან ერთი ამტკიცებდა „სურამის ციხე“ მოზარდთა თეატრის რეპერტუარში არ უნდა იყოსო, სამაგიეროდ „ნაცარქექია“ ერთხმად იყო აღიარებული, როგორც საუკეთესო პიესა მოზარდთა თეატრისათვის. სხვათა შორის, ალ. თაყაიშვილმა მომმართა, თქვენი აზრი გაგვიზიარეთ ამ პიესის შესახებო. მე მოკლედ ვუპასუხე: „ნაცარქექია“ ისეთი პიესაა ჩვენი თეატრისათვის, რომელიც ათეული წლების განმავლობაში გვექნება რეპერტუარში მეთქი.

მართლაც „ნაცარქექიას“ დიდი გამარჯვება ხვდა ჩვენს თეატრში. „სურამის ციხე“ და „ნაცარქექია“ ეს ისეთი განძია მოზარდთა თეატრისათვის, რომელიც ყოველთვის დაამშვენებს ამ თეატრის სცენას. „სურამის ციხე“ სომხურმა მოზარდთა თეატრმა დადგა. რაც შეეხება „ნაცარქექიას“ ბევრმა თეატრმა დადგა იგი რუსეთში.

მახსოვს პირველი წარმოდგენა „ნაცარქექიასი“. რა აღტაცება გამოიწვია ამ პიესამ ნორჩ მაყურებლებში. ალ. თაყაიშვილმა ბ. გამრეკელს მიანდო პიესის დადგმა და არც მოტყუებულა არჩევანში. საზოგადოდ, ბ. გამრეკელს საკმაო დამსახურება მიუძღვის მოზარდ მაყურებელთა თეატრის განვითარების საქმეში, ჯერ როგორც ნიჭიერ მსახიობს, შემდეგ როგორც რეჟისორს და, ამას გარდა, როგორც დრამატურგს. გ. ნახუცრიშვილმა და ბ. გამრეკელმა მოზარდ მაყურებელთა თეატრს შესძინეს შემდეგი პიესები: „ნაცარქექია“, „კაპიტანის ქალიშვილი“ (პუშკინის მოთხრობის მიხედვით), „ლადო კეცხოველი“. ბ. გამრეკელმა მთვარაძესთან ერთად მშვენიერი პიესა შექმნა—„არსენა მარაბდელი“. ბ. გამრეკელს საკუთარი პიესაც ჰქონდა „გმირი“—კომედია, რომელიც წარმატებით იდგმებოდა.

„ნაცარქექიაში“ თავი ისახელა უწინარეს ყოვლისა ჩვენი თეატრის ორმა ახალგაზრდა მსახიობმა, რომლებიც „ნაცარქექიაში“ კიკილას როლის შესრულებამ, ფართო არტისტულ გზაზე გამოიყვანა. ესენი იყვნენ: გიორგი დეისაძე და ვანო ნინუა, რომლებიც ზორიგეობით თამაშობდნენ კიკილას როლს. საუკეთესო მათ შესრულებაში ის იყო, რომ ორივენი სხვადასხვანაირად ასახიერებენ ამ მართლა მშვენიერ და ამასთანავე რთულ როლს. ვ. ნინუა უფრო სე-

„ნაცარქექია“
ყაფლანი—ნ. გვარაძე

რიოზული ტონით ასრულებდა როლს, გ. დეისაძე კი უფრო კომიკურად. მაყურებლებზე ორივენი დიდ შთაბეჭდილებას ახდენდნენ. ეს ორი ნიჭიერი და ბეჯითი მსახიობი მოზარდ მაყურებელთა თეატრისათვის აუცილებელი გახდნენ. ორივენი თეატრში მოვიდნენ ერთად—1930-31 წლის სეზონის დასაწყისში და, რომ იტყვიან, მოვიდნენ პირდაპირ ქუჩიდან. არც ერთს და არც მეორეს არავითარი თეატრალური სტაჟი არ გააჩნდათ, თუ არ მივიღებთ მხედველობაში, რომ გ. დეისაძე ერთ სეზონს მუშაობდა მარჯანიშვილთან ქუთაისში, როგორც თეატრის თანამშრომელი.

თუმცა ამ ორ მსახიობს ერთი და იგივე როლების შესრულება უხდებათ ხოლმე, მაგრამ როგორც მსახიობები, ისინი ძალიან განირჩევიან ერთი მეორისაგან. ვ. ნინუა უფრო დრამატული მსახიობია, გ. დეისაძე კი, რომ იტყვიან, პირწავარდნილი კომიკური ჟანრის აქტიორია.

„ნაცარქექია“ ისეთი თვალსაჩინო მოვლენაა მოზარდ მაყურებელთა თეატრში, რომ არ შემიძლია არ შევჩერდე სხვა როლების შემსრულებლებზედაც. განა შეუძლია ვისმე, ვისაც კი უნახავს მოზარდ მაყურებელთა თეატრში „ნაცარქექია“, დაივიწყოს გ. კუპრაშვილის მიერ განსახიერებული მებატონის შვილი ვახუშტი, მახსოვს როდესაც მოსკოვში დავდგით ეს პიესა, გ. კუპრაშვილმა მაყურებლები აღტაცებაში მოიყვანა. მან დაუვიწყარი სახე შექმნა გამოყეყეჩებული ბავშვისა, რომელიც სულ მუდამ ჭამასა და ცელქობაზე ფიქრობს; მშვენიერი იყვნენ აგრეთვე მარო აბრამიშვილი—იბრუხტი, მ. მესხიშვილი—მართა, ს. გამრეკელი—თომა, დ. კობახიძე—ვეზირი, ილ. ბერიაშვილი—გიო, ე. ურუშაძე—თამრო, დ. ჯალაღანია—ძოსამართლე. ერთი სიტყვით, ეს წარმოდგენა კი არა რომ იტყვიან, კონცერტი იყო.

ამავე 1934-35 წლის სეზონში ს. ქელიძემ დადგა მშვენიერი სპექტაკლი, რომელმაც დიდი გამოხმაურება ჰპოვა აქტიორთა წრეებში და საზოგადოებასაც ძალიან მოეწონა. ეს იყო „ძეზღვაური და შეგირდი“, ანდერსენის ზღაპრების მიხედვით. ამ სპექტაკლის შემდეგ ყველამ იწამა სერგო ქელიძე, როგორც ნიჭიერი რეჟისორი, რაც შემდეგი მუშაობით დაამტკიცა კიდეც.

თავი ოცდამერვე

1936-37 წლის სეზონი. „არსენა მარაბდელის“ დადგმა. 1937-38 წლის სეზონი. გუგა ნახუცრიშვილის პიესა „კომბლე“. თეატრის ათი წლის იუბილე. თეატრის გამგზავრება მოსკოვში.

„სურამის ციხის“ შემდეგ ალ. თაყაიშვილის დადგმებში ყველაზე საინტერესო იყო „არსენა მარაბდელი“. ამ პიესის დადგმას ალ. თაყაიშვილი დიდის სიფრთხილით ეკიდებოდა. დიდი შრომაც დახარჯა. მან მოიწვია ახალგაზრდა ნიჭიერი მხატვარი ნიკო ყაზბეგი, რომელსაც მიანდო სპექტაკლის გაფორმება. თუ არ ვცდები, ეს ნ. ყაზბეგის დებიუტი იყო, როგორც თეატრალური მხატვრისა. ამიტომაც იგი დიდი სიფრთხილით მოეკიდა ამ დადგმას. თაყაიშვილმა თავის თანარეჟისორად აიყვანა მსახიობი ალ. ყიასაშვილი, მუსიკა ჩვენმა მუდმივმა კომპოზიტორმა და მოზარდ მაყურებელთა თეატრის დიდმა მოამაგემ, ვასო შავერზაშვილმა დაწერა. არც ერთ დადგმაზე ამდენი ჯაფა არ დაუხარჯავს ალ. თაყაიშვილს. მახსოვს, წარმოდგენის შემდეგ დაგვტოვებდა და ღამის პირველ საათამდის განუწყვეტლივ მუშაობდა მთელი დასი.

„არსენა მარაბდელის“ დადგმას თბილისის პრესა ძალიან გულთბილად შეხვდა. მშვენიერი რეცენზიები უძღვნეს სპექტაკლს „კომუნისტმა“, „ახალგაზრდა კომუნისტმა“ და განსაკუთრებით— „ზარია ვოსტოკამ“.

1937-38 წლის სეზონში განხორციელებული იყო პიესა „მეწისქვილე“, ი. გრიშაშვილის თარგმანი სომხურიდან, რომელიც დადგა გ. დარისპანაშვილმა; შემდეგი დადგმა იყო ა. პუშკინის იუბილესთან დაკავშირებით „კაპიტანის ქალიშვილი“, რომელიც განახორციელა ბ. გაშრეკელმა. ეს პიესა თვითონ დაწერა გ. ნახუცრი-

შვილთან ერთად. უნდა ვთქვათ ამასთანავე, რომ გუგა ნახუცრიშვილი, ისევე როგორც ს. მთვარაძე, მოზარდ მაყურებელთა თეატრში დავაეკაცდა, როგორც დრამატურგი. გუგა ნახუცრიშვილი შვილია ჩვენი დრამატურგის დავით ნახუცრიშვილისა, რომელმაც 90-იან წლებში დაწერა რამდენიმე პიესა: „იანიჩარი“, რომელიც ერთხელ იყო დადგმული, ქართულ თეატრში ვ. გამყრელიძის საბენეფისოდ ვლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით, „ტყვე“ და 1922 წელს „პაატა ბატონიშვილი“ — დრამა ერეკლე II-ის ცხოვრებიდან. გუგა ნახუცრიშვილმა კარგი პიესებით გაამდიდრა მოზარდ მაყურებელთა თეატრის რეპერტუარი. გარდა ამისა, რაც ბ. გამრეკელთან ერთად დაწერა, დამოუკიდებლად დაიწყო წერა და მოზარდ მაყურებელთა თეატრს მისცა: „პატარა მეომრები“ — კომედია თანამედროვე თემაზე და „კომბლე“ — მშვენიერი კომედია — ზღაპარი, რომელიც დიდი წარმატებით იდგმებოდა. ამ პიესაში ჩინებულად თამაშობდნენ მ. ერგნელი — კაწაწას, ალ. კაკაკიშვილი — ფიცილას, გ. აბაშიძე და გ. დარისპანაშვილი — კომბლეს. აგრეთვე კარგი პიესა დაწერა გუგა ნახუცრიშვილმა ბორის ძნელაძის ცხოვრებიდან — „ცეცხლის ხაზზე“, რომელიც ალ. თაყაიშვილმა განახორციელა. მთავარ როლს, ბორის ძნელაძისას, ასრულებდა ნიკო მიქაშავიძე, რომელმაც მოზარდ მაყურებელთა თეატრს მალე გაანება თავი და რაიონულ თეატრებში დაიწყო მუშაობა. ამჟამად ის მუშაობს სუხუმის თეატრში.

„კაპიტანის ქალიშვილის“ დადგმაზე დიდი შრომა გასწია ბ. გამრეკელმა. სპექტაკლი კარგი გამოვიდა. რატომღაც ეს პიესა ვერ შერჩა მოზარდ მაყურებელთა თეატრის რეპერტუარს. მშვენივრად თამაშობდნენ თ. თვალიაშვილი — კაპიტანის ქალიშვილს, ვ. არეშიძე—გრინიოვს და, განსაკუთრებით, გ. დარისპანაშვილი — პუგაჩოვს. ეს როლი ძალიან მოუხდა მსახიობს და მის რეპერტუარში საუკეთესოდ ითვლებოდა.

ამავე სეზონში, ესპანეთის სამოქალაქო ომის დროს, ჩვენმა მსახიობმა და დრამატურგმა ალ. კაკაკიშვილმა ალ. თაყაიშვილის თხოვნით და მითითებით დაწერა ესპანელების ცხოვრებიდან კარგი პიესა „ადელანტე“, რომლის დადგმაც განახორციელა ალ. თაყაიშვილმა. იმ დროს ამ პიესამ ჩვენს ნორჩ მაყურებლებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მთელი ჩვენი პრესა გაცხოველებით

აშუქებდა ესპანეთის სამოქალაქო ომის ამბებს და პიესა „ადელანტეც“ სწორედ ამ ამბებს შეეხებოდა. არ დამავიწყდება, პიესის პოლოს ჩვენს მსახიობს მ. ერგნელს, რომელიც რევოლუციონერ

„ადელანტე“
გერმანელი ოფიცერი—ნ. გვარაძე

ქალს ასახიერებდა, გამარჯვების დროშა შემოჰქონდა სცენაზე. მთელი დარბაზი ფეხზე დგებოდა და ვაშას ძახილით ეგებებოდა მას. გ. კუპრაშვილი, რომელიც ესპანელ რევოლუციონერ ბავშვს

დიეგოს როლს ასრულებდა, დიდ ენთუზიაზმს იწვევდა ნორჩ მაყურებლებში.

ამავე სეზონში პირველად მოიტანა ჩვენს თეატრში ორიგინალური პიესა „აპარის ფრთებში“ ახალგაზრდა დრამატურგმა გრ. ბერძენიშვილმა. პიესა თანამედროვე თემაზე იყო დაწერილი და კარგადაც დაიდგა.

ამავე სეზონში, 1938 წლის 30 აპრილს, გადახდილ იქნა ჩვენი თეატრის 10 წლის არსებობის იუბილე. საიუბილეო საღამოს პროგრამაში შედიოდა შემდეგი პიესების ნაწყვეტები: „სურამის ციხე“ (III მოქ.), „ნაცარქექია“ (სურათი), „ადელანტე“ (III სურათი) და „ლადო კეცხოველი“ (IV და V სურათი). ეს საღამო არ იყო ისეთი საზეიმო ხასიათისა, როგორც ხუთი წლის იუბილე. ჩვენი თეატრის მსახიობ-რეჟისორმა ბორის გამრეკელმა მიიღო რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის სახელწოდება.

ამავე სეზონში დადგმული იყო შემდეგი პიესები: „ლადო კეცხოველი“ ბ. გამრეკელის რეჟისორობით, „წითელქუდა“ — მშვენიერი საბავშვო პიესა, ი. გრიშაშვილის თარგმანი, რომელიც მოზარდ მაყურებელთა თეატრს დღესაც აქვს რეპერტუარში; პიესა დადგა ალ. თაყაიშვილმა. ალ. თაყაიშვილმა აგრეთვე კარგად დადგა ნ. ოსტროვსკის მოთხრობიდან „როგორ იწრთობოდა ფოლადი“ გადმოკეთებული პიესა „პავკა კორჩაგინი“, გ. ნახუცრიშვილის „ცეცხლის ხაზზე“ და მოლიერის „სკაპენის ოინები“.

1938-39 წლის სეზონში დაიდგა: „პარტიზანები“ — ალ. კაჭკაჭიშვილისა; პიესა დადგა გ. დარისპანაშვილმა; „ხალხის რჩეული“ გ. თაქთაქიშვილისა; დადგა ალ. თაყაიშვილმა; „გმირი“ — ბ. გამრეკელისა, რომელიც თვითონ ავტორმა დადგა და „სერგო“ გრ. ბერძენიშვილისა (ამხ. სერგო ორჯონიკიძის რევოლუციურ მოღვაწეობას შეეხებოდა). ეს პიესაც დადგა გ. დარისპანაშვილმა. მთავარ როლს, სერგოსას ასრულებდა ჩვენი თეატრის ნიჭიერი მსახიობი ვ. არეშიძე, რომელსაც დიდი წარმატება ხვდა.

დავიწყეთ 1939-40 წლის სეზონი. ამ სეზონში დაიდგა გ. ნახუცრიშვილის „კომბლე“, რომელსაც, როგორც ზევითაც მოვიხსენიე, დიდი წარმატება ხვდა წილად. აგრეთვე დაიდგა „ქაჯანა“ — კ. გოგოძისა, გადმოკეთებული ნ. ლომოურის მოთხრობიდან. ეს პიესა დადგა გ. დარისპანაშვილმა. სეზონი დავამთავრეთ და შვებულე-

ბაში წავედით. როგორც კი დავბრუნდით შვებულებიდან, ალ. თაყაიშვილმა გვითხრა: მოსკოვში, ნოემბერში მოზარდ მაყურებელთა თეატრების საკავშირო დათვალიერება მოეწყობაო. დაიწყო დათვალიერებისათვის მზადება. შეიქმნა გამსინჯავი კომისია. მოსკოვში წასაღებად კომისიამ შეარჩია ორი პიესა. „სურამის ციხე“ და „ლადო კეცხოველი“. ორივე პიესისათვის დახატეს ახალი დეკორაციები. დასს დიდი მუშაობა გადახდა ამ პერიოდში. საჩვენებელი წარმოდგენები დაიდგა მარჯანიშვილის სახელობის თეატრში, რადგან მოსკოვში წასაღები დეკორაციები ვერ გაიმართებოდა ჩვენი თეატრის პატარა სცენაზე. პირველად დაიდგა „სურამის ციხე“. წარმოდგენას გამსინჯავი კომისიის გარდა, დაესწრნენ ხელმძღვანელი ამხანაგები. ისინი „სურამის ციხის“ დადგმით და აქტიორთა თამაშით ძალიან კმაყოფილი დარჩნენ. მეორე წარმოდგენისათვის ვუჩვენეთ „ლადო კეცხოველი“, მაგრამ გამსინჯავმა კომისიამ ეს პიესა არ მიიღო. გადაწყდა, რომ საჩქაროდ მომზადებულიყო „ნაცარქექია“. როგორც ორიგინალური კომედია-ზღაპარი. ერთ კვირაში დავახატვინეთ ახალი დეკორაციები და მოსკოვში წავიღეთ ორი პიესა: „სურამის ციხე“ და „ნაცარქექია“. ამ მოგზაურობაში თან გამოგვყვა ხელოვნების სამმართველოს წარმომადგენელი ამხ. პავლე კანდელაკი. ჩავედით მოსკოვში, სადგურზე შეგვხვდა ალ. თაყაიშვილი, რომელიც წინასწარ იყო წასული. პირველ წარმოდგენად დავდგით „სურამის ციხე“, რომელსაც აუარებელი საზოგადოება დაესწრო, მათ შორის მოსკოვის ქართველობა, მოსკოვის თეატრების რეჟისორები, მსახიობები და სხვ. „სურამის ციხე“ მოსკოვის საზოგადოებას ძალიან მოეწონა და დიდი ოვაციებიც გაგვიმართეს წარმოდგენის დამთავრების შემდეგ, ყველა დამსწრე, აღტაცებული იყო, როგორც პიესით, ისე აქტიორთა თამაშით და დადგმით. გაფორმება ეკუთვნოდა დ. თავაძეს. მეორე ჩვენი წარმოდგენა იყო „ნაცარქექია“. პიესა და აქტიორთა თამაში კვლავ ძალიან მოეწონათ; განსაკუთრებით მოეწონათ გ. კუპრაშვილი — ვახუშტი და გ. დეისაძე — კიკილა-ნაცარქექია. წარმოდგენის მეორე დღეს გაიმართა კონფერენცია, სადაც იყო მსჯელობა წარმოდგენების შესახებ. ეს შეეხებოდა უმთავრესად „სურამის ციხის“ დადგმას. განსაკუთრებით მოეწონათ გ. აბაშიძე — დურ-

„მარშალი გავშვოგბისას“
ატამანი—ნ. გვარაძე

მიშხანი, ვარდო — ა. ღვინიაშვილი, ვ. ნინუა — მოხუცი გლეხი, მ. ერგნელი — სალომე, ოსმან-აღა — ს. გამრეკელი და მე — ხუცია; პირველობა ავიღეთ ჩვენ და ლენინგრადის მოზარდ მაყურებელთა თეატრმა. ამრიგად, მოსკოვში დათვალიერებაზე დიდი გამარჯვება მოიპოვა მოზარდ მაყურებელთა ქართულმა თეატრმა და ჩვენც გახარებული დავბრუნდით თბილისში.

აი, რას წერდა მოსკოვის პრესა („კომსომოლსკაია პრავდა“ ნოემბერში):

„ხურამის ციხე“ და „მამაცი კიკილას ზღაპარი“. დიდი და ტემპერამენტიანი ხელოვნება ჩქეფს თბილისის ქართულ მოზარდ მაყურებელთა თეატრის პატარა სცენაზე. თბილისელმა სტუმრებმა დათვალიერებაზე გვიჩვენეს ორი სპექტაკლი, სხვადასხვა ხასიათის და შინაარსისა, მაგრამ ერთნაირი ნიჭიერებით და ნამდვილი დიდი თეატრალური სილამაზით აღჭურვილი. ეს სპექტაკლები ჩემი აზრით, დათვალიერების მშვენებაა, განსაკუთრებით ეს ეხება „სურამის ციხეს“ — ქართველი ხალხის საყვარელ ლეგენდას, რომელიც ქართული ლიტერატურის კლასიკოსმა დ. ჭონქაძემ წარმოსახა თავის მოთხრობაში და ამ ხუთი წლის წინათ გაასცენიურა თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრის დრამატურგმა ს. მთვარაძემ. ამ პიესამ მშვენიერი სცენური განსახიერება პოვა რეჟისორ ალ. თაყაიშვილისა და მხატვარ დ. თავაძის და აქტიორთა მთელი კოლექტივის მეოხებით. გახარებს თეატრის აქტიორთა მშვენიერი ძალები. გ. აბაშიძე (დურმიშხანი), ა. ღვინიაშვილი (ვარდო), ს. გამრეკელი (ოსმან-აღა), ნ. გვარაძე (ხუცია), მ. ერგნელი (სალომე) და სხვები. გამჭირვალე და სცენურად დახვეწილ ფორმებში გვიჩვენებენ აქტიორთა მშვენიერ მონაცემებს, მომწიფებულ ოსტატობას, საუცხოო მომზადებას, კარგ ფანტაზიას, უაღრეს ემოციურობას და აზრისა და გრძნობების გადმოცემის უნარს. შემსრულებლები კარგად გრძნობენ მოძრაობისა და სიტყვის მუსიკას...

მეორე სპექტაკლი „მამაცი კიკილას ზღაპარი“, გვიჩვენებს ქართული მოზარდ მაყურებელთა თეატრის ნიჭიერების მეორე მხარეს. ეს ოსტატური ზღაპარია, რომელშიც ყოველივე წარმტაცი წარმოიშვება რეალურიდან, ყოფაცხოვრებიდან. ზღაპრის ცენტრშია მკვეხარა და ყბედი ღატაკი გლეხის კიკილას სახე. კიკილა (აქტიო-

რი გ. დეისაძე) მსუბუქი, მოძრაული, დაუღალავი და სიცილის მომგვრელია. საუცხოოდ თამაშობს მსახიობი გ. კუპრაშვილი, ვდიდრის შვილს, ღორმუცელას, უძღებს, უტვინოს. როლის მოხაზულობა მეტად გამახვილებულია. საუცხოოდ არის გადაწყვეტილი რეჟისორის მიერ სცენა ყაჩაღებთან ტყეში... სპექტაკლის წარმატებას ხელს უწყობს მხატვარ მ. გოცირიძის ნამუშევარი. ქართული მოზარდ მაყურებელთა თეატრის ორივე სპექტაკლი თითოეული სხვადასხვა გვარად ამტკიცებს ნიჭიერი თეატრალური კოლექტივის ნამდვილ თავისებურ კულტურას“.

თავი ოცდამეცხრე

1940-41 წლის სეზონი. პიესა „ცისფერი ხალიჩის“ დადგმა. ჩემი 40 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავი საღამო.

1940-41 წლის სეზონში დავდგით პიესა „ცისფერი ხალიჩა“. სპექტაკლი დიდი სიყვარულით იყო დადგმული და საზოგადოების მოწონებაც დაიმსახურა. ალ. თაყაიშვილმა დადგა ამ სეზონში ორი საინტერესო პიესა — „პატარა კახი“ აკაკისა და გ. ნახუცრიშვილის კომედია — „პატარა მეომრები“. გ. დარისპანაშვილმა დადგა „თოვლის დედოფალი“. დაიდგა აგრეთვე ალ. კაკაბაძეშვილის „გაიდარი“.

ჩვენს თეატრს, ნებით თუ უნებლიეთ, ბევრი კარგი მსახიობი ჩამოშორდა. ჩამოშორდა ა. ტუსიშვილი, რომელმაც ათი წელი იმუშავა მოზარდ მაყურებელთა თეატრში და იმუშავა ნაყოფიერად. ვაჟებში ამაგდარი მსახიობები იყვნენ დავით კობახიძე და მიხეილ ციციშვილი.

არ შემიძლია არ გავიხსენო კარგი ადამიანი და ამხანაგი ელო ციხისთავი, რომელიც თეატრს დაარსების დღიდან მოსდევდა; აი მსახიობი, რომელიც თეატრისათვის იღვწოდა და იწვოდა. ბევრი შრომა და ამაგი მიუძღვის ელო ციხისთავს ჩვენს თეატრში.

ამჟამად მოზარდ მაყურებელთა თეატრში მუშაობს ბევრი ნიჭიერი აქტიორი, რომელთაც დიდი დამსახურება მიუძღვით ამ თეატრის წინაშე: მათ შორის ერთ-ერთი პირველია დავით ცხაკაია, რომელმაც ერთხანს მოზარდ მაყურებელთა თეატრს დაანება თავი, დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი, კვლავ დაუბრუნდა თავის საყვარელ თეატრს და დღესაც განაგრძობს გულმოდგინედ მუშაობას.

მოზარდ მაყურებელთა თეატრის კოლექტივმა და დირექციამ გადაწყვიტეს ჩემი ორმოცი წლის სასცენო მოღვაწეობის აღნიშვნა. 1945 წლის 10 ივნისს გაიმართა საიუბილეო საღამო. ამ საღამოზე, ჩემი სასცენო მოღვაწეობის შესახებ მოხსენება გააკეთა შალვა დადიანმა. მოხსენება მშვენიერი იყო. შემდეგ იგი მოათავსა წიგნში „ჩემი მარაო". საღამოზე წარმოდგენილ იქნა შემდეგი სპექტაკლების ნაწყვეტები: „სურამის ციხე" (3 და 4 სურათი), „ნაცარქექია" (2-რე მოქ.). დასასრულ იყო მოლოცვები სხვადასხვა თეატრისა და ორგანიზაციის მხრივ, აგრეთვე წერილობითი მოლოცვები ჩემი მეგობრებისა და ამხანაგებისაგან, ცნობილი ქართველი მსახიობებისა ან სცენისმოღვაწეთაგან. ეს საღამო მეტად სახსოვარი დარჩა ჩემთვის.

1948 წლიდან ხანდაზმულობის გამო თეატრში აღარ ვმუშაობ.

ს ა რ ჩ ე ვ ი

თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი — 1914-15 წლის ზამთრის სეზონის დამთავრება ქ. ქუთაისში. ვლ. მესხიშვილის გამგზავრება მოსკოვს. კოტე მარჯანიშვილის თეატრის დახურვა. ლადო მესხიშვილის მუშაობა „დრამატულ თეატრში". ლადო მესხიშვილი კინოში. კინოსურათები: „მამები და შვილები", „რესტორანის კაცი", „მეთევზის შვილი". ლადო მესხიშვილის საყვარელი როლები: „ფრანცი", „ურიელი", „კინი". პიესა „და-ძმის" პირველი წარმოდგენა. პიესები: „თამარ ცბიერი", „გამცემი". 5

თ ა ვ ი მ ე ო რ ე — 1919-20 წლის ზამთრის სეზონის დამთავრება ფოთში. ლადო მესხიშვილის დაბრუნება საქართველოში. ჩემი შეხვედრა ლადოსთან. ლადოს ჩასვლა სიღნაღში. ლადოს მონაწილეობით გამართული წარმოდგენები სიღნაღში: „შეშლილია", „დონ-პიეტრო". ლადოს პატივსაცემად გამართული ბანკეტი. ლადოს უკანასკნელი მოგზაურობა საქართველოს ქალაქებში. უკანასკნელი დადგმა: „მარიამ მაგდალინელი". ლადოს გარდაცვალება 11

თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე — ელისაბედ ჩერქეზიშვილის იუბილე თბილისში. სუხუმში გამგზავრება. ელისაბედ ჩერქეზიშვილის იუბილე სუხუმში. „ხანუმა" და „დედისერთა". პიესა „გამცემის" დადგმა. ელისაბედის პატივსაცემად გამართული ბანკეტი. ზინა ალშიბაია. იუბილეს გამართვა ზუგდიდში. თებერვლის რევოლუცია. ელისაბედ ჩერქეზიშვილი და სახალხო წარმოდგენები. ნატო გაბუნია-ცაგარლისა. ელისაბედ ჩერქეზიშვილის როლები 18

თ ა ვ ი მ ე ო თ ხ ე — 1923-24 წლის სეზონი რუსთაველის სახელობის თეატრში. თეატრის პირველი მოგზაურობა კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით. პიესები: „ცხვრის წყარო", „ინტერესთა თამაში", „გაანაურებული მდაბიო", „გმირი", „კაცი მასა". წარმოდგენის გამართვა ბათუმში. ფოთში, ქუთაისსა და ჭიათურაში. მანგლისში გამგზავრება. „ლატავრას" მომზადება. კინოსურათი „ქარიშხლის წინ". კოტე მარჯანიშვილი — კინორეჟისორი. „მათრახის პანაშვიდი". ვერიკო ანჯაფარიძე თავის საყვარელ როლებში. „სინათლის" დადგმა. 25

თ ა ვ ი მ ე ხ უ თ ე — კოტე მარჯანიშვილის მოწაფეები. უშანგი ჩხეიძე. „ჰამლეტის" დადგმა. უშანგი ჩხეიძე ჰამლეტის, ურიელის, ყვარყვარე თუთაბერის როლებში. ელენე დონაური და გიორგი დავითაშვილი. აკაკი ვასაძე თავის საყვარელ როლებში. დიმიტრი შავეა. ემანუილ აფხაიძე. 34

თ ა ვ ი მ ე ე ქ ვ ს ე — ვასო გოძიაშვილი. „ანზორის“ დადგმა. ახმახ როლის შესრულება. აკაკი ხორავა თავის საყვარელ როლებში: ანზორი, იჩო. ალგაშდი. პიესა „რღვევა“. აკაკი ხორავა ბერსენევის როლში. უშანგი ჩხეიძე გოდუნის როლში. აკაკი ხორავა ოტელოს როლში. გიორგი სარჩიმელიძე 40

თ ა ვ ი მ ე შ ვ ი დ ე — ალისა ქიქოძე. თამარ ჭავჭავაძე თავის საყვარელ როლებში: ლაურენსია, ზეინაბი. ნინო ლაფაჩი. დოდო ანთაძე. ვ.ლ. სიდამონ-ერისთავი. ირაკლი გამრეკელი 43

თ ა ვ ი მ ე რ ვ ე — დავით კობახიძე. პროლეტკულტის დასი. პიესა „რიეერა-ჟის“ დადგმა. ალ. წუწუნავა — „წითელი თეატრის“ ხელმძღვანელი. დადგმა „ჯანყი გურიაში“. ჩემი მუშაობა „წითელ თეატრში“. კონსტანტინე ანდრონიკაშვილი. პიესა „გაჟირვების ტალკვესი“. „ყაჩაღების“ დადგმა. ბიძინა წულაძე. ალ. წუწუნავა — რეჟისორი. 46

თ ა ვ ი მ ე ც ხ რ ე — ქართველი სცენისმოყვარეები. ნიკო ვოკირიძე — სახალხო სახლის მსახიობი და მის მიერ შესრულებული როლები. ქიხეილ ჭიაურელის პირველი დადგმა „პირველული ცოლის მორჯულება“. გაიოზ მელიავა. კაკო ხინთიბიძე. მიხეილ ჭიაურელი — დრამის აქტიორი. ქიხეილ ჭიაურელი კინორეჟისორი 52

თ ა ვ ი მ ე ა თ ე — ტასო აბაშიძე სადებიუტო წარმოდგენაში. მისი მოღვაწეობა ქართულ სცენაზე. „ფული და ხარისხის“ პირველი დადგმა. ტასო აბაშიძე კარმენის როლში. ტასო აბაშიძის სასცენო მოღვაწეობის ოცდახუთი წლის იუბილე რუსთაველის სახელობის თეატრში. 57

თ ა ვ ი მ ე თ ე რ თ მ ე ტ ე — მიხეილ ქორელი „წითელ თეატრში“. პიესა „პარიზის“ დადგმა. მიხეილ ჭიაურელის დადგმა „რაც გინახავს, ველარ ნახავ“. მუსიკალურ კომედიის თეატრის დაარსება. კინოსურათი „იბრაგიმ და გოდერძის“ დადგმა. ჩვენი მუშაობა ბელაქანში. შაქრო ბერიშვილი კინორეჟისორი. ლადო კაესაძე კინოაქტიორი 67

თ ა ვ ი მ ე თ ო რ მ ე ტ ე — ბეკ-ნაზაროვი — კინორეჟისორი. „მაძის მკვლელის“ დადგმა. ნატო ვაჩნაძე. ვანო სარაჯიშვილი. კონსტანტინე ანდრონიკაშვილი. აკაკი ვასაძე. ალექსანდრე წუწუნავა კინორეჟისორი. „ჯანყი გურიაში“ 66

თ ა ვ ი მ ე ც ა მ ე ტ ე — 1927-28 წლის სეზონი „წითელ თეატრში“. მიხეილ ჭიაურელი — თეატრის ხელმძღვანელი. დავით სულიაშვილი. ახალგაზრდა რეჟისორები: შოთა აღსაბაძე, გრიგოლ სულიაშვილი, გიორგი ჯაოშვილი. პიესა „გაყრას“ დადგმა. შაქრო გომელაური. დოდო ანთაძე. პიესების: „ასე იყო“, „ამფეთქებლები“, „დიდების გამყიდველი“, „ვინც ყველაზე სულელია“ დადგმა. 70

თ ა ვ ი მ ე თ ო თ ხ მ ე ტ ე — კაკო კკანტალიანი. ალექსანდრე გომელაური. კოტე მარჯანიშვილის მიერ თეატრის დაარსება. ძოზარ მაყურებელთა თეატრი. ვუგული ბუხნიკაშვილი 74

თავი მეექვსმეტე — ბოგზაურობის მოწყობა ვალერიან გუნიას მეთაურობით. პიესა „რღვევის“ დადგმა. აკაკი ფალავა. პიესების „აღლუმის“ და „ხანუმას“ დადგმა. დუდე ძნელაძე. გოგი ფრონისპირელი. დავით ჩხეიძე. 77

თავი მეთექვსმეტე — ჩემი მიწვევა ზუგდიდში 1928 წელს. ზუგდიდის სცენისმოყვარენი. პიესების: „რღვევის“, „მათრახის პანაშვიდის“, „ხულელის“ დადგმა ზუგდიდში. სოსო ქავიძე. ელენე აბაზაძე. ლეო ჰედია, გიორგი ვაბუნია 81

თავი მეჩვიდმეტე — ჩემი მიწვევა სუხუმის დასში. ცაცა ამირეჯიბი. ელო ანდრონიკაშვილი, დიმიტრი გაგუა. პიესების: „ყარაბ და ემზარის“, „ანზორის“, „ყაჩაღების“ დადგმა. დავით მირიანაშვილი . . . 86

თავი მეთვრამეტე — სუხუმის მეორე სეზონი. „ფიესკოს შეთქმულების“ დადგმა. მსახიობები: არეთა ლოლუა, ბებე ჯაიანი, ვახტანგ არეშიძე. გაიოზ მელიავა. გიორგი გორდაძე. პიესების: „გაურის“, „ყვარყვარე თუთაბერის“, „პროტესტის“ დადგმა 92

თავი მეცხრამეტე — ლიტერატურული საღამოს მოწყობა სუხუმში. ხალაქტიონ ტაბიძე და გიორგი ქუჩიშვილი. მათი მოგზაურობა რაიონებში, ლიტერატურული საღამოების მოწყობა ოჩამჩირეში. გალში, ზუგდიდში, ცხაკაიასა და ფოთში 91

თავი მეოცე — საგარეჯოს საზაფხულო სეზონი. საგარეჯოს სცენისმოყვარენი. პიესების: „მათრახის პანაშვიდის“, „მსხვერპლის“ და „ციცინათელას“ დადგმა საგარეჯოს მეორე საზაფხულო სეზონი. „რღვევის“, „ნამუსისათვის“ და „ოტელოს“ დადგმა. ალექსანდრე იმედაშვილის მიწვევა 99

თავი ოცდამეერთე — შალვა ღამბაშიძე. პიერ კობახიძე. პაველ ფრანგიშვილი. მიხეილ სარაული 10

თავი ოცდამეორე — რუსთაველის სახელობის თეატრის გასტროლები მოსკოვში 110

თავი ოცდამესამე — საბავშვო თეატრის დაარსება: ბავშვების მიერ ნათამაშევი წარმოდგენები. პირველი პიესა „ტომ სოიერი“. ალ. თაყაიშვილი. მოზარდ მაყურებელთა თეატრის ჩამოყალიბება. სეზონის გახსნა. პიესა „ფრიც პაეერი“. პირველი ორიგინალური პიესა „გოჩა“. მოზარდ მაყურებელთა თეატრის გასტროლები რაიონებში. მეორე სეზონის გახსნა 116

თავი ოცდაოთხე — თ. თვალიაშვილი, ვ. კუპრაშვილი, მ. ერგნელი. შალვა დადიანი საბავშვო თეატრში. პიესა „ბოთე და კუსპარა“. სიმონ ჩიქოვანის პიესა „ჩვენც-ჩვენც“. მოზარდ მაყურებელთა თეატრის გადასვლა თეატრ „სოლეიში“. წარმოდგენა „შორეული გზით“. ალ. თაყაიშვილი როგორც თეატრის ხელმძღვანელი. პიესა „სკაპენის ოინების“ დადგმა 123

[illegible] ოცდამეხუთე — ვახტანგ [illegible]ეშიძე. თამარ ლივარდი. ალ. ყიფ-
საშვილი. ჩემი მოსვლა მოზარდ მაყურებელთა თეატრში. ჩემი პირველი
გამოსვლა. პიესა „შაშვნასა“ დადგმა. მოზარდ მაყურებელთა თეატრის
ექსპერიმენტები 130
[illegible] ოცდამეექვსე — სიმონ მთვარაძის „სურამის ციხის“ მომზა-
დება და დადგმა. ლია წარმოდგენა მოზრდილთათვის. ალ. ღვინიაშვილი
ვარდოს როლში. ბორის გამრეკელი ოსმანაღას როლში. მარო მესხი-
შვილი. ისაი აგასოვი. მოზარდ მაყურებელთა თეატრის ხუთი წლის
იუბილე 136
[illegible] ოცდაშვიდე — მოზარდ მაყურებელთა თეატრის გას-
ტროლები ქუთაისში. ფოთსა და ჭიათურაში. გაზეთების „მუშის“ და
„ოლმეურნის“ რეცენზიები. 1934-35 წლის სეზონი. „ნაცარქექიას“
დადგმა 144
[illegible] ოცდაერვე — 1936-37 წლის სეზონი. „[illegible]ესა მარაბდელის“
დადგმა. 1937-38 წლის სეზონი. გუგა ნახუცრიშვილის პიესა „კომ-
ბლე“. თეატრის ათი წლის იუბილე. თეატრის გამგზავრება მოსკოვში . 150
[illegible] ოცდაცხრე — 1940-41 წლის სეზონი. პიესა „ცისფერი ხა-
ლიჩის“ დადგმა. ჩემი 40 წლის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავი
საღამო 154

რედაქტორი შ. ბუაჩიძე
ტექრედაქტორი თ. მამფორია
კორექტორი თ. სვინტიძე

ჯადაეცა წარმოებას 11/VIII-52 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 20/I-53 წ., ანაწყობის ზომა 6×9, ქაღალდის ზომა 60×84, სასტამბო ფორმათა რაოდენობა 10,25 სააღრ. ფორმათა რაოდენობა 7,31.

ფ01107 ტირაჟი 5000 შეკვ. № 2067

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფმრეწველობის, გამომცემლობისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სამმართველოს სტამბა № 2 — თბილისი, ფურცელაძის ქ. № 5.

Типография № 2, Управления по делам полиграфической промышленности, издательств и книжной торговли при Совете Министров Грузинской ССР. Тбилиси, ул. Цурцеладзе № 5.